



# ივლიანი




**როსტოველი  
ქართველი მომღერალი,  
როგორც თბილისში  
სამუდამოდ  
ჩამოვიდა**

**„ირმა ჩემზე  
დადებით გავლენას  
ახდენს“**

**ნინო გაუარული:  
„ერთმანეთს ისევ  
ვეპყრებით“**

**საიდუმლო, როგორც  
გუგაზ სანიკიძემ გათქვა**



**შვილის სისვლიანი ხელიდან  
მოხსნილი სათი და გიჟი  
ქართველი დედის ამბავი**



## შთამომავლობა

**რა დაუბოვია ნინო  
გურგულიანა შვილებს**


ISSN 1987 - 5029



9 771987 502009

**რა არის საჭირო იმისთვის, რომ ძიება იმუშაოს**





### პრიმაკოვის იუბილეა წარმოთქმული „გამოსვლა-სადღებრკელო“

„დღემდე ძალიან გავლენიანი პიროვნებაა, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები მის აზრს ანგარიშს უწევენ. პრიმაკოვთან დღემდე ვმეგობრობ. სხვათა შორის, 75 წლის რომ გახდა, მაშინაც მიმინვია იუბილეზე, პუტინი მაშინაც იქ იყო“.

6



### ნინო ბაშარულის „ხევსურული კოდი“

„ცხოვრებაში ჩემ მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი გულწრფელია. ის ადამიანი ნამდვილად მიყვარდა და მასაც ვუყვარდი. ოჯახი შევქმენით და საბუკა გაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხანს ვცხოვრობდით ერთად, ის გრძნობა არ გახუნებულა“.

19



## ცხოვრება

### ერთი გვირი ქართველი დედის აგზავნი



ქალბატონ მარინას ხელზე მამაკაცის საათი ეკეთა. ჩემი შვილისაა, სისხლიანი ხელიდან მოვხსენიო, — მითხრა. მას ინტერვიუს დროს ერთი ცრემლიც არ ჩამოვარდნია. როგორც ჩანს, გაჭირვება ადამიანს სხვანაირ, განსაკუთრებულ სიმტკიცეს სძენს. ქალბატონი მარინას თაოსნობით, ვახტანგ გზირიშვილისა და მისი თანამებრძოლების სახელების უკვდავსაყოფად, ვარკეთილში წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი შენდება.

31



- **მინიატიურები** 5  
„რიჟა“ მოდის!..
- **ინფორმაცია** 6
- **პრობლემა** 9  
პოლიციის ძალით გამოდევნილი დევნილები...
- **სამართალი** 12  
საპატიმროებში სტომატოლოგიური კაბინეტები, თონეები და სამკერვალოები გაჩნდა...
- **დეკლარაციები** 14  
„დეკლარაციაში სიამოვნებით ჩავენრდი რამდენიმე ათეულ მილიონს...“
- **საზოგადოება** 16  
ევროკავშირის ელჩი აჭარაში დემოკრატიის ფორმულით!
- **ავსლა** 19  
ნინო ბაშარულის „ხევსურული კოდი“ და ესპანური ტემპერამენტი
- **პარსონა** 21  
...გუბაზ სანიკიძე აფხაზ დედოფალზე ოცნებობდა
- **კოლეგა** 24  
ჟურნალი „ბომონდი“ — გამორჩეული და საინტერესო
- **დებიუტი** 25  
საქართველოში ჩემმა ფესვებმა ჩამომიყვანა
- **რეპორტიორი** 27
- **პარსკვლავები** 29  
ენდი უორპოლმა თანაშემწეს გასამრჯელო 40 წლის შემდეგ გადაუხადა
- **რაკურსი** 31  
საუბრები ბექობზე
- **თქვენთვის, ქალბატონებო!** 33

## გზაგნილები

### უდარდელი ბავშვობა



„ახალ წიგნში ფულის გადახდა არასდროს მენანება და ჩემი პირადი ბიბლიოთეკის ზრდას სიამაყით შევხარი. ვწერ ლექსებს, ჩანახატებს, ვსწავლობ და მიმაჩნია, რომ საინტერესოდ ვცხოვრობ. P.S. ამას წინათ, მესამე კლასში შედგენილი „მეგობრობის დღიური“ ვიპოვე, სადაც ხაზგასმით ვაცხადებ, რომ ჩემი პობი დილის ძილია. :) არა, რა, ხომ ვამბობ, უდარდელი ბავშვობა მქონდა! :)“

85



■ <b>სულის სიფაქიყა</b>	36
„ეს საათი ჩემი შვილისაა, სისხლიანი ხელიდან მოვხსენიო“	
■ <b>სიჭაუბნა</b>	37
■ <b>კრიმინალი</b>	39
თაღლითობისთვის ქალები უმკაცრესად დასაჯეს	
■ <b>გაბათება</b>	41
ფანჯრის რაფაზე გატარებული ბავშვობა	
■ <b>ავტო</b>	43
■ <b>ეს საფაროა</b>	44
■ <b>კიტაული</b>	46
დაუვინყარი ქორნილი და გოგონა, რომელიც შრეკმა გაიტაცა	
■ <b>საკითხავი ქალებისათვის</b>	48
■ <b>ანტიდუპრესანტი</b>	50
■ <b>ვაგნატები</b>	50
ბედნიერი პობიტი	
■ <b>ტაქარი</b>	52
■ <b>ჯანმრთელობა</b>	54
■ <b>ეპიგრაფი</b>	57
...იქ, სადაც ქვეყანა „რუსსკიე“ და „ნერუსსკიედ“ არის გაყოფილი	
■ <b>შთაშთაშობა</b>	59
„მენატრები, დედა!“	
■ <b>პროფესია</b>	61
სხვისი შვილების დედა	
■ <b>თინეიჯერული პონტები</b>	64
■ <b>ვინირომანი</b>	68
■ <b>ქართული დეგაქივი</b>	72
გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)	
■ <b>რეალური (გაგრძელება)</b>	76
■ <b>რომანი</b>	78
სვეტა კვარაცხელია. აკრძალული ოცნებები (გაგრძელება)	
■ <b>დოკუმენტური პროზა</b>	82
შეხვედრები სტალინთან (გაგრძელება)	
■ <b>გულანდელი დიუკი</b>	83
მე — ფსიქოლოგი (გაგრძელება)	
■ <b>გზავნილები</b>	85
■ <b>ყველა ერთისათვის</b>	90
„ღირსეულ დედას შვილს ვერავინ წაართმევს“	
■ <b>მოგილი-ზაშია</b>	92
■ <b>მოზაიკა</b>	97
■ <b>პრუდიტი</b>	100
■ <b>განართობი</b>	102
■ <b>ასტროლოგია</b>	104
■ <b>სკანოვრდი</b>	105
■ <b>საფირმო პროსპორდი</b>	106

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით გაზაფხულ „კვირის პალიტრის“ დამატება ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
 მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია  
 პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე  
 მენეჯერი: მათე კვიციანი

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი  
 კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიძე

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49  
 ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com  
 რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

## საფარო



### ჰონდურასი „თევზის წვიმა“ მოსულა

გაზაფხულის დასასრულს, ჰონდურასის ქალაქ იოროს მოსახლეობა წვიმის შემდეგ სახლებიდან გამოდის და ცოცხალ თევზს აგროვებს. ქალაქში 1998 წლიდან ყოველწლიურად, „თევზის წვიმის“ ფესტივალიც ტარდება.

# 41

## აღამიანი



### „მენატრები, დედა!“

„სამი წლის ვიყავი, ჩემი ძმა კი — ექვსის, როცა დედამ მცნებებზე ჩამოგვინერა, როგორ უნდა მოვქცეულიყავით. მას წლების შემდეგ მე და ჩემმა ძმამ „დედის დარიგება“ დავარქვით. ოცდაერთი საკითხისაგან შემდგარი ქცევის „კოდექსი“ თითქმის ყველაფერს ეხებოდა“...

# 57

## ბიბლუსი




— სცემე თუ არა? — ბრაზით გაიმეორა ჯამლეთმა.  
 — ჰო, პატარა ჩხუბი მოგვივიდა, — ჩაიბურტყუნა მანანალამ.  
 — რა მიზეზით იჩხუბეთ? — ლაპარაკში გიორგი ჩაერთო.  
 — დამპალი კაცია ჭიჭე, მატყუარა. მარტო ცემის ეშინია. ბევრჯერ დავპირდი: ნუ მატყუებ, თორემ მაგრად გირტყამ-მეთქი, მაგრამ მაინც არ მოიშალა თავისი!

# 67

## ტაიმ-აუტი





### ჰიტლერს პირში ებრაელთა ოქრო აღმოუჩინეს

ებერლე ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ირწმუნება, ჰიტლერს ებრაელი წინაპრები არ ჰყოლიაო და დასძენს: „რომ ამბობენ, თითქოს, ადოლფს ბავშვობაში მამა სცემდა და ამიტომაც, ახალგაზრდობაში ნარკოტიკებს მიეძალა, ესეც ტყუილია“.

# 97





# მედიკ-დენსემი ანტიკრიუსული პრეპეტი

## მათი უკვე ნახეს ჩვენი ფასები თქვენ?



გამათკობელი ზეთის რადიატორი 11 სექციით

თერმოგულატორი აფიქსირებს სასურველ ტემპერატურას — მისი მიღწევის შემდეგ ავტომატიურად ფუნქცია უზურველყოფს ელექტროენერჯის ეკონომიურ ხარჯვას. დამატებითი ფუნქცია: ცხელი ჰაერის დაბრუნება.

შპსი: ~~140~~ 79<sup>90</sup>

## 23 - 30 ნომბრამდე

microlife WS 100

ციფრული სასტორი  
შვეიცარიული ხარისხი

- ზომავს წონას
- ზომავს ცხიმის და წელის შემცველობას  
ორგანიზმში
- მაქსიმალური წონა 150 კგ



შპსი: ~~120~~ 90

**„სიტყვა და სკამის“ პირველ ხარვეზს დაბაკალილია კაპონი,**  
შაბაროვით 3 სკალი, მიიზანეთ „მირკოს“ აფთიპეპუი  
**მარკანიპეიუს 16; პეკინს 11 ტელ: 24 46 46/47**  
**პეკინს 13 ტელ: 37 98 73**



შაპაუნი ჩეილისა და ბაპეპიუსი

ნარმეულა გერმანიაში

### მომავალი რეპეპეტიდან

30 ნომბრიდან-7 დეკემბრამდე

**ინილეთ „მედიკ-დენსემის“  
ესალი შემოთავაზება**



სიფრული  
თერმომეტრი

ნარმეულა  
შვეიცარიაში





# „რიჟა“ მოდის!..



**შსავლის ნაცვლად** მიშა ხომ ასრულებს ყველა წინასაარჩევნო დაპირებას (ხედავთ, პირველივე წინადადებაში რა მაგრად ვისუმრე); მეც ვცდილობ, რაც შემიძლია — თუ გახსოვთ, რამდენიმე კვირის წინანდელ „პროვოკაციაში“, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალარჩეულ პრეზიდენტს „დავპირდი“, თქვენი თხოვნის მიუხედავად (სამი თვე მაცალეთ ჟურნალისტებმაო), თუ რამე არ მომენონა, არ გაგჩერდები-მეთო. და აჰა, ყრილობა ჩაატარეს!..

არაერთხელ მიტყვამს, რომ ფეხბურთზე ვგიჟდები (წარმოიდგინეთ — ქართული ფეხბურთიცი კი მიყვარს!) და ვიცი, რომ როგორც წარკომანისა და ლოთისთვის არის დამლუბველი „შავი“ და არაყი, ისევე ქართველი კაცისთვის — ფეხბურთის სიყვარული (ქართველისთვის, თორემ „რეალის“ ფანს რა უჭირს), მაგრამ „ამ გულს რა ვუყო?“ ჰოდა, თქვენც — ნორმალურ ადამიანებს ანუ ვისაც „გკიდათ“ ჩვენებური ბურთაობა და ამით ჯანმრთელობას იკაჟებთ, გაბეზრებთ ხოლმე თავს ჩემი ავადმყოფობით.

ავადმყოფობა და აკვიატებაა, აბა, რა არის — ავიჩემე: გიორგი ნემსაძის (ისევე „მოტეხეს“), ლევან ყიფიანის, თბილისის „დინამოსა“ და „ვიტჯორჯიას“ ხელმძღვანელების არჩევა უკეთესი იქნებოდა ალმასკომში, ვიდრე ახალკაცის დროინდელი „სასტავის“-მეთქი... არა უშავს, დრო დამატკიცებს, რომ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის ფეხბურთის(?) ფედერაციისა და საქართველოს ქალთა ფეხბურთის!!! (რომლის ნაკრებმაც რუს ვეტერანებთან ანუ „ბაბუშკებთან“ 1:16 წააგო) ხელმძღვანელები უფრო პროფესიონალები არიან, ვიდრე ნემსაძე და ყიფიანი! მერე „ჩავიგდებ ენას“...



მოკლედ, ბოდიში, რომ ამ სისულელეზე მოგაცდინეთ, ახლა — „არასისულელე“: მიშამ „ფორმულა-3“-ის ბოლიდით „იკატავა“! არა მხოლოდ „იკატავა“, არამედ ახალი „ავტობანიც“ გახსნა (ჩვენში ასე ეძახიან, თორემ მიშამ კი იცის — ავტობანი სხვა რამეა, ევროპაში ნავალი კაცია...)! არა, მიშას ეფექტები რომ უყვარს და რუსების ტანკებიდან 5 კილომეტრში იმათ ჯინაზე ფოკუსების კეთება, ეგ — არაფერი (თქვენ წარმოიდგინეთ, ხანდახან ვეთანხმები კიდევ): გაიზრდება და გაუფლის, მაგრამ „გვარს“ არ დაგასახელებ და ერთ-ერთ ტელეკომპანიას (თუ რაც ჰქვია) რა ეშველება, — ბატონმა პრეზიდენტმა „ფორმულა 1“-ის(!) მანქანით 25 კმ 4 წუთში გაიარაო, — რომ გვახარა?!. მისმინე, ოროსანო: 25 კმ 4 წუთში, ნიშნავს 375 კმ — საათში! ვერ მიხვდი?!. თბილისიდან ბათუმამდე — 1 საათში!!! კიდევ ვერ მიხვდი?! თქვენი ტელეკომპანიიდან მეორე ტელეკომპანიის (უფრო სწორად — მესამე, მეორე ხომ თქვენია) ოფისამდე (დილოში რომ არის) — წუთ-ნახევარში!!!

ისე, ჩვენი კოლეგების „ბანაკში“ მომხდარი ამბების მხრივაც დიდად საინტერესო კვირა გვქონდა: შალვა რამიშვილს აღარაფერში გამოადგება ორი კვირის წინ ჩემ მიერ „ნაჩუქარი“ რჩევები — „სიმართლის დრო“ დაუშვარეს! არადა, ვილაც ქუთაისელი პროფესორი გამოიყვანა ბოლო გადაცემაში (არ დაინწყით ახლა ისევე პროტესტის ზარები რედაქციაში, — სწორედაც რომ „ვილაც“! მაღლობა თქვას, უარესს რომ არ ვამბობ) და სულ დედა აფიცებინა, — გინდა თუ არა, პედერასტი და „კაგებმნიკი“ ვარო! კაცო, შალიკო, შენ ვერაფერი გასწავლეს „კუტუზკაში“?! ამ ქვეყანაში კბილების მთავარი ფუნქცია — ენაზე დაჭერა! შენ რომ ეგრე გაგმგრძელებინა... მოკლედ, იჯექი ახლა „სამსონაძეებში“...

„საგარეო-ჟურნალისტიკურ“ სფეროშიც დიდად საინტერესო ამბავი გვქონდა: ბენდუქიძემ ახალი სახის „ინვესტიციების“ მოზიდვა დაიწყო — RTVI-ს და „ეხო მოსკვი“-ს ცნობილი სახე იულია ლატიინია გვანჯია. მოიარა ამ ქალმა აქაურობა, „მინდორმინდორ მთელი ქართლი შეაჯერა“, ჩავიდა და მთელ ქვეყნიერებას აუნყა, — ეს რა ნახა ჩემმა თვალებმაო! საერთოდ, საინფორმაციო ომის ამბავში, ცუდი არ არის უცხოელების „დაბოოლება“, მაგრამ „მეტის-მეტი ბრეტის-ბრეტო“ (ბებიჩემის ერთ-ერთი „აფორიზმი“)?!. დალოცვილო, ვიცი, რომ შეიძლებოდა, კახა ბენდუქიძეს მოეხიბლენ და აქ ყველაფერი ლამაზად მოგჩვენებოდა, მაგრამ საქართველოში ყველა იღიმისო, რომ ამბობ, ბრმა ხარ თუ შენც ის გჭირს, რაც „4 წუთისა და 25 კილომეტრის“ ავტორ შენს ქართველ კოლეგას?!

რომ შეიძლებოდა, კახა ბენდუქიძეს მოეხიბლენ და აქ ყველაფერი ლამაზად მოგჩვენებოდა, მაგრამ საქართველოში ყველა იღიმისო, რომ ამბობ, ბრმა ხარ თუ შენც ის გჭირს, რაც „4 წუთისა და 25 კილომეტრის“ ავტორ შენს ქართველ კოლეგას?!.

**P.S.** ეს ლატინია ხომ იცით, რომელია? „რიჟა“ როა და ჭკვიანური გამომეტყველებით სისულელეებს რომ ლაპარაკობს. ჰოდა, ზემოთ ბებიჩემის აფორიზმსა და ამის თმის ფერზე, ცხონებულის კიდევ ერთი „სიბრძნე“ გამახსენდა: „რიჟას“ რომ დაინახავდა, სამჯერ გადააფურთხებდა და პირჯვარს იწერდა ხოლმე... დიდად მოწონებენ ქალი არ იყო ცხონებულის, მაგრამ ზრდილობა არ აკლდა, თორემ ჩემი ძმაცაცის ბაბუა ამ დროს ხელს „უალაგო ალაგას“ იკიდებდა და ჩვენც იმასვე გვაიძულებდა.

პრომოკატორი





# რუსმა მილიციელმა ქართველი სტუდენტი სამით მოკლეს



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დავით ბაქრაძე რუსეთს ქართველთა ეთნიკური ნიშნით დევნაში ადანაშაულებს. ის 19 წლის ედუარდ ლურწკაიას მკვლელობასა და ინციდენტში მონაწილე მილიციელთა გარდა, მომხდარზე პასუხისმგებლობას იმ რუს პოლიტიკოსებსაც აკისრებს, რომლებიც ქართველებისგან მტრის ხატს ქმნიან. როგორც ცნობილია, აფხაზეთიდან დევნილი, ედუარდ ლურწკაია 23 ნოემბერს სამმა მილიციელმა მოსკოვში ცემით მოკლა. ისინი დანაშაულში ეჭვმიტანილის სტატუსით დააკავეს, მაგრამ ორი მათგანი მაშინვე გაათავისუფლეს, ერთს კი მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეცემისთვის წაუყენეს ბრალი. მომხდარს ეროვნული ნიშნით დევნილთა მოკვლის ნათესავი, ცნობილი მომღერალი დიანა ლურწკაიაც, „ჩვენი მილიცია, რომელმაც უნდა დაგვიცვას, ხალხს კლავს. ამდენად, ვფიქრობ, ეს ყველაფერი ეროვნულ ნიადაგზე მოხდა“, — აღნიშნა მომღერალმა. მისივე თქმით, ჯერ კიდევ 2 თვის წინ მიმართა რუსეთის შს მინისტრ რაშიდ ნურგალიევს წერილით, სადაც მილიციის თანამშრომლების მხრიდან ნაციონალიზმის გამოვლენის პრობლემაზე წერდა.

# ქართველები საინგილოს მასობრივად ტოვებენ

საინგილოში ეთნიკურ ქართველებს იმდენად მძიმე პირობებში უწევთ ცხოვრება, რომ იძულებული ხდებიან, საკუთარი სახლები მიატოვონ და საცხოვრებლად საქართველოში გადმოვიდნენ — ამ ინფორმაციას კახეთის საინფორმაციო ცენტრი ავრცელებს. ადგილობრივი მოსახლეობა აზრობს, რომ ხელისუფლება და პოლიცია მათ ეროვნული ნიშნით ავიწროებს. ჰერეთელებს პრეტენზიები აქვთ საქართველოსა და აზერბაიჯანში მოქმედ ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებთან. მათი თქმით, ეროვნული უმცირესობების უფლებათა დაცვა, როგორც აზერბაიჯანში, ასევე საქართველოში მოქმედი არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებისგან ფინანსურ დახმარებას იღებენ, მაგრამ ჰერეთელთა უფლებებს არავინ იცავს.

# იაპონიაში რუსეთი ოკუპანტად სწო

იაპონიის ხელისუფლებამ საბოლოოდ დაამტკიცა დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ სამხრეთ კურილიის კუნძულები რუსეთის ფედერაციის მიერ უკანონოდ არის ოკუპირებული. ცოტა ხნით ადრე იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ სახელისუფლებო დოკუმენტი, რომელშიც რუსეთის ფედერაციის მიერ კურილიის კუნძულების ოკუპირებაზე იყო ლაპარაკი, მასმედიაში შეცდომით მოხვდა და მხოლოდ დაუმტკიცებელი პროექტი იყო. როგორც ცნობილია, კურილიის კუნძულები ყოფილი საბჭოთა კავშირის კონტროლის ქვეშ მყოფი მსოფლიო ომის შემდეგ გადავიდა.



რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 11

# SOS! 2 წლის ბიორგის სამკურნალოდ ბერმანიაში ელიან...



„გზის“ მკითხველებს — როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს — არაერთხელ გამოუჩენიათ გულმონყალება და გასაჭირში ჩავარდნილი ჩვენი რესპონდენტებისთვის დახმარება გაუწევიათ. ამიტომაც მოგმართავთ კვლავ, დიდი იმედით, რომ პატარა ქართველის სიცოცხლის გადასარჩენად, ბევრი თქვენგანი გაიღებს თუნდაც მცირედს... 2 წლის ბიორგი ერემეიშვილს პროსტატის ჯირკვალზე თანდაყოლილი ავთვისებიანი სიმსივნე აღმოაჩნდა. ახლა ის იაპონიის სახ. კლინიკაში იმყოფება და ექიმები ქიმიურ გადასხმებს უკეთებენ. პატარა, თავისი გამხდარი ხელებით, ფრთხილად ისწორებს ვენაში ჩამაგრებულ ზონდს, რომ გადაბრუნებაში ხელი არ შეუშალოს; თამაშის ხალისი აღარ აქვს, აღარც მნახველების მოტანილი საჩუქრები ახარებს... ნაღვლიანი თვალები მხოლოდ ექიმის დანახვისას უბრწყინდება: იმედი აქვს, რომ თეთრხალათიანი დეიდა ტკივილსაც დაუამებს და ენერჯისაც დაუბრუნებს. როგორც მისმა ნათესავებმა გვითხრეს, ბიორგის დაბადებად მშობლები 6 წელი ელოდნენ... ბავშვს გასულ ზაფხულს სახე მოულოდნელად დაუსივდა და გამონაყარი გაუჩნდა. დიაგნოზი მალე დაისვა. მიუხედავად იმისა, რომ მკურნალობის თითოეული კურსი 3.000 ლარი ღირს, ირინა და კობა ერემეიშვილებს უკან არ დაუხევიათ, ერთადერთი შვილის გადასარჩენად ყველაფერი გაყიდეს, რაც ებადათ... სულ ახლახან ბიორგის მკურნალ ექიმს გერმანიიდან შეატყობინეს, რომ თუ ბავშვს იქ ჩაიყვანენ, მისი გამოჯანმრთელება შესაძლებელი იქნება. მშობლები ბავშვის გადარჩენის პერსპექტივამ უსაზღვროდ გაახარა, მაგრამ გერმანიაში მკურნალობა საკმაოდ დიდი თანხა ჯდება, მათ კი აღარაფერი გააჩნიათ, თავმსახურარიც კი... ხელისუფლების წარმომადგენლებს, სხვადასხვა სამინისტროსა თუ უწყების მესვრეებს უკვე არაერთხელ სთხოვეს დახმარება, მაგრამ უშედეგოდ... ახლა მხოლოდ ჩვენი და ჩვენი მკითხველების იმედი აქვთ: ფიქრობენ, ბევრი ადამიანი გაიღებს თუნდაც თითო ლარს იმისათვის, რათა თავისი წვლილი შეიტანოს პატარა ბიორგის გადარჩენაში. ამის იმედი ჩვენც გვაქვს...

„ჯეოსელი“ — 700 622; „ბილანი“ — 700 622;  
„ახალი ქალები“ — 70.06.77; „გაერთიანებული ტელეკომი“ — 665.667;  
„პროკრედიტ ბანკის“ ანგარიში: 36510312300049, კოდი: 220101;  
მიმღები იაკობ ერემეიშვილი.





# ქვეყანა

## გულუბრყვილო ქართველები და პრიმაკოვის იუბილეზე წარმოთქმული „გამოსვლა-სადღებრძელო“

„პრიმაკოვთან სტუმრობისას, პუტინს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ სიტყვაც კი არ დაუძრავს“, — აცხადებს პოლიტოლოგი, საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთში, ზურაბ აბაშიძე, რომელიც ევგენი პრიმაკოვის 80 წლის იუბილეს პირადად ესწრებოდა. მისი თქმით, დღეს საქართველოში უცნაური და კომიკური სიტუაციაა: პოლიტიკოსები და ექსპერტები მოგონილ ფრაზებსა და წინადადებებს განიხილავენ. რა მოხდა სინამდვილეში პრიმაკოვის იუბილეზე, შესაძლებელია თუ არა რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა და რა კომპრომისებზე მოუწევს წასვლა ქართულ მხარეს აფხაზეთისა და ცხინვალის დასაბრუნებლად? — ამ საკითხების გარკვევას ბატონ ზურაბთან საუბრისას შევეცადეთ.

კარგად იცნობთ. როგორ ფიქრობთ — მართლაც შეუძლია მას რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის დარეგულირება?

— პრიმაკოვის ნამდვილად კარგად ვიცნობ და მასთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობაც მქონდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რუსეთში საქართველოს ელჩი ვიყავი. მართალია, იმ პერიოდში ის უკვე აღარც პრემიერ-მინისტრი იყო და აღარც საგარეო საქმეთა მინისტრი (სავაჭრო პალატის პრეზიდენტი გახლდათ), მაგრამ სასარგებლო რჩევებს გვაძლევდა და პრაქტიკულადაც გვეხმარებოდა. დღემდე ძალიან გავლენიანი პიროვნებაა, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები მის აზრს ანგარიშს უწევენ. პრიმაკოვთან დღემდე ვმეგობრობ. სხვათა შორის, 75 წლის რომ გახდა, მაშინაც მიმინვია იუბილეზე, პუტინი მაშინაც იქ იყო.

— პუტინის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე პრიმაკოვის კომენტარი სომ არ გაუკეთებია?

— არა, ნამდვილად არაფერი უთქვამს.

### სათუნა ბახტურიძე

— ბატონო ზურაბ, რა თქვა სინამდვილეში პუტინმა?

— ბატონმა პუტინმა იგივე გაიმეორა, რასაც აქამდე ამბობდა. მან თავის „გამოსვლა-სადღებრძელოში“ თქვა, რომ ის ყოველთვის ცდილობდა, დახმარებოდა საქართველოს პრობლემების მოგვარებაში და თუ ამ ქვეყნის ხელისუფლებას მართლა სურდა ტერიტორიული პრობლემების მოგვარება, სტრატეგიულ პარტნიორად რუსეთი უნდა აერჩია, რომ თბილისს სოხუმსა და ცხინვალთან დიალოგისკენ გაშუქებით მოუწოდებდა, მაგრამ ქართულმა მხარემ ეს არ გაითვალისწინა და ომი დაიწყო. ბოლოს კი დაამატა ფრაზა, რომელსაც მე სიტყვასიტყვით გაგიმეორებთ: „ჩისური სიტუაციები არ არსებობს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ ქვეყანაზე არიან ისეთი ადამიანები, როგორცაა ევგენი პრიმაკოვი“. საქართველოს გაერთიანება ან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მას საერთოდ არ უხსენებია. რაზე მსჯელობს ეს ხალხი და რაზეა ატეხილი ამხელა დავა, მართლა ვერ გავიგე.

— თქვენ, როგორც გამოცდილმა დიპლომატმა, პუტინის ბოლო ფრაზა — „ჩისური სიტუაციები არ არსებობს, განსაკუთრებით მაშინ,




დღემდე ძალიან გავლენიანი პიროვნებაა

როდესაც ამ ქვეყანაზე არიან ისეთი ადამიანები, როგორცაა იუბილარი პრიმაკოვი“, — როგორ გამოიფრთ?

— ამ ფრაზას ვერანაირად ვერ გავშიფრავ. ვერაფერს გეტყვით. თუ რუსეთის ხელისუფლებას მართლაც აქვს ჩაფიქრებული რაიმე ნაბიჯი, ეს აუცილებლად გამოჩნდება.

— პრიმაკოვი თქვენი მეგობარია და ალბათ



პუტინი ამჟამად, ექსპრომტად ნათქვამი სიტყვით გამოვიდა





— ეს განცხადება მისთვის მოულოდნელი იყო?


— მე მგონი, მოულოდნელი იყო. პუტინი აშკარად, ექსპრომტად ნათქვამი სიტყვით გამოვიდა.

— პრეზიდენტის პოზიცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ როგორია?

— ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ რუსეთი იძულებული იყო, ელიარებინა აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა. მან დაადასტურა ის, რაც მოსკოვის ოფიციალური პოზიციაა.

— თქვენ როგორ ფიქრობთ — „ჩიხური სიტუაციიდან“ გამოსავალი მართლაც არსებობს?

— ჯერ ეს არ ჩანს. თუ რუსეთის პოლიტიკური კურსი და საზოგადოე-



ბრივი მიდგომები შეიცვალა, მერე შეიძლება, „ჩიხური სიტუაციიდან“ გამოსავალიც გამოჩნდეს. რუსეთთან ჰუმანიტარულ კავშირებს ვერ ავკრძალავთ, მაგრამ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა ამ ეტაპზე წარმოუდგენელია. ეს რომ გავაკეთოთ, მექანიკურად ვალიარებთ აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობას. მერწმუნეთ, ამის შემდეგ ამ ორი რეგიონის დამოუკიდებლობას სამი კი არა, სამოცი ან კიდევ უფრო მეტი ქვეყანა აღიარებს.

— ბოლო დროს ქართველ საზოგადოებაში ხშირად ისმის ფრაზები: „დასავლეთთან და ამერიკასთან მეგობრობა არ გვიღირს ტერიტორიების დაკარგვად, მით უმეტეს მაშინ, როდესაც არც ნატოში გვიღებენ და არც რუსეთის აგრესიისგან გვიცავენ“; „ევროპამ გაზზე გაგვყიდა“; „სულელ კოკოითის რუსეთი ზურგს უმაგრებს, ჩვენ კი ამერიკამ მტრის წინაშე მარტო მიგვატოვა“... ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ შესაძლოა, ჩვენს ქვეყანაში პრორუსული ორიენტაციის ადამიანები მომრავლდნენ?

— ბოლო 20 წელია, ქართველები ბავშვურ გულუბრყვილობას იჩენენ.

მანც რით უნდა დაგვხმარებოდა ამერიკა? ომი დაუნყო რუსეთთან? განა პრეზიდენტმა ბუშმა 2005 წელს თავისუფლების მოედანზე გამოსვლისას არ გვიჩვენა, რომ რუსეთთან საერთო ენა მოგვენახა? მგონი, დასავლეთის სხვა რჩევებიც ნაკლებად გავითვალისწინეთ. აგვისტოს ომის შემდეგ, 4 მილიარდი დოლარი გამოვიყვეს, ახლაც ამ დახმარებით ვსულდგმულობთ. სარკოზი შუა ზაფხულში აქეთ-იქით „დარბოდა“, ომი რომ შეეჩერებინა. ამერიკამ და ევროპამ ყველაფერი გააკეთეს, რისი გავტეხაც შეეძლოთ. მონიტორების მისიაც გამოგვიგზავნეს, იმისთვის, რომ სიტუაციის სტაბილიზებას შეუწყონ ხელი. არც ეს იყო ევროკავშირისთვის იოლი გადანყვეტილება. მესამე მსოფლიო ომს კი ჩვენ გამო არავინ წამოიწყებს, ეს წესით, ადრეც უნდა გვცოდნოდა და ნაკლებ შეცდომას დაუშვებდით. ბოლოს და ბოლოს, ჩვენთვის უსაფრთხოების გარანტიები არავის მოუცია და ჩვენს თავს უპირველესად ჩვენვე უნდა მოვუაროთ... მართალია, რუსეთს საკმაოდ სწრაფად „მიუტევეს“ აგვისტოს ცოდავ, მაგრამ დასავლეთთან ურთიერთობაზე უარი რომ ვთქვათ, „ალოკილი თითვით“ მარტონი დავრჩებით... თუ ვინმეს ჰგონია, სტრატეგიულ პარტნიორად რუსეთის არჩევის შემთხვევაში, ცხინვალს და აფხაზეთს მაშინვე დაგვიბრუნებენ, ძალიან ცდება. ნუთუ მაგალითისთვის მოლდავეთი საკმარისი არ არის?! ამ ქვეყანამ საგარეო პოლიტიკური კურსიც შეცვალა, ნეიტრალიტეტიც გამოაცხადა და ნატოზეც უარი თქვა, მაგრამ დნესტრისპირეთის პრობლემა მაინც მოუგვარებელი რჩება.

— არსებული სიტუაციიდან ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი რა შეიძლება იყოს?

— ახლა მთავარია, პროვოკაციებს არ ავყვეთ, დავოშშინდეთ და ახალ კონფლიქტში არ ჩავებათ. გვინდა თუ არა, იმ აზრსაც უნდა შევგუოთ, რომ გარკვეული პერიოდი ცხინვალისა და აფხაზეთის გარეშე ცხოვრება მოგვინევს. ჯერ ქვეყანა ეკონომიკურად უნდა გავაძლიეროთ, დემოკრატიული ინსტიტუტები განვავითაროთ, შევუქმნათ ქვეყანას სოლიდური საერთაშორისო იმიჯი... მერე გამოჩნდება რამე.

— დღეს ქართველების უმრავლესობა პრეზიდენტს სააკაშვილს იმაში კი არ ადანაშაულებს, რომ კონფლიქტში ჩაება, არამედ იმაში, რომ ტერიტორიები დაკარგა. ფიქრობთ, რომ ასეთი მენტალობის ადამიანები ამას შეძლებენ?

— პირადად მე, ფრიად კრიტიკულად ვაფასებ იმ პოლიტიკას, რომელიც წლების განმავლობაში ჩვენ მიერ

რუსეთის მიმართ ტარდებოდა. ამას ადრეც ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ. მაგრამ ეს მხოლოდ ხელისუფლების პრობლემა არ არის. საქმე ის გახლავთ, რომ ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი აგვისტოს ომამდე, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ძალისმიერი მეთოდით დაბრუნებას უჭერდა მხარს. მე თავად გახლავართ იმ სატელევიზიო გადაცემის მონაწილე, რომელშიც ამ თემაზე იყო საუბარი... ინტერაქტივის კითხვა ასეთი იყო — უნდა დავიბრუნოთ თუ არა ცხინვალის და აფხაზეთი ძალისმიერი მეთოდით? მაყურებლის უმრავლესობამ ტერიტორიების ძალის გამოყენებით დაბრუნებას მისცა ხმა. ასე რომ, პრობლემა საზოგადოებაშიც არის. აუცილებლად უნდა შევიცვალოთ, გაეხადეთ უფრო თვითკრიტიკულები, გაკამლიერდეთ და დაველოდოთ იმ მომენტს, როდესაც ტერიტორიების დაბრუნება მშვიდობიანი გზით იქნება შესაძლებელი. შეგახსენებთ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიას თითქმის 40 წელი დასჭირდა ქვეყნის გასამთლიანებლად. კვიპროსიც თითქმის 30 წელია, ამ მდგომარეობაშია. მაგრამ დღევანდელ მსოფლიოში პროცესები უფრო სწრაფად ვითარდება და მეც ამის იმედი მაქვს.

— საკმაოდ ბევრი რუსი მეგობარი გყავთ. რა დასკვნის გაკეთება შეგიძლიათ — რუსი საზოგადოების მსოფლმხედველობისა და მისი ხელისუფლების პოლიტიკური კურსის შეცვლა ახლო მომავალში რამდენად შესაძლებელია?

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რუსეთის პოლიტიკური ელიტაში მიდის ქვეყნის განვითარების ახალი გზების ძიება. ბევრს ესმის, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში „ციდან ჩამოცვენილი“ მილიარდები, ენერგორესურსების მაღალი ფასებით მოტანილი უდიდესი დივიდენდები ფაქტობრივად განიავდა ან დასავლეთის ბანკებში პირად ანგარიშებზე გადაიქაჩა. დღეისათვის კი კრიზისის პირობებში, რუსეთის განვითარების რესურსები გაცილებით შეზღუდულია, ეკონომიკური ინფრასტრუქტურა კი — უიმედოდ მოძველებული. მოდერნიზაციის რესურსი დასავლეთის მოწინავე ქვეყნებშია. რუსეთმა ან დასავლეთთან მჭიდრო თანამშრომლობაზე უნდა აიღოს გეზი, ან მასთან კონფრონტაციული პოლიტიკა უნდა გააგრძელოს. მგონი, რუსეთის პრეზიდენტს სურს ცვლილებები, მაგრამ მას ამის ძალა არ შესწევს. ახლო მომავალში დიდ ცვლილებებს არ უნდა ველოდეთ, მაგრამ რაღაც ეტაპზე მოსკოვში ალბათ მაინც მოუწევთ არჩევანის გაკეთება. ■





# პოლიციის კალთ გამოდევნილი დევნილები, საკუთრების ხელშეუხებლობა და სამინისტროს პროგრამა

„რატომ გვიბიძგებენ იმისკენ, რომ ხალხმა ვილაპარაკოთ, რა სისულელე ვქენით, ქართველების მხარეს რომ დავრჩითო, მეომარი კაცი რომ ამას იტყვის!.. შევარცხვინე ის მთავრობა, რომელიც ამ დღეში გვაგდებს.“

## თათა დაღვაძლი

როგორც „გზის“ წინა ნომერში მოკლედ გაცნობეთ, ამ ცოტა ხნის წინ მუხიანის დასახლებაში, საექციო საზოგადოება „ორიონის“ შენობიდან დევნილები გამოასახლეს. სოხუმელი ლტოლვილები ამბობენ, რომ წინასწარი გაფრთხილების გარეშე, მათ ოთახებში პოლიციის თანამშრომლები შეიჭრნენ, ავეჯი ფანჯრებიდან გადაუყარეს და გარეთ გამოდევნეს.

**ზია ფორჩუა,** სოხუმიდან დევნილი, ომის მონაწილე:

— ომის შემდეგ, როცა აქ ჩამოვედით, ყველა სადღაც შეესახლდით და სადღაც მიგვანერეს (ზოგი — ნათესავთან, ზოგიც — სადმე სხვაგან), ვითომ იქ ვცხოვრობდით და ჩანერილებიც ვიყავით, ამის საბუთიც გვაქვს. ის მისამართები დღემდე „მოგვევება“, მაგრამ რომ მიხვიდეთ ამ სახლებში და ჩვენი ამბავი იკითხოთ, არავინ გვიცნობს. მაგალითად, მე ნუტუბიძის 221-ში „ვცხოვრობდი“, იმიტომ, რომ მთავრობამ იქ ჩამწერა, არავის მოუთხოვია ამის შეცვლა. დახმარებებს ჩანერის გარეშე ვერ მივიღებდით. ეს, რა თქმა უნდა, ბინის პატრონის თანხმობით ხდებოდა, მაგრამ ჩვენ მათთან არ ვცხოვრობდით. საკუთარი სახლი არც ერთს არა გვაქვს. 1993 წლიდან ომგამოვლილი ხალხი ვართ. ვილადა რომ იმალებოდა, ჩვენ იარაღი გვეჭირა ხელში და ბოლომდე ვიცავდით ჩვენს ქვეყანას. ნუთუ კანონი იმას ამბობს, რომ ასეთმა ადამიანებმა გარეთ, ქუჩაში უნდა ვიცხოვროთ, თავზე რომ გვანვიმდეს და ვიყინებოდეთ?! ინვალდი კაცი ვარ, 2 შვილის მამა. რატომ გვიბიძგებენ იმისკენ, რომ ხალხმა ვილაპარაკოთ, რა სისულელე ვქენით, ქართველების მხარეს რომ დავრჩითო? მეომარი კაცი ამას რომ იტყვის!.. შევარცხვინე ის მთავრობა, რომელიც ამ დღეში გვაგდებს!.. ის ოთახები, სადაც „ორიონის“ შენობაში ვიყავით, ხალხმა ააშენა, თავიდან არ იყო. ქალები ეზოსაც კი უფლიდნენ და ყვავილებს რგავდნენ, გვინდოდა, ლამაზად მოგვეწყო ის ადგილი, სადაც ვცხოვრობდით. ისეთი პირობებია, რომ თავმოყვარე ადამიანი აქ არ იცხოვრებდა, არც დენია, არც გაზი; წყალიც კი გაგვითიშეს და ეკლესიის ეზოდან ვეზ-



აქ დალხინებული ადამიანი საცხოვრებლად არ შემოვიდოდა, რომ გვიჭირს, იმიტომ ვიყავით

იდებოდით. გარეთ როცა გამოგყარეს, გარე განათებაც კი გამორთეს, ოღონდ გავემწარებინეთ. პოლიციამ, ავეჯის გარდა, სახურავის შესავეთებელი მასალაც კი დაგვიმტვრია. ვინ აგვინაზღაურებს ზარალს?! თავიდან, რომ შემოვედით, აქ სულ 7-8 ოჯახი ვიყავით, ნაგვით იყო სავსე აქაურობა, ამის დამადასტურებელი სურათებიც მაქვს. ის 28-ლარიანი (ზოგისთვის — 22-ლარიანი) დახმარება, რომელსაც ვიღებთ, არაფერზე გვეყოფნის. ჩვენი შრომით, მაშინ, როცა ოჯახს შენახვა უნდა, ბინის საყიდელი ფული როგორ უნდა შევგროვოთ?! პოლიციას არანაირი საბუთი არ წარმოუდგენია ჩვენთვის, რაზეც ხელს მოვანერდით, როცა გვასახლებდნენ. ეს ყველაფერი რომ ავაშენეთ, ახლა გამოწნდა პოლიცია? თუ არ გვეუთვნოდა, მანამდე სად იყვნენ?! მაგალითად, ჩემი ინვალდი დედა და შვილი, რომლებიც ვაჟა-ფშაველავ ერთ-ერთ საბავშვო ბაღში ცხოვრობდნენ, იქიდან გამოუშვეს და გორიდან დევნილები შეასახლეს. ამით კი იმის საფუძველს ქმნიან, რომ ჩვენდა უნებურად, ქართლის ხალხს გადავევიდით, რადგან თუ მათ ამდენი რამ გაუკეთეს, ჩვენთვისაც გაეკეთებინათ, ჩვენც მივწევოდით იმ ადგილებს და ვიცხოვრებდით. სამინისტროდან არც კი მოგვეკარნენ, რომ ჩვენი ამბავი გაეგოთ. ის მანც გვითხრან, — არაფერი გვეუთვნით, ტყუილად ათენებთ აქ და გადაადით სხვაგანო, ან მოითმინეთ და რამეს დაგვამარებთო! არაფერი მსგავსი...

დავნილთა თქმით, არსებობს საბუთი,

რომლის საფუძველზეც თავის დროზე ისინი ამ შენობაში შემოუშვეს და უბნის რწმუნებულთან ინახება. „ორიონის“ უფროსთან, დავით ყენიასთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენელი დავით ქიტიანიშვილი და ადვოკატი თეიმურაზ მაგრაქველიძე, მაგრამ ადვოკატმა მას დაპირებული საბუთი დღემდე არ მიუტანა.

**ალგაბოში გარინა,** დევნილი სოხუმიდან:

— აქ დალხინებული ადამიანი საცხოვრებლად არ შემოვიდოდა, რომ გვიჭირს, იმიტომ ვიყავით. როცა გამოსახლება დაიწყეს, ზოგი სახლშიც არ იყო და რა უფლება ჰქონდათ, ნივთები რომ გადმოუყარეს?! ქალი ცუდად გახდა, „სასწრაფო“ იყო მოსული და წყალი არ მოგვცა უფროსობამ!.. კიბე რომ მოხსნეს, 80 წლის ქალი კინალამ ზემოდან გადმოვარდა და მერე ძლივს ჩამოიყვანეს, თოკებმოზმული.

დევნილებისგან საკმაოდ განსხვავებული ინფორმაცია მოგვანოდა სს „ორიონის“ გენერალურმა დირექტორმა დავით ყენიამ:

— ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან მოვიდა ინფორმაცია, რომ თავის დროზე ყველა მათგანი დაკმაყოფილებულია ბინით. ამ წლების განმავლობაში დახმარებებს იღებდნენ, შემდეგ კი პოლიციას დაევალა მათი გასახლება და ბრძანება შეასრულა.

— თავიდან რატომ შემოუშვით





ეს ხალხი, თუკი სამინისტრო ამბობს, რომ ისინი დამაყოფილებული იყვნენ საცხოვრებელი ფართობით? ვისი ნებართვით მოვიდნენ?

— ნებართვა არავის არ ყოფილა.

— თუ ნებართვა არ ჰქონდათ, ძალით შემოიჭრნენ?

— არა, ჩემი ნებით შემოვუვი, რადგან მათ თან ახლდნენ ადვოკატი თეიმურაზ მაგრაქველიძე და ლტოლვილთა და



იძულებული გავხდები, სასამართლოს ძალით მოვითხოვო მისგან ამ ხალხის დაკმაყოფილება, რასაც აუცილებლად გავაკეთებ

განსახლების სამინისტროს წარმომადგენელი დავით ქიტიაშვილი. 20 სექტემბერი იყო. 2008 წლის 2 ოქტომბერს, როგორც დევნილთა, ასევე ეკონომიკის სამინისტროებს მივანოდეთ ინფორმაცია დევნილების შესახებ. წერილში, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს გავუგზავნეთ, ეწერა, რომ დევნილებმა დროებით დაიკავეს ფართობი, ზემოთ ხსენებული პირების რეკომენდაციით, მაგრამ შესაბამისი სამინისტროდან დახუტებული სია და საჯარო რეესტრიდან საკუთრების საბუთი წარმოდგენილი არ ჰქონდათ. იმ დროისათვის, „ორიონში“ სახელმწიფოს წილი 89%-ს შეადგენდა, ახლა კი — აღარაფერია, რადგანაც სააქციო საზოგადოებაა.

— ერთ წელზე მეტია გასული. რატომ არ იყო რეაგირება ამდენი წინა განმავლობაში? რატომ არ გაასახლეს ეს ხალხი, თუ მათი აქ ყოფნა უკანონოა?

— როგორ არ იყო რეაგირება?! მეორე შეტყობინება ისევ სამინისტროს და სანარმოთა მმართველ სააგენტოს გავუგზავნეთ. ასეთი პასუხები მოგვივიდა: „მართვის სააგენტომ განიხილა თქვენი, მიმდინარე (2008) წლის 3 ოქტომბრის წერილი, რომელიც ეხება გაკორტრების რეჟიმში მყოფ „ორიონში“ ლტოლვილთა ჩასახლების შესაძლებლობას. გაცნობებთ, რომ... წერილში აღნიშნულ საკითხზე გადამწყვეტილების მიღება სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებს სცილდება“. იგივე პასუხი იყო ეკონომიკის სამინისტროდანაც.

— თუკი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ამბობს, რომ ამ ადამიანებიდან ყველას აქვს საკუთარი საცხოვრებელი, მაშინ რატომ

ტომ გამოგიგზავნათ ისინი, ვინმე ქიტიაშვილთან ერთად, რომ ამ აუტანელ პირობებში შეგეფარებიან?

— აღმოჩნდა, რომ ქიტიაშვილი სამსახურში ერთი თვით იყო აყვანილი... ლტოლვილები ჩემთან სახლში რომ მოსულყვნენ, იქაც შევუშვებდი, — როგორ ვეტყოდი ასეთ ხალხს უარს?! ამიტომაც დავთანხმდი მათ აქ დარჩენაზე. ქიტიაშვილმა საბუთი მანახვა და რა უფლება მქონდა, უარი მეთქვა?

— სულ რამდენი ადამიანი იყო, როცა აქ მოვიდნენ?

— თავიდან სიაში 21 კაცი იყო, შემდეგ კიდევ 16 დაემატა. ყველა მათგანი სადღაც არის ჩანერილი, ან თბილისში, ან — სადმე სხვაგან. მერე აქ მშენებლობა დაიწყო.

— ისინი ამბობენ, რომ ნებართვა მიეცით, მშენებლობა დაწყეთ და თავიანთი ოთახები მოუნერგებინათ, რათა შედარებით უკეთეს გარემოში ეცხოვრათ.

— ტყუილია, მათთვის არანაირი ნებართვა არ მიმიცია. ვისაც მეორე სართულზე ჰქონდათ დასწყობული მშენებლობა, დაგიჯერეს და აღარ გააგრძელეს; ერთ-ერთს ჩვენებაც კი აქვს დანერილი, რომ ის ადმინისტრაციამ გააფრთხილა, — მშენებლობა უკანონოაო. მესამე სართულზე კი ამტიცებდნენ, — პასუხისმგებელი ჩვენ ვართ, ადვოკატმა გვითხრა, ყველაფერი კარგად იქნებაო და გააგრძელეს. ამის შემდეგ, განყოფილებაში გავგზავნეთ მიმართვა, რომ უკანონო მშენებლობის წინააღმდეგი ვიყავით. ეს იყო 2008 წლის 11 დეკემბერს. ბოლოს რომ გავგზავნეთ წერილი, პასუხი აღარ მოგვსვლია, — პირდაპირ პოლიციას მიუვიდა ბრძანება მათი გასახლების შესახებ.

— რას ამბობდა ამ ყველაფერზე აფხაზეთის უმაღლესი საბჭო?

— აფხაზეთის უმაღლესი საბჭო მთხვად, რომ ისინი აქ დამეტოვებინა სიტუაციის გამოსწორებამდე, — მიუხედავად იმისა, რომ აქ არანაირი საცხოვრებელი პირობები არაა. არც წყლის ფული გადაიხადეს, არც დენის და იანვრის შემდეგ გავუთიშეთ.

— როგორც ვიცი, ახლა ეს ქარხანა იყიდება, ასეა?

— დიახ, გაკორტრებულია და სამ მილიონად იყიდება.

თინა ხიდაშელი, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:

— დაახლოებით ორი კვირაა, რაც ეს ხალხი ქუჩაში ცხოვრობს. სამწუხაროდ, ბოლო ერთი თვის განმავლობაში, ეს ჩემთვის ცნობილი, მეოთხე შემთხვევაა, როდესაც დევნილების გამოსახლება პირდაპირ პოლიციის ძალით ხდება. ამ შემთხვევაში, არც დევნილთა სამინისტროდან და არც რომელიმე სხვა უწყებიდან, ვინც

დევნილებზეა პასუხისმგებელი, მათთვის პასუხის გამცემი არავინ ყოფილა. მინისტრ სუბელიანს რამდენჯერმე მიმართეთ — სხვა შემთხვევებთან დაკავშირებით, მაგრამ დღემდე არც ერთი პასუხი არ მიმიღია. ბოლო წერილში, რომელიც მას გავუგზავნე, უკვე ვწერდი, რომ იძულებული გავხდები, სასამართლოს ძალით მოვითხოვო მისგან ამ ხალხის დაკმაყოფილება, რასაც აუცილებლად გავაკეთებ უახლოეს დღეებში. ზამთარი მოდის, ეს ხალხი ქუჩაშია და მათ რაღაც ტიპის დაკმაყოფილება აუცილებლად სჭირდებათ.

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული ინფორმაციის შემდეგ, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ 23 ნოემბერს ჩვენს რედაქციას გამოუგზავნა და აგრეთვე გაავრცელა განცხადება, რომელშიც კერძოდ, ნათქვამია:

„დევნილთა გამოსახლების საკითხი ბოლო პერიოდში პოლიტიკური პიარის ნაწილი გახდა. საეჭვოდ, ზოგიერთი ოპოზიციონერი ზუსტად მაშინ ჩნდება სხვადასხვა ობიექტში შეჭრილ დევნილებთან, როცა თვითნებურად დაკავებული შენობების დაცლა იწყება. სამწუხაროა, რომ ასეთ დროს არავინ ფიქრობს კერძო მესაკუთრის უფლებებზე, რომელსაც საქართველოს კონსტიტუცია იცავს. კანონმდებლობით, სახელმწიფო ვალდებულია, დაიცავს დევნილი, თუმცა, ასევე ვალდებულია, კერძო მესაკუთრის მოთხოვნაზე — ფართობის გათავისუფლების შესახებ მყისიერად იმოქმედოს. სახელმწიფო დევნილის უფლებას ყოველთვის იცავდა და დაიცავს, თუმცა როცა საქმე თვითნებურად დაკავებული კერძო საკუთრების გათავისუფლებას ეხება, მესაკუთრის უფლებები არავის ახსენდება და ზოგიერთი პოლიტიკოსის მონაწილეობით არასერიოზული და უპასუხისმგებლო განცხადებები კეთდება, რომ დევნილები გამოაძევეს და ქუჩაში დატოვოს.

სახელმწიფო ღია ცის ქვეშ არც ერთ დევნილ ოჯახს არ ტოვებს. დევნილთა გარკვეული კატეგორია, რომელსაც საცხოვრებელი გააჩნია, სხვადასხვა შემთხვევით სარგებლობს და ფართობის იძულებით დაკავებას იქ ცდილობს, სადაც მოახერხებს. სახელმწიფო მსგავს შემთხვევებს ვერ დაუშვებს და შეჭრის ყველა შემთხვევა ალკვეთილი იქნება.

დევნილთათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროექტებს სამინისტრო 2008 წლიდან ეტაპობრივად ახორციელებს. მათთვის აშენდა კოტეჯები, გამოსყიდულია სახლები, პარალელურად, მიმდინარეობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების რეაბილიტაცია და დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემა. 2010 წლიდან დევნილთა იმ კატეგორიის დაკმაყოფილება დაიწყო, რომელიც ქირით ან ნათესავეებთან ცხოვრობს. ასეთ დროს, დევნილთა საკითხებზე პოლიტიკური სპეკულაცია არაკორექტულია და სამინისტრო მსგავს ფაქტებს ყოველთვის შეენიშნაღმდეგება.“





# ფილიპინეზი პოლიტიკური დაპირისპირება ბანდიტურ შეტაკებაში გადაიზარდა

ფილიპინების პრეზიდენტმა გლორია მაკაპაგალ არონინმა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ამის მიზეზი ის ფაქტი გახდა, რომ სამხრეთ პროვინცია მაგუინადანაოში ასამდე შეიარაღებულმა ბანდიტმა ტყვედ აყვანილი 40 ადამიანიდან 24 მოკლა. ტყვეებს შორის არიან ქალაქ ბოლანის მერის, ისაზილ მანგუდადატუს მუღლე და ძმა. ტრაგედია მაშინ მოხდა, როდესაც პოლიტიკოსების ჯგუფი თანმხლებ ჟურნალისტებთან ერთად, ქალაქ შარიფ აგუაკის საარჩევნო კომისიაში მივიდნენ. 24 მოკლულს შორის მეტწილად ჟურნალისტები, იურისტები და პოლიტიკოსები არიან. ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ დანაშაული მუსლიმანური ტერორისტული დაჯგუფების, „აბუ-საიფის“ ჩადენილია, რომელსაც ერთ-ერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის შვილი ხელმძღვანელობს.



## ჯიმი კარტერი — უპონალთა მხნელი

ამ ცოტა წნის წინ ჩინეთის პროვინცია სოჩუანში აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ჯიმი კარტერი და მისი მეუღლე როზალინი მთელი მსოფლიოდან თავმოყრილ 3 ათას მოხალისესთან ერთად ჩავიდნენ. მათ მონაწილეობა მიიღეს ყოველწლიურ საქველმოქმედო კამპანიაში, რომლის მიზანაც 5 აზიურ ქვეყანაში უქონელი ოჯახების საცხოვრებელი უზრუნველყოფაა.

აქციამ 6 დღეს გასტანა; ამ წნის მანძილზე ტაილანდში, ვიეტნამში, ჩინეთში, კამბოჯასა და ლაოსში 166 სახლის აშენება და გარემონტება იყო დაგეგმილი. „მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენ მანაც ის გვახარებს, რომ დღეს სტარტს იღებს ხუთწლიანი კამპანია, რომელიც ღირსეული საცხოვრებელი 10 ათას ჩინელ და 50 ათას აზიურ ოჯახს უზრუნველყოფს“, — ნათქვამია კარტერის ელექტრონულ წერილში.

თუმცა ეს ოჯახები სახლებს უფასოდ როდი მიიღებენ. მათ მარტო მშენებლობაში კი არ უნდა მიიღონ უშუალო მონაწილეობა, არამედ 10-15 წლის განმავლობაში საცხოვრებლის საფასურის გადახდაც უნდა იკისრონ. ცნობისათვის: ტაილანდის ჩინგ-მაეში ორი ადამიანისთვის გათვალისწინებული სახლის აშენება ოჯახს 185 ათასი ზატი (დაახლოებით 5.600 დოლარი) დაუჯდება.

კარტერი ვიეტნამის პრეზიდენტ ჰგუნენ მინ ჩიუნსაც შეხვდა და განუცხადა, რომ ლარიბთათვის საცხოვრებლის მშენებლობა ვიეტნამელი ხალხისადმი ამერიკის შეერთებული შტატების მეგობრობისა და თანადგომის დემონსტრირებაა. ცოლ-ქმარი კარტერებისა და საქველმოქმედო ორგანიზაციის — Habitat for Humanity — თანამშრომლობა უკვე 25 წელს ითვლის. ამ პროექტის ფარგლებში, აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ყოველწლიურად ერთ კვირას მთელი მსოფლიოს უქონელი ადამიანების საცხოვრებელი უზრუნველყოფის საქმეს ახმარს. კარტერების ოჯახისა და მთელი მსოფლიოდან თავმოყრილი რამდენიმე ათასი მოხალისის გარდა, ამჟამინდელ მშენებლობაში სახელგანთქმული ტაილანდელი ადამიანებიც (მაგალითად, მსახიობი კუტ ლი) მონაწილეობენ.

ჯიმი კარტერი ამერიკის 39-ე პრეზიდენტი (1977-1981 წ.წ.) იყო. 2002 წელს ის მშვიდობის სფეროში ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა. სადღეისოდ კი ამერიკის ის ერთადერთი პრეზიდენტიცაა, რომელმაც პრემია თეთრი სახლის დატოვების შემდეგ მიიღო.

## კენედის გვალა „ფოტოანალიზით“ ამხილეს

ამერიკელმა მკვლევრებმა ლი ჰარვის ოსვალდის იმ ფოტოს ნამდვილობის დამტკიცება შეძლეს, რომელზეც ამ უკანასკნელს ხელში შაშხანა და რამდენიმე მარქსისტული გაზეთი უჭირავს. თავის დროზე ამ ფოტოს, რომელსაც ოსვალდის ბრალეულობის ერთ-ერთ ძირითად დამადასტურებელ საბუთად იყენებდნენ, ბევრი ნაყალბევად მიიჩნევდა.



ფოტოს ნამდვილობის მონინალმდევრთა მთავარი არგუმენტი მასზე ჩრდილების ის ვითომდა არასწორი განლაგება იყო, რომელიც დღის განათების შედეგი ვერაფრით იქნებოდა. ფოტოს ამჟამინდელი გამოკვლევისას მეცნიერებმა მასზე ალბექდილი სცენის ფრაგმენტისა და აგრეთვე, ოსვალდის სხეულის ნაწილის კომპიუტერული მოდელი შექმნეს. ამის შედეგად, მკვლევრებმა იმის ჩვენება მოახერხეს, რომ ფოტოზე არსებული ჩრდილები შეიძლება, ნერტილოვანი წყაროს, კერძოდ — მზის სხივის შედეგი ყოფილიყო. ამასთან, მათ იმ გარემოებასაც გაუსვეს საზი, რომ 1960-იანი წლების ტექნოლოგიების გამოყენებით მსგავსი ნაყალბევის შექმნა პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნებოდა. ამან კი შეთქმულების თეორიის მომხრეებს კიდევ ერთი „დამატებითი საბუთი“ გამოაცალა ხელიდან.

აღნიშნული ფოტოს ანალიზში მონაწილე მეცნიერები თავიანთი სფეროს აღიარებული სპეციალისტები არიან. სწორედ მათ შექმნეს გამოსახულების ნამდვილობის შესამოწმებელი ტექნოლოგიები. მათ მიერ გამოყენებულ მეთოდებს კი პიკსელების განალიზების სტატისტიკური ანალიზი, სცენის გეომეტრიის დარღვევის პერსპექტივის ანალიზი და აგრეთვე, არასწორი განათების ძიება უდევს საფუძვლად.

შეგახსენებთ — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონ კენედი 1963 წლის 22 ნოემბერს, დალასში მოკლეს. ოფიციალური ვერსიით, მკვლელობა ჩაიდინა ლი ჰარვი ოსვალდმა, რომელიც მარტო მოქმედებდა. ალტერნატიულ ვერსიებს შორის კი როგორც ამერიკული, ასევე საბჭოთა სპეცსამსახურების შეთქმულება და თვით უცხოვანტელების ჩარევაც კი ფიგურირებს. სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, ამერიკელთა უმეტესობას მკვლელობის ოფიციალური ვერსიის არ სჯერა.

## ესპანეთის დედოფალი თაღლითი ყოფილა



დედოფალმა იზაბელა II-მ 1855 წელს რომის პაპს, თავისი სურათების კოლექციიდან, ყალბი სურათი აჩუქა. ის ფაქტი, რომ ბართლომე ესტებან მურილიოს სურათი — „წმინდა ეკატერინეს მისტიკური ნიშნობა“ — ყალბი იყო, პორტუგალიელმა მკვლევარმა ჰუგო ხავიერმა მაშინ დაადგინა, როდესაც სურათს რესტავრაცია ჩაუტარდა (1958 წელს). მურილიოს ნამდვილი ტილო კი 10 წლის შემდეგ პორტუგალიის მეფეს აჩუქეს.





# საკაბინოებში სტომატოლოგიური კაბინეტები, თონაები და სამკერვალოები გაჩნდა...

2010 წლიდან კაბინეტები შვეულებასში „სამაჯურებით“ გავლენ

სასჯელალსრულების 18 დანესებულებაში სხვადასხვა ბრალდებით ამჟამად 20 ათასამდე პატიმარი იხდის სასჯელს და ბუნებრივია, მათი ახლობლების ყურადღება მუდმივად ცხისკენაა მიმართული. პენიტენციურულ სისტემას კრიტიკა არასდროს მოჰკლებია და დღესაც ასეა. ამასთანავე, სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო ირწმუნება, რომ ჩვენში ევროსტანდარტების შესაბამისი ციხეებია, ხოლო 2010 წლის იანვრიდან პატიმრობის ახალი, რევილუციური კოდექსი შევა ძალაში; მასში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე — პატიმართა შვეულებებში გაშვებაა, რაც უკვე დაიწყო, მაგრამ ნოვაცია ის იქნება, რომ გაისად მსჯავრდადებულები ხუთდღიან შვეულებაში სპეციალური სამაჯურებით გავლენ... შევეცადეთ, ამ და ბევრ სხვა საინტერესო კითხვაზე თავად მინისტრისგან — დიმიტრი შაშკინისგან მიგველო პასუხი.



## თბა სურსილავა

— ბატონო დიმიტრი, ახალმა სახალხო დამცველმა პენიტენციურული სისტემის მწვავე კრიტიკა დაიწყო, რაც მის პირველ მოხსენებაშიც აისახა. ამასთან, თქვენ ამბობთ, რომ სისტემაში პრობლემები მინიმუმამდეა დაყვანილი. საინტერესოა, რა არგუმენტებს დაუპირისპირებთ კონკრეტულ ფაქტებს?

— სახალხო დამცველის ანგარიშის დიდი ნაწილი სასჯელალსრულებას ეხება, მაგრამ ეს მონიტორინგი 2009 წლის ივლის-აგვისტოში ჩატარდა, როდესაც სახალხო დამცველი ბატონი სოზარ სუბარი იყო; ის დღეს ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერია... თუმცა რადგან ახალი სახალხო დამცველი ამ ანგარიშს იზიარებს, მე, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს, მიჩნდება კითხვა — რამდენად ობიექტურია ანგარიში ამ ნაწილში? მაგალითად, სახალხო დამცველი ამბობს, რომ 18-დან მხოლოდ 12 დანესებულებაშია სტომატოლოგიური კაბინეტი. 5 თვის წინ მხოლოდ ერთში იყო, მაგრამ დღეს უკვე 16 დანესებულებაა თანამედროვე სტომატოლოგიური კაბინეტი ატფურვილი და ახალ წლამდე უკლებლივ ყველას ექნება... სისტემაში რჩება მოსაგვარებელი საკითხები — ამაზე არავინ დაობს, მაგრამ ჩვენი მხრიდან ყველაფერი კეთდება, რომ სისტემაში პრობლემები მოისნას.

— სახალხო დამცველი მოითხოვს 3 დანესებულების დასურვას — იქ არსებული გაუსაძლისი პირობების გამო...

— ვერ დავეთანხმები, რომ სასჯელალსრულების 3 დანესებულება უნდა დაიხუროს, რადგან ინფრასტრუქტურა ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია. 2009 წელს ექსპლუატაციაში 3 დანესებულება შევიდა და ყვე-

ლა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია. გაისად კიდევ 3 ახალი დანესებულება ამოქმედდება. ვერ დავეთანხმები მიდგომას — რადგან დანესებულება ძველია, უნდა დაიხუროს. ორთაჭალის დანესებულებაში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის 1000-ზე მეტი მსჯავრდადებული იხდის სასჯელს; რა უწყობთ იმ ხალხს?.. 1992 წელს საქართველოში უკვე იყო პრეცედენტი, როცა ციხის კარი ყველასთვის გაიღო, ათასობით პატიმარი გავიდა გარეთ და ვნახეთ, ამას რა უბედურება მოჰყვა. ერთ დღეში ყველაფრის გაკეთება შეუძლებელია, დროა საჭირო და არაადეკვატურია იმაზე ფიქრი, რომ თანამედროვე ციხე ერთ დღეში უნდა ავაშენოთ.

— სადავო საკითხებს შორის, გარდაცვლილ პატიმართა რიცხვიცაა რეალურად, წელს რამდენი ადამიანია ციხეში გარდაცვლილი?

— ერთადერთი უწყება, რომელსაც ეს მონაცემები აქვს, ჩვენ ვართ. ჯანდაცვის რეფორმა 1-ული მთხიდან დავიწყეთ და შედეგი აშკარაა — რეფორმიდან დღემდე 7 მსჯავრდადებულია გარდაცვლილი. რეფორმამდე 50 იყო. თითოეულის გარდაცვალების ფაქტზე საქმე აღიძრა, რადგან უამისოდ ოჯახს მიცვალებულს ვერ გადაეცემთ. გარდაცვლილთა ძირითადი დიაგნოზი — გულის დაავადებები და ტუბერკულოზია, — ძირითადად, ეს ორი უდიდესი პრობლემაა. თუმცა არც ერთი მსჯავრდადებული დანესებულებაში არ გარდაცვლილა, ყველა საავადმყოფოში იყო გადაყვანილი... ტუბერკულოზით ბევრი ადამიანია დაავადებული, რადგან ჯანსაღი ცხოვრების წესით არ ცხოვრობდნენ, ბევრისთვის ეს არ იყო პირველი სასჯელი, ნაწილი ნარკოტიკს მოისმარდა და ჯანმრთელობა დაზიანდა. ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ პრობლემა მინიმუმამდე დავიყვანოთ და ამას ჯანდაცვის რეფორმის დანებების შემდგომი ციფრებით

ადასტურებს. ზოგადად, დანესებულებაში ტუბერკულოზით დაავადებული არც ერთი პატიმარი არ არის — თითოეული მათგანი საავადმყოფოში გადაგყავს და გამოჯანმრთელების შემდეგ ბრუნდებიან უკან. ტუბერკულოზით დაავადებულთათვის ისეთი „რეანიმაცია“ გვაქვს, სამოქალაქო სექტორშიც რომ არ არის. 5 თვეში 7 ადამიანი გარდაიცვალა, მაგრამ ვცდილობთ, ეს ციფრი მინიმუმამდე დავიყვანოთ.

— ამბობენ, რომ პატიმრებს ისევ სცემენ. რა კეთდება ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად და თუ გყავთ ამისთვის ვინმე დასჯილი?

— როცა მინისტრად დავინიშნე, ვთქვი, რომ სისტემა საზოგადოებისთვის მაქსიმალურად გახსნილი იქნებოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია შევიდეს და ციხე დაათვალიეროს. ეს ყველაფერი კი შეთქმულებების თეორიას ბადებს, რომელიც ვერ კიდევ საბჭოთა კავშირიდან და შევარდნაძის პერიოდთან მოდის, — იმ დროიდან, როდესაც ზონას ქურდები მართავდნენ. რა ხდებოდა იმ პერიოდში, ყველამ კარგად იცის. სახალხო დამცველის ანგარიშშიც არაფერია ნათქვამი სისტემატურ დარღვევებზე, თუმცა რამდენიმე ცალკეული ფაქტი არსებობს, რომელზეც დიდი ხანია, სათანადო რეაგირება მოვახდინეთ: ორი დანესებულების დირექტორმა თანამდებობა დატოვა. ჩვენი გენინსპექცია მუდმივად მუშაობს და თითოეულ ფაქტზე ხდება რეაგირება.

— საკანში გადაყვანამდე პატიმრები კარანტინში იმყოფებიან. ჩვენი ინფორმაციით, სიტუაცია იქაც მძიმეა: სშირად 4 და 6-კაციან საკანებში 20-30 პატიმარია და სუნთქვაც კი უჭირთ.

— გლდანის საპრობილეში ეს პრობლემა მოხსნილია, მაგრამ გადატვირთულობის პრობლემა გვაქვს; დროებითი





შეფერხება არსებობს, რაც 15 მარტამდე გამოსწორდება. ძალიან ხშირად, მიუსჯელ პატიმრებს არ უნდათ კარანტინში გაწერება და ჩვეულებრივ საკანებში გადასვლა ურჩევნიათ, ამიტომ იკონებენ ხოლმე, რომ იქ ცუდი პირობებია. ჩვენ კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე ვმოქმედებთ. არ შეიძლება, მსჯავრდადებული პირდაპირ გადაიყვანო ჩვეულებრივ საკანში — მას სამედიცინო შემოწმება უნდა ჩაუტარდეს. ასეთი შეთქმულებების თუორიები ხშირად იქცევა არაჯანსაღი აუიოტაჟის საფუძველად.

**— პატიმრობის ახალი კოდექსი 2010 წლის იანვრიდან ამოქმედდება. პატიმართა სუბილიანი შევბულებები უკვე დაიწყო, ეს უშუალოდ თქვენ თავდებობით განხორციელდა. რამდენად გამართლად ამ მეთოდმა და სამაჯურებს როდის შემოიღებთ?**

— ჩვენი აზრით, ეს საკმაოდ წარმატებული პროექტია. ამ ეტაპზე, შევბულება ნაკლებად მძიმე კატეგორიის მსჯავრდადებულებს შეეხო, ხოლო იანვრიდან შევბულება ყველა კატეგორიის პატიმარს შეეხება, შევბულებაში გატარებული დღეები კი მათ სასჯელის მოხდის ვადაშიც ჩაეთვლება. ვფიქრობთ, ასეთი მიდგომა პატიმართა რესოციალიზაციისთვის აუცილებელია. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ელექტრომონიტორინგის სისტემის ამოქმედება იქნება. ამაზე მუშაობა უკვე დაიწყო, რამდენიმე კომპანია ჩართულია. სამაჯურები მსჯავრდადებულებს ფეხზე დაუმაგრდებათ და თითოეული გარეთ გასული პატიმრის გადაადგილებას „ჯი-პი-ეს“ სისტემის საშუალებით გაგაკონტროლებთ. სამაჯური ამავედროულად, ტელეფონის ფუნქციასაც შესრულებს: შესაძლებელი იქნება, შევბულებაში მყოფ მსჯავრდადებულს ნებისმიერ დროს დაეფურცოთ ან მესიჯი გაუგზავნოთ. თუ სამაჯურის ფეხიდან მოხსნას შეეცდება, მანინე განგაში ატყდება: სამაჯური სუნთქვაზეც კი რეაგირებს; მექანიზმს ოპერატორი აკონტროლებს. ასეთი სისტემა 19 ქვეყანაში მოქმედებს და საკმაოდ ეფექტიანად.

**— პატიმარმა ამ სამაჯურით ქუჩაში უნდა იაროს; ამით მისი ღირსება არ შეილახება?**

— ის შეუმჩნეველი იქნება, ამიტომ ღირსების შელახვა გამოიცილება. თუმცა ამ სისტემის ამოქმედებამდე მსჯავრდადებულები თავდებით და გირაოს მექანიზმით ისარგებლებენ. გირაოს თანხა არანაკლებ 2.000 ლარისა უნდა იყოს. ამისთვის გათვალისწინებული იქნება გირაოს შემომტანი პიროვნების სანდოობა და მისი მატერიალური მდგომარეობა. თუ მსჯავრდადებული კარგად მოიქცევა ანუ არ დაარღვევს მოთხოვნებს, 2 კვირაში თანხა შემომტანს დაუბრუნდება. გირაოს გარ-

და, პირადი თავდებობაც გამოიყენება. თავდებები, საზოგადოებაში ავტორიტეტით უნდა სარგებლობდეს. ის ხელნერილს დადებს და თუ მსჯავრდადებული შევბულების პირობებს დაარღვევს, თითოეულ თავდებებს 10.000-ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს.

**— პატიმარ, რომელსაც ცნობილი ახლობელი არ ჰყავს და ფულს არა აქვს, უნდა დიარჩალოს?**

— მაინცდამაინც ფული არ წყვეტს საკითხს. ვთქვამთ, ადამიანი შევბულებაში გადადის; შესაძლებელია, მის საცხოვრებელ ბინას დაედლოს ყადაღა 5 დღით — ე.ი. იმ ვადით, რომელსაც ის შევბულებაში გაატარებს. დანებებულებში დაბრუნების შემდეგ ყადაღა მოეხსნება. ვინც პირველები გავიდნენ და ვისაც თავდებად დაფუდექით, ამ ადამიანებს ფული არ ჰქონდათ. მათ თვითონ დირექტორებიც დაუდგნენ თავდებში და არც რაიმე პრობლემა შექმნილა — ყველა მსჯავრდადებული კეთილსინდისიერად იქცეოდა და დროულად დაბრუნდა. ხშირად მოგვმართავენ ადამიანები და კარგი იქნება, თუ ამ პროცესში საზოგადოება უფრო აქტიურად ჩაებმება. ძალიან მნიშვნელოვანია, საზოგადოებას ესმოდეს, რომ მარტო ჩვენ — სამინისტრო და მთავრობა არ შეიძლება ვებროდეთ კრიმინალურ მენტალობას და კრიმინალს, ამ პროცესებში საზოგადოება უნდა იყოს ჩართული. ძალიან მნიშვნელოვანია, ჰუმანიზმთან ერთად, პასუხისმგებლობაც გაინანლოთ. თუმცა იმსაც ვიტყვი, რომ ბევრი ადამიანი გამოთქვამს თავდებობის სურვილს; განსაკუთრებული აქცენტი ახალ წელზე კეთდება — რომ რაც შეიძლება მეტი პატიმარი ახალ წელს საკუთარ ოჯახში შეხვდეს.

**— რა რაოდენობის პატიმრის გამშვებას გეგმათ საახალწლო შევბულებაში?**

— რაოდენობა არ ვიცი, მაგრამ შევთავაზებთ საზოგადოებას, რომ ჩვენთან ერთად გაინანლოს პასუხისმგებლობა.

**— არასრულწლოვანთა განათლების პრობლემა მოგვარებულია; თუ კეთდება რაიმე სხვა პატიმრებისთვის?**

— ამ კუთხით ყველაზე დიდი პრობლემა მოგვარებულია: არასრულწლოვნებს საშუალება აქვთ, ჩვეულებრივად მიიღონ ატესტატი — ზუსტად ისე, როგორც სამოქალაქო სექტორში. 2 სკოლა გაიხსნა,

ერთი — გოგონებისთვის, მეორე — ბიჭებისთვის. მათთან ჩვეულებრივი მასწავლებლები მუშაობენ, რომლებიც განათლების სამინისტროს ექვემდებარებიან. რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, — აქაც არის წინ გადადგმული ნაბიჯი: მიმდინარეობს მსჯავრდადებულებს საშუალება, უმაღლესი განათლება მიიღონ. მოიხსნა ერთი სერიოზული პრობლემა: როდესაც სტუდენტი ციხეში ხვდებოდა, სწავლას ვეღარ აგრძელებდა. მათ მიეცემათ შანსი, 5 ან 10 წლით გადაუვადდეთ სწავლა. გარდა ამისა, გვინდა, მიეცეთ მათ დისტანციური სწავლის შესაძლებლობა. მესამე მიმართულება — თავისუფალი მსმენელის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაა, როცა პატიმრებს შეეძლება, ონ-ლაინ რეჟიმში მოისმინონ ლექციები.

**— პატიმრების დასაქმების თემაც ძალზე აქტუალურია...**

— ეს პრიორიტეტული მიმართულებაა: ახალ დაწესებულებებში განსაზღვრულია, შეიქმნას სპეციალური ადგილები, სადაც მსჯავრდადებულებს შრომის შესაძლებლობა ექნებათ. ჯერჯერობით რამდენიმე დაწესებულებაში თონეები და სამკურვალო გაიხსნა. დასავლეთ საქართველოში სათბურების გახსნას ვაპირებთ. ბევრი რამ კეთდება და ვისაც აქვს სურვილი, იმუშავეს, — შრომა არ შეიძლება, იძულებითი იყოს. ქალები სამკურვალოში 300 ლარამდე ხელფასს იღებენ. საპატრიარქოს წარმომადგენლები რუსთავეში პატიმრებს ხატწერას ასწავლიან. საპატრიარქოსთან შეთანხმებით, იმ ხატების რეალიზაცია ხდება, რომელსაც მსჯავრდადებულები ამზადებენ. რაც შეეხება თონეებს, — იქ 250 ლარი აქვთ ხელფასი.

**— სერიოზულ კრიტიკას გამოთქვამენ პატიმრების ვადაზე ადრე გათავისუფლებასთან დაკავშირებით. ცოტა ხნის წინ ენ. „უდოს“ კომისია ამოქმედდა; რამდენად გამჭვირვალე იქნება ახალი კომისიის მუშაობა?**

— კანონით, თუ პატიმარმა ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის ნახევარი მაინც მოიხადა, მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებულმა — ორი მესამედი მაინც, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებულმა — სამი მეოთხედი, შეუძლია მოითხოვოს ვადაზე ადრე გათავისუფლება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მსჯავრდადებულის მოთხოვნა უექველად დაკმაყოფილდება. პირობით ვადაში გათავისუფლების საკითხის შემსწავლელი კომისია არ არის შეწყალის კომისია. მთავარია, მსჯავრდადებული კარგად იქცეოდეს. კომისიაში 2 დეპუტატი და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი შედის. ეს იმისთვის გავაკეთეთ, რომ კომისიის მუშაობა გამჭვირვალე იყოს...



ვისაც აქვს სურვილი, იმუშავეს, — შრომა არ შეიძლება, იძულებითი იყოს





# „დეკლარაციაში სიაშოვნებით ჩაპნარდი რამდენიმე ათეულ მილიონს...“

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერ **გივი წარაძე** მდიდარი ბიოგრაფია აქვს, მისი ქონებრივი დეკლარაცია კი — ასე გამოიყურება: წყნეთის სახლი (საცხოვრებლად უფარგისი, 90 კვმ), მინის ნაკვეთი (1500 კვმ), რომელიც 250.000 დოლარადაა შეფასებული; 13.500-დოლარაანი ავტომანქანა Hyundai Tucson, რომელიც 72-თვიანი სამომხმარებლო კრედიტითაა შეძენილი და მისი მეუღლის, ეკა კანდელაკის სახელზეა გაფორმებული; მის სახელზეა ასევე: 5.000 დოლარი, უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება (მინდობილობის საფუძველზე), ყოველთვიური იჯარის შემოსავალი — 4.000 დოლარი (2008 წლის მარტიდან 9 თვის განმავლობაში); პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ხელფასი — 58.804 ლარი; რამდენიმე საბანკო ანგარიში.

## თათა დავუაღი

— ბატონო გივი, მოდი, თქვენს ქონებაზე საუბარი საცხოვრებლით დავიწყოთ.

— ამჟამად კოსტავას ქუჩაზე ვცხოვრობ. ეს სახლი ჩემი ცოლის მშობლებს ეკუთვნის. ისე, დიდხანს, ჩემს მშობლებთან ერთად ვცხოვრობდით. სახლი, სადაც ახლა ვართ, ეკას მშობლებმა თავისთვის აიშენეს. იქ ყველას ერთად უნდა გვეცხოვრა, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ჩვენ ვცხოვრობთ... მე და ჩემმა მეუღლემ ბინა თვითონ, ჩვენივე გემოვნებით, შეხედულებითა და, რაც მთავარია, საშუალებით მოვანყვეთ. უკეთესად მონყობასა და მით უმეტეს, დიზაინერების მონვევას სოლიდური თანხა სჭირდება... განსაკუთრებული არც ავეჯი შეგვიძენია, გარკვეული ნაწილი ბუბია-ბაბუებისგან გვერგო. ჩვენი ბინის ინტერიერი ალბათ, უფრო კლასიკურ სტილშია გადანიჭვტილი. თუმცა ჩემი სტუდენტის შვილის ოთახში თანამედროვე სტილის ავეჯი დგას, რომელიც დღევანდელ

**მინდობი:**  
დაიბადა 1964 წლის 23 თებერვალს, თბილისში. ჰყავს მეუღლე — ეკა კანდელაკი და შვილები — ნუგზარი და ნიკოლოზი. პროფესიით ექიმი — დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი; გაიარა კლინიკური ორდინატურის სრული კურსი კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტში; მიიღებული აქვს ბოსტონის (აშშ) უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის სერტიფიკატი — საერთაშორისო ჯანდაცვის ეკონომიკასა და ფინანსებში.

მოთხოვნებს ითვალისწინებს: კომპიუტერი, ნიგნის თაროები, მეტალის სადა საწოლი, რომელიც თვითონ ძალიან მოსწონს.

— დეკლარაციაში გინერიათ, რომ უძრავი ქონების იჯარის შემოსავალი — ყოველთვიურად, 4.000 დოლარი გაქვთ; კონკრეტულად რაზეა ლაპარაკი?

— ეს მამაჩემის უძრავი ქონება გახლავთ — არასაცხოვრებელი კომერციული ფართი, რომელიც ბოლო 10 წლის განმავლობაში დეკლარირებული მაქვს. შარშანდელი წლის განმავლობაში ის გაქირავებული გვექონდა, მაგრამ კრიზისის გამო იანვრიდან დაკეტულია. ეს შემოსავალი ძალზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის და თუ კიდევ გაქირავდება, ძალიან კარგი იქნება.

— წყნეთის სახლი მემკვიდრეობით გერგოთ?

— არა, მე შევიძინე, დაახლოებით 12 წელია, მაქვს.

— როგორც დეკლარაციაში აღნიშნული, ის საცხოვრებლად უფარგისია. რატომ? არა გაქვთ სურვილი, რომ გაარემონტოთ?

— ძალიან ძველია და სამწუხ-

აროდ, აქამდე ვერ მოვახერხე იქ რაიმე მნიშვნელოვანი სამუშაოს ჩატარება. ბოლო 3-4 წელია, რაც საცხოვრებლად უფარგისი გახდა იმიტომ, რომ ალბათ ჩამოინგრა, წვიმის წყლისგან სახურავიც დაზიანებულია; მანამდე მინის-ვრამაც სერიოზული კვალი დაატყო სახლსაც და ღობესაც. მინდა, სახსრებს მოვუყაროთ თავი და წელს მცირე რეკონსტრუქცია დავიწყო; შეიძლება, ფულის სესხებაც დამჭირდეს. დიდი სურვილი მაქვს, გვაკეთო, ძალიან კარგი ადგილია და არ მინდა, რომ დაინგრეს. რეკონსტრუქცია ალბათ 2-3 წელს გასტანს.

— სოფელში სახლი ან აგარაკი თუ გაქვთ?

— წინაპრების სახლი, რა თქმა უნდა, გვაქვს იმერეთში, საკმაოდ დიდი კარმიდამოა. საერთოდ, წარმოშობით იქიდან ვართ. ოზურგეთშიც გვაქვს, ჩემი დიდი ბუბის (დედის მხრიდან) დარჩენილი სახლი. მაინცდამაინც კარგ მდგომარეობაში არც ერთი სახლი არ არის. იმერეთში, სამნუხაროდ, მეწყრის ზონაში აღმოჩნდა და ძალიან დაზიანდა. ოზურგეთში კი უბრალოდ, დიდი ხნისაა, თუმცა ძალიან კარგად გილასაა, ცენტრში. იქაურობა ძალიან მიყვარს, ხშირად დავდივარ, სტუდენტობამდე ერთ თვეს მაინც იქ ვატარებდი ხოლმე და ძალიან თბილი გრძნობები და კარგი მოგონებები მაკავშირებს.

— იმერეთის სახლის მესაკუთრე ვინ არის?

— მესაკუთრეები მამაჩემი და მისი ძმები არიან, კონკრეტულად კი — ერთ-ერთი ძმა, ამიტომ მე ვერ მივუთითებ დეკლარაციაში. თუმცა სარგებლობა, რა თქმა უნდა, ყველას შეგვიძლია. რაც შეეხება ოზურგეთს, — რადგანაც მშობლებთან ერთად აღარ ვცხოვრობ, დეკლარაციაში იმას ვაფიქსირებ, რაც მე და ჩემს ოჯახს გვეკუთვნის.

— ერთ-ერთ გრაფაში მხოლოდ თქვენი მეუღლის საკუთრებაში არსებული, 5.000 დოლარია მითითებული; თქვენ თუ გაქვთ დანაზოგი და რამდენი?

— დიას, რაიმე დიდი და მნიშვნელოვანი დანაზოგი — არა, თუმცა გარკვეული თანხა, რა თქმა უნდა, მაქვს, რომელსაც სულ აკლდება და აკლდება (იციან) და ის დეკლარირებულია. მიუხედავად იმისა, რომ მე და ჩემს ოჯახს გარკვეული შემოსავლები გვაქვს, ცხოვრება მაინც არ არის იოლი, მაგრამ ნამდვილად ვერ ვინუნუნებ, იმიტომ, რომ ბევრ ადამიანს გაცილებით მძიმე მატერიალური მდგომარეობა აქვს და მადლობელი ვარ, რომ ჩემს ოჯახს, ასე ვთქვათ, ცხოვრების გარკვეული დონე აქვს. საერთოდ, ძალიან ბევრი ადამიანი, ვინც დახმარებას მთ-







ოვს. ყველას ჰგონია, თუ რაღაც თანამედრობა გიკავია და ტელევიზიით ხშირად გამოდიხარ, ეს ყველაფერი დიდ კეთილდღეობასთანაა დაკავშირებული, ამიტომ, ხშირად მოდიან ჩემთან და ყოველთვე ჩემი შემოსავლის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის გაცემა მიწევს. როგორც შემიძლია, ადამიანებს ვეხმარები.

**— რამდენია ის მინიმუმი, რომელიც თქვენს ოჯახს საარსებოდ ჰყოფნის?**

— ზუსტად ვერ გეტყვი. ჩვენ არა ვართ დიდი ჭამა-სმის მოყვარული ოჯახი, ნორმალურად ვიკვებებით; გადასახადებსა და შვილების სწავლას მიაქვს საკმაოდ დიდი თანხა. როგორ გითხრათ?.. დაახლოებით ის, რაც ჩემი და ჩემი მეუღლის ხელფასია, მთლიანად ყველა ხარჯს ჰყოფნის; თუ გადავითვლით, ალბათ 3.000 ლარი შეიძლება დაგვჭირდეს, ზოგჯერ შეიძლება, ნაკლები ან მეტი იყოს. შარშანდელი წლის განმავლობაში ყველაზე მძიმე მაინც, ჩემი შვილის გადასახადები იყო, მას გარკვეულ დახმარებას ვუწევთ: მართალია, სტიპენდია ჰქონდა, მაგრამ საცხოვრებლისა და სხვა ხარჯები ჩვენ დაგვმარტო.

**— სად სწავლობენ თქვენი შვილები?**

— ჩემი უფროსი ვაჟი უცხოეთში — ბუდაპეშტის უნივერსიტეტში სწავლობს და, როგორც უკვე გითხარით, გასულ სასწავლო წელს მას მთლიანად უნივერსიტეტი უფარავდა თანხას; წელს არ ვიცი, როგორ იქნება, ვნახოთ. უმცროსი ვაჟი კი სკოლის — „XXI საუკუნე“ — მოსწავლეა.

**— თქვენი მეუღლე სად მუშაობს?**

— ჩემი მეუღლეც ექიმი, სამედიცინო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორია, ასევე — პედიატრთა და ნეონატალოგთა კავშირ „ალტერნატივის“ გამგეობის წევრი, პროექტის კოორდინატორი და განათლების სამინისტროს სამუშაო ჯგუფის ექსპერტია, სადაც სიმბოლური ხელფასები აქვს.

**— კოლექციონერი თუ ხართ?**

— ვერ ვიტყვი, რაიმე მასშტაბური კოლექცია მაქვს-მეთქი, მაგრამ რაღაცებს ვაგროვებ. მაგალითად, მაქვს სურათები. ფასები ყოველ წელს ძალიან იცვლება და ის, რაც 2-3 წლის წინ ძვირი იყო, ახლა შესაძლოა, იაფია, ამიტომ თითოეული მათგანი ისეთი ძვირფასი არ არის, რომ დეკლარაციაში აისახოს. ზოგიერთი ჩემთვის ძალიან ძვირფასია. სხვადასხვა ქართველი თუ უცხოელი მხატვრის 50-მდე სურათია, ზოგი — ძალიან ცნობილი, ზოგიც — ნაკლებად. დღეს შეიძლება, ძვირიც ღირს, არ ვიცი. წლების განმავლობაში დაგროვდა, ზოგი ჩემი ოჯახისაა, ზოგი — ბაბუის, ზოგიც ჩემი შექმნილია და ა.შ. მოკლედ, დაკითხვა ჩამიტარეთ (იცინის)..

— დატვირთული რეჟიმის მქონე ვიცე-სპიკერი რამდენად ახერხებს კულტურულ ღონისძიებებზე სიარულს აქ ან საზღვარგარეთ და

**რა მოსწონს? რამდენს ხარჯავთ ასეთ სიამოვნებაში?**

— რა თქმა უნდა, დავდივარ. ზოგჯერ ჩემს მოვალეობაში შედის ამა თუ იმ ღონისძიებაზე ყოფნა, ზოგჯერაც — ისე, როგორც მოყვარული დავდივარ. მაგალითად, ბოლოს წანი ბრეგვაძის კონცერტს დავესწარი და დიდად ვისიამოვნე, ძალიან კარგი კონცერტი იყო. თუკი დრო და საშუალება მაქვს, ყოველთვის სიამოვნებით დავდივარ.

**— სად იმოსება გიგი წერეთელი?**

— მოგვსვენებათ, საკმაოდ ხშირად მიწევს საზღვარგარეთ სიარული. გარდა საპარლამენტო ურთიერთობებისა, რამდენიმე საერთაშორისო პოლიტიკურ ორგანიზაციაში ვარ განეწვერებული — მაგალითად, ევროპის საპარლამენტო ფორუმის აღმასრულებელ კომიტეტში და მხოლოდ ამ ორგანიზაციიდან წელიწადში ათჯერ მაინც მიხდება გასვლა ევროპაშიც და სხვა ქვეყნებშიც. ჰოდა, ძირითადად, იქ ვყიდულობ ტანსაცმელს, უფრო მოსახერხებელიცაა და თქვენ წარმოიდგინეთ — იაფიც. საქართველოში ნამდვილად, არ არის ისეთი არც არჩევანი და არც ხარისხი. ბევრ ტანსაცმელს არ ვყიდულობ, მაგრამ საკმაო რაოდენობით მაქვს კოსტიუმიც, პერანგიც, ჰალსტუხიც და ის ატრიბუტიკაც, რომელიც ყოველდღიურად მჭირდება. ისე, განსაკუთრებით, სპორტული ტანსაცმელი მომწონს, ეგრეთ წოდებული „ქეჟუალ“. ყველაზე მეტად, აშშ-ში მიყვარს ტანსაცმლის შექმნა: არჩევანიც კარგია, ჩემი ზომებიცაა და იაფიცაა.

— როგორ სუნამოს ანიჭებთ უპირატესობას?

— კარგა ხანია, სხვადასხვა სუნამოს ვხმარობ; რამდენჯერმე Dolce & Gabbana და Calvin Klein შევიძინე, მაგრამ უფრო Shanel მომწონს.

**— საყვარელი და განუყოფელი აქსესუარი ან ნივთი თუ გაქვთ?**

— ალბათ უფრო — ჰალსტუხი და პერანგის საკინძები. ბაბუაჩემს უყვარდა ძალიან და ალბათ მისგან გადმომეღო. ოქროს სამაჯურებით, საათებით ან მსგავსი ნივთებით

გატაცებული არა ვარ.

**— რას მიიჩნევთ თქვენს ყველაზე დიდ და ფასიულ არამატერიალურ მონაპოვრად?**

— რთული კითხვაა... ჩემთვის, როგორც ადამიანისთვის, ასეთი ის ადგილია, რომელიც საზოგადოებაში მაქვს დაკავებული. ეს ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი რამაა. შესაძლებელია, ფორმირებულია არა მარტო ჩემგან, არამედ თაობებისგან, — ჩემი ოჯახისგან, წინაპრებისგან, ტრადიციულად, — მაგრამ ამავე დროს, რა თქმა უნდა, ჩემი საზოგადოებრივი აქტივობა, მუშაობა და ის ურთიერთობები, რომლებიც ადამიანებთან მაქვს, მათი ჩემდამი დამოკიდებულება, ის როლი, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში თუ ამ ქვეყნის განვითარებაში დამეკისრა, რისთვისაც ძალიან მადლიერი ვარ და, მოკლედ თუ ვიტყვი, ის პასუხისმგებლობა, რომელიც მაკისრია ამ ქვეყანაში, — ეს ყველაფერია ჩემი ყველაზე დიდი არამატერიალური მონაპოვარი... რაც შეეხება მატერიალურს: ალბათ შემეძლო, უფრო მეტი მქონოდა, მაგრამ არა მაქვს. დეკლარაციაში სიამოვნებით ჩავენერდი რამდენიმე ათეულ მილიონს, რომ მქონდეს საშუალება, ბევრ კარგ საქმეს მოვახმარო.

**ბიბლუსის მალაჩიათა ქსელი მთელ საქართველოში**

*წაიკითხე წიგნები - შეიქმნე თქვნი!*

<b>მინილის:</b> კარაიშვილი, ილია კარაიშვილი, ილია 1911, 1912, 1913	<b>სამხარ:</b> კარაიშვილი, ილია	<b>სამურავი:</b> კარაიშვილი, ილია
<b>ქუთაისი:</b> კარაიშვილი, ილია	<b>ფოთი:</b> კარაიშვილი, ილია	<b>თბილისი:</b> კარაიშვილი, ილია
<b>ზაგრა:</b> კარაიშვილი, ილია	<b>ქუთაისი:</b> კარაიშვილი, ილია	<b>მთიანეთი:</b> კარაიშვილი, ილია
<b>ზაგრა:</b> კარაიშვილი, ილია	<b>სამხარ:</b> კარაიშვილი, ილია	<b>სამურავი:</b> კარაიშვილი, ილია



# ეპროკავშირის ელჩი აჭარაში დემოკრატიის ფორმული!

## „ვანი, ჩვენს პატრონს, დიდო ილია!“

მერე რა, რომ აცივდა?! ზღვა ხომ ისევ ისე მოიქარის ქართული ნაპირებისკენ! მერე რა, თუკი ტალღას გაუცივდა შხეფები... იციო, რამდენი სათქმელი დაუგროვდათ?!

### ჯაბა პანანიძე

#### შხაფი 1-ელი:

#### „ბათუმი – სასწაული“

„ჩვენ ყველას ვაძლევთ საშუალებას, მიიღოს მონაწილეობა ბათუმის სასწაულის მშენებლობაში“, — განაცხადა აჭარის მთავრობის მეთაურმა ლევან ვარშალომიძემ კატარიდან. ამის შემდეგ, ალბათ, კატარელ და ქუვეითელ ინვესტორებსაც უნდა ველოდოთ ბათუმის ნაპირებთან, ტალღებსა თუ შხეფებში... და ვიდრე „ბათუმურ სასწაულს“, ბარსელონას, ნიცას, პარიზის თუ დუბაის ხიზლთან ერთად, კატარულიც დამატება, ბათუმში, ილიას ძეგლთან თქვენმა მონა-მორჩილმა ორი მოხუცის ეს დიალოგი მიიღო „შხეფად“:

— ილიას ძეგლსაც თუ შეეხებოდა ინვესტიცია, არ მეგონა.

— რეიზა არ გეგონა, დურსუნ?! დავით აღმაშენებელს თუ შუუცვალეს მისამართი, ილიას არ უნდა შეეხებოდა ეკონომიკური აღმავლობა და „ჩემპიონობა“?.. რა გინდა, ძეგლს უკან ახალი კაზინო გეიხსნა. გამოვალთ და ვითამაშებთ.

— ვაი, შენს პატრონს!

— ამ ძეგლის ადგილას ახალი შადრევანი დეინყებს ცეკვას. აბა, აგია საქმე, „ფანტანად“ რომ გედევგვექცა ქვეყანა და ილიას ძეგლთან რომ კინალამ ბაყაყებმა დეინყენ ყიყინი?

— ჰოდა, თეატრს უკან მივადგათ



მაგიზა დიდი ილია?! მოგნონს შენ ეს ახალი გადაწყვეტილება?

— მემედ აბაშიძე რომ დიგივდგენ საცხოვრებელი სახლების ერთ ბნელ კუთხეში და რომ ნუუყრუეთ, იმიზა ვართ ამფრათ. ანი ვინმე აღარ გკითხავს — რა გნებავს, მისტერ დურსუნო!

— ბათუმი სასწაული შენდებო, იძახიან. მეც მომწონს ეს სასწაული, მარა ტურისტების გულობიზა სწავლა და კულტურა ხომ არ უნდა დავსაძაროთ?!

— რას გულისხმობთ, მაინც?

— სამეცნიერო ინსტიტუტის პრაფესორებს სტუდენტების საერთო საცხოვრებელში რომ აბინავებენ, არ გაგიგია?

— ტურიზმის ქალაქში ვართ, ტურიზმის. სასწაული კიდევ თავგანწირვის გარეშე არ იქმნება.

— ვაი, ჩვენს პატრონს, დიდო ილია! — თავში წაიშინა ხელი დურსუნმა და სწრაფი ნაბიჯებით გაეცალა იქაურობას.

#### შხაფი მე-2: ბაჩნია, ვისთვის რაა „ნარმატავული საზონი“

ზღვისპირეთში ციტრუსის სეზონი დაიწყო. გლეხები მანდარინის ხეებს შეესივნენ მოსავლის მოსაკრეფად, მაგრამ ვინ არის მყიდველი — უცნობია. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქამდე გვირდებოდა: — მეზობელ უკრაინაში დავდივართ მოლაპარაკებებზე, საბაჟო გადასახადებს შეგვიმცირებენ და ნუ იდარდებთ, წარმატებული სეზონი გვექნება. მოლაპარაკებები დასრულდა, მაგრამ სამწუხაროდ, საბაჟო გადასახადი გაიზარდა. თუ შარშან ტონა მანდარინის უკრაინაში შეტანა 400 დოლარი ჯდებოდა, წელს გადაამზიდავენ ამ თანხაზე 200 დოლარის

დამატება მოუწევთ. მაგრამ არ არის გამორიცხული, სეზონის შემდეგ სამინისტრომ მაინც ამაყად გამოგვიცხადოს, — წარმატებული სეზონი გვქონდაო. ხალხს ასეთი პარადოქსებიც ახსოვს. ახსოვს ისიც, რომ ყველამ, ვინც კი არჩევნებს იგებდა (და ვინ იგებდა?..), პირობას დებდა, ხილისა და ციტრუსის გადამამუშავებელ საწარმოებს გაეხსნითო. ჰოდა, ქობულეთში კომპანია „ქართული პროდუქტები“ წელსაც ბოქლომდადებულია. გოჩა ძასოხოვის კუთვნილი საწარმო შარშან, საგადასახადო დავალიანების გამო დალუქეს. მაშინ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნები დაგვირდნენ, ორ კვირაში ყველაფერი გაირკვევაო. ისე გაირკვა ყველაფერი, როგორც ძასოხოვის პოლიტიკური მომავალი. ახალი საწარმო ჯერჯერობით არ გახსნილა!

#### შხაფი მე-3: ვინ იღებს კრედიტის ხელფასს?

რამდენიმე დღის წინ ოპოზიციის ნაწილმა აჭარის უმაღლესი საბჭოს „წლისთავი“ აღნიშნა: შარშან აჭარამ ახალი დეპუტატები აირჩია, საკუთარი უფლებების დასაცავად. წესით და რიგით, უმაღლესმა საბჭომ საკანონმდებლო ბაზა უნდა შექმნას, მთავრობა უნდა აკონტროლოს და ხალხიც უნდა დაიცვას, მაგრამ საკანონმდებლო ბაზას აჭარის ავტონომიის არსებული სტატუსი დიდ გასაქანს ვერ აძლევს, კონტროლის ფუნქციას საბჭო, შესაბამისი მექანიზმის არარსებობის გამო (დღემდე ვერ შეიმუშავეს) ვერ ახერხებს, ხალხს კი რატომღაც, საბჭოში სიარულის სურვილი დაეკარგა... ჰოდა, საბჭოშიც არხენად არიან. მერე რა, რომ ოპოზიცია „შხეფებს“ ისვრის?!

სულ ახლახან, დეპუტატებმა ახალი ავტომანქანების შესაძენად, ბიუჯეტიდან 370 ათასი ლარი გამოყვეს. თითოეულის ხელფასი თვეში დაახლოებით 3 ათას ლარს შეადგენს, თავმჯდომარის ხელფასი კი ქვეყნის პრეზიდენტის ხელფასს უტოლდება, — 5 ათას ლარს აღწევს. სხვათა შორის, ამ საბჭოს არჩევნების წინაც ლოზუნგი — „პენსია — 100 დოლარი!“ — აქტუალური იყო; მას აქეთ მხოლოდ 10 ლარი გაიზარდა...

P.S. ამას წინათ, უმაღლესი საბჭოს განათლების, კულტურისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარეს, ასმათ დიასამიძეს აჭარის ყოფილი შს სამინისტროს შენობის დემონტაჟის შესახებ დავუსვი კითხვა. ეს შენობა კულტურის ძეგლი იყო, მაგრამ რადგან წლების განმავლობაში მავანთა ინტერესების გამო წვიმასა და თოვლში უსახურა-



ასმათ  
დასამიძე



# ეფექტი

- თქვენთვის სასურველი ფორმით -  
ლაგახმარებათ წელიწადის ნებისმიერ დროს!

## ბრძვისა და გაცინების საწინააღმდეგო ეფექტური საშუალება



### ეფექტი რაი

შამდგანლობა:  
1 პაკეტი შეიცავს:  
პარაცეტამოლს-650მგ  
ფენილეთერინის ჰიდროქლორიდს-10მგ ქლორფენირამინის მალეაგს-20მგ  
ვიტამინ C-ს-50მგ

### დოზირება:

პაკეტის შიგთავსი იხსნება 1 ჭიქა ადუღებულ წყალში. მოზრდილებსა და 12 წლის ზევით ბავშვებში ინიშნება 1 პაკეტი 4-6 საათში ერთხელ, არაუმეტეს 6 პაკეტისა 24 სთ-ის განმავლობაში.

### ეფექტი ფლუ

შამდგანლობა:  
1 ეფსულა შეიცავს: პარაცეტამოლს-500მგ  
ფენილეთერინის ჰიდროქლორიდს-10მგ ქლორფენირამინის მალეაგს-2მგ

### დოზირება:

6-დან 12 წლამდე ინიშნება 1 ეფსულა  
2-ჯერ დღე-ღამეში, 12 საათიანი ინტერვალით;  
12 წლის ზევით - 1 ეფსულა 3-ჯერ დღეში.

### ეფექტი ცა

შამდგანლობა:  
1 შუშუნა ტაბლეტი შეიცავს:  
აცეტოსალიცილის მჭავას-500მგ  
ვიტამინ C-ს- 150მგ  
კოფეინს-50მგ

### დოზირება:

ეფექტი ცა - მიიღება ჭამის შემდეგ, ტაბლეტი იხსნება ერთ ჭიქა წყალში.  
მოზრდილებში ინიშნება 1 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში, არაუმეტეს 5 ტაბლეტისა დღეში.

## გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

დავით აღმაშენებლის 148/2

საინფორმაციო სამსახური: 967-227  
WWW.AVERSI.GE







ვოდ დატოვეს, აღნიშნული „სტატუსი ჩამოერეცხა“ და ინვესტორიც (ვინც ამ ობიექტის მესაკუთრეა) ახლა იმ სტილის შენობას ააშენებს, რომელიც სურს.

— რატომ ვერ მოუარა აჭარის მთავრობამ კულტურის ძეგლს? — ვკითხე ქალბატონ ასმათს.

— მერწმუნეთ, ამ ადგილას ბევრად უფრო ღამაზი შენობა აშენდება, ვიდრე იყო, — მიპასუხა დეპუტატმა...

**შხაფი მე-4:**

**„ყოჩაღ თურქეთს! მარა რას აკეთებს ჩემი სანატრალი საქართველოს მთავრობაო?!“**

ფაქრეთინ ჩილოღლუ ერთი საუკეთესო ქართველია. ნუ გაგიკვირდებათ: ის საქართველოს ფესვებსაა მონყვეტილი, თურქეთში დაბადებულ-გაზრდილი და ისევ ყოველივე ქართულს დანატრებული...

ბათუმის უნივერსიტეტში შეეხვდი, იქ გავიცანი და ისე მესაუბრა, თითქოს ჩემი დიდი ხნის ნაცნობი ყოფილიყო. ფაქრეთინ ჩილოღლუ ანუ — ფარნა ჩილაშვილი სტამბოლში ქართულ ჟურნალ „ფიროსმანს“ რედაქტორობს. მას თურქეთის მინაზე მდებარე ქართუ-

**საზოგადოება**

ლი ტაძრების შესახებაც ვკითხე: მაინტერესებდა, როგორ წარმოედგინა ლამის ჩამოქცეული სალოცავების აღდგენა და გადარჩენა. ფარნამ პასუხი „საშხეფო“ კითხვით მომიბრუნა:

— როგორც ვიცი, თურქები აქტიურად მუშაობენ მაღალმთიან აჭარაში: მუსლიმანურ ლიტერატურას შეუზღუდავად ავრცელებენ და მინარეთსაც მრავლად აგებენ. ანუ — ყოჩაღ თურქეთს! მაგრამ რას აკეთებს ამ დროს ჩემი სანატრელი საქართველოს მთავრობაო?! რა მეპასუხა?..

**შხაფი მე-5:**

**„ეს ჩვენი ევროკავშირია“**

ბედნიერი ვარ იმით, რომ შემეძლია, საქართველოში თავისუფალი ჟურნალისტიკის სამსახურში ყოფნა. ვნერ დამოუკიდებელ ჟურნალ „გზასა“ და გაზეთ „კვირის პალიტრაში“ და აჭარაში ერთადერთი დამოუკიდებელი ტელევიზიის — „ტელეარხი 25“-ის ანალიტიკური ტოქშოუს — „დილოგის“ წამყვანიც ვარ... ჰოდა, რამდენიმე დღის წინ დიდი სტუმარი გვეწვია ჩვენს პატარა ტელევიზიაში — პერ ეკლუნდი, ელჩი, ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი საქართველოში. ელჩს აჭარაში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამების შედეგები გააცნეს. მან ყველა კითხვას, რა თქმა უნდა, დიპლომატიურად უპასუხა; ფრთხილად მისცხო ოპოზიციას და მოსცხო ხელისუფლებას... რაც მთავარია, აღნიშნა: ამ ტელეკომპანიის საქმე ხელისუფლების ახალი დემოკრატიული „ტელევიზიისთვის“ ტესტი იქნება: როგორც ცნობილია, „ტელეარხ 25“-ს დავალიანების გადახდას იმ საგადასახადო აქტის მიხედ-



ფაქრეთინ ჩილოღლუ იგივე ფარნა ჩილაშვილი

ვით სთხოვენ, რომელიც უზენაესმა სასამართლომ 2008 წლის გადანყვეტილებით, ბათილად ცნო. მართალია, ხელისუფლებამ პრობლემის მოსაგვარებლად, პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ტელევიზიის ქონებას აუქციონზე გატანა აღარ ეშუქრება, თუმცა დავალიანება ჯერჯერობით დავალიანებად რჩება. არადა, ამ დამოუკიდებელი ტელეარხის შემოსავლის ძირითად წყაროს ნეკროლოგი წარმოადგენს... ჰოდა, ვსხედვართ სტუდიაში — მე, ბატონი პერი და თარჯიმანი, ველოდებით, როდის გავალთ ეთერში; ევროკავშირის ნეკროლოგს ენაცვლება. პერი გაკვირვებულია. პაუზის შემდეგ კი კითხულობს, — ეს რა არისო?

— ეს ჩვენი ტელევიზიის „ევროკავშირია“, — ვუპასუხე მე.

**შხაფი მე-6:**

**რა არის დემოკრატია?**

ჩემს გადაცემაში მაყურებელი შეუზღუდავად რეკავს. მაყურებელმა პერ ეკლუნდსაც დაუსვა კითხვა პირდაპირ ეთერში: რომ გვარიგებთ ჭკუას, რომელ დემოკრატიასა და ევროპაზეა ლაპარაკი — ციხეში კაცს საწოლი ენატრება, ციხის გარეთ — პურიო. ევროკავშირის ელჩმა ამ შეკითხვას მოკლედ უპასუხა: დემოკრატია არც პურია და არც საწოლი, ის ბევრად უფრო ძვირფასია, ვიდრე პური და საწოლიო!..



ევროკავშირის ნეკროლოგს ენაცვლება. პერი გაკვირვებულია. — ეს რა არისო? — ეს ჩვენი ტელევიზიის „ევროკავშირია“..

**პირველად საქართველოში!**

საინფორმაციო სააგენტოს მობილური ვერსია!

**mobil.ipn.ge**  
**wap.ipn.ge**

საინფორმაციო სააგენტო „ინფორმაციის“ შპს-ის მობილური ვერსია

**IPN**

**ინფორმაციის**

„ინფორმაციის“ მობილური ვერსია WAP სერვისს, მობილურ ინფორმაციას მარტივად მიწოდებს ტელეფონის საშუალებით, სურვილი სარეკლამოების სერვისი.

მობილური ინფორმაციის გაქვრება მობილურ ტელეფონზე ანუ მობილურ ინფორმაციის გაქვრება უზღვევს მობილური ინფორმაციის WAP სერვისს და კერძო საინფორმაციო სააგენტო IPN-ის ძალიან მარტივად.

IPN-ის მობილური ვერსია მობილური ინფორმაციის სერვისს უზღვევს, მობილური ინფორმაციის მობილური ვერსია არის შესაძლებელი.





# სასნა

## ნინო ბაშარულის „ხევისურული კოდი“ და ესპანური ტემპერამენტი

ასაკის გამო, ულამაზესი ნინო ბაშარული „ჯეოსტარში“ მონაწილეობისგან თავს იკავებდა. 30 წლის ვარ და ასეთი „ბებერი“, ახალგაზრდების გვერდით რა სინდისით დაფემდ-გარიყავიო? — ღიმილით აღნიშნავს. მაგრამ მეგობრების დაუინებელი თხოვნით, პროექტის შესარჩევ კონკურსზე გავიდა. შედეგმა ნინოს მოლოდინს გადააჭარბა: ყველაზე „სასტიკი“ შემფასებლის — ქალბატონი მარინა ბერიძის კოცნაც კი დაიმსახურა! მართალია, სევსურეთში ერთადერთხელაა ნამყოფი, მაგრამ მიაჩნია, რომ სევსურული „კოდი“ მის გენეტიკაში ძლიერია და ბედნიერია, რომ კონკურსზე საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის სახელით გამოდიოდა.



### ეთო ყორღანაშვილი

— თბილისში, სვანეთის უბანში გავიზარდე. მშობლიური უბანი ძალიან მიყვარს და დღესაც ხშირად ვაკითხავ. მცხეთაში გატარებული დროც სასიამოვნოდ მახსენდება. იქ, სვეტიცხოველთან ახლოს ჩემი მამიდები ცხოვრობდნენ. ძალიან მორწმუნე ოჯახი იყო და კვირაობით წირვაზე დადიოდი. ჩემს სულიერ ამბლებას მცხეთას უნდა ვუმაღლოდ. ქალაბიჭა ბავშვი ვიყავი — ძირითადად, ბიჭებთან ვთამაშობდი, რადგან გოგონები ალბათ, ვერ მიგებდნენ ან მე ვერ ვუგებდი (იციან!) დღეს ბევრ საინტერესო, ჭკვიან ადამიანთან ვმეგობრობ — სქესს მნიშვნელობა არა აქვს. მყავს ძალიან ახლო მეგობრებიც, რომლებიც განსაკუთრებულად მიყვარს.

— მუსიკით როდის დაინტერესდით?

— ბავშვობაში მსახიობობით დაინტერესდი. ძალიან არტისტული ვიყავი და სხვადასხვა როლს იოლად ვითვისებდი. პირველად, მაია წყნეთელის როლი ავიკვიტე: ქუდს დავიხურავდი, პაპაჩემის ჩოხა-ახალუს ჩავიცვამდი, ხმაღს ავიტყევი და ქუჩაში დავბრბოდი. ყველას მაია წყნეთელს ვასწავნი — ძალიან სასაცილო ვიყავი (იციან!) მუსიკას რაც შეეხება, დედაჩემი ჩემზე კარგად მღერის — საოცარი ხმის პატრონია. ჩვენს სახლში ხალხური სიმღერები არ ილეოდა. რაღაცის მოსმენა, შესწავლა ხშირად მიხდებოდა. მერე გიტარაზე დაკვრას დავეუფლე ნელ-ნელა, ოღონდ — მოყვარულის დონეზე. მუსიკალური განათლება არ მიმიღია.

— პროფესიით ვინ ხარ?

— ხელოვნებათმცოდნე, ასევე — უცხო ენების სპეციალისტი, ინგლისურისა და ესპანურის განხრით. ბიძა ლინგვისტი იყო, ბევრ ენას ფლობდა. რაღაც კვლევებს აწარმოებდა ბასკებსა და ქართველებთან დაკავშირებით. ამან მეც დაამაინტერესა. ესპანელზე ფილმებს ხშირად ვუყურებდი. ესპანურმა სამყარომ გამოგნა, განსაკუთრებით — როცა „ფლამენკო“ ვნახე! ალბათ, ცეცხლოვანი ხასიათის ელემენტები ჩემშიც იყო — ქართველები და ესპანელები ერთმანეთს ხომ ვგავართ (იციან!)

— ნინო, როგორც ვიცო, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ესპანეთშიც ცხოვრობდით...

— დიას, თუმცა კორიდაზე არ ვყოფილვარ — ამას ალბათ, ფსიქოლოგიური მომზადება სჭირდება. საკმაოდ ჰუმანური ადამიანი ვარ და ხარმა რქებზე ტორეადორი რომ ააცვას, ამას ვერ გადავიტან! ძირითადად, კლუბებში „დაუნანალები“ და ვუყურებდი, მუსიკალური ბენდის წარმომადგენლები როგორ მუშაობდნენ. კლუბურმა ცხოვრებამ გამიტაცა. კლუბში თავს ყველაზე კომფორტულად ვგრძნობ. დღეს ძლივს ვეგუები იმას, რომ ფილარმონიის დიდ სცენაზე ვდგავარ. ეს იოლი ნამდვილად არაა. როცა კლუბში ვმღერი, იქაურობას მთლიანად მე განვაგებ — კლუბი „ჩემია“: მსმენელს იმ მუხტს გადავცემ, რაც მას სჭირდება. ურთიერთობაში ეს „გათა-

მაშებები“ დიდ სიამოვნებას მანიჭებს. როცა ვხედავ, რომ ჩემი სიმღერა სიამოვნებთ, თითქოს თავიდან ვიბადები!.. დიდ სცენას რაც შეეხება, ერთგვარი შიში მაქვს და ალბათ, ყველა მუსიკოსი ან ჟიურის წევრი მიხვდება ამას.

— თუმცა ფილარმონიის დიდ სცენაზეც მშვენივრად მღერით.

— ალბათ, ეს საკუთარ თავზე ბევრი მუშაობის (უბირველეს ყოვლისა — სარკის წინ!) შედეგია. სახლში მისვლისას, საკუთარ თავს „ლექციებს ვუკითხავ“: ნინო, სცენაზე თავდაჯერებული, ძლიერი უნდა იყო, მშიშრები არ მოსწონთ და ა.შ. შედეგი არის და ნელ-ნელა უფრო შევეჩვევი — ბოლოს და ბოლოს, სცენის შიში და ძლიერი დამამშვიდებლები ისეთ მომღერლებსაც სჭირდებოდათ, რომლებთანაც ახლოსაც ვერ მოვალ!

— თქვენ თუ მიმართავთ „დამამშვიდებლებს“ — შიშის დასაძლევად, სცენაზე გასვლის წინ რაიმე რიტუალს ხომ არ ასრულებთ?

— კი, აუცილებლად: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე, ცოდ-



ვილი“ — ვიცი, რომ ეს სიტყვები ყველა დანარჩენ ხერხზე უკეთ მოქმედებს.

— **ესპანეთში ყოფნისას, კლუბში ხშირად მღეროდით?**

— სულ ორჯერ ვიმღერე. როცა ქალაქში მეგობრებთან ერთად გავდიოდი, ხან სად შემხვედრებდნენ და ხან — სად. საბოლოოდ, ჩემი ინტერესის სფეროს ყოველთვის ვცილდებოდი. ამიტომ მარტომ დავინყე „ნანწალი“ და ბევრი საინტერესო ადგილიც მოვიხატე. ამ „ნანწალის“ დროს, ერთი კლუბის დათვალერება მომიხდა და შევჩიქე იქ. კლუბის მესვეურებს გამოველაპარაკე და რომ მიხვდნენ, მათი საქმიანობის სფერო ძალიან მაინტერესებდა, თავიანთ პროფესიაზე დაუღალავად ალაპარაკდნენ. ძლივს ამოვღერე, — რამდენიმე ესპანურენოვანი სიმღერა ვიცი-მეთქი. ერთმა მათგანმა გადაიხარხარა: აბა, ვცადოთ, ერთი, რა იციო. აპარატურა გაასწორეს და დავიწყეთ. „სიყვარულის ისტორია“ შევასრულე. გაუკვირდათ და მითხრეს: იმ გოგონას შგავხარ, რომელიც ბავშვობაში ესპანეთიდან სხვა ქვეყანაში წაიყვანეს და წლების შემდეგ უკან დაბრუნდაო (იკინის). მეორე დღესვე პატარა საღამო მოვანწყვეთ, რომელზეც ჩემი მეგობრებიც მოვიდნენ და გაცდნენ: ნინო ჩვენთან ქალაქის დასათვალერებლად, სამუშაოდ ჩამოვიდა და უცებ კლუბში „გაიჩითა“, გაგვაგიჟებს ეს გოგოო (იკინის).

— **როგორც მიგხვდი, ესპანეთში მუშაობდით კიდევ რას საქმიანობდით?**

— მიუხედავად იმისა, რომ მეგობრებთან ვიყავი და არაფერი მხარჯებოდა, გადაწყვიტე, რომ სასიამოვნოსთან სასარგებლოც შემეთავსებინა და ფული „გამეკეთებინა“. ამის საშუალება იყო და შანსი რატომ არ უნდა გამომეყენებინა?! შრომა არ მუხარება. ერთ-ერთ დიდ მაღაზიაში დეკორატორად ვმუშაობდი. საკმაოდ კარგი ხელფასი მქონდა... მადრიდში ყოფნისას ზღაპარში აღმოვჩნდი — ის დრო არასოდეს დამავიწყდება, ყველაფერი ძალიან ლამაზი იყო! ესპანელებმა სიურპრიზი გამიკეთეს და მადრიდში, ჯაზ-ფესტივალში მიმადებინეს მონაწილეობა. ისეთი მსურველე ტაში დავიმსახურე, რომ საკუთარი თავის თავად არ მეფეროდა!



— **ესპანურ შოუბიზნესში თავის დამკვიდრებაზე არ გიფიქრობ?**

— საკმაოდ ბევრი შემოთავაზება მქონდა, მაგრამ უარის თქმის ყველაზე დიდი მიზეზი ჩემი შვილი იყო, რომელიც საქართველოში მყავდა დატოვებული. სიგიჟემდე მენატრებოდა და მის გარეშე მეტხანს ვეღარ გავტოვებდი. ესპანეთთან დღესაც მაქვს კავშირი. ჩემი ერთ-ერთი სიმღერა, რომელსაც არანაირი უნიჭიერება ადამიანმა — ბუქა ჯაფარიძემ გაუკეთა, მადრიდში გავგზავნე. იქ ისე მოეწონათ, რომ 2 კვირის განმავლობაში რადიოში ტრიალებდა. ესპანეთი ის ქვეყანაა, სადაც სრულყოფილ ადამიანად ვიგრძენი თავი.

— **ნინო, მოდი, თქვენს პირად ცხოვრებასაც შევეხეთ...**

— ცხოვრებაში ჩემ მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი გულწრფელია. ის ადამიანი ნამდვილად მიყვარდა და მასაც ვუყვარდი. ოჯახი შევქმენით და საბუჯა გაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხანს ვცხოვრობდით ერთად, ის გრძობა არ გახსუნებულა. კონფლიქტი არ გვეწონია. უბრალოდ, რაღაც სიტუაცია შეიქმნა და ერთმანეთს დავშორდით... თუნდაც საბუჯას არსებობა ჩემთვის სტიმულია, რომ შემოქმედებით ცხოვრებაში ბევრი რამ გავაკეთო...

— **თქვენ და თქვენს მეუღლეს ერთმანეთი ისე გიყვართ? არის შანსი, რომ მომავალში ისე ერთად იყოთ?**

— მთავარი ისაა, რომ ერთმანეთი არ მოგებურებოდა და შეიძლება ითქვას, დღემდე ის მე „მეპრანჭება“, ხოლო მე — მას (იკინის). თუმცა ერთმანეთთან ნამდვილად არ გვაქვს ურთიერთობა, არ ვტყუი...

— **კარგი, თქვენს შემოქმედებაზე საუბარს დაფურცლდეთ. როგორც ვიცო, მუსიკალური ბენდიც გყავთ...**

— ესპანეთში ისეთი „აგონია-ჟიფორიები“ მქონდა, რომ საქართველოში დაბრუნებულმა ბენდის შეკრება გადავწყვიტე. ბევრი ძიების შემდეგ აღმოვაჩინე ადამიანები, რომლებსაც მუშაობა არ ეხარებათ და რაც მთავარია, მიტანენ (იკინის!).

— **მიიშე ასატანი ხართ?**

— პრინციპში — არა. ამპარტავნობა არ მახასიათებს და ისე დადგმავადი, რომ ერთმანეთის გარეშე არ შეგვიძლია!

— **როგორ იპოვეთ ერთმანეთი?**

— ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი დის მეგობარი გვესტუმრა და ჩემი სიმღერების მოსმენის შემდეგ, დამპირდა: ხვალ ისეთ ბენდს გავაგონებ, რომელიც ზუსტად იმ მუსიკალურ სტილში უკრავს, რომელიც შენ მოგწონსო. მეორე დღეს ძალიან საყვარელი ბიჭები მოვიდნენ: ერთი გამხდარი, მეორე — ცაცია, მესამე — დათვივით დიდი... ვაიშე, ღმერთო ჩემო, სად ვარ-მეთქი?! — გავიფიქრე (იკინის). მათმა დაკრულმა მოლოდინს გადააჭარბა და მუშაობას შევუდექით. ღამის 4 საათამდე, სახლში გიტარების და ტამტამების ხმა ისმოდა. არც ერთ მეზობელს საყვედური არ უთქვამს — ალბათ, უფრო ტკბილად იძინებდნენ (იკინის).

— **რაც შეეხება ჯგუფის სახ-**

**ელს — „პალომა“?**

— ერთ დღეს, პედრო ალმოდოვარის ფილმები მოვიტანე და ერთ-ერთ მათგანს — „ელაპარაკე მას“ — „ჩაუუსხედით“. ფილმში კორიდის სცენაა, სადაც ტორეადორი ქალია. საკმაოდ საინტერესოა. სიუჟეტის განვითარებას ვაკვირდებოდი და უცებ სიმღერა აჟღერდა: „კუკუ-რუკუკუ, პალომა“. მაშინვე ამ სიმღერის შესრულება გადავწყვიტე. „სიმპათიური“ ნამღერი გამოგვივიდა და ბენდის სახელიც გადავწყვიტე. მაშინ ძალიან „დავფრინავდით“ და ბენდს „კუკუ-რუკუკუ, პალომა“ დავარქვით. მერე ვიფიქრეთ, რომ კონცერტებზე, ვიდრე ჯგუფის სრულ სახელწოდებას გამოაცხადებდნენ, მსმენელები გაგვეცუოდნენ. ასე რომ, „კუკუ-რუკუკუ, პალომადან“ „პალომა“ დარჩა (იკინის).

— **„პალომა“ მხოლოდ ესპანურენოვან სიმღერებს მღერის?**

— ჩვენს რეპერტუარში ფაქიზი პორტუგალიური „ფრადოსა“ და ესპანური ტემპურანტიანი „ელამენკოს“ შერწყამა ხდება. ძალია ჯაზშიც მოვსინჯეთ და საკმაოდ კარგად გამოგვივიდა.

— **ნინო, ინტერვიუმდე მითხარო, — „ჯეოსტარში“ მონაწილეობამ, ცოტა არ იყოს, დამალაო...**

— იცი, რაშია საქმე?.. ძალიან მკაცრად მზრდიდნენ. 20 წლის ასაკამდე, ნორმალურად გარეთ ვერ გავდიოდი — 7 საათზე აუცილებლად სახლში უნდა ვყოფილიყავი და მემეცადინა! ამის გამო, ცოტა არ იყოს, „დავქმორდი“ (იკინის). მეგობრებთან ურთიერთობა მწყურვოდა! ბიჭებს მოვწონდი, მაგრამ მათ ვერ ვხვდებოდი. სულ მშურდა გოგონების, რომლებიც თმაგაშლილები პვენებზე დაქროდნენ! ერთი ძალიან ლამაზი, შავგვრემანი, ასაკით ჩემზე უფროსი ბიჭი — გაგა პლატონურად მიყვარდა მთელი 5 წლის განმავლობაში. მას 5 თვეში ერთხელ ვხვდებოდი, ისიც — მეგობრების წყალობით: მასთან პვენებს ძალით „მიჩაღიჩებდნენ“. იმ ბიჭს რომ ვუბნებოდი, — 7 საათზე აუცილებლად შინ უნდა ვიყო-მეთქი, — მიბრუნდებოდა ხოლმე, რომ გულიანად გაეცინა (იკინის)... 20 წლის შემდეგ, ჩემში დიდი გარდატეხა მოხდა: მშობლები დარწმუნდნენ, რომ კარგად ვსწავლობდი, ჩემს აზრს პატივს სცემდნენ და, როგორც იქნა, შემემვენენ, რა. ჩემი ცხოვრება 180 გრადუსით შეტრიალდა — ისეთი თავისუფალი გავხდი, რომ რეჟიმიდან ამოვვარდი! ამ თავისუფლების ფონზე, „ჯეოსტარის“ რეჟიმმა — საღამოებმა, ინტერვიუებმა, კამერებთან ურთიერთობამ — თითქოს მოსწავლე ბავშვად მაქცია, თუმცა ეს ხანმოკლე აღმოჩნდა.


— **ახლა რა გგემები გაქვთ?**

— ბენდთან ერთად მუშაობას გავაგრძელებ! ულამაზეს რეპერტუარს ვამზადებ. დარწმუნებული ვარ, რომ ხალხი ნასიამოვნებით დარჩება — ეს ჩემი მთავარი მიზანია. წინასწარ ამაზე საუბარი არ მინდა, მაგრამ მიუზიკლებში მონაწილეობას ვაპირებ... მოკლედ, რადგან დავიწყე, ხელოვნების სფეროში მთელი სულითა და გულით ჩავერთვები!





# „ქველი მონარქისტი“ გუბაზ სანიკიძე აუხაზ დედოფალზე ოცნებობდა



„ზოგჯერ ზედმეტად კატეგორიული, ალბათ მკაცრიც ვარ, მაგრამ იუმორი მახალისებს. მიყვარს ჩემი ქვეყანა, ოჯახი, მეგობრები, წიგნები, მთაში სიარული და ცხოველებზე გადაცემების ყურება“, — ასე ახასიათებს საკუთარ თავს „ეროვნული ფორუმის“ ლიდერი გუბაზ სანიკიძე. პროფესიით ისტორიკოსს (ალმოსავლეთმცოდან) ძალიან აინტერესებს გეოგრაფია. ატლასების შეგროვება ჯერ კიდევ ბავშვობაში დაუწყო. როგორც თავად ამბობს, დღეს მის კოლექციაში ინგლისური სამეფო აკადემიის უნიკალური ატლასიც კი ინახება. ყველაზე კარგად თავს მაშინ გრძნობს, როდესაც რაჭაში ადის ან წიგნს კითხულობს. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ პოეზიის მოტრფიალე არ არის, პროზა ურჩევნია... ამბობს, რომ ტრადიციული ქართველი კია, მაგრამ მის შესახებ ჩამოყალიბებული ზოგიერთი სტერეოტიპი მცდარია.

## „დღეს ქართულ პოლიტიკაში 4 მთავარი მოთაბაზა...“

### სათუნა ბახტურიძე

— ბატონო გუბაზ, იქნებ თქვენ შესახებ ჩამოყალიბებულ, მცდარ სტერეოტიპებზე გვიამბოთ.

— ჩემი „კონფიგურაციიდან“ გამომდინარე, ყველას ჰგონია, რომ მაგარი მსმელი და მომლხენი კაცი ვარ. შეიძლება, არც დამიჯეროთ, მაგრამ სინამდვილეში, საერთოდ არა ვარ დიდი სუფრის მოყვარული. მე მხოლოდ ჩემს უახლოეს მეგობრებთან ჩაჯდომა და გემრიელი მუსაიფი მიყვარს.

— ოჯახი ტრადიციების დაცვით შექმენით?

— კი, ყველა წესი დაცვიავი. ულამაზესი ყვონა, რომელიც მიყვარდა (და ახლაც ძალიან მიყვარს), ჯერ ჩემს მშობლებს გაეცანი, მერე მის ოჯახში მივედი და მამამისს ოფიციალურად ვთხოვე მისი ხელი. მიხარია, რომ არჩევანში გამიმართლა: ირმა ძალიან კარგი მეუღლე და დედაა.

— ვიდრე მის მშობლებთან ოფიციალურად გაარკვევდით ურთიერთობას, თავად ირმა როგორ დაიყოლიეთ?

— ანანურში წაიყვანე და ხელი ვთხოვე... ძალიან ლამაზი დღე იყო.

— ე.ი. რომანტიკოსი ხართ?

— სხვათა შორის, რომანტიკოსი არა ვარ. ამით არ ვამაყოფ, ვწუხვარ, მაგრამ... ისე, ქალს ანანურში რომ წაიყვანე და სიყვარულს იქ აუხსნი, ესეც ხომ თავისებური რომანტიკაა?!

— ალბათ კი. ბატონო გუბაზ, შეყვარებული დიდი ხანი იყავით?

— არა, ერთ თვეში მოვაგვარე ყველაფერი. მაშინ მე 30 წლის ვიყავი, ის — 17-ის. 13 წლით უფროსი ვარ.

— მეუღლეს თქვენზე გარკვეული გავლენა სომ არა აქვს?

— არც ერთმა მამაკაცმა არ დაიტრიაბასო, რომ ცოლს მასზე გავლენა არა აქვს, მაგრამ გავლენასაც გააჩნია. ირმა ჩემზე მხოლოდ დადებით გავლენას ახდენს. შინ მისვლა მიხარია: ვიცი, რომ იქ სიტბო, სინყნარე და სიმყუდროვე დამხვდება. ერთი შეხედვითვე მატყობს, რა ხასიათზე ვარ. თუ მიხვდა, რომ წერვები მაქვს მოშლილი, საოჯახო პრობლემებზე არ მელაპარაკება.

— წერვები ხშირად გაქვთ მოშლილი?

— წერვების მოშლის რა მოგახსენოთ, მაგრამ უგუნებობა კი დამჩემდა ბოლო დროს. თქვენი ჟურნალის საშუალებით მიინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს მეუღლეს და დედაჩემს. ის გმირი ქალია: მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობაში დიდი ტრაგედია გადაიტანა (ჩემი უფროსი ძმა დაიღუპა), სულით არ დავცა და დანარჩენი შეილებს სათანადოდ მოგვხვდა. სხვათა შორის, ლევან სანიკიძე

ქვეყანამ რომ გაიცნო და შეიყვარა, ესეც დედაჩემის დამსახურებაა.

— თქვენი უფროსი ძმა რითი გარდაიცვალა?

— ჩემს ძმას, კახაბერ სანიკიძეს სისხლის გათეთრება ჰქონდა და 5 წლის ასაკში გარდაიცვალა. ეს ყველასთვის დიდი ტკივილი იყო... მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც დიდ სიყვარულში ვიზრდებოდით, ბავშვობიდანვე ვეზიარეთ მარადიულ ღირებულებებს. ჩემს ოჯახში სულ იყო საუბარი ისეთ საკითხებზე, როგორცაა სიყვარული, სამშობლოსთვის თავდადება, სირცხვილის შეგრძნება...

— თქვენი პროფესიონალური არჩევანი ოჯახის გავლენით იყო განპირობებული?

— რა თქმა უნდა. მამას ან დედას არ დაუძალებია — გინდა თუ არა, წიგნი იკითხეო, მაგრამ სახლში, სადაც ვიზრდებოდი, უმდიდრესი ბიბლიოთეკა იყო და ჩემდა უნებურად გამიჩნდა წიგნებისადმი ინტერესი.

— როგორ ფიქრობთ — წარმატებული პოლიტიკოსი ხართ?

— 1989 წლიდან პოლიტიკაში ვარ და ვფიქრობ, რომ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება დამიგროვდა. არა მაქვს იმის პრეტენზია, რომ კარგად ვერკვევი ეკონომიკაში, მედიცინაში და სხვა საკითხებში, მაგრამ მაქვს პრეტენზია, რომ ვიცი, როგორი უნდა იყოს ჩვენი ქვეყანა, ადმინისტრაციულად როგორ უნდა იყოს მოწყობილი, როგორი პოლიტიკა უნდა ვანარმოოთ ქვეყნის შიგნით და როგორი — ქვეყნის გარეთ.

— როგორც ვიცი, მონარქის მომხრე ხართ.



1989 წლიდან პოლიტიკაში ვარ





— დიას, მე ძველი მონარქისტი ვარ.

— როდესაც საქართველოში მონარქიული წყობილების დაბრუნებაზე ფიქრობთ, ქართველი კაცის ამბიციურ ხასიათს თუ ითვალისწინებთ?



მაშინ მე 30 წლის ვიყავი, ის — 17-ის. 13 წლით უფროსი ვარ

— დიას, ვითვალისწინებ. მონარქიული წყობილება სწორედ ქართული ამბიციების მოთხოვნის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ქვეყანაში პირველი კაცის პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოიხსნება.

— ამის ფიქრის საფუძველს რა გაძლევთ?

— ეს პრობლემა საქართველოში საერთოდ არ არსებობდა, როდესაც ჩვენს ქვეყანას ბაგრატიონები მართავდნენ. ამ გვარის დამხობა და ტახტიდან ჩამოგდება არავის უცდია.

— აბა, ბალავაშვი რას ცდილობდნენ?

— ბალავაშვებს ბაგრატიონების დამხობა კი არა, მათი ხელისუფლების შეკვეცა უნდოდათ. ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ გარკვეული სტერეოტები გვაქვს ჩამოყალიბებული, რეალობა კი სხვა იყო... ლიპარიტ ბალავაშვი ბაგრატი II რამდენჯერმე დაამარცხა, მაგრამ მისი ტახტიდან ჩამოგდება არც კი უფიქრია. გარნმუნებთ, საქართველოში მეფის გვირგვინი საკუთარ თავზე არც ერთ დიდებულს არ მოუხოშია.

— თქვენი აზრით, ისეთი ღარიბი ქვეყნის ბიუჯეტს, როგორც საქართველოა, სამეფო ოჯახის შენახვა მიმე ტვირთად არ დაანგება?

— არა, სამეფო ოჯახის შენახვა იმის ნახევარიც არ დაჯდება, რაც პრეზიდენტის ოჯახის შენახვა და საპრეზიდენტო არჩევნები გვიჯდება.

— თუ არ ვცდები, ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენის პირველი მცდელობა, დავით და ანა ბაგრატიონების განქორწინების შემდეგ მარცხით დამთავრდა.

— დიას, ეს სამწუხარო რეალობაა. ჩემი აზრით, ეს ამბავი ნაჩქარევად გადაწყდა და მარცხითაც იმიტომ დამთავრდა. მე თუ მკითხავთ, ჩვენი

დედოფალი აფხაზი უნდა იყოს. ეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული პრობლემის მოგვარებას შეუწყობდა ხელს.

— ამ საკითხზე აფხაზებთან თუ გქონიათ საუბარი?

— მქონდა და აფხაზებისგან თანხმობაც მივიღე. გვინდოდა, რომ ეს ამბავი საიდუმლოდ მოგვეგვარებინა, მაგრამ მერე სიტუაცია შეიცვალა და არასწორი არჩევანი გავაკეთეთ. ისე, მე იმედი ჯერ კიდევ არ დამიკარგავს.

— ამ საკითხის მოგვარება საიდუმლოდ რატომ გინდოდათ?

— იმიტომ, რომ მონარქიის აღდგენა ბევრ გავლენიან ძალას არ აძლევს ხელს — როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. საბოლოოდ დავრწმუნდი იმაშიც, რომ ახლა საქართველოში მონარქიის აღდგენა ნაადრევია. ჯერ ფეხზე მყარად უნდა დავდგეთ, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა დავალაგოთ და ამ საკითხს მერე მივხედოთ.

— საშინაო და საგარეო პოლიტიკის დალაგების პერსპექტივას ახლო მომავალში ხედავთ?

— თქვენ წარმოიდგინეთ, ახლო მომავალში ვხედავ. დღეს საქართველოში პრობლემები იმიტომ არ გვარდება, რომ ჩვენს ხელისუფლებას საამისო ნება არა აქვს.

— თქვენი აზრით, დღეს ხელისუფლებამ რომ მოინდომოს, აფხაზებსა და ცხინვალს დაიბრუნებს?

— არის პრობლემები, რომელთა მოგვარებას 10 წელი სჭირდება და პრობლემები, რომელთა მოგვარება 2-3 წელიწადშია შესაძლებელი, მაგრამ — მხოლოდ ეროვნული მთავრობის პირობებში. ჩვენს ქვეყანაში არსებულ პრობლემებს მხოლოდ ის ხელისუფლება მოაგვარებს, რომელიც საკუთარ სამშობლოში უცხო ქვეყნის ინტერესებს არ გაატარებს.

— საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შესაძლებლად მიგაჩნიათ, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ სრულიად დამოუკიდებლად, მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების მიხედვით მართოს ქვეყანა?

— სხვისი ქვეყნის ინტერესები ისე უნდა გავატაროთ, რომ საკუთარ ქვეყანას არ ვავნოთ. მერწმუნეთ, ეს უფრო ადვილია, ვიდრე რომელიმე პოლუსისკენ გადახრა და ვინმეს გვამში შექრომა. ბატონის გამოცვლა პრობლემას არ მოგვისხნის. პატივს მხოლოდ მაშინ გვცემენ, როდესაც ბატონი საერთოდ არ გვეყოლება და როდესაც მათხოვრობას შევწყვეტთ. სააკაშვილის ხელისუფლება უცხო ქვეყნის ინტერესებს იმიტომ კი არ ატარებს, რომ სხვანაირად არ შეი-

ძლება, არამედ იმიტომ, რომ როგორმე ერთი-ორი ლუკმა გადმოუგდონ. ჩვენი ტელეკომპანიები დიდი სიამაყით გადმოსცემენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ქვეყანა ფულად დახმარებას გვინვეს. მე კი ამის გამო ძალიან მრცხვენია. მე იმისიც შემრცხვა, აგვისტოს ომის დროს ჩემი ქვეყნის მთავარსარდლის შეშინებულ თვალები მთელმა მსოფლიომ რომ ნახა. ეს კაცი ჩვენ მსოფლიო მასშტაბით გვარცხვენს.

— თქვენ რომ აღმოჩენილიყავთ სააკაშვილის მსგავს სიტუაციაში, არ შეგეშინებოდათ?

— შეიძლება, შემშინებოდა, მაგრამ აუცილებლად გავაკონტროლებდი თავს. ოჩამჩირეთი ერთი თვე ვიყავი. გააფთრებულ ბრძოლაში არ ჩავბმულვარ, მაგრამ ერთ-ორ შეტაკებაში მოყვევი და შიშს ნამდვილად არ ავუტანიავარ. იმის შემდეგ ფრონტის წინა ხაზზე წასვლის სურვილიც კი მქონდა, მაგრამ ამოცდილმა მეომრებმა მითხრეს, — არ შეიძლება შენი იქ გასვლა, ძალიან დიდი ხარ და კარგი სამიზნე იქნები. სხვათა შორის, ზოგს არ სჯერა, მაგრამ მე ვიცი, რომ უშიშარი ადამიანებიც არსებობენ, მათ სამედიცინო ტერმინით ასე იხსენიებენ — „ომზე გაშლევებულნი“. ქართველებს ასეთი უშიშარი — სიმონ მეფე და გიორგი პირველი გვყავდნენ. ალბათ იცით, რომ გიორგი პირველს „უშიში, ვითარცა უხორცო“ შეარქვა ქართველმა ხალხმა. შემიძლია დაგიფიცოთ — როდესაც შეშინებული და გაქცეული სააკაშვილი დავინახე, გული კინაღამ გამისკდა. ვიღაცებს გაუხარდათ, მაგრამ მე ძალიან შემრცხვა. მან ხომ იმ წუთში მსოფლიოს ქართველი კაცის სახე დაანახვა.

— სააკაშვილის მიერ ქვეყნის მართვის ფორმა არ მოგწონთ. თავად თუ გაქვს რაიმე პროგრამა, რომელშიც ქვეყანაში არსებული პრობლემების მოგვარების გზებია ნაჩვენები?

— ჩვენ სწორედ ახლა ვმუშაობთ ამ პროგრამაზე და უახლოეს მომავალში პრეზენტაციაზეც მოგინვევთ. ეს არ არის სურვილების კრებული, ეს არის გადანყვეტილებები, რომლებიც ზუსტ ვადებშია განწერილი.

— ხელისუფლებაში მოსვლის იმედი გაქვთ?

— არ ვიცი, რა იქნება ხვალ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ არჩევნებში კარგ შედეგებს მივიღებთ. იმის თქმაც შემიძლია, რომ „ფორუმის“ პოზიცია იქნება იმის განმსაზღვრავი, თუ ვინ მოვა ხელისუფლებაში სააკაშვილის შემდეგ.

— ეს როგორ?

— დღეს ქართულ პოლიტიკაში 4





მთავარი მოთამაშეა (სხვებსაც პატივს ვცემ, ჩემი მეგობრები არიან, მაგრამ სიმართლე ასეთია): ირაკლი ალასანიას „ალიანსი“, „ეროვნული ფორუმი“, ბურჯანაძე და ლეიბორისტული პარტია. ამ ოთხიდან ის გამარჯვებულს ვის მხარეზეც „ფორუმი“ დადგება... ახლა ისეთი რამ გაგიმხილეთ, რაზეც საჯაროდ საუბარი არ შეიძლება.

**— მაშინ ისიც გამიმხილეთ, ვის მხარეზეც არაა აპირებთ?**

— ეს ჯერ არ გვაქვს გადაწყვეტილი.

**— აქცენტს მაინც რაზე გააკეთებთ — პარტნიორის სანდოობაზე, მის პოლიტიკურ წარსულზე, გავლენაზე თუ კიდევ არის რაღაც სხვა?**

— კიდევ არის რაღაც სხვა... პარტნიორის არჩევის დროს ძალიან ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი. ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვანი სულაც არ არის მოკავშირის სანდოობა ან პატიოსნება, ან თუნდაც პოლიტიკური წარსული. ყველაფერი მაინც პოლიტიკურ მიზანშეწონილობაზეა დამოკიდებული. მართალია, ძალიან მესიმაპათიურება ირაკლი ალასანია, კახა შარტავა კი მისი უახლოესი მეგობარია, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, მოკავშირედ სხვა პარტია ავირჩიოთ. ისე, არც იმას გამოვრიცხავ, რომ „ფორუმი“ მარტო დარჩეს.

**— ეი. პოლიტიკაში მართლა არ არსებობენ მეგობრები?..**

— დიახ, პოლიტიკაში მხოლოდ მოკავშირეები არიან — ეს მარტივი ფორმულაა. უფრო მეტსაც გეტყვით — „მიზანი ამართლებს საშუალებას“, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე სამშობლოს ეხება და არა პირად კეთილდღეობას.

**— ბატონო გუბაზ, როგორ ფიქრობთ — ის ადამიანებიც დაგიჭერენ მხარს, რომლებსაც ერთ დროს საქონლები უწოდებდნენ?**

— არა, ისინი მხარს არ დამიჭერენ.

**— თქვენს ამ შეფასებას ხომ არ ნანობთ?**

— არა. სხვათა შორის, მე მაშინ ბევრის სათქმელი ვთქვი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქონელი სულთ და გულთ „მიმისტებს“ კი არა, იმ ადამიანებს ვუნოდე, რომლებიც ნახევარ კილო შაქარსა და 20 ლარზე გაიყიდნენ. საქონელი, იცით, რითი განსხვავდება ადამიანისგან?.. თუ თევზს დაუყრი, შეჭამს, თუ არ დაუყრი — არ მოგთხოვს და არც გისაყვედურებს; სახრეს რომ გადაპკრავ, არ გკითხავს, რატომ მირტყამო? — უბრალოდ, გაიქცევა. აი, ზუსტად ასეთები იყვნენ ის ადამიანები, ვინც მაშინ „ნაცმოძრაობას“ დაუჭირეს

მხარი. ასე რომ, სიტყვა უკან არ მიაქვს და კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ჩვენი მოსახლეობის ერთი ნაწილი არის საქონელი, სააკაშვილი კი — ფერმის გამგე. დღეს დანაშაულია, „ნაცმოძრაობისგან“ 20 ლარს იღებდე... ადამიანები ხშირად მეუბნებიან — გულთ თქვენგან ვარ, მაგრამ რაზე რომ ვთქვა, სამსახურს დავკარგავო. ეს არ არის სწორი მიდგომა. გაჭირვება არ ამართლებს უზნეობას. ბაბუაჩემი — დავით სანიკიძე ომის დროს, მარუხის უღელტეხილზე დაიღუპა, ბები-აჩემმა — ნინო გელოვანმა 5 შვილი ისე გაზარდა, რომ ქვეყნისა და სხვა ადამიანისთვის საზიანო საქმე არ გაუკეთებია. რაჭაში, მიყრუებულ სოფელში — ზემო გუფეურში საუკეთესო შვილები აღზარდა; ბოლოს და ბოლოს, ლევან სანიკიძის დედა იყო! მაშინ მთელ საქართველოს უჭირდა, მაგრამ ადამიანები საკუთარ მრწამსს არ ღალატობდნენ. თუ ვინმე გეტყვით, ეს ადამიანი გაჭირვებამ გააფუჭაო, არ დაიჯეროთ. ის თავიდანვე გაფუჭებული იქნებოდა.

**— ფიქრობთ, რომ შარშან ოპოზიციამ მხოლოდ იმიტომ ვერ მიაღწია წარმატებას, რომ ხელისუფლებამ ხალხის ერთი ნაწილი 20 ლართა და კილო-ნახევარი შაქრით მოიყიდა?**

— არა, ჩვენ სერიოზული შეცდომა დაფუშვით. 3 თვის განმავლობაში გამოვდიოდით საერთო ფრონტით, მაგრამ შედეგს ვერ მივაღწიეთ. ამის მიზეზი ის იყო, რომ შედეგზე არ ვიყავით შეთანხმებულები. იმის თქმა, — ჯერ სააკაშვილი გავისტუმროთ და მერე გადავწყვიტოთ, ვის მოვიყვანთო, — არასწორი აღმოჩნდა. ახლა სააკაშვილის გადადგომაზე მნიშვნელოვანი ისაა, თუ ვინ იქნება მისი შემცვლელი, თორემ ამ კაცმა მწვერვალები რომ გაიარა და უკვე დაღმართზე მიექანება, ეს ცხადია. ერთ-ერთი დიდი შეცდომა ოპოზიციური ძალების მექანიკური გაერთიანებაც იყო. ძალები, რომლებსაც სრულიად განსხვავებული შეხედულებები გვქონდა, ერთად არ უნდა დავმდგარიყავით.

**— კულუარული ინფორმაციით, ხელისუფლება ცდილობს, პარლამენტში შესვლაზე დაგითანხმდეთ. რამდენად შესაძლებელია, რომ მართლაც გიხილოთ პარლამენტში?**


— გამორიცხულია! ეს ახირება არ არის. პოლიტიკოსისთვის მთავარი, თანამდებობა კი არა — გავლენაა. მე არ მჯერა, რომ თუ პარლამენტში შევალ, უმრავლესობა რაიმე საკითხთან დაკავშირებით ჩემს აზრს გაითვალისწინებს. უფრო მეტიც: დარწმუნებული ვარ — ჯობრზე არ დამთანხმებინან არაფერში და ცოცხალ გვაშობას მე ნამდვილად არ ვაპირებ.

**— თქვენს პოლიტიკურ შეხედულებებს ოჯახის წევრები თუ იზიარებენ?**

— იზიარებენ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მე მინდა ასე — უბრალოდ, ოჯახში ერთსულოვნება გვაქვს. საოცარი შვილები მყვანან: მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პატარები არიან (ლევანი 10 წლისაა, ნინო კი — 8 წლის), უკვე ჩამოყალიბებული პიროვნებები არიან. ყველა საკითხზე აქვთ საკუთარი აზრი... ისე, მარტო ჩემი შვილები კი არ არიან ასეთი ჭკვიანები — ზოგადად, თაობაა განსაკუთრებული. ასე მგონია, მათი სახით საქართველოს ოქროს მადანი აქვს. ჩემი ლევანი უკვე ჟიულ ვერსა და მაინ რიდს კითხულობს.

**— საკითხავ ლიტერატურას თქვენ ურჩევთ?**

— არა, რას ამბობთ?! თვითონ კითხულობს, რაც დაინტერესებს. სხვათა შორის, არც მე მირჩევდა მამაჩემი წასაკითხ წიგნებს. ბევრს ეგონა, რომ ლევან სანიკიძე თავის შვილებს კალთაში ისვამდა და საინტერესო ამბებს უყვებოდა. სინამდვილეში, არ მახსოვს, მამას ჩემთვის რაიმე მოეყოლოს ან რომელიმე წიგნის წაკითხვა ერჩიოს. დავბორიალებდი ბიბლიოთეკაში და ჩემით ვარჩევდი რაღაცებს.



გუბამ სანიკიძის ცოლ-შვილი

**— ახლა თუ კითხულობთ რაიმე წიგნს?**

— კი, სამს ერთდროულად. წესად მაქვს — დილით ერთს ვკითხულობ, შუადღისას — მეორეს, ძილის წინ — მესამეს. ზოგს კითხვა მუშაობა ჰგონია, ჩემთვის ეს დასვენებაა. უფრო მეტსაც გეტყვით: ღამით თუ რამდენიმე ფურცელი მაინც არ წავიკითხე, ვერაფრით დავიძინებ... ■



# ჟურნალი „ბომონდი“ — გამორჩეული და საინტერესო

სულ რამდენიმე თვეა, რაც ჟურნალი „ბომონდი“ ახალი მთავარი რედაქტორი ჰყავს. მანამდე ამ მოვალეობას რეჟისორი და კლიპმეიკერი გიგა აგლაძე ასრულებდა, ახლა კი მისი ადგილი მისმა მეუღლემ, თამაზ აბლაძემ დაიკავა. რა სიახლეებს შეიტანს ახალი რედაქტორი „ბომონდში“ და რატომ გადაულოცა თავისი თანამდებობა გიგამ მეუღლეს, ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

## ნათია ჟივიძა

— თეა, „ბომონდის“ მთავარი რედაქტორი შენი მეუღლე იყო, რატომ გადამოგაბარა თავისი მოვალეობა?

— უკვე სამი წელია, რაც სამოდელიო სააგენტო მუშავებ, რომელსაც „სლაიდი“ ჰქვია. ამის მეშვეობით ჟურნალ „ბომონდთან“ მჭიდრო ურთიერთობა მქონდა, რადგან ჩემს მოდელს ჟურნალისთვის ხშირად იღებდნენ. გარდა ამისა, „ბომონდის“ მოდის განყოფილების რედაქტორი ჩემი მეგობარია. მას ჰქონდა რუბრიკა „გოგონა სლაიდიდან“, ახლა გიგა სამოდელიო ბიზნესზე მხატვრულ ფილმს იღებს, რომელსაც ასევე „გოგონა სლაიდიდან“ ჰქვია. ფილმში ჩემი სააგენტოს მოდელები მონაწილეობენ, მათ კოსტიუმებზე კი მე ვზრუნავ. ფილმის გადაღება უკვე თითქმის დასრულებულია. 3 დეკემბერს საქართველოს ყველა კინოთეატრში მისი პრემიერა გაიმართება. იმის გამო, რომ გიგა დიდ განაშენიანებას, მენდო და ჟურნალის რედაქტორობა მე გადამოგაბარა. მართალია, პროფესიით ჟურნალისტი არ ვარ, მაგრამ ყოველთვის მაინტერესებდა ეს სფერო.

— და რა სიახლეები შეიტანე ჟურნალში?

— გიგა რომ ჟურნალის რედაქტორი გახდა, ბევრი სიახლე შეიტანა. უამრავი საინტერესო რუბრიკა შემოიღო, რომელიც ძალიან მომწონს. ჩვენს ჟურნალში ყველა ადამიანი ვერ მოხვდება, რადგან ჩვენ ყვითელი პრესა არ ვართ. არავის პირადი ცხოვრება არ გვინტერესებს. ჩემი „ბომონდში“ მოსვლით ჟურნალის სტილი არ შეიცვლება, უბრალოდ, განსხვავება ის არის, რომ მოდაზე ცოტა მეტს დავწერთ. ისე, რამდენ-

იმე ახალი რუბრიკაც შემოვიღე. შესაძლოა, ადამიანი საზოგადოებისთვის ცნობილი არ იყოს, მაგრამ რაღაცით საინტერესო და გამორჩეული აღმოჩნდეს. ამიტომ ვინტერესდებით მისით და მასთან ინტერვიუს ვწერთ.

— უცნობ ადამიანთან ჩანწერილი ინტერვიუ რამდენად კომერციული იქნება ჟურნალისთვის?

— კომერციული არ იქნება, მაგრამ ჟურნალს უხდება ასეთი სტატიები. გვაქვს ასევე რუბრიკა — სტილი, სადაც ადამიანი ჰყვება იმის შესახებ, თუ რა აცვია დასვენების დროს, მეგობრებთან სტუმრობისას ან სამსახურში. ეს მკითხველისთვის, ვფიქრობ, რომ საინტერესოა. გვაქვს ასევე ახალი რუბრიკა — აქცენტები, სადაც განვიხილავთ, თუ რომელ მაღაზიაში რა ბრენდის ტანსაცმლის შეძენა შეიძლება. გარდა ამისა, რაც მე „ბომონდის“ რედაქტორი ვარ, ჩვენი ჟურნალი უფრო თემატური გახდა. მაგალითად, ერთი ნომერი კინოს ეძღვნებოდა, მეორე — მუსიკას და ა.შ. ახალი წელი მოდის და რასაკვირველია, ახალი ნომერი ამ დღესასწაულს მიეძღვნება. ხალხს ვურჩევთ, თუ როგორ უნდა ჩაიცვან და როგორ მოიქცნენ ახალ წელს... მოკლედ, დარწმუნებული ვარ, მკითხველს ჩვენი ჟურნალი დაინტერესებს.

— ახალ ნომერში კიდევ რა სიახლეები გექნება?

— ავთანდილის ექსკლუზიური კოლექციის გადაღებას გვგეგმავთ, რომელიც პომპეზური და მასობრივი იქნება. ფოტოსესიას საშა პრიშვინი სამხატვრო აკადემი-

ის „ბრჭყვიალა დარბაზში“ გადაიღებს. ესეც განსხვავებული რამ იქნება. ამ კოლექციაში „კოქტეილის კაბები“ა, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ თუ მკითხველს საახალწლო წვეულებაზე წასვლა სურს, შეუძლია, ეს კოლექცია გამოიყენოს. ადრე მსგავსი გადაღება გეგონდა, რომელსაც „აგრესია მოდაში“ ერქვა, მაგრამ ის ერთ კონკრეტულ დიზაინერს არ ეკუთვნოდა. ახლა კი ყველაფერი სპეციალურად ავთანდილისთვის კეთდება. ამ გადაღებაში მონაწილეობას ბევრი მოდელი მიიღებს.

— ის გოგონები შენი სააგენტოდან არიან?

— აუცილებელი არ არის, „სლაიდის“ მოდელი იყოს. ამ შემთხვევაში ავთანდილს ვუთანხმდები. მას რომელი გოგონაც მოეწონება, ჩვენებამი მონაწილეობას ის მიიღებს. მათ







რიცხვში, რასაკვირველია, „სლაიდის“ მოდელბიც არიან, მაგრამ მე სხვა სამოდულო სააგენტოებთანაც ვთანამშრომლობ. გიგა ფილმს ჩემს სააგენტოზე იღებს, მაგრამ ჩვენ კასტინგი ჩავატარეთ და სხვა სააგენტოს მოდელბიც მოვიწვიეთ. ასე რომ, მიკერძოებული ადამიანი ნამდვილად არ ვარ. ყველაფერს ობიექტურად ვაფასებ.

**— რამდენად მკაცრი ან მეგობრული რედაქტორი ხარ?**

— საერთოდ მეგობრული ადამიანი ვარ. ახლა ჩემი გრაფიკი ასე განაწილდა: დღის პირველი ნახევარი „ბომონდს“ ეკუთვნის, მეორე ნახევარი კი — სააგენტოს. მკაცრი ადამიანი არ ვარ, თუმცა ხანდახან ჩემს მოსაზრებას ჟურნალისტს პირდაპირ ვეუბნები და მგონი, ზოგჯერ ცოტა უხეშად გამოძის. მიუხედავად ამისა, რედაქტორობა ძალიან მომწონს. არ უნდა ვამბობდე, მაგრამ საკუთარი შრომის შედეგიც მომწონს. თვითკმაყოფილი არ ვარ, პირიქით, იმისთვის ვიბრძვი, რომ ჩვენი ჟურნალი უკეთესი გახდეს. რაც შეეხება ჩემს „გაჟურნალისტებას“, მხოლოდ რედაქტორის გვერდს ვწერ და ყველას მოსწონს. როცა ჟურნალისტს რაიმე სახის დავალებას ვაძლევ, უკვე წარმოდგენილი მაქვს, ის მასალა როგორი უნდა იყოს. თუ ისეთი არ გამოვა, როგორც წარმომიდგენია, კომპრომისზე არ მივდივარ, ჟურნალისტს საყვედურს ვეუბნები, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ასეთი შემთხვევა იშვიათია. ჩემი ჟურნალისტები ძირითადად კარგად მიგებენ და მათი კმაყოფილი ვარ. სხვათა შორის, მკითხველისგან უკვე უამრავი მადლობა მოგვივიდა. ასეთი ფაქტორები რედაქტორისთვის საკმაოდ სასიამოვნოა.

**— როცა გიგა ჟურნალის რედაქტორი იყო, ახალი რუბრიკა შემოიღეს, სადაც არამოდელ ადამიანს საკმაოდ საინტერესო ფოტოებს უღებდნენ. მაგალითად, ერთხელ ბასა ფოცხიშვილის ორიგინალური ფოტოები შემოგვთავაზეს. აპირებთ ამ რუბრიკის გაგრძელებას?**

— მართალია, საკმაოდ საინტერესო პროექტი იყო, მაგრამ ბასას გადაღების მერე აღარ გაგრძელდა. ბოლო დროს მთლიანად ფილმით ვიყავით დაკავებული და მსგავსი იდეების განხორციელება ვერ შევძელით. როგორც უკვე გითხარით, მომდევნო ნომერში ავთანდილის კოლექციას ვიღებთ, მერე კი იმ რუბრიკასაც მივხედავთ. აუცილებლად გადავიღებთ ცნობილ ადამიანებს მათთვის აბსოლუტურად განსხვავებულ ამპლუაში. დარწმუნებული ვარ, ეს ჩვენს ჟურნალს ძალიან მოუხდება.

# „საქართველოში ჩემი ფესვებმა ჩამოიყვანა“ ..

## როსტოველი ქართველი ანუ ქართული მოუზიზნისის ახალი სახე

მაშინ, როდესაც ქართულ შოუბიზნისში განსაკუთრებული არაფერი ხდება და მომღერლები აქტიურობით მინცვდამინცვ აღარ გამოირჩევიან, უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთიდან საქართველოში ჩამოდის ქართველი გოგონა, რომელიც ამ სფეროში კარიერის დაწყებას აპირებს. სწორედ ამის დასტურია ის, რომ გასულ კვირას სოფიკო ტიკვაძემ, ჩვენთვის სრულიად უცნობმა ადამიანმა ჟურნალისტები თავისი პირველი მუსიკალური კლიპის პრეზენტაციაზე დაგვპატიჟა...

**— ლალი ფაჩია**

— იმის გამო, რომ როსტოვში დავიბადე და გავიზარდე და თან დედა რუსი მყავს, ლაპარაკი ქართულად ცოტა მიჭირს, მაგრამ ახლა ვცდილობ, ენა კარგად ვისწავლო. ქართულის მასწავლებელთან დავდივარ და გულმოდგინედ ვმეცადინეობ... ისე, საქართველოში სისტემატურად ჩამოვდიოდი, რადგანაც მამას ნათესავები — ბებია, ბაბუა, ბიძა აქ მყვანან.

**— მამა აქ არის დაბადებული?**

— კი, საქართველოშია დაბადებული. სკოლის დამთავრების შემდეგ როსტოვში სასწავლებლად ჩავიდა, სადაც დედაჩემი შეირთო ცოლად და იქ დარჩა კიდევც. მე სკოლა და სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი როსტოვში დავამთავრე. 24 წლის ვარ. მყავს უმცროსი ძმა — დავითი, რომელიც 20 წლის გახლავთ. თავიდანვე ხელოვნებით ვიყავი გატაცებული. ვოკალში მუდმივად ვმეცადინეობდი.

**— კარგი გარეგნობა გაქვს; მოდელიზაცია არასდროს გიცდია?**

— მოდელიზაცია არა, მაგრამ 16-18 წლის ასაკში ფოტომოდელიზაციაში ვიყავი დაკავებული. 2003 წელს სამხრეთ რუსეთის საუკეთესო ფოტომოდელი გახვდით; იმ წელსვე რუსეთში „ფარმაკოსმეტიკისის“ (იტალიური კოსმეტიკა, რომელიც რუსეთში ვრცელდება) სახეც გახლდით. ასე რომ, ფოტომოდელის გამოცდილება მაქვს. მაგრამ ეს საქმიანობა უფრო ჩემი ბავშვური გატაცება იყო. შემდგომში ამ მიმართულებით წასვლა აღარ მომიხდა და გადავედი მოსკოვში, სადაც ოჯახურ დუეტთან — თეიმურაზ და ლიზა ბოჯგუბთან თანამშრომლობა დავიწყებ. მათთან კარგა ხანს ვიმუშავე. თეიმურაზი



საავტორო სიმღერებს მიწერდა, რომელსაც კონცერტებზე ვმღეროდი (ერთად გამოვდიოდით). ასე რომ, სასიმღერო და სასცენო გამოცდილება ძირითადად, მათთან მუშაობისას დამიგროვდა. შემდეგ მე და ჩემმა ოჯახმა გადაწყვიტეთ, თბილისში გადმოვსულიყავი და კარიერა აქ გამეგრძელებინა, პირველი ნაბიჯები სოლო კარიერაში აქ გადავმეგა. მადლობა მინდა გადავუხადო მუსიკოსს, რეჟისორსა და პროდიუსერს — გიგა კუხიანიძეს: ამ გზის გასაყარზე აქ მის ხელში მოვხვდი. მან ზღაპრული სიმღერა — „შენ ჩემთვის უცხო ხარ“ დამიწერა. ეს რუსული სიმღერა გახლავთ, რადგანაც ჯერჯერობით ქართული მიჭირს (რუსული ტექსტი მაკა დავითიას ეკუთვნის). ამ ნამუშევარზე კლიპი თვითონ გიგამ გადავიღო. პროექტით კმაყოფილი ვარ და ვიმეორებ, გიგასა და მისი ჯგუფის მადლიერი ვარ. ეს ვიდეორგოლი „მიუზიკბოქსსა“ და „სტერეოზე“ იტრიალებს, ხოლო სიმღერა — ერთერთ რადიოში.

**— საერთოდ, საქართველოში როდის დაბრუნდი და თანამშრომლობა გიგასთან როდის დაიწყე?**

— ამ წლის თებერვალში ჩამოვედი და მუშაობაც გიგასთან მაშინვე დავიწყე... კლიპში ჩემთან ერთად, მსახიობი კახა შარტავა მონაწილეობს. სიმღერა უიმედო სიყვარულზეა. ჩემი გმირი ერთი უბედური გოგონაა, რომელიც ამ სიყვარულის გამო საშინლად იტანჯება, მაგრამ მოგვიანებით



მასში რაღაც საოცარი გრძნობა იღვიძებს, სძლევს ყველა წინააღმდეგობას და იმარჯვებს!.. მიუხედავად ყველაფრისა, ის მაინც ძლიერ ქალად რჩება.

— რა გეგმები გაქვს და როგორ ფიქრობ, რა მოჰყვება შენს პირველ ნაბიჯებს?

— მთავარია, პირველი ნაბიჯები სწორი იყოს... იმედი მაქვს, რომ პუბლიკა მეც და ჩემს შემოქმედებასაც დადებითად მიიღებს. ჩვენ ბევრი ვეცადეთ და ნაყოფიერად ვიმუშაოეთ. აღნიშნულ პროექტში გულის ნაწილი ჩავდეთ. ახლა კი როგორც უკვე გითხარით, ქართულში ვმეცადინებო და კიდევ უფრო იმისთვის, რომ მომდევნო სიმღერა ქართულად ჩავწერო. ის წინასწარ განსხვავებით, უფრო ცოცხალი და ხალისიანი იქნება. ამის შემდეგ კი ჩემს რეპერტუარში აქცენტი ქართულ სიმღერებზე გაკეთდება.

— საქმე კარგად რომ არ აენკოს, როსტოვში უკან ხომ არ დაბრუნდები?

— მე საქართველოში საბოლოოდ ჩამოვედი. აქ თითქოს ჩემმა ფესვებმა დაამბრუნა. თუმცა იმას ვერ გეტყვით, რომ როსტოვში აღარ ჩავალ-მეთქი. იტალოპოპს ახლობლების მოსანახულებლად პერიოდულად ვვხვები.

— აქ ვისთან ხარ?

— ჩემს სახლში ვცხოვრობ. დიდი ხანია, აქ ჩვენი ბინა გვაქვს. ახლა იქ მე და ჩემი ძმა ვართ. ჩემი ძმა ყველაფერში მხარში მიდგას და მეხმარება (სხვათა შორის, ის კიბოტოქსინგში ევროპის ორგანიზაციის წევრია, რუსეთის არაერთგზის ჩემპიონი და მოყვარულთა შორის 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონია)... თუმცა კი ჩემს შემთხვევაში ყველაფერი მამაჩემის წყალობით ხდება; უდიდეს სტიმულს მაძლევს.

— ვინ არის მამა?

— მერაბ თევზაძე. ის როსტოვის ოლქის ქართული დიასპორის საპატიო პრეზიდენტია. მამა წლების მანძილზე, იტაური ქართველებისთვის დავით აღმაშენებლის სახელზე ზეიმებს აწყობდა, იმართებოდა კონცერტებიც, სადაც მეც გამოვდიოდი და ვმღეროდი.

— როსტოვში ბევრი ქართველი ცხოვრობს?

— საკმაოდ, მაგრამ ბევრი უკვე სამშობლოს დაუბრუნდა...

— ვიცი, რომ იქ ერთ-ერთ ლონისძიებაზე ჩვენმა სახელმწიფო მინისტრმა დიასპორების საკითხებში იულონ გაგომიძემ — განახა და საქართველოში ჩამოსვლისკენ მოგინოდა...

— კი, მამას მიერ მოწყობილ ზეიმებზე ყოველთვის ბევრი საინტერესო და საპატიო სტუმარი ჩამოდიოდა. ბატონი იულონი დავითობაზე გვეწვია. ახლა აქ რომ ვარ და საერთოდ, საქართველოში დავფიქრებდი, ეს მამაჩემის დამსახურებაა, მაგრამ ბატონი იულონის მოწოდებამაც იმოქმედა — თუნდაც იმ მხრივ, რომ ჩემი ჩამოსვლა დააჩქარა. ის ხომ უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს გამუდმებით მოუ-

წოდებს, სამშობლოში დაბრუნდნენ...

— როგორც გატყობ, იმედი გაქვს, რომ ქართულ შოუბიზნესში ადგილს დაიმკვიდრებ...

— დიახ. საინტერესო გეგმებიც მაქვს. მინდა, რომ აქ განვეითარდე. ჩემი პირველი სიმღერა მართალია, ასე დასათაურდა — „შენ ჩემთვის უცხო ხარ“, — მაგრამ მჯერა, რომ მალე საქართველოსთვის უცხო აღარ ვიქნები. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში დავიბადე და გავიზარდე, ვიმეორებ — აქ



მთავარია, პირველი ნაბიჯები სწორი იყოს...

ჩემმა ფესვებმა მიხმო. იმ კარგი ხალხის იმედიც მაქვს, რომელიც მხარში ამომიდგას. სასიამოვნოა მათთან მუშაობა, არაჩვეულებრივი ადამიანები არიან... ისე, 2008 წელს კონკურს „პარტინოტშიც“ ემონანილეობდი. მაშინ თეიმურაზ ბოჯუამ დამინერა სიმღერა.

— მოგწონს დღეს ჩვენი ქვეყანა?

— განსაკუთრებულ პრობლემას ვერ ვგრძობთ ვერ ვხედავ, მაგრამ უპრობლემოდ ცხოვრებაც ხომ არ არსებობს?! თან, აქ ხშირად ჩამოვდიოდი და შეჩვეული ვიყავი თბილისს. სანახევროდ ჩემში რუსული სისხლია, რუსეთში გავიზარდე, მაგრამ მას მერე, რაც მუდმივად საცხოვრებლად თბილისში გადავადგილდი, კიდევ უფრო მეტად ვგრძნობ, რომ ქართველი ვარ. ისეთი განცდა მაქვს, თითქოს აქ დავბინადე...

— ჩვენს ტრადიციებში განსაკუთრებით რა მოგწონს?

— ტყუილად არ ამბობენ, — ქართული სუფრა მართლმადიდებლურ ტაძრებში წირვაზე შესრულებული ზიარების საიდუმლოს გაგრძელებაა. მე ამ მოსაზრებას მთლიანად ვეთანხმები, რადგანაც სუ-

ფრის წევრებიც ხომ ერთმანეთს მხოლოდ სიკეთეს უსურვებენ, ლოცავენ და სიყვარულსა და სიბოძის უზიარებენ. ქართველები ხომ გულიანი ხალხი ვართ... ასე რომ, ქართული სუფრა უდიდესი ხელოვნება და ფილოსოფიაა...

— სოფიკო, რაკი შენი სამოქმედო არეალი შოუბიზნესია, მითხარ, რა იცი ქართული შოუბიზნესის შესახებ?

— ბევრი რამ მართლაც, არ ვიცი. ყველა ქართველ მომღერალ-მემსრულებელს არ ვიცნობ. ხელის თითები ეყოფა მათი გვარ-სახელების ჩამოთვლას, ვისაც ვიცნობ და ვისთანაც შეხება მქონია.

— დასასხელე...

— ნინი ბადურაშვილი, ლელა წურწუშია, თემურ თათარაშვილი, ბესო კალანდაძე, მანანა და ლეილა თოდაძეები (ამ დედა-შვილს უფრო, მოსკოვიდან ვიცნობ)... ამ ადამიანებს შევხვედრივარ და მათი სიმღერებიც მომიხსენია.

— არადა, ჩვენი შოუბიზნესი ბოლო დროს ისეთი ცოცხალი აღარ არის, როგორც ვთქვათ, რამდენიმე წლის წინ იყო. ამ სფეროში დღეს განსაკუთრებული არაფერი ხდება. შენ სწორედ ასეთ დროს გადამწყობე ჩვენს შოუბიზნესში დამკვიდრება...

— კარგად მესმის ყველაფერი, რასაც ამბობთ, მაგრამ რატომღაც მაქვს იმედი, რომ ყველაფერი კარგად იქნება; რატომღაც ვგრძნობ, რომ პერსპექტივა მაქვს. ვფიქრობ, ხალხი სულ ტყუილად მიიჩნევს, რომ ამ დარგში აქ ყველაფერი ჩამქრალია. მგონია, რომ სწორედ ამ სიჩუმიდან რაღაც ახალი ტალღა უნდა წარმოიქმნას, ყინული დაიძრას და ეს სფერო განვითარდეს...

— მუსიკაში რა მიმართულებას ირჩევ?

— პოპი, ჯაზი, სოული, აერენბი — ეს გასლავთ ის მიმართულებები, რომლებიც ჩემთან ახლოსაა... მინდა, მსმენელს ამ ჟანრის ნამუშევრები შევთავაზო.

— შეყვარებული ხომ არ ხარ?

— არა, ჩემს პირად ცხოვრებაში ისეთი არაფერი ხდება, ჯერ მხოლოდ თაყვანისმცემლების გარემოცვაში ვარ (ილიმბა)... რაიმე სერიოზული რომ ყოფილიყო, ახლა ვინმეს გვერდით ვიქნებოდი.

— შენი თაყვანისმცემლები ქართველი ბიჭები არიან?

— ყველა ეროვნების წარმომადგენლები...

— როგორები არიან ქართველი ბიჭები? მოგწონს თუ არა? რუსუბისგან რთი განსხვავდებიან?

— ქართველები უფრო მომთხროვნები არიან, მაგრამ ასეთები რუსებშიც არიან... საერთოდ კი მიმაჩნია, რომ ყველაფერი აღზრდაზე დამოკიდებულია: რაც ოჯახმა ჩაუწერა, გარეთ, საზოგადოებაშიც იმას ავლენს.

— წარმატებებს გისურვებ!

— გმადლობ, თქვენც!





# „მოამბის“ იღვლიანი რეპორტიორისა და საერთაშორისო მიმოხილველის მუვილი თანაცხოვრება

განახლებული „მოამბის“ ჟურნალისტიები, ცოლ-ქმარი — რატი მუვილი და სოფო ნაცვლიშვილი შესმატებილებულად ცხოვრობენ. ძირითადად, რატი სამხედრო თემებზე მომუშავე რეპორტიორია, სოფო კი — საერთაშორისო მიმოხილველი. რატის „ცხელ ნერტილებში“ მუშაობა ხშირად უხდება. ასეთ დროს სოფო თავის საქმეს მუვილად განაგრძობს, რადგან დარწმუნებულია, რომ მის მეუღლეს — „მრავალჭირნასულ“ ჟურნალისტს, რომელიც ავიაკატასტროფას, ტერორისტებს, აგვისტოს ომს ცოცხალი გადაურჩა, ცუდი არაფერი შეემთხვევა.



**„მივხვდი, რომ ავიაკატასტროფის, ტერორისტების და ომის მსხვერპლი არ გავხდები“**

## ეთო ყოვლანაშვილი

### რატი:

— ერთმანეთი უნივერსიტეტში გავიცანი. ორივე ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდით: სოფო ტელე-რადიო, მე — საერთაშორისო განხრით. სწავლის დამთავრების შემდეგ, ურთიერთობა არ გაგვიწყვეტია. ვმეგობრობდით და მერე დაოჯახება გადაწყვიტეთ — მისთვის სიყვარულიც არ ამიხსნია (იციანის).

### სოფო:

— თავდაპირველად, მართლა ვმეგობრობდით, მერე — ვითომ ვმეგობრობდით (იციანის) ტელეფონით ღამის 4-5 საათამდე ათას სისულელეზე ვლაპარაკობდით. ერთხელ, შუალამისას ჰემინგუეის მოთხრობას — „მოხუცი და ზღვა“ მიკითხავდა. როცა დაასრულა, რაღაც მკითხა, მაგრამ როგორ ვუპასუხებდი? ყურმილში ჩემი მუვილი ფშვინვა ისმოდა უკვე. მას შემდეგ, ყოველ 5 წუთში ერთხელ მეკითხებოდა: — გლვიძას თუ გძინავსო (იციანის)? ბოლოს შემომთავაზა, — მაინც სულ ერთად ვართ და ცოლად ხომ არ გამოყვებოდით? მისი ნათქვამი ხუმრობად მივიჩნიე და მეც ხუმრობით ვუპასუხე: რატომაც არა-მეთქი?! მეორე დღეს მივხვდი, რომ იმ ღამეს არ ხუმრობდა, მაგრამ ხომ არ შევიმჩნევდი!

### რატი:

— არადა, სინამდვილეში არც თვითონ ხუმრობდა.

### სოფო:

— მოკლედ, ასე „შემთხვევით“ შევუღლდით.

### რატი:

— იმ პერიოდში „მეცხრე არხზე“ რაღაც პროექტი გვქონდა დამტკიცებული. აპრილში საცდელი გადაცემების ჩანერა უნდა დაწყებულიყო, სექტემბერში კი დაოჯახებას ვაპირებდით, მაგრამ დიდი „საჩუქარი“ მოგვიზადეს და 1-ელ აპრილს „მეცხრე არხი“ „თავზე დაგვეხურა“, შესაბამისად — ჩვენი დაოჯახებაც გადაიდო.

გარკვეული დროის შემდეგ, ტელევიზიებში ვაკანსიები გამოჩნდა, შემოსავლის წყარო გაგვიჩნდა და სოფო ცოლად შევირთეთ.

— როგორაა ორი ჟურნალისტის თანაცხოვრება?

### სოფო:

— ძალიან მშვიდი: შინ ისეთი დაღლილები ვბრუნდებით, რომ სამსახურზე საუბრის თავიც არ გვაქვს ხოლმე. აი, სამსახურში კი დღესაც ვიჩხუბეთ: რატის წამყვანისთვის საკადრო ტექსტი უნდა დაენერა. ეტყობა, დაუზარა და მე დამირეკა, — დაუწერეთ. მეგონა, ეს ჩემს ფუნქციაში შედიოდა და ის-ის იყო, საქმეს „გემრიელად“ შევუდექი, რომ გაირკვა — თურმე რატის საქმეს ვაკეთებ!

— რატი, ასე ხშირად იქცევი?

— არც ისე. უბრალოდ, დღეს გადაღებაზე მივდიოდი. ხანდახან, როცა არ მცალია, დიდი ამბავი, თუ რაღაცას ვთხოვ! საერთოდ, ჟურნალისტის ცხოვრება რთულია. ეს ორივემ კარგად ვიცით. შესაბამისად, მოუცლელობასთან დაკავშირებით, ერთმანეთთან ზედმეტი კითხვები არ გვაქვს ხოლმე. როცა ზედმეტი კითხვები არ არის, ურთიერთობაც არ იძაბება. ასე რომ, მშვიდად ვცხოვრობთ.

— იმ ფაქტს, რომ ცოლ-ქმარი ერთსა და იმავე სამსახურში მუშაობთ, რაიმე უარყოფით თუ ახლავს?

### სოფო:

— თავდაპირველად, ყველა გვეუბნებოდა, — სახლშიც და სამსახურშიც ერთად რომ იქნებით, ერთმანეთი „ყელში ამოგივათო“. პრინციპში, ერთად მაინც არ ვართ: მართალია, სამსახურში მივდივართ, თათბირს ვესწრებით, მაგრამ მერე რატი გადაღებებზე დარბის, მე — ტელევიზორებს ვარ „მიფიჩინებული“. გვებზრდება კი არა, პირიქით — ერთმანეთი სულ გვენატრება!

— რატი, „ცხელ ნერტილში“ მუშაობა ხშირად გიხდება?

— კი. შარშან ყველაზე „ცხელი“ წელი მქონდა: 2-ჯერ ერაყში ვიყავი, ერთხელ

— ლაზაში და მერე, მთელი თვის განმავლობაში — საქართველოში. ერაყიდან რომ მოვდიოდი, მივხვდი, რომ ავიაკატასტროფა ვერ მიმსხვერპლებს, რადგან როცა მოვფრინავდით, სამხედრო თვითმფრინავს ოთხივე ძრავა გაუჩერდა და ფაქტობრივად, ავარიულად დავეშვი. ლაზაში მივხვდი, რომ ვერც ტერორისტები მომკლავენ და ალბათ, არც ომის მსხვერპლი გავხდები — შარშან, მთელი აგვისტოს განმავლობაში აქტიურად ვმუშაობდი.

— „მოამბისთვის“ აგვისტოს ომის დროს გადაღებული ყველა მასალის მიწოდება მოახერხე?

— კი, და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ, რომ აგვისტოს მოვლენების დროს „პირველი არხი“ მიწოდების სიმალლეზე იყო — ინფორმაცია ყოველთვის პირველებს გვქონდა. ვცდილობდი, „ზღვარზე“ მევლო და მგონი, მოვახერხე — სინამდვილე მაქსიმალურად ობიექტურად გამომოქცა. ზოგადად, იმ მძიმე ვითარებაში ქართველმა ტელეჟურნალისტებმა კარგად ვიმუშავეთ, მაგრამ „მოამბე“ პირველი იყო! ეს სულ ასე იქნება — ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, მაყურებელს ყოველთვის პირველები ვაუწყებთ, ნებისმიერ სიტუაციაში.

— სოფო, რატის გამო არ ნერვიულობს ხოლმე?

— არა. რადგან ვიცი, რომ არაფერი დემარტება! ომის დროს ძალიან ცუდ სიტუაციაში ვიყავი. მაშინაც საერთაშორისო მიმოხილველად ვმუშაობდი, ოღონდ — „რუსთავი 2“-ზე. რატი სულ „ცხელ ნერტილებში“ იყო. იმისთვისაც არ მეცალა, რომ მასთან ხშირად დამერეკა და მომეკითხა. ვინც „მოამბეს“ უყურებდა, მეუბნებოდა — სოფო, შეხედე, შენი ქმარი იქაა, არ ნერვიულობო? დარწმუნებული ვიყავი, რომ რატის არაფერი დაემართებოდა. ახლაც არ ნერვიულობს ხოლმე: მაქსიმუმ, „როიტერზე“ მოვიდეს მისი კადრები — პასპორტით ხელში და თაღიბებმა თქვან, რომ დაკავებულია. მერე ყველა ჟურნალისტი გააშუქებს, ეს კი არხისთვის კარგია (იციანის)!

— „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პოპულარიზაციით ასე ხარ



საჭირო დროს საჭირო ადგილზე უნდა აღმოჩნდე. სულ უნდა იმუშაო და არ მოღუწდე

**დაინტერესებული?**

— არხის პოპულარიზაციით — კი, რატის დაკავებით — არა (ივინის).

— ხუმრობა იქით იყოს და, განახლებული „მოამბე“ მაყურებლის დაინტერესებას როგორ ცდილობს?

— რაც შეგვიძლია, ყველაფერს ვაკეთებთ. ვცდილობთ, საინტერესო ინფორმაცია საინტერესო კუთხით წარმოვანიწოთ და მაყურებელს ისე მივანდოთ. რეიტინგის აწევას დრო სჭირდება. ეჭვიც არ მეპარება, რომ მალე ყველა საინფორმაციო გამოშვებას გაუფსნრებთ!

**რატი:**

— როგორც წესი, რალაცას ეჩვევი, ერთ დონეზე იყინები და მოდუნებული მიდიხარ. „მოამბეში“ ცვლილება ტელეჟურნალისტებისთვის დამატებითი სტიმული იყო, რომ თავიდან „დავეოქილიყავით“. საკუთარ თავზე ასმაგად მეტ პასუხისმგებლობას ვიღებთ, უფრო მეტად ვრისკავთ და ვცდილობთ, ყველაფერი უკეთ გავაკეთოთ.

— ...და მაინც, განახლებული „მოამბე“ სხვა საინფორმაციო გამოშვებებისგან რით განსხვავდება?

— პირველები ვამბობთ, ყველაზე მაგარი „ვიზუალი“ გვაქვს და უფრო მოტივირებულები ვართ!

**სოფო:**

— რატის „გამოსვლას“ ვეთანხმები.

— სოფო, „კურიერიდან“ „მოამბეში“ შენი გადასვლის მიზეზი რა გახდა?

— როცა კონკურენტ ტელეარხებზე ვმუშაობდით, ყოველ საღამოს ვკამათობდით, თუ რომელი არხი სჯობდა. ახლა უკვე შევთანხმდით და ვამბობთ, რომ „პირველი არხი“ ყველას სჯობია (ივინის). ალბათ, რალაც ცვლილებები მინდოდა და რადგან შემოთავაზება მქონდა, „მოამბეში“ გადავედი.

— რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ კარგი რეპორტიორი იყო?

**რატი:**

— დიდი გამოცდილება და გამართლება — საჭირო დროს საჭირო ადგილზე უნდა აღმოჩნდე. სულ უნდა იმუშაო და არ მოღუწდე. მთავრელებს ისგან გამიგონია: მთაზე ასვლა ძალიან რთულია; ამბობ, — ოღონდ ამ მწვერვალზე ავიდე და მერე ჩემს ზურგჩანთასა და აღჭურვილობას გვერდზე გადავდებო, — მაგრამ ბარში ჩამოსვლის შემდეგ, ახალი მწვერვალის დაპყრობაზე ფიქრს იწყებენ. ჟურნალისტიკაც ასეა.

**სოფო:**

— ძალიან ცნობილი ჟურნალისტი რომ გახდე, ამას ალბათ, განსაკუთრებული ნიჭი, თვისებები და კარგი მეზობლები სჭირდება, რათა გონებაში ყველაფერი დაიტიო და საჭირო დროს საჭირო ინფორმაცია „ამოატივტივო“.

— გინდა, რომ ძალიან ცნობილი ჟურნალისტი გახდე?

— არაამბიციური ადამიანი ვარ და დასახლისობა მინდა (ივინის).

**რატი:**

— სოფოს არჩევანში არ ვერევი — როგორც უნდა, ისე მოიქცეს. მთავარია, თავად იგრძნოს თავი კომფორტულად. მართალია, ზოგჯერ რჩევებს ვაძლევ, მაგრამ ძირითადად — თავს ვიკავებ, რადგან მიმაჩნია, რომ ადამიანმა თავისი ცხოვრება თავად უნდა მართოს.

**სოფო:**

— სახლში, ჩემს შეილთან ყოფნა მომენატრა. ჭურჭელსაც დავრეცხავ, სახლსაც დავალაგებ, საქმელსაც მოვამზადებ... მეუბნებიან, — 1 კვირაში მოგებურდებო. ვიცი, რომ მართლა ასე იქნება. ამიტომ ამ ნაბიჯის გადადგმისგან თავს ვიკავებ.

— ამჟამად, საოჯახო საქმეების მოგვარებაზე ვინ ზრუნავს? თქვენს შვილს ვინ უვლის?

**რატი:**

— 3 წლის მათეს ხან დედაჩემი უვლის, ხან — სოფოს დედა, დეიდა, ბებია, მეგობარი, ნათესავი... მოკლედ, ვისაც სცალია.

**სოფო:**

— ძირითადად, მაინც ბებიამე უვლის, რომელიც 82 წლისაა, მაგრამ ოჯახის ყველა დანარჩენ წევრზე მეტი ენერჯია აქვს (ივინის).

— რატი, როგორი ჟურნალისტი სოფო? შეეცადე, ობიექტურობა შეინარჩუნო და ისე მიპასუხე.

**რატი:**

— (ივინის) სოფო მსოფლიოში ყველაზე მაგარი საერთაშორისო რეპორტიორია! რამეს თუ ჰკითხავ, ზოგადად გიპასუხებს და გეტყვის: არ მცალია, თავი დამანებო! მერე უფრო კონკრეტულად ჰკითხავ და ისიც დაგაკვლიანებს, სად რა ინფორმაციის გაგება შეგიძლია. ყველაფერს სრულყოფილად ფლობს. ამიტომ მიმაჩნია, რომ არაფერი უჭირს — მშვენიერი ჟურნალისტი. ზოგჯერ თუ რალაც გამოჩნება, ეს ტრაგედია არაა — მთავარია, დროულად მიხედეს.

— სოფო, შენ რას მეტყვი რატიზე?

— თენგო გოგოტიშვილს ვერც ერთი რეპორტიორი ვერ შეედრება, მაგრამ სამხედრო სფეროში, რატი ერთ-ერთი საუკეთესოა. პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს და ყოველთვის გადაამონუმბულ ინფორმაციას განვდის. ვიცი, რომ მასალის მოსაპოვებლად ყველაფერს გააკეთებს: არც სროლის, არც ტერორისტების, არც რუსი სამხედროების და არც ოსი სეპარატისტების არ შეშინდება. ამის გამო, გულის სიღრმეში კი მეშინია, მაგრამ ამავდროულად, ვამაყობ, რომ თავის საქმეს ყოველთვის გააკეთებს, მით უმეტეს — თუკი ეს საქმე ქვეყანას გამოადგება!



ახალგაზრდა ოჯახი





# ენდი უორჰოლმა თანაშემწეს გასამრჯელო 40 წლის შემდეგ გადაუხადა

ენდი უორჰოლმა თანაშემწეს პორტრეტი აჩუქა, რომელიც მის სიბერეს უზრუნველყოფს.

პოპარტის შემქმნელის, ენდი უორჰოლის მიერ 1965 წელს დახატული, ხელოვნებათმცოდნეებისთვის დღემდე უცნობი ავტოპორტრეტი Sotheby's-ს აუქციონზე გაიყიდა. პორტრეტი 1960-იანი წლებიდან მოყოლებული, მისი თანაშემწის კარადაში ინახებოდა. პროგნოზების თანახმად, 61 წლის ქალბატონი ამ საგანძურში 1 მილიონ დოლარს აიღებს.

ნახატის მფლობელმა ამერიკელმა კეტი ნასომ New York Times-ის ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ „ავტოპორტრეტს სიამოვნებით დაიტოვებდა, მაგრამ ეს ნახატი ხელოვნების სამყაროს ეკუთვნის“. მისთვის უორჰოლის პორტრეტი პირველ რიგში არა ხელოვნების ნიმუში, არამედ ახალგაზრდობის მოგონებაა, როდესაც იგი ლეგენდარული მხატვრის სტუდიაში მუშაობდა.



ენდი უორჰოლის ავტოპორტრეტი მის ყოფილ თანაშემწესთან 1967 წლიდან ინახებოდა.

კეტი ნასომ ენდი უორჰოლის ცნობილ სტუდია „ფაბრიკაში“ მუშაობა 1965 წელს დაიწყო. მაშინ ის 17 წლის გოგონა იყო და ხელოვნებისა და დიზაინის კოლეჯში სწავლობდა. ყველაფერი შემთხვევით დაიწყო — კეტი სტუდიაში სახელგანთქმულ მხატვართან ინტერვიუს ასაღებად მეგობართან ერთად მივიდა, რათა შემდგომ შინ ფრანგულ ენაზე ესე დაეწერათ. მას დავალების შესასრულებლად ნებისმიერი თემის შერჩევა შეეძლო, მაგრამ კეტი ნასომ უორჰოლზე წერა არჩია, რადგან იგი „ხელოვნების სამყაროს ცენტრად“ მიაჩნდა. მხატვართან მოხვედრა ძალზე იოლი აღმოჩნდა. გოგონებმა უორჰოლთან მათი დაკავშირება არტიდღერ ლეო კასტელის სთხოვეს, რომელმაც ისინი Factory-ში მიიყვანა.


ქალბატონს დღეს უკვე აღარ ახსოვს, სტუდიაში მათი ვიზიტის დროს ვინ თქვა: „ახალგაზრდა გულუბრყვილო გოგონები გვჭირდება, რათა სატელეფონო ზარებს ვინმემ უზახსოს...“ ასე აღმოჩნდნენ კეტი ნასო და მისი მეგობარი სტუდიაში, სადაც მხოლოდ სატელეფონო ზარებს როდი პასუხობდნენ, თანაშემწეები ენდი უორჰოლის მომავალი ნიგნის „ა: რომანი“ (გამოქვეყნდა 1968 წელს) აუდიოჩანაწერებსაც შიფრავდნენ. ნიგნის იდეა მხატვრის ცხოვრების გარკვეული მონაკვეთის — ყველა საუბრის, მონოლოგისა თუ ნაწყვეტი ფრაზების ზუსტად დაფიქსირებაში მდგომარეობდა. უორჰოლი გოგონებისგან „თითოეული სლოკინის, თითოეული დამთქნარების“ გაშიფვრას დაბეჯითებით მოითხოვდა.

კეტი ნასო სწავლისგან თავისუფალ თითოეულ წუთს სტუდიაში ატარებდა და ამაში ერთ ცენტსაც არ იღებდა. „ენდის ვალმერებდით...“ „ის, რაც სტუდიაში ხდებო-

და, წარმოდგენის კულისებიდან ხილვას წააგავდა“, — იხსენებს ნასო, რომელსაც სტუდიაში მუშაობის დროს ბედნიერება ჰქონდა, პირადად ეხილა ჯგუფების Rolling Stones და Velvet Underground წევრები, მსახიობი და მალალი საზოგადოების წარმომადგენელი ედი სეჯვიკი, რომელიც თავისუფალ დროს ენდი უორჰოლს ცხოვრების შესახებ ესაუბრებოდა.

უორჰოლმა ერთგული სამსახურისთვის კეტის პატარა კვადრატული ფორმის ნახატი აჩუქა, რომელზეც ყვავილი იყო გამოსახული. ამ ნახატს ნასო დღემდე ინახავს. ერთხელ, ავტოპორტრეტების სერიაზე მუშაობის დროს მხატვარმა კეტის ჰკითხა, თურა ფერები მოეწონებოდა მას ერთერთი ნახატის ფონად. გოგონამ ნითლისა და იასამნისფრის კომბინაცია შეარჩია. მოგვიანებით, ენდიმ ეს ნამუშევარი კეტი ნასოს აჩუქა წარწერით: „კეტის ორი წლის დაგვიანებით“ და პატარა „გულიც“ მიახატა.

კეტი უორჰოლთან ორი წელი იმ-



ენდი უორჰოლი მის ცნობილ სტუდია „ფაბრიკაში“

ენდი უორჰოლის კიდევ ერთი ავტოპორტრეტი, რომელიც იმავე ფოტოსურათის მიხედვითაა შექმნილი





უშავა. ამასობაში კოლეჯი დაამთავრა და ხელოვნების შესწავლა უნივერსიტეტში განაგრძო. მინიან ჩარჩოში ჩასმული მხატვრის ავტოპორტრეტი ცოტა ხანს მისი სამზარეულოს კედელს ამშვენებდა, შემდეგ კი კარადაში შენახვა გადამწყვიტა, რადგან ძვირფასი ნახატი ადრე თუ გვიან შესაძლოა, ვინმეს მოუპარა. „კარადაში იმიტომ კი არ შევიინახე, რომ გიჟი ვარ, არამედ იმიტომ, რომ მისი დაცვა მინდოდა“, — ამბობს კეტი.


ახლა კეტი ნასო წყნარი, შეუმჩნეველი ქალია. „მე უკვე დავბერდი. პორტრეტს აღარ ვუყურებ. მეშინია, ნახატს რამე არ შეეთხვეს“, — ამბობს ქალბატონი, რომელსაც პორტრეტის არსებობის გამჟღავნების შემდეგ მის მიმართ მზარდი ინტერესი იმდენად ამძიმებს, რომ, იმის გამხელაც კი არ სურს, ამჟამად რას საქმიანობს და ფოტოსურათის გადაღებასაც არ თანხმდება.

უნდა ითქვას, რომ ეს პორტრეტი ხელოვნებათმცოდნეებისთვის სრულიად უცნობი არ არის, თორემ მისი გამოჩენა გაცილებით დიდ ხმაურსა და ალიაქოთს გამოიწვევდა. ენდი უორჰოლი საკუთარ გამოსახულებებს არანაკლებ ტირაჟირებას უწევდა, ვიდრე მერილინ მონროსა თუ ელიზაბეტ ტეილორის პორტრეტებს. იგი ერთი ფოტოსურათის საფუძველზე სხვადასხვა ფერთა გამაში განხორციელებული პორტრეტის რამდენიმე ვარიანტს ქმნიდა. კეტი ნასოს კუთვნილი ავტოპორტრეტი სწორედ ამგვარ სერიას მიეკუთვნება, რასაც მისი მონათხრობიც ადასტურებს, იმ განსხვავებით, რომ სხვა ნამუშევრები კარადაში არ ინახებოდა და მათი არსებობის შესახებ დიდი ხანია ცნობილია. უნდა ითქვას, რომ დღემდე უცნობი პორტრეტი „მისი ტყუპი ძმისგან“ რალაციით მაინც განსხვავდება. „იმის გამო, რომ პორტრეტი მრავალი წლის განმავლობაში კარადაში ინახებოდა, ფერები ისეთივე სახასია დარჩა, როგორც იმ დღეს ჰქონდა, როდესაც ნახატმა „ფაბრიკის“ კედლები დატოვა“, — ამბობს Sotheby's-ს სახლის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ტობიას მეიერი. პორტრეტი მინამ და ჩარჩომაც შეინახა.

Sotheby's-ს სახლის ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ენდი უორჰოლის ავტოპორტრეტის სავარაუდო ღირებულება 1-1,5 მილიონი დოლარია. თუ გავისვენებთ, რომ მხატვრის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე შექმნილი ავტოპორტრეტის ღირებულებამ 2002 წელს აუქციონზე 3 მილიონ დოლარს გადააჭარბა, ეჭვარეშეა, რომ კეტი ნასო ორი წლის განმავლობაში მდივნის მოვალეობის შესრულებისთვის ნებისმიერ შემთხვევაში ღირსეულ ანაზღაურებას მიიღებს.

# ლეონარდო დი კაპრიო სიბერეს ებრძვის

ნოემბერში ლეონარდო დი კაპრიოს 35 წელი შეუსრულდა. ასაკის მიუხედავად, მსახიობი სახეზე ნაოჭების გაჩენასა და სიბერის მოახლოებას ძალზე მტკივნეულად განიცდის. დაბადების დღის წინ ვარსკვლავი იმ დროს შენიშნეს, როდესაც მან ლოს-ანჯელესში მდებარე მალაზია Bluemercury-ში კოსმეტიკური საშუალებებით სავსე უზარმაზარი ყუთი იყიდა. კოსმეტიკის გარდა ლეონარდოს კანის დამატენიანებელი ნიღბები, ნაოჭების საწინააღმდეგო ლოსიონები და თვალის ირგვლივ ნაოჭების გასაქრობად საჭირო მალამოებიც შეიძინა და ამ ყველაფერში საკმაოდ სოლიდური თანხა — 1.400 დოლარი გადაიხდა. როგორც მალაზიის ერთ-ერთი თანამშრომელი ამბობს, ლეონარდო დიდახანს არკვევდა, თუ რომელი მალამო შველის სიბერის პირველ ნიშნებს და ნაოჭების საწინააღმდეგო რომელი ნიღბია ყველაზე უკეთესი...



# ელტონ ჯონი საავადმყოფოდან გამოეწერა



ცოტა ხნის წინ ბრიტანელი მომღერალი ელტონ ჯონი გრიპით დაავადდა და ამის გამო ლონდონში, ლივერპულში, შეფილდში, ნიუკასლსა და დუბლინში დანიშნული კონცერტები გადაადო. ელტონ ჯონის ნარმომადგენელმა ჰარი ფეროუმ კი განაცხადა, რომ მომღერალი ლონდონის საავადმყოფოდან გამოეწერა, სადაც მას გრიპისა და ინფექციის E. Coli-ის გამო მკურნალობდნენ. ჰარი ფეროუ ამბობს, რომ ელტონ ჯონი უკვე სახლშია, თავს შესანიშნავად გრძნობს და ბილი ჯოელთან ერთად დაგეგმილი საკონცერტო ტურნეს განახლებას გეგმავს, რომელიც 14 ნოემბერს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მისი ავადმყოფობის გამო გადაიდო.

როგორც ცნობილია, ელტონ ჯონმა და ბილი ჯოელმა ტურნეს Face 2 Face ფარგლებში ზაფხულში ამერიკაში კონცერტები გამართეს, მაგრამ ივლისში ჯოელმა ავადმყოფობის გამო გამოსვლები შეწყვიტა.

# შერი ქალიშვილის სქესის შეცვლას შეეგუა

როდესაც შერის 40 წლის ქალიშვილმა ჩესტიტი ბონომ მისი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის შესახებ ხმამაღლა განაცხადა, მომღერალმა გულწრფელად აღიარა, რომ ამ ამბავმა მასში ტკივილის, შიშისა და დანაშაულის შეგრძნება დაბადა. მაგრამ ჩესტიტი ბონომ დედის განცდები არად ჩააგდო, ქირურგიული გზით სქესი შეიცვალა და განაცხადა, რომ ბოლოს და ბოლოს, იმ სქესის ადამიანად იქცა, როგორცაც მუდამ გრძნობდა თავს. ახლა შერის ქალიშვილი არა მხოლოდ მსახიობი, მუსიკოსი და მწერალია, არამედ სექსუალურ უმცირესობათა უფლებების აქტიური დამცველიცაა. შერის ერთადერთი ქალიშვილის მამა — მომღერალი, პროდიუსერი და კონგრესმენი სონი ბონო 1998 წელს საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა. პრესა ირწმუნებდა, რომ ჩესტიტი ბავშვობიდან ქალბიჭა იყო — „დედას მუდამ სურდა, რომ კაბებში გამოწყობილი პრანჭია გოგონა ჰყოლოდა, მაგრამ ასეთი არასდროს ვყოფილვარ“.

მრავალი წლის განმავლობაში ფიქრობდნენ, რომ ჩესტიტი ლესბოსელი იყო, მაგრამ მან სქესის შეცვლა გადაწყვიტა, ოპერაციამდე ცოტა ხნით ადრე საკუთარ თავს უკვე მამაკაცად მოიხსენიებდა და მომავალი ოპერაციის შესახებ საჯარო განცხადება მამაკაცის სახელით გააკეთა. „მან საკუთარი ჭეშმარიტი იდენტურობის რეალიზების მამაცური გადაწყვეტილება მიიღო. ვიმედოვნებ, რომ ცნობილი ადამიანის მიერ სქესის შეცვლის ფაქტი ჩვენს საზოგადოებას უფრო მიმტევებელს გახდის და ამერიკელი ხალხი ამგვარ ადამიანებს გულსა და გონებას გაუხსნის“, — განაცხადა ჩესტიტი ბონოს ნარმომადგენელმა, პუბლიცისტმა ჰოვარდ ბრეგმანმა. საბოლოოდ შერიმ შვილის არჩევანი მიიღო და მუდამ მხარში უდგას. მომღერალს სხვა ადამიანებისადმი თანაგრძნობის იშვიათი უნარი აქვს. რამდენიმე წლის წინ, კინოში ნათამაშები საყვარელი როლის შესახებ დასმულ შეკითხვას შერიმ ასე უპასუხა: „ჩემი უსაყვარლესი გმირი ფილმში „ნილაბი“ ნათამაშები დედის როლია, რომლის შვილს სახე აქვს დამახინჯებული. ამ ფილმში მონაწილეობის შემდეგ სახის აღნაგობის დარღვევების მქონე ბავშვთა ამერიკულ ასოციაციასთან ვთანამშრომლობ, რომელიც დაავადებულ ბავშვებს აუცილებელი სამედიცინო დახმარების მიღებაში ეხმარება“.





# ცხოვრება

## საუბრები ბაჟოზა

### და სუსტირია

ხელები ფართოდ, ნეკნების ატკაცუნებამდე გავშალე — განვირად და გულიანად, გავინელე და ჩასახუტებლად მოვეშადე. გადავეხვიე მეგობარს და ჩემი სახლისკენ მიმავალ აღმართს სამნი ავუყევით: მე, ჩემი ზაზა და ჩემი ნინო.

ნინო ბავშვობაში ჰაეროვანი გოგონა იყო, ახლა 40 წლის სიფრიფანა ქალია, რომელსაც მოფრთხილება სჭირდება, რომ არ გატყდეს... ჩემი მეგობარი ზაზა, ბავშვობაში შუა ზღვაში დრეიფზე მდგარ გემებამდე გასცურა და ხოლმე, მაგრამ ის გემები და ზღვა ალთქმულ ქვეყნად გადაექცა... მე, ბავშვობაშიც ზვიადი ვიყავი...

— რა კარგი დღეა ნინო! — მივმართავ ჩემს მკლავებში მოდრეკილ ისედაც პატარა ქალს. ნინოს თავისი გამხდარი მხრები მორჩილად აქვს მოშვერილი, რომ ასვლაში მომქმაროს, უჭირს... ვიცი მე ეს ამბავი, მაგრამ მის მორჩილებას ბატონივით ვიფერებ.

სხეული არ მემორჩილება, თორემ ტვინი კარგად მიმუშავებს. ეს ღვთაებრივი სითხე ამიტომაც მიმონებს ასე.

კი არ მიმონებს, მათავისუფლებს. მე კი ამ ბედნიერებისთვის, დროდადრო, საკუთარ სხეულს მსხვერპლად დაუფიქრებლად ვწირავ.

— რატომაა კარგი დღე? იმიტომ რომ დაღამდა! იმიტომ რომ სახლში ვბრუნდები! როცა მშვიდობიანად ღამდება, როცა შეგიძლია, შენი წინაპრების ხელით აგებულ, ნასათუთარ სახლში შეიყუყო, გამოდის, რომ დღე ყოფილა კარგი. ხომ ვთქვი მაგრამ? აი,

ზაზაც ვნახეთ! შეხედე, ცოცხალია ისევ, თუმცა გარდაცვლილივით რეინკარნაციას ისევ ელოდება.

ნინო ჩემი დაა. ჩვენ ერთი დედის და მამის შვილები ვართ, ამიტომ მასთან დაუნდობელიც შემიძლია ვიყო და უსაზღვროდ მზრუნველიც, ცხოვრების სიბინძურეც თამამად შემიძლია მივყარო თვალებში და ისიც ვუთხრა, რატომაა ასეთი დიდი ბედნიერება ამ საძაგელ სამყაროში სტუმრად მოსვლა. ჰოდა, ახლა, მხარზე ჩამოკიდებუ-



ლი, ფიზიკურ ტვირთთან ერთად, სულიერსაც აკვიდებ, ნუ კი გამიწყრებით ამის გამო. დილა გათენდება თუ არა, მზრუნველად ჩამოვამორებ ყველა დარდს და ნაღველს, იმიტომ რომ ნინო ქალია, ქალებს კი ყველაზე მეტად სჯერათ კეთილი ზღაპრების...

— შეხედე, ნინო, ამ კაცს, წელან თვალები რომ უციმციმებდა ჩემთან შეხვედრის სიხარულით, — ვუთითებ ზაზაზე. — მაგას ყველაფერი უნდა,

რომ იცოდეს. იცი, რომ ასი თვალი აქვს და ასი ყური, ასი შიში და ასი დაეჭვება?.. მიუხედავად ამისა, ყველაზე ჯანმრთელი ფსიქიკა აქვს მათ შორის, ვისაც მე ვიცნობ, იმიტომ, რომ გარემოებებმა ჩვენზე მეტად აღამაღლა... მიზანი აქვს დიდი. ეს ახალგაზრდა, ჩასკვნილი კაცი ერთგვარად გარდაიცვალა, რადგან მის ბუნებრივ სამყოფელში დაბრუნება აღარ შეუძლია, თანაც ცოცხლობს, რადგან მინიერი საჭიროებები ვერ მოიშორა, ტკივილისა და სიამოვნების განცდაც რომ არ დაუკარგავს!

— შენ მიტინგს აწყობ, ზვიად... — წყნარად მეუბნება ჩემი და. უფრო სწორად, კი არ მეუბნება, არამედ ალბათ ასე ფიქრობს, მაგრამ იმის გამო, რომ ქართველ ქალებს განსაკუთრებული ტაქტი გენეტიკურად ერგოთ, დუმს და გასაზიზღრებულს აღმართზე მიმართავს.

— არ გჯერა, ჰო?! მიტინგს ვაწყობ, არა?! აბა, რა უნდა ზაზას, შენ რას ფიქრობ? რატომ ვერ შეეგუა და ვერ დაიჯერა თავისი ახალი სიცოცხლე? არ სჭირდება მაგას ახალი. ის უნდა, ძველი, ძირძველი! — ვაგრძელებ მონოლოგს, რადგან არავინ გამოხატავს დიალოგის სურვილს. როგორც ჩანს, ყველა შევანუსხე, მაგრამ ვაგრძელებ. ეს არის თავისუფლება?

მეზობლებმა გადმოხმედეს გამოღებული ფანჯრებიდან, ჰოდა, აუდიტორია შევიძინე თუ არა, კიდევ უფრო პათეთიკურად ავჭიკჭიკდი.

— თავისი სახლის მოხვეული კიბე უნდა, ნინო, რომელიც ზუსტად იცის, რომ მას ელოდება. ზაფხულის ხვატი უნდა, საყვარელო, რადგან ის ხვატი არ ანუხებს, ზღვა ჰყავს სალბუნად... ჰო, მისი ზღვა და სახლი უნდა, მეზობლებო, რომელიც წლების სვლასთან ერთად, რაღაც უხილავ კვარცხლბეკზე ადის, მეტ ელვარებას იძენს და დამუშავებული აღმასის მსგავსად, ბრილიანტად იქცევა! — სუნთქვა გამიჭირდა და აველოშინდი.

— ჰო, ზვიად, ჰო, ძმაო! — ზაზას



დაბალ ხმაზე ნათქვამი ეს ორი სიტყვა ნიშნავს, — გაჩუმდი, სირცხვილიაო, მაგრამ რადგან არ მკადრებს, პირდაპირ მითხრას, გაჩუმდიო, მეც ვერ გავიგებ, რას მეუბნებიან და ვაგრძელებ...  
— ხალხო, ახლა მისი მინა, მის ფიქრებში, ნიჭიერი ფერმწერის ხელით შესრულებულ ტილოს ჰგავს — მოკაშკაშეს, საიდანაც ადამიანები სადღაც გამქრალან...

ცოტა ყალბი მომეჩვენა ჩემი გამოსვლის ეს მონაკვეთი, მაგრამ მე ხომ ძალიან გულწრფელად ვთქვი, რაც ვიგრძენი?! ჰოდა, უნდა ავხსნა...

— ჰო, ჰო, ამ სურათზე ადამიანები არსად ჩანან ახ ეს ალბათ ბუნებრივიცაა, რადგან ახლა მის მინას უცხოტომელები თელავენ ფეხქვეშ.

— ზვიად ბიძია, მამამ, არ დაგავიწყდეს, ხვალ დილით ჩემთან უნდა ჩამოხვიდეთ, — გადმოძახა ზესოს პატარა ბიჭმა აივნიდან. სამივენი შევიწერდით და მალა დავიწყეთ ცქერა. ბინდმუპარულ ქუჩას უკვე ანათებდნენ ღამიონები, მაგრამ რადგან ჯერ ძალიან არ ბნელოდა, თბილისური, აივნიანი სახლის კონტურებზე ღამაზ არშიად შემოხვეული მელნისფერი, ღრუბლიანი ცაც კარგად ჩანდა. ახლა ამ ცამ გამიჩინა სადარდებელი.

— მარტოა და რეინკარნირებულებს ელოდება, — ვთქვი და რადგან ზაზას გარდა არც არავინ მისმენდა და რომც მოესმინათ, მის გარდა, ვერც ვერავინ გამიგებდა, გადავწყვიტე, ჩემი ნაბოძვარი ყველასთვის ამეხსნა. გავათავისუფლე ნინო ჩემი მკლავებიდან, შემალღებულ ადგილს დავუწყე ძებნა, მოვთვალეერე გარემო და მივხვდი, რომ უკვე შემაღლებულ ადგილზე ვიდექი.

— იცით, ბესო რატომ მიხმობს თავისთან? გეცოდინებათ, რადგან აქ ყველამ ყველაფერი იცის... მის სახლს სახურავი უნდა გადავხადოთ და ზედ ერთი ოთახი დავადგათ ანუ — გავფართოვდეთ. ჰო, მოქმედება ხდება თბილისში, ჩვენი სამშობლოს ცის იმ მონაკვეთის ქვეშ, ახლა თავზე ღამაზად რომ დაგყურებს და ჩვენ რომ გვეუთვნის ისევე, სამაგიეროდ, ამ საერთო ცის იმ პატარა მონაკვეთის ქვეშ, ჩვენთვის აკრძალულ ზონად რომ ითვლება, ჩემნაირივე „პრაფანი“, ქართველი მშენებლები, რუსებს უშენებენ სახლებს.

— ზვიად, ქართველი მშენებლები მუშაობენ აფხაზეთში მშენებლობებზე? — ნინომ ზუსტად ის კითხვა დასვა, რაც მნიშვნელოვანი იყო.

— ჰო, ასეა, — თქვა ზაზამ. რადგან დაადასტურა, ნინოც აღარ ჩამეძია, მაგრამ მე რა გამაჩერებდა? გავაგრძელე: — დიახ, ასეა და ახლა, მე, ამ ამბის გამართლებას ვეძებ. უფრო სწორად, ამ ამბავს, გველის ნაკბენივით რომ მაზის გულზე, კეთილ მხარეს ვუგონებ ან, რომ არ გავაფრინო, მედლის მეორე

მხარეს გადაბრუნებას ვცდილობ, მაგრამ რომ არ ბრუნდება და ვერც ვერაფერი გამოვიგონე?! მეტიც... გიგილოს ხომ იცნობთ ყველანი? მანიკიურს იკეთებს ხოლმე თავის ნიჩბებივით ხელებზე აგერ, ქალების საპარიკმახეროში. ღამაზი ხელები აქვს, ვაჟკაცური, ოღონდ ცოტა ზომიანე დიდი, იძულებულია, ქალივით მოუაროს, თვალში საცემი რომ არ იყოს ეს პატარა ნაკლი თუ სიკეთე. მოკლედ, ჩვენმა გიგილომ, ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, მიაგნო სამსახურს. ახლა ასეთი განრიგი აქვს: ერთი დღე და ღამე მუშაობს, მეორე დღე და ღამე სძინავს, მესამე დღე და ღამე ლოთობს. სამ დღეში ერთხელ, ყოველ გარიჟრაჟზე, ჩემი და, აი, ეს ქალბატონი, სახლის კარს აღებს და ჩვენი კარის წინ დაგებულ ფარდაზე ძალივით ოთხად მოკვივს, მძინარე გიგილოს აფხიზლებს, ანჯღრევს, უყვირის, უყვავებს, ეფერება კიდეც, რომ როგორმე დაითანხმოს და სახლში შეიყვანოს. არ მითხრათ ახლა, რომ რამე გაგიკვირდათ. ყველანი ახერხებთ ხოლმე რაღაც მსგავსს, განწირულობისას: ლოთობთ, ბოზობთ, სხვებს ტანჯავთ, წუნუნებთ, მოთქვამთ, ყვირით, თრგუნავთ ახლობლებსაც და უცხოებსაც, შინაურებსაც და მტრებსაც. მოკლედ, ყველანი თავისუფლებას ეძებთ ან გამოსავალს, რომ ცხოვრება შეძლოთ, გიგილოს თავისუფლება კი — ჩვენი სახლის კართან, ფეხების გასანმენდ ტილოზე ძილია. რას აპროტესტებს? ღმერთო ჩემო, ნინო, შენ უთხარა.

— საკუთარ საზოგადოებრივ სტატუსს. სამსახური აქვს ძალიან შეუფერებელი. დამამცირებელიც. მაგრამ ვის ვუთხრია, აქ მარტო მე და ზაზა ვართ. ეს ამბავი კი ორივემ ვიცით. ზაზაც მომეხმარა რამდენჯერმე, სახლში რომ შემეყვანა. ყალბად აღვფოთდი: — ვის ვუთხრათ? შენ ფანჯრებზე ყურმიდებულები დაგავიწყდა? აბა, გაიხედ-გამოიხედ, რა საეჭვო სიჩუმეა... ეს რას ნიშნავს? ტელევიზორს რომ ჩართავ, იფიქრებ, ამ ქვეყანაში ცხოვრება დულს და გადმოდულსო, სინამდვილეში კი ადამიანები სადაცაა, დეპრესიამ მოიყოლოს ქვეშ. არსად არაფერი ხდება. ამიტომაც, სხვისი ამბების მიყურადება, საუკეთესო გამოსავალია. ჰო, იმისი ილუზია მაინცაა, რომ ვიღაც ცხოვრობს.

— გიგილო კარგი ბიჭია, ჰო? — დამონებდა მოითხოვა ზაზამ.

— ჰო, თუმცა ვფიქრობდი, რომ ეს ჩვენი გიგილო სულაც არ გახლავთ იდეალი, რადგან შეუფერებელი საქმის კეთებას გატეხა, მაგრამ მგონი, ვცდებოდი... განა უმჯობესი არ არის, საკუთარ თავს ავნო, ილოთო ან გაირყვნე განწირულობისგან, ვიდრე შენს მოსისხლე მტერს სახლი აუშენო?

— ჩვენს მინაზე, წართმეულზე!.. —

გაამაფრა ზაზამ ჩემი ნათქვამი.  
— ზვიად, რუსები რამდენს უხდიანო სოხუმში ჩასულ მუშახელს? — დაინტერესდა ვანო, მეორე სართულიდან.

— ჩამო, ძია ვანო, ჩვენთან, ვისაუბროთ!

— ისე საუბარი რა საკადრისია, აგერ ეს ტაბლა გამომართვით, — გადმოძახა ვანომ და ქუჩაში გამოვიდა. გამოვართვით ტაბლა, მერე სკამებიც თავისით შემოლაგდა. დავსხედით კაცები. ნინომ არჩია, გაგვცლოდა. დაეჭანცე, ეტყობა.

— 2000 მანეთს უხდიანო, — ჩანყვეტილი ხმით თქვა ზაზამ.

— ეგ რამდენი ლარი უნდა იყოს, ნეტავ? — რატომღაც დაინტერესდა ვანო.

— ალბათ, 30 ვერცხლისოდენა... — არ მაცალა პასუხი ზაზამ.

— სტატისტიკა არ ექნება მაგის, მაგრამ ერთიც რომ იყოს, უკვე საქმეა, დაფიქრდა ვანო.

— ცუდი საქმე, — დაფუზუსტე.

— ცუდი, კაცო, ცუდი. ე რა გათახსირებული ხალხი ვართ, კაცო! ქალო, მოიტა ღვინო! — საშველად ცოლს და სასმელს უხბო ვანომ. — ქალმა ღვინო, ჭიქები, პური, ყველი, მწვანილი მოიტანა.

— კარგი ხარ, ძია ვანო. ჩავცხრი, ახალი გრადუსი მჭირდება, ისევ რომ ავეწიო.

— აბა, ისე რა გალაპარაკებდა, ნეტავ? ახლა ნახე, როგორ დალაგდე... აი, მთავრობაში რომ ეს წესად დადონ, სუფრასთან, ჭიქით ხელში რომ მიიღონ გადაწყვეტილებები, ნახე, როგორი კეთილი კანონები გამოუვათ! მაგ მოლაღატე მშენებლების კანონი ვერ იქნებოდა მარტო კეთილი. შენი სტუმარი გამაცანი ახლა. მკვდარიო, ამაზე ამბობდი, არა?

— ჰო, ეგრეა, ძია ვანო: იქ უნდა და აქაა, მკვდარი, აბა რა არის?!

— კი ჯანმრთელად კი გამოიყურება და... — დაეჭვდა ვანო.

— აი, ძია ვანო, ქვეყნის სიძლიერე სად არის დამალული. ჩვენი, ინტელიგენტების და თქვენი — გლეხობის ერთიანობაში. სიძლიერე იქაა, სადაც ყველა ერთმანეთს უსმენს, ერთმანეთს ხედავს და ესმის. ნახე, რა მაგრად თქვი? სხვანაირად დამანახვე ჩემი ზაზა. ეს მკვდარი კი არა, მიძინებული ვულკანია. შესაფერის დროს ელოდება მხოლოდ, ამოსაფრქვევად.

— ჰოდა, მაგ ვულკანს გაუმარჯოს, იმ ძალა, შესაფერის მომენტში მთელი ძალით რომ ამოიფრქვევა და იმ წართმეულ ტერიტორიებს დაეპატრონება სიყვარულით.

— გაუმარჯოს, მაგრამ ნახე, მთელი საათია, აქ ვარ, ასმა კაცმა ამიარა და ჩამიარა, მომისმინა კიდეც ალაგ-ალაგ, მაგრამ არავინ შეჩერებულა. ნუთუ ეს,





# პატიოსნების საზოგადოების სიყვარულის უფლება

ეს ამბავი იმ ოჯახის ახლობელმა მიაბო, სადაც ქმარგაცილებული, მეორედ გათხოვილი რძლის გამო ბევრი უსიამოვნება დატრიალდა („კვირის პალიტრა“, 26 მაისი, 2008 წ. — „ყველა ჩვენ დაგვიწინს, უწესო ქალი რამ მოაყვანინა ცოლადო“)

## მარინა ბაგუნაშვილი

### ამბავი პირველი „პატიოსანი“ რძალი

გიორგი თამარისა და დავითის ნანატრი შვილი იყო. ცოლ-ქმარს 7 წლის ლოდინის შემდეგ შეეძინა. მეტი შვილი არც გასჩენიათ. დავითი ნაკლებად ერეოდა შვილის აღზრდაში. მისი მოვალეობა ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფით შემოიფარგლებოდა. დარწმუნებული იყო, რომ თამარი საუკეთესო დედა გახლდათ და ამიტომაც ზედმეტად აღარ ინუსებდა თავს.

თამარის მცდელობამ და ზრუნვამ თანდათან თავისი შედეგი გამოიღო.



რაზეც ახლა ცოტა არეულ-დარეულად ვლაპარაკობ, არავის აინტერესებს?

— ვინ უნდა შეჩერებულიყო, ვის უნდა აინტერესებდეს? იმას, თანამდებობა რომ იშოვავ და თბილი სალაში დაივიწყა, თუ იმას, მშვიერი ვკვდებიო, რომ ტიროდა, ვარდიანობაში სამუშაო მისცეს, საკუთარი ოჯახის კარი გაუღეს, ამან კი პირწმინდად გაიტანა იქიდან ამათი ნაკონინები ქონება?! კაი ძიძა კი აღმოჩნდა, მე და ჩემმა მზემ! — გაბრაზდა ვანო.

— არა, ეგეთებს — არა. მაგრამ სად არიან დანარჩენები? მარტო ჩვენ სამნი დავრჩით!

— დანარჩენები?! — მომიბრუნა კითხვა ვანომ.

— მილიონ-ნახევარი საზღვარგარეთაა. მათგან ნაწილი უკვე საკუთარ სახლად თვლის იმ ახალ ქვეყანას. ნაწილს, რცხვენია თქვას, ვინ არის. დიდი ნაწილი, საბედნიეროდ, თავის ბედს, თავის მიტოვებულ ქვეყანას სტირის, მაგრამ ვერაფერს აკეთებს დასაბრუნებლად, იმიტომ, რომ სწორად ფიქრის წარმართვის უნარი აქვს წართმეული. ეს უნარი რომ დაიბრუნოს, ჩვენმა სახელმწიფომ უნდა იყოჩაღოს. მოკლედ, როგორც აქ, ჩვენთან, იქაც ნაწილი გალოთდა, ნაწილი გათახსირდა, ნაწილმა ქურდობა დაიწყო, ნაწილი მოსამსახურედ, მონად იქცა, ის ნაწილი კი, რომელსაც სულიერი ძალაც აქვს და ქართველური მორალის შერჩენია, მცირეა და ღარიბი, ამიტომ ამინდს ვერ ჰქმნის.

— რა მკაცრი ხარ, ზვიად... დანარჩენები? — ზაზას ხმაში მცირედი პროტესტი გამოჩნდა.

— თავიდან დავიწყო?... დანარჩენებს, ერთი დღე გვძინავს, ერთ დღეს ვლოთობთ და ერთ დღესაც შეუფერებელ სამუშაოს ვასრულებთ, იმისთვის, რომ ბავშვებს შიმშილობა ავაცილოთ... და ფეხებზე გვკიდია ყველაფერი, საკუთარი მოწყენილობის გარდა...

— სხვები?

— სხვები ანუ შენაირები, ზაზა?... სხვები რეინკარნაციას ელიან, თუმცა, მათი ერთი განაყოფი უკვე 30 ვერცხლად ყიდის ამ მოლოდინს. კიდევ სხვები — მაგრამ ისინი უმცირესობაშია — ცხოვრებით ტკობას ეძლევიან და რეალურობის აღქმის უნარი დაკარგეს... ირგვლივ მოწყენილობაა, ზაზა, ძია ვანო, საშინელი მოწყენილობა, იმიტომ, რომ რწმენა დაკარგა ხალხმა. უიმედობის მოწყენილობა დაგვემართა, სასტიკი, ჟამისფერი, ტრანსპარენტული... უჰ!

ჩიხში შევედი და გაჭყმედი. ვანოც დუმს და ზაზაც. ჩამოასხამს ვანო ღვინოს ჭიქებში, ავწვევთ ჭიქას, მივუჭახუნებთ ერთმანეთს და ვსვამთ. მერე ისევ, მერე კიდევ... ყველანი მთვრალეები და უბედურები. ნეტავ არ მენახა ზაზა, ხომ დავლიე დღეს საქართველოს

ერთიანობის სადღეგრძელო და განსაკუთრებული არაფერი მიგრძნია. მშობი და მწყუროდა, დასვენება მინდოდა, მოსვენება, დავიწყება პატარა პრობლემების, წყენის, უსიამოვნო კვირის, იმ პოლიტიკური მოვლენების, მთელი კვირის მანძილზე რომ მიბურღავდა ტვინს, ამ 30 ვერცხლის, არადა, რა გამოვიდა?

გამოვფიხლდი. ახლა რაღა ვთქვა, ან რა ვქნა? ვიჯდე ასე და ვიქოთქოთო?

— ზვიად ბიძია, მამამ მითხრა, ეგ დილით ვერ გაიღვიძებს და უთხარი, ზეგაც ამ თვისაა, ზეგისთვის გადავდლოთო, — ისევ აივნიდან მეძახის ბესოს შვილი.

ვბრაზობ, ტყუილად ხომ არ მქვია ზვიადი.

— მაგას უთხარი, შენ რომ გგზავნის ამბების მიმტან-მომტანად, თვითონ გამომხედოს გარეთ! — ავძახებ ბავშვს.

— მამამ თქვა, ყივილით სოფელი სად ამენებულა, ახლა შენ რასაც სჩადიხარ, მაგას რომ ჰგავს, ნუთუ ვერ ხვდებიო?! შეხედე შენს სტუმარს, მაგის დუმილში მოხარული ემოცია, წარმოგიდგენია, რა ძალის არისო? მოჰკიდე ჭიქას ხელი, უფალს შემწეობა სთხოვე და ხვალ თუ ადგომას ვერ შეძლებ, ზეგისთვის მაინც მოიკრიბე ძალა, სახლი უნდა დამახურვინოთ, — მესმის უცხად აივნიდან პასუხად.

— რამდენი წლის არის ბესოს პატარა ბიჭი? — ვეკითხები ვანოს.

— შენც გაიგე მაგათი უბედურების ამბავი? — კითხვას მიბრუნებს ვანო. — გუშინ წაიყვანეს ბავშვი „სასწრაფოთი“, კომპოზია დღესაცო... მაგრამ იმედს აძლევენ, ტვინი ჯანმრთელიაო... ეშველებო... ჰო, მაგდენი რა ვიცი, ასე კი თქვეს.

ხილვა მქონდა?...

— დაიძინებ დღეს ჩემს ოთახში, როგორც მრავალი წლის წინ, როცა ყველანი, მთელი საქართველო, ლტოლვილები გავხდით? — ვეკითხები ზაზას.

— ჰო, შენთან მოვდიოდი, მომენატრა თქვენთან... — მპასუხობს ისიც.

გარეთ ჩვეულებრივი თბილისური საღამოა. ბესოს ვხედავ ქვემოდან ზემოთ ამოდის. ბესოს თუ ხედავთ-მეთქი, ვეკითხები ორივეს. კი, ეგააო, მპასუხობენ. მე ვინ ვარ-მეთქი, მაინტერესებს, მაგრამ მაგას ვინ მეტყვის?..

მეორე დილით, თავატკივებულზე, ნინომ ეს ამბავი ცოტა სხვაგვარად მიაბო, თითქოს არც არაფერი... გითხარით, ტაქტიანია-მეთქი? ტყუილად კი არ არის ჩემი მეგობარი ჩემს დაზე შეყვარებული... ნეტავ, თუ გაბედავს ოდესმე, რომ ეს მითხრას?

უნდა მივეხმარო ზაზას.

ავიარე ერთი აღმართიც...



გიორგიმ ეკონომიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ერთ-ერთ ბანკში სტაჟირება გაიარა და იქ ისე გამოიჩინა თავი, რომ 2 წლის შემდეგ არათუ დატოვეს, დაანინაურეს კიდევ. თამარი სიხარულით მეცხრე ცაზე იყო. ყველგან ამყობდა შვილით, უკვე სარძლოსაც არჩევდა. მიაჩნდა, რომ მისი რძალი ყველაზე ლამაზი, განათლებული, ჭკვიანი და რალა თქმა უნდა, პატიოსანი და კარგი ოჯახისშვილი უნდა ყოფილიყო. გიორგი მის შერჩეულ ყველა გოგოს ინუნებდა. თამარს სულის სიღრმეში უხაროდა კიდევ, რომ მის საამაყო ვაჟს არაფერ მოსწონდა, ფიქრობდა — ჩემს შვილს უზადო გემოვნება აქვსო. ის კი არ იცოდა, რომ გიორგის უკვე კარგა ხნის არჩეული ჰყავდა საცოლე, რომელიც ძალიან უყვარდა. მას ვერ წარმოედგინა დეას გარეშე ცხოვრება, მაგრამ თავის გრძნობას და ამ ქალთან ურთიერთობას ჯერჯერობით მალავდა რადგან, დარწმუნებული იყო, დედა მის არჩევანს სიხარულით არ შეხვდებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ დეა ქმარს გაცილებული იყო და

შვილიანია, სამაგიეროდ, ძალიან ლამაზი, ჭკვიანი და განათლებული ქალიაო.

გადაისადეს ქორწილიც... გიორგი ბედნიერი იყო. გვერდით საოცნებო ქალი ჰყავდა. მის შვილს საკუთარივით უვლიდა, დასვენების დღეებში ასეირნებდა, ყველაფრით ანებივრებდა. დეას უნდოდა მალე გასჩენოდა შვილი, მაგრამ თითქოს ჯობრზე, არა და არ ორსულდებოდა. ექიმებთან სიარულს მოუხშირა. ისინი კი ამშვიდებდნენ, — ნურაფერზე ნერვიულობ, ჯანმრთელი ხარ და შვილიც მალე გეყოლებათ. ამასობაში კი თამარს რომ იტყვიან, თავისი დაემართა. ჯერ შინ დანიყო ბოზოქრობა, მერე ნათესავ-მეგობრებშიც ვეღარ მალავდა თავის აღშფოთებას: ის არ მეყოფოდა, რომ განათხოვარი იყო და შვილიანია?! ახლა ბერნიც გახდა და მაინცდამაინც ჩემს გიორგის ვეღარ უჩენს შვილს, რატომ უნდა ვიყოთ შვილიშვილის დანატრებულიო?! როცა დავითმა მისი უკმაყოფილო სიტყვები მოისმინა, ცოლს შეუტია, — მსგავსი რამ აღარ გაიმეორო! მაგრამ



შვილიც ჰყავდა. ეს ფაქტი თამარისთვის შოკი იქნებოდა, მაგრამ როდემდე უნდა დაემალა შვილიანი ქალის სიყვარული გიორგის?! იფიქრა, სანამ სხვისგან გაუგია, ჯობს ჩემგან შეიტყოსო და მართლაც, მშობლებს გამოუტყდა — ასე და ასეა ჩემი საქმე, წინააღმდეგობას აზრი არ აქვს, მაგ ქალის გარდა სხვას ცოლად არ შევირთავო. თამარს გულს შემოეყარა ეს ამბავი. 3 დღე თავნაკურული ინვა, მაგრამ ისიც და დავითიც მიხვდნენ, რომ გიორგი არ ხუმრობდა, თავის სიტყვას არ გადათქვამდა, ამიტომ დათმობა ამჯობინეს. დავითმა შვილი და სარძლო რესტორანში დაპატიჟა, უნდოდა, დეა კარგად გაეცნო. სხვათა შორის, შინ კმაყოფილი დაბრუნდა და თამარსაც ახარა, — სანერვიულო არაფერია, რა ვუყოთ, რომ განათხოვარი და

შინ დაბრუნებულიყო, მაგრამ დეა ძალიან გულნატყენი იყო და უარით გამოისტუმრა ქმარი... მერე კი ვილნიუსში გაემგზავრა, სადაც მისი დეიდაშვილი იყო გათხოვილი.

2 წლის შემდეგ გიორგიმ დედის შერჩეული „გადასარევი და პატიოსანი“ გოგო შეირთო ცოლად. მალე გაჩნდა ბაბუის მოსახელე დათუნა. მეორე რძალი, ნინო „მომძლავრდა“ თუ არა ოჯახში, მაშინვე ხმა აიმაღლა. პრეტენზიები გაუჩნდა, მოთხოვნილებები გაუზარდა, დედამთილმამამთილს უდიერად ელაპარაკებოდა, გიორგისთანაც სულ რაღაცას დავობდა. თამარმა თავში შემოირტყა ხელი — ეს რა დამემართა! წყნარი, ზრდილი და განათხოვარი არ მერჩინა ამისთანა პატიოსან, ანჩხლსა და გაუზრდელსო?! — შესჩიოდა დავითსა და ნათესავებს.

ერთხელ, გიორგისა და ნინოს ისეთი ჩხუბი მოუვიდათ, ნინო შინიდან წავიდა და ქმარს არაფრის დიდებით აღარ შეურიგდა.

**აზავი პირობა  
დაბრუნება**

თამარმა პატიება სთხოვა შვილს. გიორგიმ ვილნიუსში გამგზავრება და დეას ნახვა გადაწყვიტა. მათი დაშორებიდან 7 წელი გასულიყო. არ იცოდა როგორ მიიღებდა დეა, მაგრამ ძალიან ენატრებოდა და ნებისმიერი დახვედრისთვის მზად იყო. რაც მთავარია იცოდა, რომ დეა ისევე მართო იყო. წასვლის წინ თამარმა ყოფილ რძალს, მისგან გალანძლულსა და განდევნილს, ისეთი წერილი დაუწერა, ადამიანს კი არა, ქვას აატირებდა...

დეასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა გიორგის სტუმრობა. ძალიან კი გაეხარდა, მაგრამ ამდენი ხნის უნახავი საყვარელი ადამიანის დანახვაზე იმდენად დაიბნა, რომ სიხარული ვერც გამოხატა. არადა, გიორგის კარგა ხანია სატელეფონო ურთიერთობა ჰქონდა დეას დეიდაშვილთან, ლანასთან. სწორედ მისგან იგებდა დეას შესახებ ყველაფერს. გამგზავრების წინ კი სთხოვა, საიდუმლოდ შეენახა მისი მოსალოდნელი ვიზიტი...

პირველი უხერხული ნუთების შემდეგ, როცა სიტუაცია ცოტათი განიმუხტა, დეა და გიორგი განმარტოვდნენ. კაცმა ყველაფერი დაუფარავად უამბო, მერე კი დედის წერილი მიანოდა. დეამ შეძლო პატიება. 2 კვირის შემდეგ ისინი (დეას შვილთან ერთად) თბილისში დაბრუნდნენ.

გავიდა დრო. დეასა და გიორგის ქალ-ვაჟი შეეძინათ. მათ შორის სხვაობა ერთი წელია... თამარი ბედნიერი დედა და ბებიია. გულახდილად ამბობს, რომ ცდებოდა და პატიოსნებაზე არასწორი შეხედულება ჰქონდა... „კარგი იქნებოდა ის უსიამოვნება საერთოდ არ ყოფილიყო ჩვენს ოჯახში, მაგრამ რომ არა მეორე რძალი, პირველის ფასს ალბათ ვერც გავიგებდი. რაც მთავარია, მივხვდი ჩემს შეცდომას და გამოვასწორე. დეა დიდსულოვანი ადამიანია და ერთხელაც აღარ გაუხსენებია ის პერიოდი, როცა ჩვენ შორის კონფლიქტი იყო, — ამბობს თამარი და ყველა დედას ურჩევს — მიეცით თქვენს შვილს მისი უფლება, ვინც უყვარს, იმასთან იყოს!“

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61 ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com



# „ეს საათი ჩემი უვილისაა, სისხლიანი ხელიდან მოვსხენიო“...

დიდხანს ვფიქრობდი, როგორ დამეწყო ამ ქალბატონის ამბის თხრობა... მისი ცხოვრება საქართველოს უახლესი ისტორიის ნაწილია — სამშობლოს ორი ძვირფასი ადამიანის სიცოცხლე შესწირა: 1990-იან წლებში ქალბატონი მარინას მეუღლე, ბადრი გზირიშვილი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისას დაიღუპა. მარტოხელა დედამ ორი ობოლი გაზარდა და ფეხზე დააყენა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს კი მისი 20 წლის ვაჟი — ვახტანგ გზირიშვილი გმირულად დაეცა ცხინვალის მისადგომებთან.

ძაძებით შემოსილი დედა ჯერ მეუღლის, შემდეგ კი შვილის დანყბულ საჭმეს ღირსეულად განაგრძობს — შვილის თანამებრძოლებს პატრონობს და ათასობით ქართველ ჯარისკაცს დედობას უწევს.



2-3 ნივთით მეტს ვაკეთებდი და ვყიდდი. არ ვიპარავდი, ხელმძღვანელობამ იცოდა, რომ მიჭირდა და არაფერს მეუბნებოდა. იქიდან 2-3 ლარი მრჩებოდა და ეს ჩემთვის პურის ფული იყო. მერე ერთმა მეზობელმა მითხრა: კერამიკა თურქეთში მიაქვთ, სადაც 10 დოლარად ყიდიან და რალა იმათ აძლევ, შენთვისონ ნაილეო. — რითი ნავიდე? ვიზა მე არ მაქვს და ფული-მეთქი!.. — მე გასესხებო. 100 დოლარი მასესხა და დამაკვალანა. გაყიდული ნივთებიდან ცოტა ფული დამრჩა და ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. თურქეთში კვირაში ორჯერ გადავდიოდი. თანდათან გავიკვლიე გზა... არანაირ მძიმე სამუშაოს არ ვთავილობდი, ოღონდ ჩემი ობლებსთვის არაფერი მომეკლო. თურქები უკვე ისე მენდობოდნენ, ნისიადაც კი მაძლევდნენ საქონელს. ცოტა ამოვისუნთქე. ამასობაში ჩემმა გოგონამ იმშობიარა. მძიმე მშობიარობა ჰქონდა და მთლიანად შვილის პრობლემაზე ვიყავი გადართული. ჩემი პატარა ბიზნესი ორ ახლობელს მივანდე. ხომ იცით, სხვისთვის მინდობილი საქმით ხეირი არავის უნახავს. „ჩავვარდი“ და ისევე ვალები ავიღე. ლამეები არ მეძინა, ჩამონერილი მქონდა — ვისი ვალი როდის უნდა გადაიხადო. ერთ დღესაც, ვალების გასასტუმრებლად, ბინა გაყვიდე და რუსთავში ქირით გადავედი (მე და ჩემი მეუღლე რუსთაველები ვართ). მე საქართველოსა და თურქეთს შორის ვიყავი „გაკიდეული“, ვახო რუსთავში, დედაჩემთან მყავდა დატოვებული (ახლა ის ქუჩა მის სახელს ატარებს...) და მხოლოდ შაბათ-კვირას ვნახულობდი.

— გამოდის, ვალების გასტუმ-

## ერთი გმირი ქართველი დედის აზრები

ლალი პაპასკირი

### ქალბატონი მარინა გზირიშვილი:

— სანამ ვახო დაიბადებოდა, 1 წლის ბიჭი დამეღუპა: კოლოს ნაკბენი გაუღიზიანდა და ექიმებმა რომ გაუჭერეს, სისხლი მოეწამლა... შვილის დაღუპვის შემდეგ მე და ჩემი მეუღლე რუსეთში წავედით და სმოლენსკის ოლქში მშენებლობაზე სამუშაოდ მოვეწვეეთ. ჩემი ქმარი დურგალი იყო, მე — მღვსავ-მღებავად ვმუშაობდი. კომკავშირული საგზურით ვიყავით წასული და 1988 წელს იქ ბინაც მოგვცეს. იმავე წელს ვახო შეგვეძინა. 1990-იან წლებში საქართველოში არეულობა დაიწყო და მეუღლეს ვუთხარი, სამშობლოში დავბრუნდეთ-მეთქი. დამთანხმდა და ჩამოვედით. აფხაზეთში ომი რომ დაიწყო, ჩემი მეუღლე სამხედრო კომისარიატში გამოიძახეს. მასთან დასამშვიდობებლად, ვახიანის სამხედრო ბაზაზე მივედი, მაგრამ იქ მისულს მაცნობეს, ახალმოყვანილი ჯარისკაცები პირდაპირ ფრონტზე გაგზავნეს... თავი ხელში ავიყვანე და შინ დავბრუნდი. რამდენიმე თვე მის შესახებ არაფერი ვიცოდი, არც კომისარიატში მეუბნებოდნენ რამეს... თუ არ ვცდები, ნოემბერი იყო. ბავშვები სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხზე გადაცემას — „სალამო მშვიდობისა“ — უყურებდნენ. ჩემი გოგონა შემოვარდა და ნამოიძახა: ტელევიზორში მამიკოს აჩვენებენო!.. ბადრი ლაპარაკობდა: ჩემს ცოლ-შვილს მინდა ვუთხრა, რომ ცოცხალი ვარო... მერე კამერას შეხედა, თითქოს მე მიყურებდა თვალებში და მომმართა: მარინა, აბა, შენ იცი, თუ ცოცხალი ვეღარ დავბრუნდი, ჩემი ვახო ღირსეულ ვაჟაცად აღზარდე, ვიცო, რომ ძლიერი ქალი ხარო... ეს იყო ბოლო სიტყვები, რომელიც ქმრისგან მოვისმინე. ერთ დღესაც ჩემთან ის ბიჭები მოვიდნენ, ვინც ომში ბადრისთან ერთად იყვნენ. თვალებში ვერ მიყურებდნენ,



ძლივს მითხრეს: ამ დღით ბადრი ჩამოვასვენეთ თბილისშიო. ტამიშის მისადგომებთან დაღუპულა. ყველა დღე ერთმანეთს ჰგავდა; უშუქობა, სიცივე და შიმშილობა იყო... ომამდე ჩემი მეუღლე დურგლად მუშაობდა და არ გვიჭირდა. ახლობლებისთვის ხელის გამოართველაც კი ვახერხებდით. მერე ყველა უბედურება ერთბაშად დამატყდა თავს. ორ ადგილას დავიწყე მუშაობა — დილით კერამიკის „ცხში“ გაიქცეოდი, თიხას ფორმებში ჩავასხამდი... სანამ გაზრებოდა, პარლამენტში დამლაგებლად ვმუშაობდი და შემდეგ ისევ კერამიკას ვუბრუნდებოდი.

— შვილებს ვის უტოვებდით? — ნათია სკოლაში დადიოდა, ვახო — საბავშვო ბაღში. სკოლის შემდეგ, ჩემს გოგონას თავისი ძმა სახლში მოჰყავდა და თვითონ უვლიდა. საქმელს სახლიდან გამოსვლამდე ვაკეთებდი, რომ ბავშვები მშვირები არ ყოფილიყვნენ... ნათიამ სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა უნივერსიტეტში გააგრძელა, მაგრამ მალევე გათხოვდა. სიძე კარგი ბიჭი იყო, მაგრამ მატერიალურად მათაც უჭირდათ და გათხოვილ შვილებზეც მე მომინია ზრუნვამ... კერამიკის საამქროში



რების შემდეგ ისევ უმუშევარ დარჩით?

— დიას, ცოტა ხანი არსად ვმუშაობდი, მერე კი ვიშოვე რაღაც, მაგრამ შემოსავალი არ გვყოფნიდა. ვახოს მეგობრები ძმებივით უყვარდა. ჩვენ ხომ ასე გვიჭირდა, მაგრამ ის წვალებით ნაყიდ ტანსაცმელს იმით ჩააცმევდა, თან რაღაც-ნაირად, თბილად და სასუნთქად გამოიღებდა: დედა, არ გამიწყრე, რა, არ ჰქონდა და შემეცოდაო... 2005 წელს ძალიან გამიჭირდა. სხვა გზა არ მქონდა და თურქეთში მოახლეთ წავედი. სკოლის დამთავრების შემდეგ ვახოს კომისარიატიდან უწყებები მოსდიოდა და რამდენჯერმე ფული გადავიხადე. ვუთხარი: მამაშენმა სამშობლოს წინაშე შენი კი არა, შენი შვილიშვილების ვალიც მოიხადა და არსადაც არ გაგიშვებ-მეთქი. სწყინდა: რას ამბობ, დედა, რეკლამაში ვიღაც ბიჭი ლოგინის ქვეშ რომ იმალება, მეც ისე ხომ არ მოვიქცევით?! თურქეთში ადვოკატების მდიდარ ოჯახში დავიწყე მუშაობა. 2007 წელს ვახოც მესტუმრა და 2 თვე დარჩა. მუშაობაც კი დაიწყო; 800 დოლარამდე გამოიქმუშავა. მერე ვიზას ვადა გასდიოდა და საქართველოში გამოვუშვი, — ვიზა გააგრძელებინე და ისევ ჩამოდი-მეთქი. როცა ვეკითხებოდი, — რას შევბი-მეთქი? — საუბარი სხვა თემაზე გადაჰქონდა.

— რას გუებნებოდათ?

— პირდაპირ პასუხს თავს არიდებდა... თურმე შეიარაღებულ ძალებში კონტრაქტით წასვლა ნდომებია და საბუთებს აგროვებდა. ერთხელ მთხოვა, — შენი პირადობის მოწმობის ასლი გამომიგზავნეო. — რად გინდა-მეთქი? — დაცვის სამსახურში მინდა, მოვეწყო და იქ მომთხოვესო. დავეჭვდი, მაგრამ მაინც გამოვუგზავნე. დღემდე ვინახავ მისი ხელით დაწერილი ავტობიოგრაფიის ასლს. ისე სასაცილოდ უწერია, ორიოდე სიტყვით: დავიბადე ამა და ამ წელს, დავამთავრე ესა და ეს სკოლა, მყავს დედა და და... სულ ეს არის. ეტყობა, კონტრაქტორად წასვლის გადაწყვეტილება ნაჩქარევად მიიღო და ავტობიოგრაფიაც ერთი ამოსუნთქვით დაწერა. მერე დამირეკა: რაღაც უნდა გითხრა და არ

გაგიჟდე; მომილოცე — ჯარისკაცი გახდიო!.. ისეთ ცუდ ხასიათზე დავდექი, დანა კბილს არ მიხსნიდა. სახლის პატრონებმაც კი მკითხეს მიზეზი. ჩემი შვილი ჯარისკაცი გახდა-მეთქი, — ვუპასუხე. თურქები სამხედროებს დიდ პატივს სცემენ და გაუხარდათ... მას მერე არ მინახავს. მერე მითხრა: 2008 წლის ოქტომბერში ერაყში უნდა წაგვიყვანონ და მანამდე უნდა ჩამოგიყვანო, თან ჩემს შეყვარებულსაც გაგაცნობო... სულ ვაფრთხილებდი: ცოლი ჯერ არ მოიყვანო, ხომ იცი, ბინა არ გაქვს-მეთქი. მოუკვდეს დედა! ნეტავ, მოეყვანა, მისი შვილი მაინც დამრჩებოდა... 2008 წლის ივლისში ჩემი ქალიშვილი ნათია მესტუმრა, აგვისტოს დასაწყისში კი ომიც დაიწყო.

— როგორ გაიგეთ? ქართული ტელეარხიდან?

— კი. მაგრამ ტელევიზორის საყურებლად სად მეცალა, შვილო?! იმდენი საქმე მქონდა, ციბრუტივით ვტრიალებდი... ოჯახის პატრონები ვახოსთან დარეკვის უფლებას ყოველდღე მაძლევდნენ. ბოლოს 5 აგვისტოს ველაპარაკე ჩემს შვილს. გამამხნევა: ოქტომბრამდე ცოტა დრო დარჩა, ცოტაც მოითმინე და ჩვენს წვალებას ბოლო მოეღებო: ოქტომბერში კრედიტის გამოტანასა და ბინის დაგირავებას გეგმავდა. საკმარისია, რაც წვალება ნახე, ნათიას ხომ გაუზარდე შეილები, ახლა ჩემი შვილები უნდა გაგაზრდევინო, — მეუბნებოდა... ყველა ჩვენი საუბარი ასე მთავრდებოდა: „ძალიან მენატრები, დედა, ძალიან მიყვარხარ“... 7 აგვისტოს ჩემმა პატრონმა მკითხა, — რა ხდება თქვენს ქვეყანაში? — არაფერი, გუშინწინ ევლამარაკე ჩემს შვილს-მეთქი. — მგონი, საქართველოში ომი დაიწყო, — მითხრა. მუხლები მომეკვება. ქართული ტელევიზიები არაფერს ამბობდნენ, ფილმები გადიოდა. მასპინძელმა „სიენი-ნი“, „ბიბისი“ და კიდევ რომელიღაც უცხოური ტელეარხები ჩამირთო: ყველგან საქართველო-რუსეთის ომზე ლაპარაკობდნენ. ვახოსთან რომ დავრეკე, მობილური გათიშული ჰქონდა. ნერვიულობისგან აზროვნება მიჭირდა. ნათიას მახლიც ჯარში იმყოფებოდა და მასთან დავარეკვინე. დაგვამუშვიდა, — ვაზიანში ვართ, ვახოც აქ არის და არ ინერვიულოთ; ის სხვა ქვედანაყოფშია და ჩემი ასმეთაური მის პატალიონში გადასვლის უფლებას არ მომცემსო... ამ დროს ჩემი შვილი უკვე ცხინვალში ყოფილა. იმ დღესვე მინდოდა საქართველოში მამოსვლა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. ნათია და ბავშვებიც ჩემთან იყვნენ. მთელი ღამე

თეთრად გავათენე, მხოლოდ გამთენიისას ჩამთვლიმა და მესიზმრა, რომ სამეზობის ტაძარში ვიყავი; უცნაურ ტაძარს ბომბი დაეცა; ყველა გადარჩა და მხოლოდ ერთი ადამიანი დაიღუპა... გიჟივით დავრბოდი და ყველას ვეკითხებოდი, — ვინ არის ის ერთი-მეთქი? პასუხი არავინ გამცა... გამომეღვიძა და ნათიას მივვარდი: ბარგი ჩაალაგე, ფენითაც რომ მოგვინიოს საქართველოში ჩასვლამ, უნდა წავიდე-მეთქი. მერე ერთერთ საინფორმაციოში გამოაცხადეს, ვაზიანის სამხედრო ბაზა დაბომბესო. ამან საერთოდ გამაგო: ჩემი შვილი ხომ იქ არის-მეთქი! არადა, ამ დროს ცხინვალის შესასვლელთან, ავადსახსენებელი ნაძვანარი დაუბომბავთ და ჩემი ვახოც იქ ყოფილა. იმ დღეს გიჟივით ვირბინე ავტოსადგურებში, მაგრამ საქართველოს მიმართულებით მიმავალი ტრანსპორტი ვერ ვიშოვე... გამთენიისას ჩემმა სიძემ დარეკა. ავკანკალდი. ნათია გავაღვიძე. ჩემს ოთახში მობილური ცუდად იჭერდა და ავიკანკალე. უცებ მისი შევიკვლება გავიგონე: — ვაიმე, გორი, მითხარი, რომ ეს მართლაც არ არისო!.. — რა ხდება-მეთქი? — ვკითხე. — არაფერი, დედა, მგონი, ვახო დაუჭრიათო... მხოლოდ ის მახსოვს, რომ დიდი გაჭირვებით ვიპოვეთ რუსთავი-სტამბოლის ავტობუსი, რომელმაც მხოლოდ სამტრედიამდე ჩამოგვიყვანა. ტაქსი ავიყვანე და მძღოლს ვთხოვე, — გორის სამხედრო ჰოსპიტალში წამიყვანე-მეთქი. მძღოლი ღამის გაგიჟდა: გორის ჰოსპიტალი დაბომბილია და იქ როგორ წავიდეო?! მერე ნათიამ მითხრა, — ვახო თბილისში გადაუყვანიათო, — და ასე, მოტყუებით ჩამომიყვანეს თბილისში და მიმაციენეს ჩემი ქალიშვილის ბინას. შემოვლივით ვიდექი და ვევიროდი: საავადმყოფოში წამიყვანეთ, ჩემი შვილი უნდა ვნახო-მეთქი! ხალხი რაღაცნაირად მიყურებდა: თურმე ჩემი შვილი ცოცხალი აღარ ყოფილა... ვახო მინას მივებარე, მე კი მაინც ვსუნთქავ, დავდივარ, მის ნიღ სითბოსა და სიყვარულს ჯარისკაცებს ვუზიარებ. ყველა ჯარისკაცი ჩემი შვილი მგონია, ყველა სამხედროფორმიანში ვახოს ვეძებ. დღემდე დავდივარ ვაზიანის სამხედრო ბაზაზე, სადაც მას ჯარისკაცობასა და ქვეყნის სიყვარულს ასწავლიდნენ...

P.S. ქალბატონ მარინას ხელზე მამაკაცის საათი ეკეთა. ჩემი შვილისაა, სისხლიანი ხელიდან მოვხსენიო, — მითხრა. მას ინტერვიუს დროს ერთი ცრემლიც არ ჩამოვარდნია. როგორც ჩანს, გაჭირვება ადამიანს სხვანაირ, განსაკუთრებულ სიმტკიცეს სძენს. ქალბატონი მარინას თაოსნობით, ვახთან გზირიშვილისა და მისი თანამებრძოლების სახელების უკუდავსაყოფად, ვარკეთილში წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში შენდებო. ალბათ სწორედ ასეთი დედების წყალობით მოვიდა ჩვენი ქვეყანა აქამდე...








# „კახური“ ფესტივალი, მამაკალი ტყუპი ძმა და „კიდევ ერთი კოსნისთვის“ გაუღილი პურმარილი

14 ნოემბერს, დილით, გეზი სილნაღისკენ ავიღე. ამ დღეს სიყვარულის ქალაქში ბავშვთა და მოზარდთა თეატრალური ფესტივალის — „მარბელას“ დასურვა იყო დაგეგმილი და მე საპატიო სტუმრად გახლდით მინვეული. კარგა ხანია, კახეთში არ ვყოფილვარ და ხალისითაც კი გაფუდექ გზას. მახსოვს, ბავშვობაში, როდესაც კახეთში ოჯახით მივდიოდით, მამის მანქანის უკანა სავარძელზე მსდომი მე და ჩემი ძმა ვირების დათვლით ვიქცევდით ხოლმე თავს. გზის მხარეებს გაგინანილებდით და გულმოდგინედ ვითვლიდით. ბოლოს, „ნაგებული“ ანუ ის, რომლის მხარეზეც ნაკლები ვირი აღმოჩნდებოდა, „მოგებულს“ იმდენ სურვილს უსრულებდა, რამდენი სხვაობაც იყო გზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს დათვლილ ვირებს შორის. ჰოდა, ახლაც გამახსენდა ეს „ჩვევა“ და ვინაიდან ჩემი ძმა თან არ მახლდა, გადავწყვიტე, მარტოს დამეთვალა, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, სულ 1 ვირი შემხვდა, ისიც ურემში (კახელები „ტაჩკას“ ეძახიან) შებმული. კახელი ბაბუა (უფრო სწორად — პაპა) კიროზე იჯდა და სანყალ ცხოველს მალ-მალე სახრეს გადაპკრავდა ხოლმე. ურემის წინა ნაწილზე „სკოპით“ რადიომიმღები ჰქონდა დამაგრებული და ხმამალა ამღერებდა. როდესაც „ტაჩკას“ გადავასწარი, მომიპოპინა კიდეც... ყურებს არ დაფუჯერე, მაგრამ აშკარა იყო, რომ პოპინის ხმა სწორედ იქიდან მოდიოდა.



ჩელი — ხელოვნების სადარჯოზე

## მარი ჯაფარიძე

კახეთში ავტოგასამართი სადგურების უცნაური სახელწოდებებიც ვნახე. ერთ მათგანს „გულოილი“ ჰქვია, მეორეს — „ხალილილი“. ჰოდა, „ხალილილი“ „კალონკას“ გავცდი თუ არა, შევნიშნე, რომ გზაზე სამარშრუტო ტაქსი იყო გაჩერებული. რალაც ნაწილი გასტეხია და „მარშრუტკიდან“ ჩამოსული მგზავრები გამველ მანქანებს აჩერებდნენ, რათა დანიშნულების ადგილამდე როგორმე მიეღწიათ.

მგზავრებს შორის ახალგაზრდა გოგონა შევნიშნე, ხელში ჩვილი ეჭირა და მის წინ დავამუხრუჭე. ვიდრე ახალგაზრდა დედა აზრზე მოვიდოდა, მანქანის კარი მამაკაცმა გამოაღო და წინა სავარძელზე ხვნეშით მოთავსდა. ხელში უზარმაზარი, უცნობი „წარმოშობის“ რკინის საგანი ეჭირა და ძლივს შემოეჭია მანქანის სალონში.

— უკაცრავად, მაგრამ მანქანა იმ ბავშვიან ქალს გაუჩერე, — მორიდებით ვუთხარი დაუპატიჟებელ სტუმარს.

— გენავ, იმია კი შემოვუშვებ მანქანაში, მაგრამ მეც უნდა წამიყვანო, მე „მოფერი“ ვარ და თუ აეს ნაწილი საიდანმე არ მოვიტანე, ამაღამ აქე დავრჩები.

— კი, ბატონო, ნაგყვანთ, მაგრამ თქვენ

სად მიდისართ? — მისი სავარაუდო მიმართულება ვიკითხე.

— შენ სად მიდისართ?

— მე — სილნაღში.

— ჰოდა, ჩალაუბნის „ტეკამდე“ (საპატრულო სადგურია) მიმიყვან და შემდეგ მე თვითონ მოვასერებ რამეს.

— კარგი, ბატონო, — დავთანხმდი და ბავშვიანი ქალიც ჩავსვი.

— ე ქალაქელები რამეში ხომ უნდა გამაადგეთ ადამიანს, კაცო... — თითქოს თავი იმართლა „მარშრუტკის“ მძღოლმა. — სილნაღში რა გინდა, უნდა დათვალე-რო?

— თეატრალურ ფესტივალზე მივდივარ, დასურვაა დღეს და უნდა დავესწრო.

— მსახიობი ხარ? — რადგან „თეატრალური“ გაიგონა, იფიქრა, მსახიობი ვიყავი.

— არა, ჟურნალისტი ვარ.

— იიი, მე კიდე მერაბა ვარ, — უნდობლად შემომხედა, — რაზე სწერამ შენს ჟურნალში?

— ყველაფერზე, რაც საინტერესოა.

— მა მე ახლა რაზე რომ მოგიყვ, გაზეთში გამაწერამ?

— კი, აუცილებლად, ოღონდ, საინტერესო ამბები უნდა მომიყვეთ, — გამეცინა.

— რაო, ქალაქში რას ამბობენ, ჩინური კალენდრის მიხედვით, 2010 წელს რომელი ცხოველის გრიბი გვექნება?

— ეგ არ ვიცი, — პასუხს თავი ავარიდე, რადგან „სამედიცინო სფეროში“ კომპეტენტური არ ვარ.

— ისე, ერთი მაგარი ამბავი მაქვს შენთვის...

ისე გადმომხედა მერაბმა, ვითომ მართლა ჩემთვის

ჰქონდა შენახული ის ამბავი.

— მომიყვი, აბა, — შევაგულვინე.

— ჩვენს სოფელში ტყუპი ძმა ცხოვრობდა. ჰოდა, რო ნამეზარდნენ დედას, ის მამაძალები, მემრე აქ დადგომა აღარ უნდოდოდა და ერთი საბერძნეთში წავიდა, მეორე — ამერიკაში. ამერიკაში რომელიც წავიდა, ის ძალიან ნიჭიერი იყო, მუსიკას იგრე უკრამდა, როგორც ბეთჰოვენი. ჰოდა, იქაც ეგ საქმე გააგრძელა. აქ პიანინოზეც დადიოდა და კიდე იმაზე, აი, კისერზე რო მიიდებენ და რო ხერხამენ ხოლმე.

— ვიოლინო? — შევახსენე.

— ჰო, „სკრიპკაზე“. ჰოდა, საბერძნეთში რომელიც წავიდა, იმას ცოტა გაუჭირდა სამსახურის მოვნა, მაგრამ მემრე მოქალაქეობა მიიღო და გაზეთების ბიზნესში გააქცა. დიდი „ბუტკა“ ააშენა თურმე და ჟურნალ-გაზეთებსა ჰყიდდა. კმაყოფილიც იყო, დიდძალი ფული იშოვა და აქ მშობლებსაც ეხმარებოდა. ერთხელ თურმე, ერთ-ერთი ამერიკული ჟურნალის ყდაზე თავისი ძმის ფოტო ნახა (თვითონაც ხომ იგეთი იყო, როგორიც თავისი ძმა და ადვილად იცნო) დაბეჭდილი. თურმე ბიჭი მონყენილი სახით იჯდა გისოსებს მიღმა. გაგიჟდა ეს „ბერძენი“ ძმა, ადგა და ძმის საშველად ამერიკაში გაემგზავრა. მე აქ პურ როგო შეგქამ, ჩემი ძმა იქ ციხეში იჯდესო?! ჩავიდა ნიუ-იორკში თურმე და ძლივ მიაგნო ძმის მისამართს. გაუკვირდა, სახლში რომ დახვდა. გადაეხვია თურმე, გულში ჩაიკრა და ჰკითხა, გამოგიშვს ამ მამაძალებმაო? რას ჰქვია, გამომიშვს, რისთვის უნდა დაგეჭირო? რა ვი, კაცო, ჟურნალის ყდაზე გნახე, გისოსებში იჯექ და სახე ჩამოგტიროდაო. ის „ამერიკელი“ სიცილით მოკვდა თურმე, ისა გისოსები კი არა, არფა იყო, არფის უკან ვიჯექი და თანაც, როდის იყო, ვინმე ბეთჰოვენს გაცივებული სახით უკრამდაო?! ჰა, როგორი ამბავია? ღირს დასანერად თუ არა?



მამუკა ლომაშვილი და ნინო ხომასურაძე



— კი, ნამდვილად ღირს, — სული ძლივს მოვიბრუნე სიცილისგან.

— ჰოდა, დანერე, — ნებართვა მომცა, — იცი, რამდენი ენა ვიცი?

— რამდენი? — მართლა დავინტერესდები.

— სამი!

— მართლა?

— მა, ქართული ხომ ვიცი და ვიცი, კიდევ სომხური ვიცი და ინგლისურიც.

— ინგლისური სად ისწავლეთ?

— ჰმ, სად ვისწავლიდი, აქა, კახეთში. შპრეხენ ზი დოიჩ? — მომიბრუნდა უეცრად.

— ეგ ხომ გერმანულია?

— „ზნაჩიტ“, 4 მცოდნია!

ეს როგორც ჩანს, მისი „საფირმო“ ხუმრობა გახლდათ. ამასობაში ჩალაუბნის „ტეკსატ“ მივადევით და მძლოლიც და ბავშვიანი ქალბატონიც ჩავიდინე, მე კი სილნალისკენ გადავუხვიე და ნახევარ საათში უკვე სიყვარულის ქალაქში ვიყავი.

ვინაიდან ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ჩემი მასპინძელი მამუკა ლომავილი იყო, მას დავურეკე, რომელიც პატარა მსახიობებთან და ყოფრის წევრებთან ერთად, 5 დღის განმავლობაში სილნალში ცხოვრობდა. უფრო სწორად, სილნალის კორნოზზე (როგორც კახელები ამბობენ და ლიტერატურული ენით „მთის წვერს“, ამალღებულ ადგილს ნიშნავს) ცხოვრობდა. როგორც იქნა, რის ვაი-ვაგაბებით მივაგენი. აივანზე ყოფრის თავმჯდომარე, მსახიობი ნინო ხომასურიძე ბავშვებს მასტერკლასს უტარებდა (ფესტივალი ბავშვთა და მოზარდთა ჯგუფებისთვის გახლდათ ორგანიზებული). ოთახში ბავშვების ნაწილი და მშობლები დამხვდნენ. მათთან ერთად — ჩელები. თურმე ისიც ყოფრის წევრი ყოფილა და ახლა, დახურვის დღეს, ვალმოხდელი იჯდა და საუზმეს ელოდა. ქალბატონი ეთერი (დიასახლისი) სუფრას შლიდა და თან წუნუნებდა, ნეტავ კიდევ რჩებოდეთ, უთქვენოდ რა მეშველებათ. ყველამ ბარგი შეკრა (დახურვის ცერემონიის შემდეგ თბილისში ბრუნდებოდნენ) და ჩელეს მანქანაში ჩაბარგდნენ. ნინომ დიასახლისი და მისი მეუღლე გადაკოცნა და დაჰპირდა, რომ უმოკლეს ვადაში აუცი-

ლებლად ჩააკითხავდა.

— ამათი ცრემლების თავი არ მაქვს, რა მაყურებინებს ამათ გამოთხოვებას, ჩვენ ნავიდეთო, — მითხრა მამუკამ (თვითონ უკვე ყველას გამოემშვიდობა) და ჩემს მანქანაში ჩასტა.

თეატრის შენობა ქალაქის ცენტრშია. დირექტორმა, ბატონმა მურად ვაშაკიძემ ფესტივალის ორგანიზატორებს ახალი ამბავი დაახვედრა — ისე მოგვეწონა ბავშვების გამოსვლა, რომ გადავწყვიტეთ, სპეციალური პრიზები დავანესოთ ქალის, მამაკაცის როლების საუკეთესო შემსრულებლებისთვის და დებიუტანტისთვისო. ასე დანესდა ფესტივალზე დამატებითი პრიზები.

**მამუკა ლომავილი:**

— ფესტივალი მარტო ჩვენს სახელობის გახლავთ. მარტო ქართული მსახიობი იყო, რომელიც კრწანისის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ბავშვთა და მოზარდთა ფესტივალი მისი სახელობის ყოფილიყო. ლონისძიების ორგანიზებას ყოველ წელს ვვგეგმავთ. ახლა სილნალში ჩატარდა, შემდეგ წელს სხვაგან ჩავატარებთ. ასეთი ფესტივალები საქართველოში არ არის, აუცილებელია, რადგან საბავშვო თეატრები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასვლას ვერ ახერხებს ფინანსური პრობლემების გამო. აქ კი ხარჯი შედარებით ნაკლებია და ასე თუ ისე, ხელმისაწვდომი გახლავთ. წლებად ფესტივალზე არ გვეყავა და გამარჯვებული და დამარცხებული ყველა გუნდმა მონაწილეობისთვის ერთნაირი პრიზი მიიღო. ეს გახლავთ ქართული, თეატრალური ნიღაბი. სილნალის გამგეობამ ჩვენგან დამოუკიდებლად დაანესა პრიზი 3 ნომინაციაში.

ამასობაში დახურვის ცერემონიის მონაწილე ყველა ჯგუფი სცენაზე გასასვლელად ემზადებოდა. დაჯილდოების წინ სამწუთიანი ნომრით უნდა წარმდგარიყვნენ, მაყურებლის წინაშე და ბავშვები როლებს იმეორებდნენ. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ბავშვები ერთმანეთს უკვე გამინათურებოდნენ და მეგობრულად საუბრობდნენ. ნინო ხომასურიძე წერვიულობდა, — ვაიმე, ეს არ დაგვრჩეს, ის არ დაგვავინწყდესო, გაიძახოდა და აქეთ-იქით საქმიანად დადიოდა. ჩელები თავის ფანებს ისე ესალმებოდა, ლამის მკლავი ამოიგდო. ყოველი მისი გამოჩენა აუიოტაუს ინვევდა.

როგორც იქნა, საორგანიზაციო მხარე მოგვარდა და დაჯილდოების ცერემონია დაიწყო. ვიდრე გუნდები დაჯილდოვდებოდნენ, რეჟისორ **ბოზი თოლაძის** გავსაუბრე:

— მოხარული ვარ, რომ ეს ფესტივალი ჩატარდა. ჩემი „ბერიკებიც“ იყვნენ მონაწილე და სიამოვნებით დავთანხმდით. კარგ საქმეს ჩაყარა საფუძველი და იმედი, კვლავაც გაგრძელდება.

არ შემიძლია, არ აღვნიშნო (მიკერძოებაში ნუ ჩამითვლით) მამუკას სტუდიის — „სახლი თეატრში“ — ბავშვების გამოსვლა. მათ ნოდარ დუმბაძის რომანიდან — „მე ვხედავ მზეს“ — ის



ფესტივალის პრიზი

ნაწყვეტი წარმოადგინეს, სადაც დათა ბეჟანას კლავს. საოცარი სცენა იყო. 8-9 წლის ბავშვები ისე თამაშობდნენ, ბეჟანა ისე გულწრფელად „კვდებოდა“, რომ მაყურებლები გაისუსნენ, ირგვლივ ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით და უფროსებსაც და პატარებსაც თვალები ცრემლით ჰქონდათ სავსე. მონაწილეებმა მქუხარე ტაში დაიმსახურეს. ხატის როლის შემსრულებელმა კი — დებიუტანტისთვის დანესებული პრიზი.

როგორც იქნა, ყოფრის თავმჯდომარეც მოვიხელთე:

— მარი, ვერ წარმოიდგენ, როგორი ნასიამოვნები ვარ. ამ ბავშვებთან ურთიერთობამ 10 წლის სიცოცხლე მომიმატა. ყველა ერთმანეთზე უკეთესია და ძალიან საყვარლები არიან. არ ვნანობ, რომ წამოვედი და თითქმის მთელი კვირა მათთან ერთად გავატარე. საერთოდ, ძალიან პრეტენზიული ადამიანი ვარ და უცხო გარემოს რთულად ვეგუები, მაგრამ ახლა თავს საუცხოოდ ვგრძნობ.

ფესტივალის დახურვის შემდეგ ალღუმის ჩატარება იყო დაგეგმილი და მონაწილეები სილნალის შემოვლას შეუდგნენ, მაგრამ ვიდრე საზოგადოება დაიშლებოდა, მამუკამ იქვე, სცენაზე ფესტივალის სპონსორი, ქალბატონი ნაზი ალასანი მიიწვია, რომელმაც მშობლიური ქალაქის — ფოთის გუნდი საგანგებო პრიზით დააჯილდოვა და მამუკამ პირობაც იქვე ჩამოართვა, რომ ქალბატონი ნაზი ფესტივალს გაისადაც გვერდით დაუდგება.

ფესტივალის დახურვის შემდეგ, როდესაც ყველა ნავიდ-წამოვიდა, მამუკასთან იმ ოჯახის უფროსი მივიდა, სადაც მთელი კვირის განმავლობაში ცხოვრობდა და რალაც ჩასწორჩულა.

მოკლედ, მასპინძლები სტუმრებს ვერ შეელოვნენ და ისევე იქ, ძველ „ბუდეში“ გვეპატიჟებოდნენ, რომ ფესტივალის დახურვა აღგვენიშნა. — შენ სპეციალურად მოგვამბრუნე უკან, რომ დამშვიდობებისას კიდევ მეკოცნაო, — უწყინრად ხუმრობდა ნინო და მის ხუმრობაზე დიასახლისი კეთილად ილიმებოდა. თვა დავიტაია (ფესტივალის ორგანიზატორი), ნინო, თამრო („სახლი თეატრში“ — მუსიკის პედაგოგი), ჩელები და მე, უკან მივბრუნდით. მამუკას უკანა გზაზე მძლოლობა დავცისრა და სასმელი ვერ მიირთვა. სამაგიეროდ, ჩელემ მოიღიხნა მთელი გულით და მასპინძლის



ნაწყვეტი სპექტაკლიდან „მე ვხედავ მზეს“





# თაღლითობისთვის ქალები უმკაცრესად დასაჯეს

ცოტა ხნის წინ თბილისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე ზვიად ესებუა) ორი განსასჯელი ქალის საქმის განხილვა დაასრულა. საბრალდებო სკამზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი გამომძიებელი, 42 წლის ნინო ჯარიაშვილი და სასჯელალსრულების დეპარტამენტის ყოფილი ფინანსისტი, ვიცე-პოლიკოვნიკი, 58 წლის სვეტლანა მაისურაძე ისხდნენ. მათ თაღლითობის რამდენიმე ეპიზოდში ედებათ ბრალი. მოსამართლემ ნინო ჯარიაშვილს 30-წლიანი პატიმრობა, ხოლო სვეტლანა მაისურაძეს — 26 წელი და 6 თვე მიუსაჯა.

## თავ სურსილავა

სანადირო თოფითაც კარგად გავართო. თემ ისე იტირა, გული მწყდებდა, ფესტივალი რომ დამთავრდაო, რომ მისი ხათრით ყველამ წაუფტირეთ, მაგრამ ცოტა ხანში ისეთი ტაშ-ფანდური ატყდა, ტირილისთვის აღარავის ეცალა... მასპინძლებთან „გრძელვადიანი“ გამოთხოვების შემდეგ, როგორც იქნა, მანქანებში ჩავსხედით და თბილისისკენ დავიძარი. ვინაიდან ბნელოდა, გადავწყვიტეთ, ერთად გვევლო, მაგრამ ის იყო, სიღნაღიდან გამოვედით, რომ მამუკამ დამირეკა, ჩელეს ქუდი დარჩა, უკან უნდა მივბრუნდეთო. ასე რომ, მაინც მარტო მომიწია მგზავრობამ, მაგრამ ამას სულაც არ შევუშინებდით, რადგან ცოტა ხანში „კახურმა“ პატრულმა გამაჩერა და გამამხნევა კიდევ:

— საბუთები წარმოგიდგინეთ, თუ შეიძლება, — გამეჭიმა ერთი მათგანი.

მივანოდე.

— საიდან მოდიხარ?

— სიღნაღიდან.

— მერე, კახეთიდან ფხიზელი მიდიხარ?

— ეჰ, ბარე, არც მე მინდოდა, რომ ფხიზელი წამოვსულიყავი, მაგრამ საქსთან რომ ვიჯექი, ამიტომ ვერ დავლიე, — ნავინუნუნე ცოტა.

— აბა, მიდი, ჩაუბერე, — მითხრა და ტესტერი მომიშვირა.

— ჩაუბერე, რა, დუღუკი ხომ არაა? თანაც, სიტყვაზე არ მენდობით თუ რაშია საქმე? — გადავწყვიტე, ცოტა გაჭეუმრებოდი პატრულს.

— მიდი, ჩაუბერე, რო გეუბნები, როდის იყო, თბილისიდან სტუმარი ჩამოდიოდა და აქედან კახელები ფხიზელ უშვებდნენ? — „ნაუკასურა“.

— ვაა, მოიტა, ჩაუბერავ, — დავთანხმდი ბოლოს.

— ფხიზელი ყოფილა, ოუ, ხედავ? — გასძახა „ნაპარნიკს“, რომელიც მანქანიდან ცოცხალი თავით არ გადმოდიოდა. მერე საბუთები დამიბრუნა და კეთილი მგზავრობა მისურვა.

— ახლა პრეზიდენტმა რომ გამოიაროს, იმასაც გააჩერებ?

— მა რას ვიზამ?

— ჰოდა, მაშინ 15 წუთში ჩამოვივლის და ნამდვილად ვიცი, რომ მთვრალია. თანაც საქსთან თვითონ ზის, ვნახოთ, როგორ გააჩერებ. თუ გინდათ, მანქანის ნომერსაც გეტყვი.

— მიდი აბა, გვითხარ.

ჩელეს მანქანის ნომერი ჩაუკაკლე, რომლის საქსთანაც მამუკა იჯდა და პატრულს გამოვემშვიდობე. დიდი ამბით შემპირდნენ, ნახავ, თუ არ გავაჩეროთ, თანაც, აუცილებლად დავაჯარიმებთ, თუ მითვრალია და ჩვენ კი პრეზიდენტსაც მოგვცემენ მაგისტრისო, მაგრამ როგორც ჩანს, მაინც ვერ გაბედეს „პრეზიდენტის“ მანქანის გაჩერება, რადგან როგორც შემდეგ გავიგე, მამუკას მშვიდობიანად ჩამოუყვანია თავისი მგზავრები და მინდა დაგამედოთ, რომ „პაპელიასაც“ გადაურჩნენ და ყველა თავს კარგად გრძნობს, მეორე ფესტივალადე...



ასეთი მკაცრი სასჯელი მოულოდნელი აღმოჩნდა განსასჯელებისა და მათი ადვოკატებისთვის. ისინი განაჩენს კატეგორიულად არ ეთანხმებიან და საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოში საჩივრდება.

სვეტლანა მაისურაძის ინტერესს ადვოკატი ვალოდია ტაბალუა იცავს. მისი თქმით, მაისურაძე წლების მანძილზე სასჯელალსრულების სისტემაში საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა და „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გაათავისუფლეს. მიზეზად მისი ასაკი დაასახელეს. მაისურაძემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა და სამსახურში აღდგენა მოითხოვა. ადვოკატის თქმით, აღდგენის საკითხი თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ სწორედ ამ დროს დააპატიმრეს და 180-ე მუხლით გაასამართლეს.

ნინო ჯარიაშვილმა და სვეტლანა მაისურაძემ ერთმანეთი საბურთეთში მოგზაურობისას გაიცნეს; ტელეფონის ნომრები გაცვალეს და მალე დაემგობრდნენ. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მათ განიზრახეს, მსჯავრდადებულთა ახლობლები მოეტყუებინათ: არწმუნებდნენ, რომ შეძლებდნენ, შეწყალებით, საპროცესო შეთანხმებით ან „აქტიროვკის“ გზით მათი ახლობლები ციხიდან გამოეყვანათ.

გამოძიების მტკიცებით, მათი პირველი მსხვერპლი, 2007 წლის ნოემბერში, სვეტა მაისურაძის ყოფილი თანამშრომელი ბესიკ ხმალაძე გახდა. მას ციხიდან ვაჟიშვილის — გიორგი ხმალაძის გათავისუფლებას 10.000 დოლარის სანაცვლოდ დაჰპირდნენ. ბესიკ ხმალაძემ ეტაპობრივად, 10.000 დოლარი გადაიხადა, მაგრამ მოტყუებული აღმოჩნდა, ციხიდან მისი შვილი არავის გაუთავისუფლებია და მისთვის არც თანხა დაუბრუნებიათ.

საქმეში ბესიკ ხმალაძე, როგორც დაზარალებული, ამბობს, რომ ნინო ჯარიაშვილი სვეტლანა მაისურაძემ გააცნო. მისი კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, თანხა ვერ დაიბრუნა და კუთვნილ თანხას დღემდე ითხოვს.

მორიგი მსხვერპლი, იოსებ ხოსიტაშვილი გახდა: მასაც დაჰპირდნენ, რომ გავლენიანი მეგობრების დახმარებით, შეივს ციხიდან გაუთავისუფლებდნენ. ხოსიტაშვილმა 6.000 დოლარი გადაიხადა, მაგრამ საქმე არ გაკეთდა და არც თანხა დაუბრუნდა.

მაისურაძისა და ჯარიაშვილის ქმედებების შედეგად კიდევ ერთი დაზარალებული, ელენოროა დომოცევაა. მან ისინი ვინმე უნახს მეშვეობით გაიცნო, იგივე დაპირება მიიღო: ელენოროს მეუღლე, კახა კუპრეიშვილი, რომელსაც 7 წელი ჰქონდა მისჯილი, ციხიდან შეწყალებით ან „აქტიროვკით“ უნდა გამოსულიყო. ამისთვის კი 12.000 დოლარი იყო საჭირო, რაც დომოცევამ ეტაპობრივად გადაიხადა. მაგრამ ვერც ეს საქმე მოგვარდა და ძლივს შეკონინებულ თანხას დაზარალებული დომოცევა დღემდე ელოდება.

თაღლითობის კიდევ ერთი ეპიზოდის ჩადენას ედავება გამოძიება ორივე მსჯავრდადებულს. ამჯერად დაზარალებულად გიორგი ტუხაშვილი ცნეს, რომელმაც ისინი ოთარ ბერიაშვილის დახმარებით გაიცნო. ბერიაშვილი მაისურაძის ყოფილი თანამშრომელი იყო, ციხეში მისი სიძე, გელა ტუხაშვილი



იჯდა. გიორგი ტუხაშვილიც დაარწმუნეს, რომ საპატიმროში მყოფ მას — გელას, რომელსაც 9 წელი ჰქონდა მისჯილი, ციხიდან შეწყალების აქტით გაათავისუფლებდნენ. ამისთვის კი 40.000 დოლარი მოსთხოვეს. ტუხაშვილმა 30.000 დოლარი მოაგროვა და ძმის სიმამრის, ბერიამშვილის თანდასწრებით, პროკურატურის შენობის წინ გადასცა; მოგვიანებით კი 10.000 დოლარი ნინო ჯარიაშვილს სააკაძის მოედანთან შეხვედრისას მისცა.

ზემოთ ჩამოთვლილ 4 ეპიზოდში ორივე განსასჯელს ერთნაირად წაუყენეს ბრალი. ამასთან, ნინო ჯარიაშვილს თაღლითობის კიდევ 2 ეპიზოდი დაემატა. კიდევ ერთი დაზარალებული, წარსულში ცნობილი, წამლებით მოვაჭრე, მიხეილ ჯანაშვილი აღმოჩნდა. როგორც ირკვევა, მის აფთიაქში ჯარიაშვილი



ხშირად ყიდულობდა წამლებს დედის სამკურნალოდ. შემდეგ შეიტყუა, რომ ჯანაშვილის შვილი, ხათუნა პატიმარი იყო და 13 წელი ჰქონდა მისჯილი. გავლენიანი მეგობრების დახმარებით, მის გათავისუფლებაში დახმარებას დაჰპირდა. ხათუნა საპროცესო შეთანხმებით უნდა გაეთავისუფლებინათ, ამაში მიხეილ ჯანაშვილს 20.000 დოლარი უნდა გადაეხადა. როგორც დაზარალებული აცხადებს, ეტაპობრივად მან ნინო ჯარიაშვილს 12.000 დოლარი გადასცა, მაგრამ ისიც მოტყუვდა. დაზარალებულ აკაკი კობეშვიტის კი ნინო ჯარიაშვილი მიხეილ ჯანაშვილმა გააცნო. კობეშვიტის დედა, ნინო შაფათავა სასჯელს იხდის. შაფათავამ ციხეში შეიტყუა, რომ ხათუნას მამამ იპოვა ქალი, რომელიც საპროცესო შეთანხმებებს აგვარებდა. ისიც დაუკავშირდა ჯერ დედას, მერე შვილს და უთხრა, რომ მიხეილ ჯანაშვილი გააცნობდა ქალს, რომელიც საქმეებს აგვარებდა. აკაკი კობეშვიტემ 2008 წლის ნოემბერში სწორედ ამ გზით გაიცნო

ნინო ჯარიაშვილი, მას დედის საქმის მასალები გადასცა, ჯარიაშვილი კი დაჰპირდა, რომ 50.000 დოლარის სანაცვლოდ, საპროცესო შეთანხმებით, მას გარეთ გამოიყვანდა. შეთანხმება კობეშვიტემ შეასრულა, ჯანაშვილის მეშვეობით, ნინო ჯარიაშვილს ჯერ 49.500 ლარი გადასცა, ხოლო შემდეგ, მიცვევიჩის ქუჩაზე შეხვედრისას, დამატებით, 17.600 ლარი მისცა. კიდევ ერთი შეხვედრა ე.წ. გადასასვლელ ხიდთან შედგა, იქ დამატებით 6.000 დოლარი ხელში ჩაუთვალა. დაპირების შესრულებას პატიმარი ქალი და მისი შვილი უშედეგოდ ელოდნენ, მაგრამ ვერც ფული დაიბრუნეს და ვერც საქმე გაკეთდა...

ამ ბრალდებებით წარდგენენ ნინო ჯარიაშვილი და სვეტლანა მაისურაძე სასამართლოს წინაშე. საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ განსასჯელი ჯარიაშვილი დანაშაულს აღიარებდა და ჩადენილს ინანიებდა. განმარტავდა, რომ თავად აღმოჩნდა მოტყუებული. ეს საქმეები ვინმე სოსო ქიტიაშვილის დახმარებით უნდა მოეგვარებინა: ის თავის მხრივ ჰპირდებოდა, რომ ვინმე ხურციდის დახმარებით ამ ხალხს ციხიდან გამოიყვანდა (საზოგადოებას ალბათ ახსოვს, სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომლის — ხურციდის ხმაურიანი დაპატიმრება, მას შეწყალების კომისიის სიის გაყალბებაში ადანაშაულებდნენ). რაც შეეხება სოსო ქიტიაშვილს, — როგორც ადვოკატი ვალოდია ტაბალუა აცხადებს, ისიც ამჟამად პატიმარია და მისი დაკითხვა პროცესზე მოწმის სტატუსით ვერ მოხერხდება.

მსჯავრდადებული სვეტლანა მაისურაძე კი ირწმუნება — გამოძალული თანხებიდან მას არაფერი მიუღია და ეს თანხები ჯარიაშვილმა მიითვისა.

— როცა ნინო გავიცანი, მითხრა: ყოფილი გამოძიებელი ვარ და საადვოკატო ფირმა მაქვს გახსნილი. რამდენიმე თვეში დამირეკა და მომიკითხა. აქედან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა და ვმეგობრობდით... 2007 წლის ნოემბერში ჩემმა ძველმა თანამშრომელმა, ბესიკ ხმალაძემ დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. ის სასჯელალსრულების დეპარტამენტში მუშაობდა. როცა სახლში მოვიდა, ჩემთან ნინო ჯარიაშვილი იმყოფებოდა. ვისაუბრეთ. ბესომ მთხოვა, ცალკე გაესულიყავით; ვუპასუხე, — ამ ქალბატონთან შეგიძლია, ილაპარაკო-მეთქი. მითხრა, — ჩემი შვილი პატიმარია და თუ შეძლებ, ადვოკატის აყვანაში დამეხმარეო. ნინო დანტერესდა, რისთვის იჯდა მისი შვილი; როცა გაიგო, მოზილურის წართმევისთვის 7 წელი ჰქონდა მისჯილი, უთხრა, — შენი შვილის განაჩენი მომანოდე და შეიძლება, დაგეხმაროო. შეთანხმდნენ. ერთ დღეს ნინომ თავისი მანქანით გამომიარა და წავედით ხმალაძესთან. ბესოს მეუღლეს ვესაუბრებოდი, ისინი ცალკე საუბრობდნენ. თანხ-


ები ნინომ წაიღო... გზად ჩემი ძველი თანამშრომლის სასადილოში გამოვიარეთ. იქ გაიცნო ნინომ ოთარ ბერიამშვილი და გაიგო, რომ მისი სიძე პატიმარი იყო. უთხრა, რომ საადვოკატო ფირმა ჰქონდა და თუ რაიმე დასჭირდებოდა, დაეხმარებოდა.

მაისურაძე ადასტურებს, რომ თანხების აღებას ესწრებოდა: „ნინოს ამ თანხებიდან ჩემთვის არაფერი მოუცია, პირიქით, ჩემგან სხვადასხვა დროს, 2008 წლის ივნისიდან წაღებული აქვს 13.220 ევრო, 14.700 დოლარი, ასევე 6.500 დოლარი და 10.500 ლარი. მას ძალიან ვენდობოდი და ეს თანხები ვასესხე. იმ თანხიდან უკან მხოლოდ 3.000 დამიბრუნა“, — ირწმუნება მაისურაძე. ადვოკატ ვალოდია ტაბალუას მტკიცებით კი, მისი დასაცავი უდანაშაულოა და თავად გახდა ჯარიაშვილის მსხვერპლი, რადგან მასაც გამოსძალია დიდძალი თანხა.

**ვალოდია ტაბალუა:**

— სასამართლოზე გამოიკვეთა, რომ იმ 4 ეპიზოდში, რომელსაც მაისურაძეს ედავებოდა, თანხები ნინო ჯარიაშვილმა აიღო. უშუალოდ ტუხაშვილისგან პირადად მან 40 ათასი დოლარი მიიღო; რაც შეეხება დომოცევას, ხმალაძეს და ხოსიტაშვილს, — აშკარად გამოიკვეთა, რომ ყველა ფული ჯარიაშვილმა მიიღო. წინასწარი გამოძიებისას ჯარიაშვილი აღიარებდა, რომ ჰყავდა ნაცნობი, რომელმაც მეშვეობით შეეძლო, დახმარება აღმოეჩინა ამ ხალხისთვის. ჯარიაშვილი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს. მისი ჩვენების შემდეგ, სვეტა მაისურაძე აიყვანეს, მაგრამ ნინოს უთხრეს, თითქოს მაისურაძე დაკავებული ჰყავდათ და 4 ეპიზოდში მას ამხელდა. საქმე იოლად რომ გაეკეთებინათ და ჯარიაშვილს მხოლოდ ერთი ეპიზოდი ჰქონოდა, ეშმაკობა იხმარა. თქვა, — სვეტამ იცოდა, რომ გავლენიანი ხალხი მყავდა, წინასწარ მოიძია ეს ადამიანები, მათ თანხები გამოართვა, მე მისი ვალი მქონდა და შემომთავაზა, საქმეები გამეკეთებინა, თვითონ კი ამ ვალებს გამიქვითავდა და ის ფული ჩემამდე არ მოსულაო. მაგრამ ეს არ არის სიმართლე. რაც სასამართლოზე გამოჩნდა, სვეტამ ფული ჯარიაშვილს მოგვიანებით ასესხა, მაშინ ეს თანხები ამ ხალხისგან უკვე აღებული ჰქონდა. ჯარიაშვილი სვეტას ციხეშიც სულ ერთი და იმავეს უმეორებდა — რომ მას აელო საკუთარ თავზე ეს დანაშაულები, თვითონ გარეთ გავიდოდა და მერე იქიდან მას იოლად დაეხმარებოდა. მაგრამ საქმეში ჯარიაშვილისგან კიდევ 2 დაზარალებული გამოჩნდა — კობეშვიტე და ჯანაშვილი და ის საპატიმროში დარჩა... მათ შორის კარგი ურთ-





# სამყარო



## ცომისგან დამზადებული „გედების ტბა“ და ფანჯრის რაფაზე გატარებული ბავშვობა


„ივერიის ღვთისმშობლის ხატი“, „წმინდა გიორგი“, „წმინდა ნინო“, „სამოთხის ჩიტები“, „ყურძნის სერენადა“, „ზამთარი ჩემს სოფელში“, „დედას ყოჩივარდები“, „ჩემი ვარდი“, „ცხენი მოვიდა“ — ეს ულამაზესი სურათები ნიჭიერ შემოქმედსა და ფურნალისტს, ნაზი მანანიშვილს ეკუთვნის. ის ბავშვობაში ქალაქში ცომითა და ფერადი ყვავილებით „ხატავდა“, ამჟამად კი პლასტილინით, ბისერებით მუშაობს.

### „ძნელია, ვინმეს თავი მოაწონო“

#### თამუნა კვირიკველია

— ბავშვობაში განმარტოებით ყოფნა მყვარებია. დედა მეუბნება: კომუნიკაბელური და ყურადღებიანი იყავი, მაგრამ როცა შენს საქმეს აკეთებდი, არავის დანახვა არ გინდოდაო. თურმე, ჩემს ნამუშევრებს არავის ვაკარებდი. ქარგვა ნათლიის მიზაძვით დავინწყე. ის არაფერს მასწავლიდა, მეუბნებოდა: პატარა ხარ, ნემსს ვერ დაიკავებო, მაგრამ ჩუმ-ჩუმად, მე მიინც ვქარგავდი. მაშინ მესამე კლასში ვსწავლობდი. ჩემი პირველი ნაქარგი „ივერიის ღვთისმშობლის ხატი“ იყო, რომელიც დედას ვაჩუქე. თითქმის მთელი ბავშვობა ფანჯრის რაფაზე გავატარე: ვქერნავდი, ვხატავდი, ვქარგავდი, თოჯინებს კაბებს ვუკერავდი, მერე ყვავილებზე გადავერთე. ჩემს სოფელში ფერად-ფერად ყვავილებს ვაგროვებდი. ზოგჯერ სახლში ისეთი ყვავილი მიქონდა, კიოდნენ, — რა საშინელი სუნი აქვსო. ამ ყვავილებს სიბნელეში ვახმოვდი, ფერი რომ არ დაჰკარგვოდათ. მაშინ არც პლასტილინი მქონდა და არც რაიმე სხვა მასალა და ამიტომაც, სურათებს ცომით ვაკეთებდი, მათზე ფერად ყვავილებს ვანებებდი და ვაფერადებდი. ერთხელ „გედების ტბა“ გავაკეთე: წიგნის ყდა


გამოჭერი, მასზე ცომი გავაბრტყელე და მელნის წვეთები დავასხი, წყლის ეფექტი რომ ჰქონოდა; მერე ცომზე ქვები და ხის მერქანი დავამაგრე, რომელიც კლდეს ჰგავდა, ამ კლდეზე, ისევ და ისევ, ცომის დახმარებით, ჩანჩქერი „გადავვიდე“ და წყალში ასევე ცომისგან გამოძერწილი და თეთრი ყვავილებით გალამაზებული გედები ჩავსვი. სხვათა შორის, თეთრი ყვავილების მოსაპოვებლად ლამის ხევში გადავიჩეხე (რამდენიმე ბავშვი ტანსაცმელზე მექაჩებოდა, რომ არ გადავვარდნილიყავი). საბოლოოდ, ძალიან ლამაზი „გედების ტბა“ გამო-



„ივერიის ღვთისმშობლის ხატი“

მივიდა. სხვათა შორის, ამ ნამუშევრით რაიონში გამართულ კონკურსში გავიმარჯვე... ცომითა და ყვავილებით შექმნილი ნამუშევრები დიდხანს ვერ ძლებდა და ამის გამო გული ძალიან მწყდებოდა, შემდეგ მოვიფიქრე, რომ პლასტილინით, ბისერებით მემუშავა.

— ძირითადად, რა თემებზე მუშაობ?



„წმინდა გიორგი“




„წმინდა ნინო“

— გარდა ხატებისა და ჯვრებისა, „ვხატავ“ ყვავილებსა და ჩიტებს. ადრე ზღაპრების პერსონაჟებზეც ვმუშაობდი. მაგრამ მინც, ვფიქრობ, ჩემს შემოქმედებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ის ხატები და ჯვრებია, რომლებსაც მოძღვრის ლოცვა-კურთხევით ვქმნი.

შეკვეთებს თუ იღებთ?

— არა, შეკვეთებს არ ვიღებ. ნამუშევრების გაყიდვას დედაც მიშლის. მეუბნება: თუ გინდა, ამ საქმიდან შემოსავალი გქონდეს, უკვე შექმნილი სურათების ასლი დაამზადე და ისინი გაყიდეო. ორი ერთნაირი რალაცის „დახატვა“ არ მსიამოვნებს,



„ყურძნის სერენადა“

მხოლოდ პატარა ჯვრებს ვამზადებ გასაყიდად და ამასაც იმიტომ ვაკეთებ, რომ საქველმოქმედო ფონდის წევრი ვარ და როცა იქ გამოფენა-

გაყიდვას ვაწყობთ, ჩემი ჯვრები ყოველთვის იყიდება.

— ალბათ, თქვენი საქმიანობა უდიდეს სიამოვნებას განიჭებთ...

— ბევრი მეკითხება, — ამ ყველაფრის გაკეთებას ხომ დიდი ნებისყოფა სჭირდებაო? მერწმუნეთ, როცა რალაცას ვძერწავ, მხოლოდ სიამოვნებას განვიცდი. ერთ-ერთ „სამოთხის ჩიტს“ ორი დღე ისე ვძერწავდი, თავი არ ამიწვია. დედა მახსენებდა, რომ უნდა მეჭამა. სიმართლე გითხრათ, არც ჭამა მახსოვდა და ვერც დალლას ვგრძნობდი. როცა ცუდ ხასიათზე ვარ, მუშაობას ვინწყებ და კარგ განწყობილებაზე ვდგები. მოკლედ, მუშაობის დროს დადებითი ემოციით ვიმუშტები.

— როგორც ვიცი, თქვენს ერთ-ერთ ნამუშევარს — „ცხენი მოვი-



„სამოთხის ჩიტი“

და“ — რალაც ისტორია აქვს. რამ შთაგაგონათ მისი გაკეთება?

— ყველა გოგონას ბავშვობის ოცნებაა, თეთრ ცხენზე ამხედრებული პრინცი ეწვიოს, ჩემთან კი მხოლოდ ცხენი მოვიდა და მე ის დავხატე.

— გამოფენის მონაწილეზე არ გიფიქრიათ?

— გამოფენა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მქონდა. იქ ჩემი პოეზიის საღამო მოეწყო, ამით ვისარგებლე და დარბაზში ნაქარგები, ყვავილებისგან გაკეთებული სურათები, ეკლესიები, კალათები გამოვფინე. სხვათა შორის, ჩემი ნამუშევრების გამოფენა სამებაშიც მოეწყო... ზოგჯერ მგონია, ისეთს არაფერს ვაკეთებ, რომ საზოგადოებამ გამიცნოს, შემაფასოს. ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი ნიჭიერი ადამიანია და ძნელია, ვინმეს თავი მოაწონო. მთავარი ისაა, რომ საპატრიარქოს ფონდის წევრი ვარ და მეგობართან ერთად ვცდილობ, ფინანსები მოვიზიდო. ჩემი ნამუშევრების გაყიდვა მხოლოდ ამ ფონდისა და ბავშვების დასახმარებლად არ მენანება.

ახალი JEEP GRAND CHEROKEE



მომავალი თაობის არასაგზაო, — Jeep Grand Cherokee — რომელიც ნიუ-იორკის ავტოსალონზე ჯერ კიდევ მიმდინარე წლის გაზაფხულზე წარადგინეს, მიჩიგანის ქუჩებში კამუფლაჟის გარეშე გადაიღეს. ამ ფოტოების მიხედვით, სერიული ავტომობილი არაფრით განსხვავდება პროტოტიპისაგან. შეგახსენებთ, ახალი „გრანდი“ იმავე პლატფორმაზეა აგებული, რომელზეც Mercedes-Benz ამ ავტომობილის ბორბლების ბა-



ზის ზომები ისეთივეა, როგორც მისი გერმანული „ნათესავის“ — 2915 მმ. Jeep-ის გაბარიტული სიგრძე, წინამორბედთან შედარებით, 135 მმ-ით გაიზარდა. ამასთან, ამ მოდელისთვის ხელმისაწვდომი იქნება სისტემა Selec-Terrain, რომელიც ძრავას, სიჩქარის გადაცემათა კოლოფის, სამუხრუჭე და სრულამძრავიანი სისტემის მუშაობის რეჟიმს თავისით შეცვლის. პირველ ეტაპზე, ამერიკულ ბაზარზე სიახლე ერთ-ერთ ბენზინის ძრავათი — V6, 3,6-ლიტრიანი, 280 ცხ.ძ. სიმძლავრის ან 360 ცხ.ძ., 8-ცილინდრიანი, 5,7-ლიტრიანი HEMI-ს მოტორით გაიყიდება.







# ელექტრომობილი TAZZARI

კომპანია Tazzari ბოლონიის ავტოსა-  
ლონზე საკუთარი წარმოების ელექ-  
ტრომობილს წარადგენს. უკანამძრა-  
ვიანი სიახლე 20 ცხ.ძ. სიმძლავრისაა.  
შემქმნელთა აზრით, ასეთმა გადაწ-



ყვეტილებამ მათ მასის ცენ-  
ტრის დადაბლებისა და ინ-  
ერციის მომენტის შემცირე-  
ბის შესაძლებლობა მისცა.  
Tazzari Zero-ს ძრავა ლითიუ-  
მის 24 აკუმულატო-  
რით იკვებება. მანქა-  
ნის სვლის თადარი-  
გი 140 კმ-ია, მისი  
მაქსიმალური სიჩქარე  
90 კმ/სთ შეადგენს, 50  
კმ/სთ სიჩქარეს კი 5 წამზე  
ნაკლებ დროში ავითარებს. ბა-  
ტარების სრული დატენისთვის  
6-9 საათი, ხოლო სპეციალ-  
ური დენის წყაროდან სწრაფი  
დატენისთვის მხოლოდ 50  
წუთია საჭირო (ამ შემთხვევა-  
ში აკუმულატორები ენერგი-



ით 80%-ით იტენება). ჯერჯერობით  
უცნობია, თუ როდის გამოჩნდება  
ავტომობილი ბაზარზე, მაგრამ მისი  
ფასი 20 ათას ევროზე მეტი არ იქნე-  
ბა. ამასთან, მანქანას აუდიოსისტემა,  
კონდიციონერი, ტყავით განწყობილი  
სალონი და უკანა დიოდური ფარები  
ექნება. ■

# ყველაზე იაფფასიანი ავტომობილი

კომპანია Tata motors უახლოეს მო-  
მავალში მცირე ლიტრაჟიანი Nano-ს  
სერიოზულად მოდერნიზებული ვერ-  
სიის წარმოდგენას აპირებს. კერძოდ,  
ეს ავტომობილი უფრო დინამიკური  
იქნება, მაგრამ სიჩქარის ელექტრო-  
შემზღვეველს შეინარჩუნებს, რაც მან-  
ქანას 105 კმ/სთ-ზე მეტის განვითარე-  
ბის შესაძლებლობას არ მისცემს. ზო-  
გიერთი მონაცემის თანახმად, Tata-ს  
ინჟინრები ძრავას მუშაობის დიაპა-  
ზონის გაზრდას და ტრანსმისიაზე  
გადაცემის რიცხვის გადასინჯვასაც  
აპირებენ, რათა პირველ ორ გადა-  
ცემაზე მანქანის გაქანება გაუმჯობეს-  
დეს. გარდა ამისა, ამჟამინდელი ოთხ-  
საფეხურიანის ნაცვლად, 5-საფეხური-  
ანი სიჩქარის გადაცემათა კოლოფის  
დამონტაჟებაც იგეგმება. თავდაპირვე-

ლად, სიჩქარის გადაცემათა 4-საფეხ-  
ურიანი კოლოფი სიიაფისა და მე-5  
გადაცემის საჭიროების არქონის გამო  
ამოირჩიეს... Tata სრულფასოვანი 5-  
კარიანი ვერსიის გამოშვებასაც  
აპირებს. აქვე შეგახსენებთ, რომ Tata  
Nano მსოფლიოში ყველაზე იაფფა-  
სიანი ავტომობილად მიიჩნევა. ინდო-  
ეთში მისი ფასი დაახლოებით, 2.800  
აშშ დოლარია. 2-ცილინდრიანი, 33  
ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავითი ალტურ-  
ვილი მცირე ლიტრაჟიანი ჯერჯერო-  
ბით, თვეში მხოლოდ 4000-იანი ტი-  
რაჟით გამოდის. Tata-ს ხელმძღ-  
ვანელობა იუწყება, რომ ყველაფერი  
მას შემდეგ შეიცვლება, რაც ამო-  
ქმედდება ახალი ქარხანა, რომლის  
საშუალებითაც წარმოებას ფაქტო-  
ბრივად, 5-ჯერ გაზრდის. გარდა ამისა,



ის Nano-ს წარმოების ლიცენზიის გაყ-  
იდვასაც აპირებს და ძვირად ღირე-  
ბული ვერსიის გამოშვებასაც არ  
გამორიცხავს, რომელიც შეიძლება,  
ევროპაში გაიყიდოს. ■



# პროფესიული ნაენლა მონტერეის საგზაო პოლიციაში

სიდიდის მიხედვით რიგით მესა-  
მე მექსიკური ქალაქის ხელმძღ-  
ვანელობამ საგზაო პოლიციის თან-  
ამშრომელთა მეოთხედი სამსახური-  
დან დაითხოვა, რაც მათი კორუმ-

გაგზავნეს, ხოლო დანარჩენმა 340-  
მა კაცმა მოთხოვნები სრულიად დააკ-  
მაყოფილა. მონტერეის პოლიციის  
თანამშრომლებიდან ანტიდოპინგტეს-  
ტი მხოლოდ ექვსმა ვერ გაიარა,

ზედმეტი წონის გამო შენიშვნა 65-  
მა ოფიცერმა მიიღო, ხოლო ქალა-  
ქის საგზაო პოლიციაში მომუშავე  
100-ზე მეტი პირი ორგანიზებულ  
დანაშაულთან კავშირში ამხილეს.  
აქვე იმასაც დავძენთ, რომ დიდი  
ხანია, რაც მონტერეის ოფიცრებს  
პარკირებულ მანქანებში ყოფნა და  
მობილური ტელეფონის გამოყენება  
აეკრძალათ, რადგან ასეთ შემთხვევაში,  
სამართალდამცავებს ბანდიტური და-  
ჯგუფებების სასარგებლოდ მოქმედება  
და ჩასაფრების შესახებ მათი  
გაფრთხილება შეეძლოთ. ■



# აკრავტი, სილანას ჩიტი უნდა გამოფრინდეს



პირველი „ფოტოგრაფიული“ კადრი გამომგონებელმა ჟოზეფ ნიეფსმა, 1826 წელს დააფიქსირა. პირველ ფოტოს „ხედი ფანჯრიდან“ ერქვა და მის გადაღებას 8 საათი დასჭირდა; 1839 წელს ფოქს ტალბოტმა ნეგატივი გამოიგონა, ხოლო იმავე წელს იპოლიტ ბაიარმა პოზიტიური ანაბეჭდი დააპატენტა; პირველი ფერადი ფოტო 1861 წელს, ინგლისელმა ფიზიკოსმა ჯეიმს მაქსველმა გადაიღო, ხოლო პირველი ციფრული აპარატი კომპანია „კოდაკის“ თანამშრომელმა, სტივენ სესინმა შექმნა.

ყველაზე ძველი ფოტოაპარატი 2007 წელს, ვენის აუქციონზე 800 ათას დოლარად გაიყიდა. ■

# მსოფლიოს დანბრეული საოსკრებები



## ზავსის ქანდაკება ოლივიზა

ბერძნებმა თავიანთ ღმერთს ძველი სწორედ იმ ადგილას აუგეს, სადაც მისთვის გამართულ დღესასწაულზე სხვადასხვა შეჯიბრება ეწყობოდა. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი ოლიმპიურ თამაშებს, რომლებიც პირველად ძველი წელთაღრიცხვით 776 წელს ჩატარდა და აგერ უკვე 1100 წელია, 4 წელიწადში ერთხელ ტარდება. ზევსის ქანდაკების სიმაღლე 13 მეტრი იყო და ის VI საუკუნეში, ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია.

## არტემიდეს ტაძარი

ეს ტაძარიც დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. იგი მეფე კრეზის ბრძანებით, ამორქალეების — მებრძოლი ქალების პატივსაცემად დაარსებულ ქალაქ ეფესში ააგეს. თავად ტაძარი ცხოველებისა და გოგონების მფარველ ღვთაებას აუგეს, რომელსაც ბერძნები არტემიდეს, ხოლო რომაელები — დიანას ეძახდნენ. ტაძარი ერთმა უგუნურმა ადამიანმა, იმ მიზნით გადანვა, რომ მისი სახელი ისტორიას შემორჩენოდა. ■



# ბუნების საოსკრება

## მუღივი შტორმი ვენესუალიდან

იმ ადგილას, სადაც მდინარე კატატუმბო მარაკიბოს ტბაში ჩაედინება, ჭექა-ქუხილი და ელვა წელიწადში 150 დღის მანძილზე, დღე-ღამეში 10 საათის (საათში 280 ელვა) განმავლობაში არ წყდება.

## ჰონდურასში „თევზის წვიმა“ მოსულა

გაზაფხულის დასასრულს, ჰონდურასის ქალაქ იოროს მოსახლეობა წვიმის შემდეგ სახლებიდან



გამოდის და ცოცხალ თევზს აგროვებს. ქალაქში 1998 წლიდან ყოველწლიურად, „თევზის წვიმის“ ფესტივალიც ტარდება.

## უნიკალური თხები

მათ მხოლოდ მაროკოში შეხვდებით. თხები, რომლებიც არგონის ხეებზე ადიან, ფოთლების გარდა, თხილსაც მიირთმევენ. მათი გადაშენება, არგონის თხილი, რომლისგანაც ადგილობრივები ზეთს ხდიდნენ და მას სხვადასხვა კოსმეტიკური საშუალების დასამზადებლად იყენებდნენ, თითქმის გამქრალია. ■







# კანიბალები

კანიბალიზმი დასავლეთ ინდოეთის ტომებთან ასოცირდება, სადაც ადამიანის ხორცის ჭამის ჩვეულება პირველად დაფიქსირდა. სხვათა შორის, სიტყვა „კანიბალიზმი“ წარმოიშვა „კანიბასგან“ — ასე ერქვათ ბაჰამის კუნძულების მკვიდრ კაციჭამია ადამიანებს. აქვე შეგახსენებთ, რომ სიტყვა „ჰანიბალი“ „მამაცს“ ნიშნავს.



არსებობს კანიბალიზმის ორი სახეობა: ანთროპოლოგიაში — ადამიანების მიერ ადამიანთა ხორცისა და ბიოლოგიაში — ცხოველების მიერ თავისსავე მსგავსის (ხშირად, საკუთარი პირმშობების) ჭამა. ბიოლოგიაში „ადამიანის მჭამელი“ და „კანიბალი“ განსხვავებული ცნებებია: ადამიანის მჭამელია ყველა ცხოველი, რომელიც ადამიანს ესხმის თავს, ხოლო კანიბალია არსება, რომელიც თავისსავე მსგავსს ჭამს — არა აქვს მნიშვნელობა, ცხოველია იგი თუ ადამიანი. კანიბალიზმის ცალკეული შემთხვევა ფსიქიკურად გადასერილ ადამიანთა ჯგუფებში დღესაც გვხვდება.

სხვათა შორის, ისტორიული წყაროების მიხედვით, ძველად ადამიანებს ევროპის ტერიტორიის მოსახლეობაც მიირთმევდა. ბერძენი ის-

ტორიკოსი — ჰეროდოტე წერდა, რომ ანთროპოფაგის (კანიბალიზმის სამეცნიერო ტერმინია) შემთხვევები კარიბის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილშიც იყო დაფიქსირებული.

ძველად, ზოგიერთ ტომში ღორისა და ძაღლის ხორცი უწმინდურად მიიჩნეოდა, ადამიანის ხორცი კი ჩვეულებრივ საკვებს წარმოადგენდა. კანიბალიზმი ექსტრემალურ სიტუაციაშიც ვითარდებოდა,



როცა საკვების სიმცირის გამო, ადამიანები ყველაზე უძლურს ჭამდნენ. დასავლეთ აფრიკისა და ახალი გვინეის ტერიტორიაზე ადამიანის ხორცს მსხვერპლშენიერვის დროს ჭამდნენ.

ალღომის, ფიჯის, ტონგას კუნძულებზე და ახალ ზელანდიაში ადამიანის ხორცს სხვა საკვებთან ერთად არასდროს მიირთმევდნენ. მიაჩნდათ, რომ მტრის ხორცი ძალას შემატებდა და ბრძოლაში წარმატებას მოუტანდა.

თანამედროვეობაში კანიბალიზმის ყველაზე საზარელი შემთხვევა 1972 წლის 13 ოქტომბერს, ანდებში დაფიქსირდა. ავიაკატასტროფისას გადარჩენილი 72 ადამიანი, გადარჩენის მიზნით, გარდაცვლილების ხორცით იკვებებოდა.



არწივებს შორის ყველაზე დიდია აფრიკული, რომლის გაშლილ ფრთათა სიგრძე 2 მეტრს აღწევს, წონით კი 6,6 კგ-მდე იწონის; ყველაზე მცირე ზომისაა ავსტრალიური ჯუჯა-არწივი, რომელიც მხოლოდ 450 გრამამდე იზრდება. არწივები ძირითადად, კურდღლებით, იშვიათად კი ხვლიკებით, გველებითა და ბაყაყებით იკვებებიან. ზრდასრულ ფრინველს ნადირობისას შეუძლია, 80 კმ/სთ-მდე სიჩქარე განავ-

## ფრინველი, როგორც მსხვერპლს სწირავდნენ

ითაროს. სხვათა შორის, ბერძენი ფილოსოფოსის, არისტოტელეს აზრით, არწივი ერთადერთი არსებაა, რომელსაც შეუძლია, მზის ამოსვლას უყუროს.

ძველი ეგვიპტელები არწივს მზის ღმერთთან აიგივებდნენ, ბერძენები — ზევსთან; ინდიელები არწივს წმინდა ფრინველად მიიჩნევდნენ, მას მსხვერპლს სწირავდნენ და სარიტუალო წარმოდგენებს მართავდნენ; ქრისტიანობაში არწივის კლანჭებში მოქცეული გველი, სატანაზე ქრისტეს გამარჯვების სიმბოლოა; არწივი რომაელ მეომართათვისაც

მტერზე გამარჯვების სიმბოლო იყო და ამიტომაც გამოსახავდნენ იარაღებზე. ამ ფრინველს სიძლიერის, შორსმჭვრეტელობის გამო (ლომის შემდეგ იგი მეორე ადგილზეა), ხშირად გამოსახავენ გერბზე.

არსებობს მოსაზრება, თითქოს ძველად დედამიწაზე გიგანტური არწივები ბინადრობდნენ. 2000 წელს „თაიმსმა“ უჩვეულო არქეოლოგიურ აღმოჩენაზე სენსაციური ინფორმაცია გამოაქვეყნა: „არქეოლოგებმა ახალ ზელანდიაში გიგანტური არწივების ჩონჩხს მიაგნეს და მეცნიერთა ვარაუდით, მათი წონა 15-20 კგ უნდა იყოს...“ მოგვიანებით ამ აღმოჩენას დნმ-ის ანალიზიც ჩაუტარდა, მაგრამ იგი არც ერთ ფრინველთა კლასს არ დაემთხვა.

რუბრიკა მოამზადა რუსუან ბელაშვილმა



# დაუპიწყარი ქორწილი და გოგონა, რომლის შრეკმა გაიზარდა

ალბათ არ არსებობს ქალი, რომელიც საკუთარ ქორწილზე არ ოცნებობს. ყველას სურს, ეს დღე დაუფინყარი და ძალზე ლამაზი იყოს. ბოლო რამდენიმე წელია, რაც საქართველოში ქორწილების ორგანიზებამ მოიკიდა ფეხი. ჩვენ ერთ-ერთ კერძო კომპანიას მივაკითხეთ, რომელიც ქორწილების ორგანიზების გარდა, ალა-ფურშეტების, კორპორაციული, სპორტული და სხვა საზოგადოებრივი წვეულებების ორგანიზებითაა დაკავებული. ამ შემთხვევაში ყურადღება მხოლოდ ქორწილებზე გავამახვილეთ და კომპანიის დირექტორს, ანა ბერიძეს ვესაუბრეთ.

## ნათია ჭივიკა

— დაახლოებით 2 წელია, რაც ორგანიზებული ქორწილების გადახდა საქართველოშიც დაიწყო, მანამდე ასეთ რამეს მხოლოდ უცხოურ ფილმებში თუ ვნახავდით. იქ აუცილებლად ქირაობენ ორგანიზატორს, რომელიც ამ ღირშესანიშნავი დღესასწაულის მთელ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს და ყველაფერზე წინასწარ ზრუნავს. ამ კულტურამ ნელ-ნელა საქართველოშიც მოიკიდა ფეხი. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა.

— ვთქვით, მე პატარძალი ვარ და შენთან ქორწილის ორგანიზების სათხოვნელად მოვედი, რას შემომთავაზებ?

— პირველ რიგში, ვირჩევთ ადგ-

„ასეთ რამეს მხოლოდ უცხოურ ფილმებში თუ ვნახავდით“



მომადგენლები არიან, რომლებსაც ქართველი პოპულარული მომღერლები დაპატივებულ სტუმრებს შორის ჰყავთ. შესაბამისად, ქორწილის დღეს ისინიც ბევრ სიმღერას ასრულებენ და მათ ამის გამო ჰონორარს არ ვუხდით. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ გარდა მომღერლებისა, თამადის მონვევის სურვილიც ხშირად აქვთ და ამ მხრივ, ყველაზე აქტიუალური დუტაა, მაგრამ ჯერ არ მქონია შემთხვევა, ის რომელიმე ქორწილში თამადად მიმენვიოს — წყვილს სუფრის წამყვანად ცნობილი სახე სურს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, მშობლების აზრს ითვალისწინებენ და თამადად ოჯახის ახლობელს ირჩევენ.

— გარდა დარბაზის გაფორმებისა და მუსიკალურ მხარეზე ზრუნვისა, კიდევ რას გვთავაზობს ქორწილის ორგანიზატორი?

— ძალზე ბევრი სიახლეა შემოსული. მაგალითად, თითოეული ქორწილისთვის მზადდება სპეციალური სამახსოვრო წიგნი, სადაც სტუმრები მილოცვებს წერენ. ეს წიგნი, რასაკვირველია, ნეფე-პატარძალს გადაეცემა. გარდა ამისა, არსებობს საჩუქრების ყუთი, სადაც მოსული სტუმარი ცვილიზებულიად დებს საჩუქარს. მოგვიანებით, ეს ყუთი ილუქება და მასზე პასუხისმგებელ პირს ის პატარძლის სახლში მიაქვს. რაც შეეხება დარბაზის დიზაინს, თავდაპირველად, სტუმრების სკამებს

ილს, სადაც ქორწილი უნდა გაიმართოს. ეს შესაძლოა, იყოს რესტორანი, დარბაზი ან სულაც, ადგილი ღია ცის ქვეშ (ამ შემთხვევაში, მაქსიმალურად მივყვებით პატარძლის სურვილს), მერე კი ვწერთ სცენარს. უამრავი კრეატიული რამის მოფიქრება შეგვიძლია. ვცდილობთ, ნეფე-პატარძლისა და მათი სტუმრებისთვის ქორწილის დღე ძალზე დასამახსოვრებელი, მხიარული იყოს. დარბაზს ყვავილებითა და უამრავი სხვა აქსესუარით ვაფორმებთ. გარდა ამისა, მუსიკალურ მხარეზეც ვზრუნავთ და პატარძლის სურვილის მიხედვით, ვინვეთ პოპულარულ მომღერლებს, ბენდს ან რომელიმე ანსამბლს.

— ყველაზე ხშირად, რომელ ქართველ მომღერალს იწვევენ?

— ყველაზე დიდი მოთხოვნა დათო გომარტელზე, ჯგუფ „ფორტესა“ და დუეტ „ჯორჯიაზე“. გარდა ამისა, ჩვენი დამკვეთები ისეთი ფენის წარ-



დარბაზისა და სუფრის გაფორმებისას, ჩვენ საპატარძლო კაბის ფერსაც ვითვალისწინებთ





შალითებით ვფუთავდით, მერე ეს შალითები ბაფთებითაც გავაფორმეთ. გარდა ამისა, მთელ დარბაზს ყვავილებით, ბუშტებით ვაწყობთ, რომლებიც ნეფე-პატარაძლის ცეკვის დროს იშლება და ჭერიდან ცვივა. მოკლედ, უამრავი რამის მოფიქრება შეიძლება... ერთხელ უცხოელი სიძე გვყავდა, რომელმაც შერჩეული დარბაზის კედლის ფერი დაგვიჩუნიდა და იძულებულები გავხდით, ყავისფერი კედლები თეთრად შეგვეფუთა. მოკლედ, დიზაინერები ვცდილობთ, ახალ-ახალი რაღაცები მოვიფიქროთ, რათა ყველა ქორნილი ერთმანეთისგან განსხვავებული იყოს.

**— ჯვრისწერის ცერემონილის გაფორმებასაც გთხოვენ?**

— ერთხელ გვქონდა მსგავსი მცდელობა: სიძე გვყავდა უცხოელი და მან მოითხოვა, რომ მისი ჯვრისწერა ანთებული სანთლებითა და ყვავილებით გაგვეფორმებინა. ამის შესახებ მოძღვარს დაველაპარაკეთ, მაგრამ მან ტაძარში კათოლიკური სანთლების შეტანის უფლება არ მოგვცა. უბრალოდ, ეკლესიის ეზო და ჭიშკარი გავფორმეთ ყვავილებითა და ლენტებით. იმას, რასაც ჯვრისწერისას ვერ ვახერხებთ, ხელისმომწერის დროს ვინაზღაურებთ. როცა წყვილი საქორწინო სახლს აირჩევს, ჩვენ იქ წინასწარ მივდივართ და შენობას მთლიანად ვაფორმებთ. სხვათა შორის, ახლა ძალზე მოდურია ხელის მონერა რესტორანში ან სულაც, ღია ცის ქვეშ... დარბაზისა და სუფრის გაფორმებისას, ჩვენ საპატარალო კაბის ფერსაც ვითვალისწინებთ. წყვილს ხშირად ვთავაზობთ, რომ მათი მეჯვარეები ერთი ტონალობის ტანსაცმელში გამოეწყონ, მაგრამ დიდ წინააღმდეგობას ვაწყდებით — ყველას თავისი სურვილისამებრ სურს ჩაცმა... გარდა ამისა, მოსაწვევი ბარათი ქორნილის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია და ვცდილობთ, რაც შეიძლება ორიგინალური მოსაწვევები დავამზადოთ. მაგალითად, ერთხელ ფოთლის ფორმის მოსაწვევ-

ბი დავებქდეთ. საქორწინო დარბაზის შესასვლელში დავდგით ხე, რომელზეც მობრძანებული სტუმრები თავიანთ ფო-

თოლ-მოსაწვევებს კიდებდნენ, მერე ის ხე ნეფე-დედოფალმა სახლში წაიღო, მინის სადგამი გაუქვითა და როგორც ვიცი, მათ ოჯახში ამ ხეს დღემდე საპატიო ადგილი უკავია. ჩვენ ოპერატორი და ფოტოგრაფიც გვყავს, რომლებიც მთელ ქორნილს ხარისხიანად იღებენ, მერე კი ოპერატორი ნეფე-დედოფალს დამონტაჟებულ ვიდეოკერსიას გადასცემს, ფოტოგრაფი კი ორიგინალური ალბომის შექმნაზე ზრუნავს.

**— რაც შეეხება მენდელსონის საქორწინო მარშს, ისევ მოდაშია?**

— კი, ამ მარშს ვერაფერი შეცვლის და ის ისევე, როგორც ცეკვა „ქართული“, ყველა ქორნილში აქტუალურია. გვყავს ქორეოგრაფი, რომელთანაც ქორნილამდე რამდენიმე ხნით ადრე, ნეფე-დედოფალი ცეკვაში ვარჯიშობს. გარდა ამისა, ქორეოგრაფი ირჩევს 8-9 პოპულარული სიმღერისგან შემდგარ პოპურს და მასზე დგამს ნეფე-დედოფლის ცეკვას, რომელიც იწყება ვალსით, მერე მუსიკა ირევა და სხვადასხვა ჩქარ ცეკვას ასრულებენ, ბოლოს კი ცეკვას ისევ ვალსით ამთავრებენ. მერწმუნეთ, ეს საკმაოდ ეფექტური სანახაობაა. ეს ვერსია რამდენჯერმე უკვე გამოვიყენეთ და დარბაზი აღფრთოვანებული დარჩა... რაც შეეხება ქართულ ხალხურ სიმღერებს, „მრავალჟამიერი“, ძირითადად, ტაძრის ეზოში, ჯვრისწერის შემდეგ სრულდება. ძველი ქართული ტრადიცია — ხანჯლების ქვეშ ნეფე-დედოფლის გავლა კვლავ აქტუალურია და ეს

ყველაფერი, რა თქმა უნდა, ტაძარში ხდება. გარდა ამისა, ქორნილს ძალიან უხდება ფეიერვერკი, რომლის დიდი



მთელ დარბაზს ყვავილებით, ბუშტებით ვაწყობთ, რომლებიც ნეფე-პატარაძლის ცეკვის დროს იშლება და ჭერიდან ცვივა

არჩევანიც არსებობს. თუ ქორნილი დარბაზშია, ცეცხლის შადრევნები და ჩანჩქერები არსებობს, რომელთა ნაპერწკალიც სამიში არ არის, ხოლო თუ ქორნილი ღია ცის ქვეშაა, მაშინ ფეიერვერკის გაცილებით დიდი არჩევანია... ქორნილამდე რამდენიმე დღით ადრე, ნეფე-პატარაძლთან ცალ-ცალკე ვწერთ ინტერვიუს და მათ ერთმანეთზე ვალაპარაკებთ, წყვილის მეგობრებსაც ვესაუბრებით, მერე კი ეს ყველაფერი 10-ნუთიან ფილმად კეთდება, რომელსაც ქორნილის დღეს, დიდ მონიტორზე ვუჩვენებთ. და კიდევ, ეწყობა უამრავი სახის გათამაშება, რომელშიც ყველა სტუმარია ჩართული და მათ სიმბოლური საჩუქრებიც გადაეცემათ. ერთხელ წყვილმა სამი დღის დაგეგმვა შეგვიკვთა: ბევრი უცხოელი სტუმარი ჩამოვიდა. ქორნილის წინაღვეს მათთვის მოვანწყვეთ საღამო და ქართული კულტურა გავაცანით — მონვეული გვყავდა სუხიშვილების ანსამბლი, რომლებმაც სტუმრებს ქართული ცეკვების ილეთები შეასწავლეს. ასევე, მათთვის ვთარგმნეთ ყველა ის სადღეგრძელო, რომელიც მეორე დღეს უნდა ეთქვათ და ჩამოვურიგეთ; მეორე დღეს იყო ქორნილი, მესამე დღეს კი სტუმრები ღამის კლუბში წავიყვანეთ და მათ გართობაზე ვიზრუნეთ... ერთხელ კი ასეთი რამ მოვანწყვეთ: როცა პატარაძალმა თაიგული ისროლა და ის ერთ-ერთმა გასათხოვარმა გოგონამ დაიჭირა, ყველასთვის მოულოდნელად, დარბაზში შრეკი შემოვარდა, გოგონა ხელში აიყვანა და გაიტაცა — ვითომ თაიგულის დამჭერი მაშინვე გავათხოვეთ. ეს სცენა ძალიან სასაცილო იყო და ხალხმაც ბევრი იხალისა. მოკლედ, ბევრი ორიგინალური რამის მოფიქრებაა შესაძლებელი. ■



ახლა ძალზე მოდურია ხელის მოწერა რესტორანში ან სულაც, ღია ცის ქვეშ...



# დაისხაბით განსაზღვრული ეტიკეტი...

ქალი და მამაკაცი — ორი სამყარო, ორი განსხვავებული ლოგიკა... ეს განსხვავება დღემდე საიდუმლოდ რჩება. რაც უფრო თანასწორუფლებიანები ხდებიან ქალი და მამაკაცი, მით უფრო აშკარა ხდება მათ ქცევებსა თუ მსჯელობას შორის ზღვარი.



მაგალითად: ქალი სარკეში იმიტომ იხედება, რომ რაიმე ხარვეზი (თუნდაც ნაოჭი) კოსმეტიკური საშუალებებით დაფაროს. მამაკაცი კი სარკეს იმიტომ მიაშურებს, რათა კიდევ ერთხელ დარწმუნდეს, რომ სიმპათიურია. ქალმა ზუსტად იცის, მის საყვარელ ადამიანს რომელი ზომის ტანსაცმელი სჭირდება, მამაკაცი კი თავისი რჩეულის მკერდის ზომას დაახლოებით ხვდება; თვალების ფერს კი უმრავლესობა ვერც კი არჩევს. ქალს არ ერიდება, ჰკითხოს მამაკაცს, — ძალიან ხომ არ გავსუქდიო? ხოლო მამაკაცი არასოდეს შეეკითხება ქალს, — გავმელოტდი თუ არაო. მამაკაცებს ერთმანეთთან შეკამათების შემდეგ, მალევე, აღარც კამათი ახსოვთ, არც მისი მიზეზი და კვლავ მეგობრებად რჩებიან. ქალები კი საათობით არკვევენ ურთიერთობას და მერეც კარგა ხანს ახსოვთ მომხდარი. ქალი რომ დაჰპირდება მამაკაცს, — დაგირეკავო, ეს იმას ნიშნავს, რომ უსათუოდ დაუტოვავს. მამაკაცის მიერ ნათქვამი ეს სიტყვები კი თითქმის არაფერს ნიშნავს. ხანდაზმულ მამაკაცებს ახალგაზრდა ქალები იზიდავენ, ამით თითქოს თავს ირწმუნებენ, რომ კვლავაც სასურველი და ძლიერები არიან. ქალებს კი სიამოვნებთ, როცა გვერდს სოლიდური ასაკის მამაკაცები უმშვენებენ.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავება მკაფიოა. სწორედ ეს განსხვავება იზიდავს მათ ერთმანეთისკენ, რაც ლოგიკურად ოჯახის შექმნით უნდა დამთავრდეს. თუმცა, შეყვარებული წყვილის დაშორებას, ოჯახურ კონფლიქტებს, ღალატსა თუ

გაყრას, ისევ და ისევ, ამ განსხვავებებს უნდა „გუმადლოდეთ“.

რატომ და რა მიზეზით შორდება შეყვარებული წყვილი ერთმანეთს? უმეტესწილად, მამაკაცი ქალს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ტოვებს, რადგან მან გადაწყვიტა, რომ „ყველაფერი დამთავრდა“, და ასეთი ფორმულირება საკმარისად მიაჩნია. ანალოგიურ სიტუაციაში სულ სხვაგვარად იქცევა ქალი — მას ზუსტი პასუხი უნდა: ცდილობს, ჩასწვდეს საქმის არსს და მიაკვლიოს დაშორების ობიექტურ მიზეზს, თუნდაც ამის ინიციატორი თავად იყოს.

საერთოდ, ნებისმიერი განხეთქილების მიზეზი ინდივიდუალურია. თუმცა არსებობს გარკვეული სტერეოტიპები, რაღაც საერთო, მიღებული, თითქოსდა მარტივი... ყოფით პრობლემებს თავი რომ დავანებოთ, ყველაზე გავრცელებული მიზეზი ღალატია და უმეტესწილად — მამაკაცის მხრიდან. რატომ გაურბის მამაკაცს თვალი სხვისკენ?

ფსიქოლოგების აზრით, ამაზე რამდენიმე პასუხი არსებობს:

**1. თუ მას არაჯანსაღი სექსუალური ცხოვრება აქვს**

ინტიმური ცხოვრებით გამოწვეული უკმაყოფილება, მოწყენილობა — აი, მამაკაცების განხიზვლის ყველაზე ხშირი მიზეზი. უმეტესწილად, მეგობარი ქალის ყოლის სურვილი მამაკაცებს ცოლქმრობის კრიზისულ

პერიოდში უჩნდებათ — ანუ ხუთი, შვიდი ან თერთმეტი წლის შემდეგ.

**2. სულიერი სიმშვიდისა და ურთიერთგაგების ძიების გამო**

თუ საღამოობით დაღლილ მამაკაცს შინ არაა — მზრუნველი, არამედ ბუზღუნა და უხეში ცოლი ხვდება, ლოგიკურია, უფრო ალერსიანი ქალის მოძებნას შეეცადოს.

**3. თავისი როლის საზგასასმელად, თვითდამკვიდრების მიზნით**

თუკი მამაკაცს ოჯახში პირველობის დასამტკიცებლად არგუმენტი სჭირდება, ე.ი. ნამდვილად ეპარება ეჭვი საკუთარ შესაძლებლობებში, ამიტომაც პრესტიჟისთვის ცდილობს, საყვარელი გაიჩინოს. უფრო ხშირად კი თავს უმტკიცებს

— ჯერ კიდევ მაგარი ვარო. მამაკაცის კრიტიკული ასაკი 35-დან 50 წლამდეა. საერთოდ, რაც უფრო ხანში შედის მამაკაცი, მით უფრო მეტად ებრძვის სიბერეს.

ფსიქოლოგების აზრით, არსებობს რამდენიმე ძირითადი მიზეზი, რომელიც ძლიერი სექსის ნარმომადგენლებში გაუცნობიერებელ შიშს იწვევს:

- განსაკუთრებით ეშინიათ ხელმძღვანელი ქალის. ქალი-ბოსი მათ თავდაჯერებულობას ართმევს და არასრულფასოვნების კომპლექსს უჩენს;

- აქვთ სამსახურის დაკარგვის შიში;

- ეშინიათ, რომ მიატოვებენ და მარტო დარჩებიან;

- საყვარელი ქალის საზოგადოებაში ყოფნისას არ სიამოვნებთ მასზე სიმპათიური და ათლეტური აღნაგობის მამაკაცის ხილვა;

- ერიდებიან გასუქებას;

- ეშინიათ სექსუალური ცხოვრების დროზე ადრე დამთავრების;

- საკმაოდ უფრთხიან ცოლის სოლიდურ თანამდებობაზე დანიშნვას და ამის გამო ოჯახში ფუნქციონის დაკარგვას;

- ვერ ეგუებიან დამარცხებას;

- ეშინიათ უმუშევრობის და ცოლის ხარჯზე ცხოვრების;

- გაურბიან არამყარ ურთიერთობებს.

აი ის ძირითადი მიზეზები, მა-





მაკაცთა ცხოვრებას ჯოჯოხეთად რომ აქცევს, მაგრამ მათი განეიტრალება ყოველთვის შეუძლია ჭკვიან ქალს. არსებობს გარკვეული, უფრო სწორად, განსაზღვრული ეტიკეტი, რომელიც ქალს მამაკაცთან ურთიერთობას გაუადვილებს. თუ ქალს ერთადერთი მიზანი ამოძრავებს — ოცნების მამაკაცმა მის გამო თავი დაკარგოს — უნდა იცოდეს, როგორ მიაღწიოს ამას. არსებობს რამდენიმე პირობა, რომლის შესრულება არათუ სასურველი, ხშირად აუცილებელიცაა მამაკაცის გულის მოსაგებად.

**პირველი** — თქვენი სამყარო იდუმალების ბურუსში გაახვიეთ. მამაკაცი მანამ ინარჩუნებს რომანტიკულ სახეს, ვიდრე ბოლომდე გაგიცნობთ.

**მეორე** — ნუ ჩაუძვრებით სულში. „ყოველისმცოდნე“ ქალი მამაკაცს აღიზიანებს.

**მესამე** — ნაკლები ილაპარაკეთ ყოფით პრობლემებზე. მამაკაცებს მოსწონთ არა მენჯრილმანე, არამედ ზებუნებრივი, თითქოსდა „არაამქვეყნიური“ ქალები. უფულობაზე წუნუნნი და ნათესავეების პრობლემებზე ლაპარაკი შედეგს არ იძლევა.

**მეოთხე** — წელიწადში თუნდაც ერთხელ, რამდენიმე დღით მაინც დაშორდით ერთმანეთს.

**მეხუთე** — ნუ შეგაშინებთ მისი განაწყენება: უნდა გრძობდეს, რომ მისი საკუთრება არ ხართ.

**მეექვსე** — ნურასოდეს მოდუნდებით: ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ გარეგნობას.

# ბორჯიშები სხვის კანის ბასამპკრივებლად



პირველი ნაოჭების გაჩენისთანავე კოსმეტიკურ საშუალებებთან ერთად კანის გასამკვრივებლად სპეციალურ მარტივ ვარჯიშებს თუ მიმართავთ, შედეგი გაცილებით ეფექტიანი და ხაგრძლივი იქნება. ეს ვარჯიშები განსაკუთრებით შედეგაანა, როცა კანი კოსმეტიკური საშუალებებით გადაღლილი და მოდუნებულია. თანაც ამ ვარჯიშების უპირატესობა ისიც არის, რომ მათი შესრულება ნებისმიერ დროსა და ადგილასაა შესაძლებელი.

## ტუჩების ვარჯიში

დადექით სწორად, იყურეთ პირდაპირ, პირი დამუწეთ. გაილიმეთ, რაც შეიძლება ფართოდ, ოღონდ ისე, რომ ბაგეები ერთმანეთს არ დააცილოთ. გაჩერდით ასე 5 წამი, შემდეგ დაუბრუნდით სანყის მდგომარეობას. ტუჩები მოკუმეთ და წინ წამოსწიეთ, თითქოს ვინმეს კოცნით. ამ მდგომარეობაში 5 წამი დაყავით და სანყის მდგომარეობას დაუბრუნდით. გაიმეორეთ 10-ჯერ.

## ყელისა და ლაზახისთვის

დაჯექით სწორად, თავი უკან გადასწიეთ და ჭერს ახედეთ. პირი დამუწეთ და ყბა ისე ამოძრავეთ, თითქოს კეცს ლეჭავთ. მაშინვე იგრძნობთ, რა ინტენსიურად მუშაობს ყელისა და ნიკაპის კუნთები. ვარჯიში შეასრულეთ 20-ჯერ.

## ლოყებისთვის

პირი მოკუმეთ, ლოყები ჯერ შესწი-



ეთ, შემდეგ კი გამოზერეთ. ორივე მდგომარეობაში, 10-10 წამი დაყავით. ვარჯიში 10-ჯერ გაიმეორეთ.

## ქუთუთოებისთვის

დაჯექით გამართულად და ისე, რომ თავი არ ამოძრაოთ, გაიხედეთ პირდაპირ, შემდეგ მაღლა, დაბლა, მარჯვნივ და მარცხნივ. გაიმეორეთ 10-ჯერ.

## შუბლისთვის

რაც შეიძლება ძლიერად შეყარეთ ნარბები, შემდეგ მაღლა აზიდეთ და თვალები ფართოდ გაახილეთ. გაიმეორეთ 5-ჯერ.



რუბრიკა მოამზადა  
ქვა გუნთაიშვილმა


## თევზის მწვადი

### ულუფა 4 ადამიანისთვის მასალად საჭიროა:

- 600 გ თევზის ფილე;
- 100 გ პომიდვრის მწნილი;
- 2 ს/კ ზეითუნის ზეთი;
- ხმელი სუნელები;
- მარილი, წინაჟა.

### მოზადავის წასი:

წითელი პომიდვრის მწნილი რამდენიმე წუთით მდულარე წყალში ჩააწყვეთ, მერე ამოიღეთ და ცოტათი შეაშრეთ. დაჭერით თევზის ფილე. გააკეთეთ სანებელი ზეითუნის ზეთის, ხმელი სუნელების, წინაჟისა და მარილისგან. ჩააწყვეთ შიგ თევზი და პომიდორი. გააჩერეთ ნახევარი საათი. შემდეგ თევზის ფილე და პომიდორი მონაცვლეობით წამოაცვით ჩხირებზე და შეწვით ჰაერლუმელში (ან ტოსტერში) 5-6 წუთის განმავლობაში. მზა კერძი გაალამაზეთ მწვანე სალათის ფოთლებით.





ინფორმაციულ-ჟეპინაჟიტი კოლაჟი

ეოზა დვალის უბის წიგნაკრან:

1. ნიკიტა ხრუშჩოვი მემასტის შვილი იყო.
2. „ადნაზნაჩნა“ ჟირინოვსკის საყვარელი სიტყვაა.
3. სნეჟანა ონოპკა ყველაზე ცნობილი უკრაინელი მოდელია.
4. პენტაგონის შენობის დერეფნების საერთო სიგრძე 35 კილომეტრია.
5. პეტრე პირველის დროს პურის ცუდ მცხოვლებს როზგებით სცემდნენ.
6. ავიცენა შუაზიელი ფილოსოფოსის, აბუ ალი იბნ სინას ლათინიზებული სახელია.
7. ესპანეთის იმპერია იმდენად დიდი იყო, რომ მის ტერიტორიაზე მზე არასოდეს ჩადიოდა.
8. მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ევროპაში 10 ახალი სახელმწიფო გაჩნდა.
9. „უვრაჟი“ ფრანგული სიტყვაა და დიდი ფორმატის მდიდრულ, უხვად დასურათებულ გამოცემას ნიშნავს.
10. სპარტელებს მშვილდ-ისარი არავაჟაკურ იარაღად მიაჩნდათ და ისრებს დაცინვით, ქინძისთავებს ეხადნენ.
11. ალფრედ კრუპის ქვეშევრდების ქარხანა სამჯერ დიდი იყო ესენზე — ქალაქზე, სადაც იგი მდებარეობდა.
12. „რით ვერ გაიგეთ, შოუბიზნესში მთავარი ბიზნესია და არა — შოუ“, — გაიძახოდა კახა ბენდუქიძის პაროდირებისას ბესო ვერულაშვილი.
13. კოსმოსური ტურიზმი 2012 წლიდან იქნება შესაძლებელი. სათანადო მომზადების შემდეგ, კოსმოსში გაფრენა და იქ გატარებული სამი დღე ტურისტს 4,5 მილიონი დოლარი დაუჯდება.
14. ამაზონის ჯუნგლებში ცხოველთა და ფრინველთა უფრო მეტი ნაირსახეობა ცხოვრობს, ვიდრე მთელ დედამიწაზე ერთად აღებული.



15. „ჭექა-ქუხილი“ ერთადერთი ფილმია ბრიუს ლის მონანილეობით, რომელშიც მას არც ერთი საბრძოლო ეპიზოდი არა აქვს ნათამაშები.

16. საბჭოთა ექიმ ვლადიმირ დემიხოვს, რომელმაც პირველმა გააკეთა გულის გადა-

ნერგვის ოპერაცია, ქირურგიული განათლება არ ჰქონია. პირველი ოპერაციის შემდეგ მისმა პაციენტმა წარმოუდგენლად დიდხანს — 16 დღე იცოცხლა.

17. პაციფისტური მოძრაობის სულისჩამდგმელი ბარონესა, ბერტა ფონ ზუტენერი პირველი ქალი იყო, რომელმაც 1905

ბედნიერი ჰოპიტი



ბრიტანული ჟურნალის — Tatler-ის დეკემბრის ნომერში ყველაზე სასურველი სასიძოების რეიტინგი გამოქვეყნდება. უკვე ცნობილია ადამიანი, რომლის სახელიც 200 კანდიდატისგან შემდგარი სიის სათავეში აღმოჩნდება. ჟურნალის რედაქციამ ის შემდგენიარად დაახასიათა: „მილიარდერია და თანაც, 79 წლის. აბა, მეტი რაღა უნდა ისურვო?“ ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, Tatler-მა ყველაზე სახარბიელო სასიძოდ კომპანიების — Formula One Management-ისა და Formula One Administration-ის გენერალური დირექტორი, ბერნი ექლსტოუნის აღიარა. ის მიმდინარე წლის მარტში გაეყარა ცოლს, რომელთანაც მეოთხედი საუკუნე გაატარა. ასე რომ, 1,466 მილიარდი გირვანქა სტერლინგის (დაახლოებით, 2,4 მილიარდი დოლარის) მფლობელი ექლსტოუნის გული ამჟამად თავისუფალია.

ბერნი ექლსტოუნი ორჯერ იყო დაქორწინებული: პირველად ეს იმდენად დიდი ხნის წინ მოხდა, რომ მილიარდერის ძველ ნაცნობთა უმეტესობას მისი პირველი ცოლის სახელი აღარც კი ახსოვს, რაც ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ ქალი ყოველთვის ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა; სამაგიეროდ, ბიზნესმენის მეორე მეუღლეზე, არმანის სახლის ყოფილ მოდელ სლავიკა რადიჩზე ამას ნამდვილად ვერავინ იტყვის. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის ყოფილ მეუღლეზე მთელი 29 სანტიმეტრით მაღალია — სლავიკა რადიჩის სიმაღლე 188, ბერნი

ექლსტოუნისა კი სულ რაღაც, 159 სანტიმეტრია. თანაც, წარმოსადგეი სლავიკა მაღალქუსლიან ფენსაცმელზე უარს თითქმის არასდროს ამბობდა და ამიტომაც, ექლსტოუნი მას ზოგჯერ, მხრებამდე ძლივს სწვდებოდა. ყოფილი მოდელი მილიარდერზე 28 წლით ახალგაზრდაცაა. მან ქმარს ორი ქალიშვილი — ტამარა და პეტრა (ბიზნესმენს პირველი ცოლისგან კიდევ ერთი ქალიშვილი ჰყავს) გაუჩინა.

ბერნი ექლსტოუნი არაერთხელ გახვეული სკანდალში, რომელთაგან ზოგიერთს საზოგადოება უბრალო „მდიდრების ახირებად“ მიიჩნევდა. მაგალითად, ექლსტოუნებმა ლონდონში, დედოფლის სასახლის მახლობლად შეიძინეს სახლი, მაგრამ იმის გამო, რომ სლავიკას თავად შენობა გულზე დიდად არ ეხატებოდა, ოჯახი იქ საცხოვრებლად არ გადასულა და 3 წლის შემდეგ ბერნიმ სახლი რეკორდულ თანხად — 128 მილიონ დოლარად მიჰყიდა ინდოელ ფოლადის მრეწველ ლაკშიმ მითალს... საერთოდ, ბერნი ექლსტოუნის გარშემო ატეხილი სკანდალების უმეტესობა მის პიროვნებას სერიოზულ დარტყმასაც აყენებდა. მაგალითად: 2009 წლის ზაფხულში ბერნის ფაზიზმში ბრალდების საფრთხე, „ფორმულა-1“-ის გრან-პრიზე კი ევროპის ებრაული თემის მხრიდან ბოიკოტიც დაემუქრა. ეს ყველაფერი ექლსტოუნის მიერ წინდაუხედავად წამოსროლილმა ერთადერთმა ფრაზამ — ადოლფ ჰიტლერს „თავისებურად“ შექმლო ადამიანების ხელმძღვანელობა და საჭირო შედეგების მიღწევით, — გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით ექლსტოუნმა ბოდიში მოიხადა, ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ის მაინც „ბრიყვი და საშიში“ ადამიანების კატეგორიას მიაკუთვნეს და საეჭვოა, მილიარდერმა ამ იარაღის მოშორება მოახერხოს; მეორე უსიამოვნო ამბავი ექლსტოუნის შოვინისტურ გამოსდომასთანაა დაკავშირებული. მისმა სიტყვებმა: იდეალური ქალი ისევე, როგორც დანარჩენი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, მთლიანად თეთრებში „გამოწყობილი“ უნდა იყოსო, მარტო ფემინისტები კი არა, ჩვეულებრივი დაიხასხისებიც უაზრულად აღაშფოთა. ისე, დიდ ბრიტანეთში თითქოს, ერთი ასეთი ფრაზაც კი საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ ბიზნესმენი არა მარტო სახარბიელო სასიძოების, არამედ მსუბუქი ფლირტისთვის გამოსადეგ პარტნიორთა სიიდანაც ამოეღოთ, მაგრამ ეტყობა, ექლსტოუ-





ანტიდუპლიკატი

ინფორმაციულ-ჰეპეხეხიტი კოლაჟი

ეოჩა ღვალის უბის ნიგნაკიან:

ნელს ნობელის პრემია მიიღო.

18. სტოკჰოლმში ყოველწლიურად იმართება ტურნირი ქალთა შორის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით სირბილში. მონაწილეთა მიზანია, უარყო მისაზრება ორგანიზმზე მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის საზიანო ზემოქმედების შესახებ.

19. „10 ათასზე ნაკლები თანხისთვის დილით ლოგინიდან არ წამოვდგები“, — ეს სიტყვები, რომელიც მოდელმა ლინდა ევანგელისტამ თქვა, მოგვიანებით ფრთიან გამოთქმად იქცა.

20. ვიდრე თავს მოიკლავდა, ჰიტლერმა ციანიდის კაფსულა თავის ერთგულ ძალს, გერმანულ ნაგავ ბლონდის გადააყლაპა. ფიურერი ეჭვობდა, რომ სანამლავი უგნებელი კაფსულებით შეუცვალეს, რადგან მის შეპყრობასა და რუსებისათვის ცოცხლად გადაცემას გეგმავდნენ. ძალი მყისვე მოკვდა. მეორე დღეს ციანიდის კაფსულა ჯერ ევა ბრაუნმა, შემდეგ კი თავად ჰიტლერმა გაკვნიტა და იმავდროულად, იარაღიც დაიხალა საფეთქელში.

21. „ყველაზე ძლიერი იარაღი, რომელიც ტყვეები არასდროს გამოიღვევა, ადამიანის გონება გახლავთ“, — ამბობენ ხელჩართული ბრძოლის ინსტრუქტორები.

22. ხარების როდოვზე ძალზე პოპულარულია ენ. „პოკერი ხარის მონაწილეობით“. შუა მანქანაზე მდგარ მაგიდასთან ნ მოთამაშე ჯდება და ბანქოს თამაშს იწყებს. ამ დროს მანქანა ხარს უშვებენ. გამარჯვებულად ის მოთამაშე მიიჩნევა, რომელიც მაგიდიდან ყველაზე ბოლო გაასწრებს გაშმაგებულ ცხოველს. მოგებულს 200 დოლარით აჯილდოებენ. ერთ ასეთ გამარჯვებულს, რომელსაც ხარი რამდენიმე წუთის განმავლობაში, რქებით ჯიჯგინდა, მოგებული თანხა საავადმყოფოს პალატაში მიართვეს. სიკვდილს სასწაულით გადარჩენილ კოვბოის მკურნალობა 16.000 დოლარი დაუჯდა.

23. აკვიატებულ შიშებს შორის ზოგიერთი იმდენად იშვიათია, რომ ფსიქოლოგებს მათ შესახებ მხოლოდ წიგნებში აქვთ წაკითხული. ასეთი გახლავთ სტაურაფობია — ჯვარცმისა და ჯვრის შიში, ტაფტოფობია — სხვა ადამიანის შეხების შიში, ნანაფობია — ღრუბლების შიში და ა.შ.

24. აკაკი წერეთელი მთელი ცხოვრება აქტილკებდა ალექსანდრე ყაზბეგს, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ სინანულით განაცხადა: „ქართველი საზოგადოება ვალშია ამ ადამიანის წინაშე“.



ნის შთამბეჭდავმა ქონებამ უურნალისტების თვალში მისი ფრიად საეჭვო იუმორის გრძობაც გადაწონა...

ერთხელ, რომელიღაც შევედურმა გაზეთმა მას „18 ათასი წლის ჰობიტი“ უწოდა. ბიზნესმენის აღიარებით, ის ასეთმა შეფასებამ იმდენად შეაფიქრინა, რომ ლექსიკონიც კი გადაშალა და მას შემდეგ, რაც ამოიკითხა, ჰობიტები პატარები და არაჩვეულებრივი არიანო, უმაღლეს დამშვიდდა: შედეგები ნამდვილად არ შემცდარან, მეც ცნობისმოყვარე და სიმყუდროვეს მიჩვეული პატარა, არაჩვეულებრივი ჰობიტი ვარო.

ბიზნესმენმა არაერთხელ აღიარა, რომ ოჯახი მისი მთავარი განძია, ხოლო სლავიკა — მთელი მისი ცხოვრების სიყვარული, მაგრამ მას შემდეგ, რაც 51 წლის ყოფილმა მოდელმა (ამჟამად კი „ფორმულა-1“-ზე კომერციული უფლების თანამფლობელმა) ქმარი მიატოვა და მისი ქონების ნაწილიც თან გაიყოლა, ექლსტოუნს ყოფილ ცოლთან ურთიერთობა აღარ ჰქონია. ის იმედოვნებს, რომ სლავიკას თავისუფლება ახარებს და მალე

ახალ სიყვარულსაც იპოვის, თავად კი ახალი თავგადასავლების ძიების სურვილი გამოთქვა და ისიც აღიარა, რომ ცხოვრების ახალ თანამგზავრად პატარა, მშვენიერი გოგონა სჭირდება, თანაც — უთუოდ მუქკანიანი იუდეველი ან მუსლიმანი, რომელსაც აუცილებლად ეცოდინება ესპანური ენა. შემოდგომაზე მილიარდერმა მართლაც გაიჩინა მეგობარი გოგონა, რომელიც ამ მოთხოვნებს სავსებით აკმაყოფილებს, მაგრამ ექლსტოუნის ახალ რჩეულს, 30 წლის ლამაზმან ფაბიანა ფლოსს, რომელიც ბრაზილიური „ფორმულა-1“-ის ვიცე-პრეზიდენტი გახლავთ, „საყოფაცხოვრებო ტექნიკას“ ვერაფრით მიაკუთვნებ და ეს ალბათ, მის ახალ კავალერსაც კარგად მოეხსენება.

ბერნი ექლსტოუნმა უკვე განაცხადა, რომ ფაბიანასთან ბედნიერი მომავლის დიდი შანსი აქვს. ასე რომ, გასაკვირი სულაც არ იქნება, თუ ბერნი სახარბილო სასიძოების სიდიდან კვლავ ბედნიერად დაქორწინებული მილიარდერების კატეგორიაში გადაინაცვლებს.

# ოპრა უინფრი თავის ტელეშოუს სურავს

სახელგანთქმული ამერიკელი ტელეწამყვანი და მედიამაგნატი, ოპრა უინფრი საკუთარი ტელეშოუს, „ოპრა უინფრის შოუს“ დახურვას აპირებს — ამ გადაწყვეტილების შესახებ მისი კუთვნილი კომპანია Harpo Productions-ის წარმომადგენელმა განაცხადა.



მავლით დაინტერესებული უურნალისტების დასმულ კითხვას ასე უპასუხა: „ეს სერიოზული კითხვაა და მასზე პასუხსაც მალე შეიტყობთ“.

ზოგიერთი ექსპერტის ვარაუდით, ოპრამ ტელევიზიიდან წასვლა გადაწყვიტა და შოუს დახურვის შემდეგ ამერიკის სატელევიზიო ეკრანებსაც დატოვებს, ზოგიერთი სპეციალისტი კი მიიჩნევს, რომ შოუს დახურვა ოპრას მთლიანად ახალ პროექტზე — სპეციალიზებულ ტელეარხ The Oprah Winfrey Network (OWN)-ზე გადართვის საშუალებას მისცემს.

როგორც ირკვევა, OWN ოპრა უინფრისა და Discovery Communications-ის ერთობლივ მფლობელობაში იქნება და სამაუნყებლო ბადეში ტელეარხ Discovery Health-ს ჩაანაცვლებს.

„ოპრა უინფრის შოუს“ პირველი გამოშვება ამერიკის ტელევიზიით, 1986 წლის 8 სექტემბერს უჩვენეს. საკუთარი შოუს წყალობით, ოპრა უინფრი ტელევიზიაში ერთერთი ყველაზე ცნობილი, პატივცემული პერსონა გახდა და შოუბიზნესის უმდიდრესი, ყველაზე გავლენიანი ქალბატონების რეიტინგსაც არაერთხელ ედგა სათავეში.

ტელეარხი WLS-TV კი, კომპანიის პრეზიდენტ ტიმ ბენეტზე დაყრდობით იმასაც აზუსტებს, რომ „ოპრა უინფრის შოუს“ ბოლო გამოშვება 2011 წლის 9 სექტემბერს, გადაცემის 25-ე სეზონის დამთავრებულ დღეს შედგება. რაც შეეხება თავად ტელეწამყვანს, მან „ოპრა უინფრის შოუს“ მო-



# სომხეთის აკლასიის მონოფიზიტობის გზით წასვლის მიზანად ერესიერარქები იქცნენ

## შორენა მერკვილაძე

— მონოფიზიტობამ სრულად მხოლოდ სომხეთის ეკლესია მოიცვა. ვიცით, რომ VI საუკუნიდან სომხეთის ეკლესია საბოლოოდ ჩამოშორდა დედაეკლესიის წიაღს და მონოფიზიტობის გზით წავიდა...

### არტიმანდრიტი მასპირი (აბესაძე):

— მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ სომხურ საპატრიარქოსა და მართლმადიდებლებს შორის საბოლოო განხეთქილება არ ყოფილა, სომხეთშიც იგივე მდგომარეობა იყო, როგორც ზოგადად, ბიზანტიის იმპერიაში: ქრისტიანთა ნაწილი ჭეშმარიტი მართლმადიდებლური სარწმუნოების მიმდევრად და დამცველად დარჩა, ნაწილი — მონოფიზიტურ მწვალებლობაში ჩავარდა. რაც შეეხება საქართველოს ეკლესიას, ის მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველად დარჩა, საქართველოს ეკლესიაში მონოფიზიტობამ ფეხი ვერ მოიკიდა.

სომხეთის ადგილობრივი ეკლესია ქალკედონიის მსოფლიო საეკლესიო კრებიდან საუკუნე-ნახევრის შემდეგ მონოფიზიტობამ მთლიანად მოიცვა და ის საბოლოოდ ჩამოშორდა დედაეკლესიის წიაღს. სომხეთის ეკლესიის მონოფიზიტობის მწვალებლობით დაცემას ხელი შეუწყო შემდეგმა ვითარებამ: ქალკედონიის კრებიდან დაახლოებით, 70 წლის შემდეგ ბიზანტიის იმპერიაში მცხოვრები მონოფიზიტი ერესიერარქები სომხეთში გადასახლეს, რომელიც იმ პერიოდში ბიზანტიის იმპერიის უკიდურეს აღმოსავლეთს წარმოადგენდა: სწორედ ამ ფაქტმა შეუწყო ხელი სომხეთის ადგილობრივ ეკლესიაში

განვადრძობთ „გზის“ წინა ნომერში დანყებულ საუბარს მონოფიზიტობასთან დაკავშირებით. რატომ მოიცვა სრულად მონოფიზიტობამ სომხეთის ეკლესია? როდის გაჩნდა ტერმინები — „მონოფიზიტობა“ და „დიოფიზიტობა“? საერთოდ, რატომ უშვებს უფალი ერესების არსებობას? სად არსებობდა ბერმონაზვნობის მძლავრი კერები VI საუკუნეში?



13 ასურელი მამა

მონოფიზიტობის საბოლოოდ ჩამოყალიბებას.

რაც შეეხება ეგვიპტეს, — ალექსანდრიის ეკლესიას გამოეყო მონოფიზიტური ფრთა, დღევანდელი კოპტური ეკლესიის სახით ანუ ალექსანდრიის ეკლესიის ნაწილი მონოფიზიტობის გზით წავიდა, ნაწილი — მართლმადიდებლური დარჩა. ასევე მოხდა სირიის ეკლესიებშიც. ფაქტობრივად, სირიის ეკლესია, მისი ეპარქია ანტიოქიის ეკლესიის შემადგენლობაში შედიოდა; განხეთქილების შემდეგ, როდესაც ნაწილი მონოფიზიტურ მწვალებლობაში ჩავარდა, ანტიოქიის მართლმადიდებლური და ანტიოქიის მონოფიზიტური საპატრიარქოები ჩამოყალიბდა. ასე და ამგვარად, ყველგან მოხდა ადგილობრივი ეკლესიების გამოყოფა მართლმადიდებლურ და მონოფიზიტურ ეკ-

ლესიებად, მხოლოდ სომხეთის ეკლესია მოიცვა სრულად მონოფიზიტობამ. ამის მიზეზი, როგორც ვთქვით, კონსტანტინოპოლიდან გადასახლებული ერესიერარქების სომხეთში ჩასახლება გახდა.

ვიცით, რომ მონოფიზიტურმა ერესმა არეულობა გამოიწვია პალესტინაშიც. ერთი პერიოდი, იერუსალიმის პატრიარქადაც მონოფიზიტი იარჩიეს, მანამ იმპერატორის ჩარევით, არეულობის მოთავე ბერები მალევე გააძევეს იერუსალიმიდან და პალესტინის ტერიტორიიდან, იერუსალიმის ეკლესია კი კვლავ ჭეშმარიტი გზით წავიდა.


### — საინტერესოა, როდის გაჩნდა ტერმინი „მონოფიზიტი“?

— „მონოფიზიტობა“ და „დიოფიზიტობა“ — ეს ტერმინები მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ ჩამოყალიბდა. მონოფიზიტობა არის მოძღვრება მაცხოვრის ერთბუნებოვნების შესახებ. როგორც ვთქვით, მონოფიზიტური მწვალებლური მიმდინარეობა აღიარებს ქრისტეს მხოლოდ ერთ ბუნებას — ღვთაებრივს. რაც შეეხება დიოფიზიტობას, — ეს არის მოძღვრება მაცხოვრის ორბუნებიანობის შესახებ. დიოფიზიტობა — მართლმადიდებლობის ერთ-ერთი ძირითადი დოგმატია, რომელიც ცნობს ქრისტეში განსხვავებული და თანაბარი, შეურევნელი და განუყოფელი ორი — ღვთაებრივი და ადამიანური ბუნების არსებობას. დიოფიზიტობა არის ჭეშმარიტება, რადგან მაცხოვარი იყო როგორც სრულყოფილი ღმერთი, ასევე სრულყოფილი კაცი.

რამდენიმე სიტყვით კვლავ შევეხოთ მონოფიზიტურ მწვალებლობას: მისი მიმდევრები აღიარებენ მაცხოვარს ხორციელად მოსულს, მაგრამ აღიარებენ მხოლოდ მასში არსებულ ხორცს, რომელსაც მათი სწავლებით, ჰქონდა მხოლოდ ღვთაებრივი სული.

ღმერთს არ დაუკავებია სულის ადგილი მაცხოვრის ხორცში — მაცხოვარს ჰქონდა როგორც კაცობრივი, ადამიანური ხორცი, ასევე ადამიანური ბუნება, ადამიანური გონება და ადამიანური ნება. ამასთანავე, მთლიანად ღვთაებრივი ბუნებით იყო განმსჭვალული. იყო სრულყოფილი ღმერთი, მაგრამ ამავედროულად, იყო სრულყოფილი კაციც, რომელსაც ადამიანური ბუნებიდან ყველაფერი ჰქონდა შეთვისებული, გარნა ცოდვისა — ე.ი. ცოდვის გარდა.

ათონის მთა







— საინტერესოა, რატომ უშვებს უფალი მწვალებლობათა, ერესების არსებობას?

— უფალი არ ერევა ადამიანის თავისუფალ ნებაში. რა თქმა უნდა, უფალი ცდილობს, ადამიანს შთააგონოს, როდესაც ცდომილებაშია, — გარშემო მყოფთა მეშვეობით ან აზრობრივად — რომ აცდენილია ჭეშმარიტების გზას, მაგრამ საბოლოოდ, ადამიანზე დამოკიდებული, თუ რა არჩევანს გააკეთებს — იქმს ჭეშმარიტებას თუ სიცრუის გზას გაჰყვება. ადამიანს ბოროტების, არასწორი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა რომ არ ჰქონდეს ანუ უფალმა ყველაფერი ისე წარმართოს, რომ ადამიანმა ვერ ჩაიდინოს ბოროტება, ეს იქნება თავისუფალი ნების წართმევა. მთავარი თვისება სულისა, ადამიანისა არის თავისუფალი არჩევანი. თავისუფალი ნება მხოლოდ ადამიანსა და ანგელოზებს აქვთ.

— ზოგადად, რა მდგომარეობა იყო V საუკუნის მინურულსა და VI საუკუნის პირველ ნახევარში მართლმადიდებელ ეკლესიაში და რომის იმპერიაში? ვიცით, რომ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიები, საქართველოს ეკლესიის გარდა, სწორედ რომის იმპერიის ტერიტორიაზე არსებობდა...

— ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული მუსლიმანური სარწმუნოება ანუ ამ მხრივ, ეკლესიას საფრთხე არ ელოდა. ბიზანტიის იმპერია საკმაოდ ძლიერი იყო, მაგრამ თავი იჩინა საფრთხეებმა: ევროპის ჩრდილოეთიდან მომთაბარე ტომების — ბარბაროსების სახით, რომლებმაც ამ დროისათვის თითქმის სრულად გაანადგურეს დასავლეთით — რომის იმპერია და აღმოსავლეთით — სპარსეთის სახელმწიფო. თვითონ დედაეკლესიაში კი მთავარი საფრთხე — მონოფიზიტობის ერესი გახლდათ.

— VI საუკუნეში მწვერვალს აღწევს ბერმონაზვნობა, სამონასტრო ცხოვრება. სად არსებობდა ამ დროისათვის ბერმონაზვნობის ყველაზე მძლავრი სამონასტრო ცენტრები?

— VI საუკუნეში მართლაც, აურაცხელმა ადამიანმა მისცა თავი ბერმონაზვნობის ღვაწლს. ყველაზე მძლავრი სამონასტრო ცენტრები ეგვიპტესა და პალესტინაში იყო. საბა განწმენდილის ლავრა სწორედ ამ პერიოდში ჩამოაყალიბა წმინდა საბამ. სხვადასხვა მონაცემით, იქ თავად საბა განწმენდილის სიცოცხლეშიც 30 ათასამდე ბერი მოღვაწეობდა (საბა განწმენდილი 532 წელს გარდაიცვალა). სამონასტრო ცენტრი 7 დიდი

ლავრისა და აურაცხელი სკიტისგან — მცირე მონასტრისგან შედგებოდა.

VII საუკუნეში, როდესაც ეგვიპტე არაბებმა დაიპყრეს, იქ მართლმადიდებლური ცენტრები ნელ-ნელა გაქრა და ამ ტერიტორიაზე მხოლოდ კოპტური — მონოფიზიტური ცენტრები დარჩა. მუსლიმანური სამყარო ავიწროებდა პალესტინასაც, მაგრამ პალესტინაში ბერმონაზვნობის ცენტრები და სამონასტრო ცხოვრება X საუკუნემდე იქნა შენარჩუნებული. ამის შემდეგ, ბერმონაზვნობის ცენტრმა ათონის მთაზე გადაინაცვლა.

— VI საუკუნიდან საქართველოშიც მძლავრი ბერმონაზვნური ცხოვრება იწყება; ამ პერიოდიდან ჩნდება ძლიერი სამონასტრო კერები ჩვენს ეკლესიაში...

— ამას საქართველოში ასურელი მამების შემოსვლამ მისცა ბიძგი. დაარსებული და ჩამოყალიბებული მძლავრი სამონასტრო კერები დღემდე შემორჩენილი — დავითგარეჯის, შიომღვიმის, ზედაზნის, მარტყოფისა და სხვა მონასტრების სახით. ბერმონაზვნობის კერები საქართველოში მანამდეც არსებობდა, მაგრამ მასობრივი სახე სწორედ ასურელი მამების შემოსვლის შემდეგ მიეცა. ■



**ბიზნუსი** *Books* **სწრაფი ადამიანები სტუმრად**

**„ბიზნუსური“**

ყოველ შაბათს  
15-დან 17 სთ-მდე  
(რუსთაველის 40/1)

მწერლობები,  
ჰოლოციფიკოლოები,  
მეცნიერობები,  
სკოლსმეცნიერობები,  
მსახიობები  
და სხვები...

28 ნოემბარს წიგნების შარჩავაში გუბაშ სწრაფი და გახეხარებათ და უპასუხავს თქვენს შეკითხვებს.



რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარბიშვილი

# როგორ მოვიქცეთ გაცივების უმეტესობაში

გაცივება არის ინფექციური დაავადება, რომელიც სასუნთქ გზების ზედა ნაწილის (ცხვირ-სახა, ყელი, ბრონქები) ლორწოვანი გარსის ანთებას იწვევს. მისი სიმპტომებია: სურდო, ცემინება, ფარინგიტი (სახის ანთება). გაცივება შეიძლება გამოიწვიოს სხეულის გადაცივებამ, რომელიც განსაკუთრებით საშიშია დასუსტებული და გადაღლილი ორგანიზმისთვის. მისთვის დამახასიათებელი სიმპტომების განვითარებას ხელს უწყობს ცხვირში, სახასა და ბრონქებში არსებული ბაქტერიები, რომლებიც ჯანმრთელი ადამიანისთვის საშიში არ არის, იმუნიტეტის დაქვეითებისას კი მრავლდება და ფარინგიტს, ტონზილიტს (ენ. ანგინას) და სხვა დაავადებებს იწვევს.

**დაიბახრობეთ:** ვირუსული ინფექცია შეიძლება გავრცელდეს არა მარტო ჰაერის, არამედ ხელების საშუალებითაც. ვირუსით დასნებოვნების თავიდან ასაცილებლად, დაუბანელი ხელებით არ უნდა შევეხოთ თვალებს, პირს, ცხვირს, სმირად უნდა დავიბანოთ ხელები საპნით, განსაკუთრებით — ავადმყოფთან კონტაქტის შემთხვევაში.

## როგორ ვუზავლოთ თავს გაცივების დროს

დაავადების პირველივე ნიშნებისას მიიღეთ ცხელი შხაპი და შეეცადეთ სახის, ყელის, გულმკერდის არის გათბობას. თუ გული ამის საშუალებას მოგცემთ და თან, არ გექნებათ მაღალი ტემპერატურა, მაშინ შხაპის ნაცვლად, აბაზანა (10-15 წუთის განმავლობაში) მიიღეთ — კარგი იქნება, თუ წყალში ჩაამატებთ გვირილის, კრაზანის ან არყის ხის ფოთლების ნაყენს. აბაზანიდან ამოსვლისას ვინმე დაიხმარეთ, რადგან შეიძლება, თავბრუ დაგეხვეთ, ამის შემდეგ კარგად გაიმშრალეთ ტანი და დაწექით. დალიეთ ცხელი ჩაი ჟოლოსით, ლიმონით ან პროპოლისით, კარგად გაეხვიეთ საბანში და მოიდინეთ ოფლი (30-40 წუთის განმავლობაში).

**ზინჯვანა:** გაცივების დროს ბევრი უარს ამბობს შხაპსა და აბაზანაზე, არადა, ვირუსების აქტიური ცხოველქმედებისას ორგანიზმში აუარებელი ტოქსინი გროვდება, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი კანის მეშვეობითაც გამოიყოფა და თუ ისინი დროულად არ მოვიცილებთ, გამოჯანმრთელება გაჭიანურდება.

თუ ალერგიული არ ხართ, მაშინ 1-2 ჩ/კ თაფლი შეჭამეთ (სწრაფად კი არ გადაყლაპოთ, ნელ-ნელა წუნუნეთ). გაითვალისწინეთ, მიკრობების საწინააღმდეგო ერთ-ერთი საუკეთესო



სო ბუნებრივი საშუალებაა ნიორი — შეგიძლიათ, ის პირდაპირ ჭამოთ ან გახეხოთ, გადაუსვით პურის მომცრო ნაჭერზე და ისე მიირთვათ; ღამე პირში ჩაიდეთ პროპოლისის ნატეხი (თუ პროპოლისი ნამდვილია, მაშინ ენაზე შეიგრძნობთ წვასა და დაბუჟებას).

თუ ზემოთ აღნიშნულ რჩევებს გავითვალისწინებთ, მაშინ ერთდროულად, სამი მიმართულებით ვიმოქმედებთ: გავააქტიურებთ დამცველობით ძალებს (აბაზანა, თაფლი), ორგანიზმიდან გამოვდევნით მიკრობებს (ნიორი, პროპოლისი) და დაგროვილ ტოქსიკურ პროდუქტებს (აბაზანა, სითხის მიღება).

თუ აბაზანის მიღების შემდეგ სხეულის ტემპერატურამ აიწია, მის დაწვევას არავითარ შემთხვევაში არ შეეცადოთ: ჰიპერთერმიის (მაღალი ტემპერატურა) დროს იმუნური სისტემა ადვილად უსწორდება მიკრობებს. გახსოვდეთ, ტემპერატურა არის ორგანიზმის დამცველობითი რეაქცია და მისი დაწვევა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაშია საჭირო, კერძოდ:

\* როცა ტემპერატურა მატულობს 38,5-დან 39 გრადუსამდე;

\* როცა ცუდად იტანთ ტემპერატურის მცირე მატებასაც კი;

\* როცა რაიმე მიზეზის გამო ორგანიზმს მიეწოდება მცირე რაოდენობით სითხე;

\* როცა ცხელების ფონზე კრუნჩხვების განვითარებისაკენ გაქვთ მიდრეკილება.

არ გაგიტაცოთ სიცხის დამწვევი საშუალებების მიღებამ, ისინი 5 დღეზე მეტხანს არ სვამთ; ღამის საათებში ადვილად ხსნადი, შუშხუნა ტაბლეტები არ დალიოთ — ეს ხელს უწყობს თირკმლებში კენჭის გაჩენას. ტემპერატურის დაწვევა შეგიძლიათ სხეულის დახელით, წყალში გაზავებული არყით ან 3%-იანი ძმრით — ამ პროცედურის ჩატარებისას გაიხადეთ ტანზე და დახელის დამთავრებისთანავე ნუ ჩაიცვამთ; ტემპერატურის დასაქვეითებლად დალიეთ ჩაი ლიმონით, ჟოლოსით, ცაცხვის ყვავილით ან თაფლით. შეგიძლიათ, სიცხის დამწვევი ჩაი მოადულოთ შემდეგი რეცეპტით: 2 ს/კ ჟოლოს მურაბა, 4 ს/კ ვირისტერფა, 3 ს/კ მრავალძარღვა და 2 ს/კ თავშავა.

თუ კანზე გამოგაყარათ ან გამოგვიწინდათ სიმპტომები, რომლებიც ზედა სასუნთქი გზების კლასიკური ანთებისთვის არაა დამახასიათებელი, მაგალითად, თუ გაქვთ მუცლის ძლიერი ტკივილი, კუჭში გაღიხართ დღეში 3-ჯერ, ძლიერ გტკივთ თავი, ღრმად გახველებთ და გტკივთ გულმკერდის არე, გიჭირთ ყლაპვა ან სუნთქვა, გერევათ გული, დაუყოვნებლივ გამოიძახეთ ექიმი.

კვების რაციონის შედგენისას ყურადღება მიაქციეთ, რომ პროდუქტი მდიდარი იყოს A, E და C ვიტამინებით. დიდ სარგებელს მოგიტანთ უზმოზე 1 ჭიქა ფორთოხლის წვენის დაღვევა. ორგანიზმის იმუნიტეტის ასამაღლებლად კარგია ტომატის წვენი და 1 ჩ/კ მცენარეული ზეთი. ჭამეთ აუჩქარებლად, გულდასმით დალეჭეთ საკვები. კარგი იქნება, თუ მინიმუმამდე შეამცირებთ ალკოჰოლის, ყავის მიღებას და სიგარეტის მოწევას. შეეცადეთ, უზრუნველყოთ სრულფასოვანი ძილი — ცნობილია, რომ ღრმა ძილის ფაზაში, იმუნური სისტემის რეგენერაციაზე პასუხისმგებელი ჰორმონები ახალ ენერჯიას იძენს. გახსოვდეთ, უძილობა და არასრულფასოვანი კვება ორგანიზმს ასუსტებს.





**ბთაპაზოთ გასივარის  
სანიანალოვადგო შინაურ  
რკსაქაჭახს**

**ოვლის მოსადანად**

\* აილეთ 2 ნილი ვირისტერფა, 1 ნილი ცაცხვის ყვავილი, 1 ნილი თავშავა და დააყენეთ ისე, როგორც ჩაი. მიილეთ ძილის წინ;

\* 3 ს/კ ცაცხვის ყვავილს დაასხით ადუღებული წყალი და 15 წუთის განმავლობაში გააჩერეთ ნელ ცეცხლზე, შემდეგ გადმოილეთ, 20 წუთით დააყენეთ, განურეთ, დაამატეთ თავფლი, ლიმონის წვენი და მიილეთ ცხელ-ცხელი, ძილის წინ.

**დასაზოვად**

\* 0,5 ლ წყალში ჩაყარეთ 1 ს/კ მარილი და დაუმატეთ 40-50 გრამი 10%-იანი ნიშადურის სპირტი. ცალკე ჭურჭელში ჩაასხით 0,5 ლ წყალი და მასში გახსენით 10 გ ქაფურის სპირტი; კარგად შეანჯღრიეთ, წარმოქმნილი ფიფქები რომ დაიშალოს. ამ ნარევით დაიზილეთ გულმკერდი და ზურგი.

შეიძლება მიქსტურის დალევაც: წლამდე ასაკის ბავშვს შეგიძლიათ მისცეთ 1 წვეთი, გახსნილი 1 ს/კ წყალში, ერთ წელს გადაცილებულს კი — 1 ჭიქა წყალში ვუნვეთებთ იმდენ წვეთს, რამდენი წლისაცაა, ხოლო მოზრდილებმა უნდა მიიღონ 1 ჭიქა წყალში გახსნილი 1 ჩ/კ მიქსტურა.

\* წვრილად დაჭრილ 1 ს/კ ჟოლოს ტოტს დაასხით 1 ჭიქა ანადუღარი წყალი და ადუღეთ 10 წუთის განმავლობაში, შემდეგ გადმოილეთ, დააყენეთ 1,5 საათით. მიილეთ 1 ჭიქა, დღეში სამჯერ.

**თუ ხველვაა ბაბინანარძლივ-  
დათ**

\* გახანგრძლივებული მკერდის-მიერი ხველის დროს მკერდი დაიზილეთ მაუდის მშრალი ქსოვილით, შემდეგ კარგად შეიზილეთ ლორის მუცლის ქონი ან გამდნარი ნაღების კარაქი. დაამატეთ ცაცხვის ზეთიც.

\* აილეთ ჭვავი, შვრია, ქერი ან ვარდკაჭაჭა, დაუმატეთ გარჩეული

მნარე ნუში, დაფქვით, ყავასავით მოადუღეთ და დალიეთ. შეგიძლიათ დაამატოთ ცხელი რძე.

\* თალგამის წვენი აადუღეთ, დაატკბეთ შაქრით ან თაფლით და მიირთვით (კარგი იქნება, თუ დაუმატებთ ცოტაოდენ რომს ან კონიაკს). მიილეთ დღეში რამდენჯერმე, ჭამის წინ.

\* თალგამის ან სტაფილოს წვენს დაუმატეთ იმავე მოცულობის რძე ან თაფლი და კარგად აურიეთ. მიილეთ თითო ს/კ დღეში 6-ჯერ.

\* აილეთ 2 ს/კ ნაღების კარაქი, 2 კვერცხის გული, 1 ჩ/კ ხორბლის ფქვილი, 2 ჩ/კ სუფთა თაფლი — ეს ყველაფერი ერთმანეთში კარგად აურიეთ და მიილეთ 1 ჩ/კ, დღეში რამდენჯერმე.

\* ნახველის გამოყოფის გასაადვილებლად მიილეთ თაფლგარეული წითელი მოცვის სიროფი.

**შავი ღვიწო ღორის ბრიპის  
წინააღმდეგ**

A/H1N1 გრიპის ვირუსით ინფიცირების შემთხვევაში ფილტვების დაზიანების თავიდან აცილება, შავი ღვიწის დახმარებითაა შესაძლებელი, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები, რომლებმაც ამ სასიამოვნო სასმლის ამგვარი ეფექტიანობის მიზეზად მის შემადგენლობაში ჭარბად შემავალი ანტიოქსიდანტები დაასახელეს.

მკვლევრებმა დაადგინეს, რომ გრიპის ვირუსი აზიანებს ადამიანის სასუნთქი გზებისა და ფილტვების უჯრედებს. მათი საფარი გარსის დაზიანებისას, ფილტვებში გროვდება სითხე, რომელიც იწვევს პნევმონიის რთული ფორმის განვითარებას, რაც სუნთქვის გაძნელებას განაპირობებს.

ბაყაყის ქვირითზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად მკვლევრებმა დაადგინეს, რომ ვირუსმა დაშალა ცხოველის ქსოვილში შემავალი გარკვეული სახის პროტეინები, მაგრამ ამ მოქმედების აღკვეთა შესაძლებელი გახდა ანტიოქსიდანტების შემცველი სპეციალური პრეპარატით ქვირითის დამუშავების შემდეგ. ამის მერე

ტესტირება გაკეთდა ადამიანის უჯრედებზეც და შედეგი იქაც დადებითი აღმოჩნდა.

„ასეთი ფერომენური შედეგის მიუხედავად, უნდა გვახსოვდეს, რომ დაავადების ძირითადი წყარო არის ინფიცირება და ამიტომაც, ვაქცინაცია აუცილებელია. ჩვენი აღმოჩენა იმითაა საინტერესო, რომ შეიძლება, ამან მკურნალობის ახალი მეთო-




დის შექმნას ჩაუყაროს საფუძველი“, — ხაზგასმით აღნიშნა კვლევის ერთ-ერთმა ავტორმა.

ექსპერიმენტით დადგინდა, რომ მცენარეულ პროდუქტებში არსებულ ანტიოქსიდანტებს ღორის გრიპის ვირუსის მიერ ფილტვების დაზიანების შეფერხება შეუძლია. წითელ ღვინოსთან ერთად, ამ ნივთიერებებით ყველაზე მდიდარ პროდუქტებს წარმოადგენს: ბრონეული, შტოში და მოცვი. სპეციალისტების აზრით, სასარგებლო პროდუქტების განსაზღვრა ხდება მათი კანის მკვეთრი მენაშული ფერით.

გრიპისგან თავდასაცავად, სპეციალისტები მცენარეული საკვებით გამდიდრებული დიეტის დაცვას, ვიტამინების მიღებას, ცხოვრების აქტიური წესის დაცვას, სპორტით დაკავებას, მოწვევაზე უარის თქმას, გამოძინებას, ჰიგიენური წესების დაცვას და სტრესების თავიდან აცილებას გვირჩევენ.


„ცუდი, არაბალანსირებული კვება ძლიერად აისახება იმუნურ სისტემაზე. ჭამეთ ცხიმოვანი თევზი, მუქი ფერის კენკროვანი ხილი, ვაშლი, შავი შოკოლადი, ნუში, ბროკოლი; მიილეთ ვიტამინები A, D, E და თუთია, მისილეთ იოგას — ყოველივე ეს იმუნიტეტის აღდგენაში დაგეხმარებათ“, — აღნიშნავს კვლევის ერთ-ერთი ავტორი.



P.S. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com ის თქვენს ნებისმიერ კითხვას გასცემს პასუხს.







# ადამიანი

## ...იქ, სადას ქვეყანა „რუსსკიე“ და „ნერუსსკიედ“ არის გაყოფილი

მისი ოცნებაც, სხვა უამრავი ჩვენი თანამემამულის მსგავსად, საქართველოში დაბრუნებაა. თანამედროვე ქართველის არცთუ ამბიციური ნატვრა — საკუთარი ქვეყნის, პატარა საქმე და ელემენტარული კომფორტი — მზიასაც ესაა. ახლა, 14-წლიანი ემიგრაციის შემდეგ, ჩანს, რომ ამ ოცნებას ასრულება უნერია, თუ რა თქმა უნდა, არაფერი მოხდა... ეს „არაფერი“ ომის, არეულობის შიშია. დარდი, რომ იმას, რასაც უკვე გაუძლო, უბრალოდ, ვეღარ გადაიტანს... მზია გომიბაშვილის მოსკოვურ ცხოვრებაზე გიამბობთ...

### დაა სუსპირიკა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტს ამთავრებდა, როდესაც საქართველოში ეროვნული მოძრაობა დაიწყო. მაშინ გოგიაშვილების ოჯახი სრული შემადგენლობით, თბილისში ცხოვრობდა. მზიას განათლებისთვის პოლიტიკურ მოვლენებს ხელი არ შეუშლია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მთელი არსებით თანაუგრძნობდა ეროვნულ მოძრაობას, წიგნებზე უარი არ უთქვამს. უნივერსიტეტი ბრწყინვალედ დაამთავრა და ხარისხზე დაიწყო მუშაობა. ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმები და შეჩერდა... მაშინ აფხაზეთის ომი უკვე ნაგებული გვექონდა.

### რა მოხდა, რატომ შეწყვიტე განათლებაზე ზრუნვა?

— ჩემი ძმა გაიტაცეს ყაჩაღებმა. ეს სათქმელად იოლია, მაგრამ თუ წარმოიდგენთ, როგორი ემოცია ახლავს, ალბათ გამიგებთ, რასაც მერე მოგიყვებით. გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით მოხდა. ჩემი ოჯახი მდიდარი არ იყო, მაგრამ მამას თავისი სამშენებლო ფირმა ჰქონდა, ალბათ ამის გამო გავხდით ყაჩაღების სამიზნე. ოჯახმა გადაწყვიტა, რომ სამართალდამცავებს არ დაჰკავშირებოდა. მართალი რომ

გითხრათ, იმ ქაოსში, როდესაც ქვეყანა ქვეყანას არ ჰგავდა და ირგვლივ საშინელი ძალადობა სუფევდა, სამართალდამცავების იმედი არ გვექონდა. სასწრაფოდ დავინწყეთ თანხების შეგროვება. გავყიდეთ ყველაფერი, რაც გვებადა, ბუნებრივია, გაცილებით იაფად, ვიდრე მისი რეალური ფასი იყო. გავყიდეთ ის მშენებარე სახლიც, რომელსაც მამა ჩვენი ოჯახისთვის აშენებდა... მაგრამ ეს თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა. იმ მომენტში არ ვფიქრობდით შედეგებზე, მთავარი იყო, ჩემი ძმის სიცოცხლე გადაგვერჩინა. მადლობა ღმერთს, გამოგვივიდა, მაგრამ ამას მეორე უბედურება მოჰყვა... ჩემი ოჯახი ვალებში ჩავარდა და ყველამ ზურგი შეგვქცია... ნეტავ, მხოლოდ ზურგი შეგვქციათ, პირდაპირ ფეხი დაგვაჭირეს... მამას მცირე კავშირები უკვე ჰქონდა მოსკოვში და ამ



გამოუვალი სიტუაციის ფონზე, გამგზავრება გადაწყვიტეთ. თბილისური ცხოვრების ბოლო წელიწადი კომპარი იყო. სხვის კარზე ცხოვრება, დამცირება, უიმედობა... გაბოროტებას ნამდვილად ვერ დავარქმევ, მაგრამ საქართველოდან რომ წავედი, საკუთარი ერი მძულდა. ახლა უხერხულად ვგრძნობ თავს, ამას რომ ვამბობ, მაგრამ ქართული ლაპარაკის გაგონებაზე, 180 გრადუსით ვბრუნდებოდი... თან საკუთარი ქვეყნის დანგრეული ხატება დამქონდა გულით, ვოცნებობდი, საქართველოს სხენებაზე გულისტკივილი არ მეგრძნო. დაბრუნებაზე ფიქრიც არ მინდოდა... როდესაც მთავრობა შეიცვალა, მაშინ იმედიც გამიჩნდა. მსყინს, რომ თქვენთან არ ვიყავი, როდესაც ჩვენი ქვეყანა ხელახლა დგებოდა ფეხზე.

### საინტერესოა, როგორ მოჩანს ემიგრაციიდან საქართველო. ფიქრობ, რომ ბევრი რამე შეიცვალა?

— როდესაც ჩვენ მივემგზავრებოდით, ცხოვრება ერთ ადგილას იდგა, სრული უმოძრაობა და ქაოსი სუფევდა. ახლა სახელმწიფო

### თან საკუთარი ქვეყნის დანგრეული ხატება დამქონდა გულით, ვოცნებობდი, საქართველოს სხენებაზე გულისტკივილი არ მეგრძნო





ფუნქციონირებს, ქვეყანა იღვიძებს... ხშირად მასწავლებელი თბილისური ქუჩა, გაყინული და დათრგუნვილი, საკუთარ თავთან მოლაპარაკე ხალხი. არ ვიცი, იმას თუ ერქვა სახელმწიფო პოლიტიკა, რაც მაშინ ხდებოდა საქართველოში, მგონი, ხანგრძლივი ნგრევის პროცესი იყო. ვფიქრობ ახლა პოლიტიკოსებმაც შესაფერისი სახე შეიძინეს და „პოლიტიკანებმაც“, მხოლოდ ეგ არის, რომ თუ ზოგიერთი მუსიკოსი სიმღერაში პოლიტიკოსობს და პოლიტიკაში მუსიკოსობს, და ამით ჩვენს მეფე თეიმურაზს ემსგავსება, ვერ ითვალისწინებს, რომ იმას სისხლი მანაც ჰქონდა ბაგრატიონის, ესენი კი ვინ არიან, ვერ გავიგე... ოპოზიციის წინააღმდეგი კი არა ვარ, ყველანაირ აზრს აქვს არსებობის უფლება, მაგრამ უზრდელობა წესად იქცა საქართველოში? მაშინ, გამოდის, რომ ქართული ემიგრაცია უფრო უფროსილდება ჩვენს ადათ-წესებს. ჩვენ სატელიტური ანტენის დახმარებით, საშუალება გვაქვს, ქართულ ტელეარხებს ვუყუროთ და როდესაც დედაქალაქს ვხედავ, გაოგნებული და აღფრთოვანებული ვარ. ნუთუ ეს ის დანგრეული ქვეყანაა, მე რომ დავტოვე, ან ის ხალხი, მესხიერებას რომ შემორჩა?

— მაგრამ შენ აბსოლუტურად

ოვრობდით სამსახურის მიერ დაქირავებულ კოტეჯში, სადაც არც გათბობა იყო და არც კანალიზაცია. წყალს ჭიდან ვეზიდებოდით, ყინულს ვამტვრევდით, ძლივს ვისწავლეთ რუსული ლუმის დანთება. ეს სახლი მოსკოვის ოლქში იყო, მოსკოვიდან გვიან ღამით მიხდებოდა ხოლმე დაბრუნება, ღამით შეცივებული და ცოტა შეცბუნებული მივაპობდი თეთრ სივრცეს. ერთი დიდი უკაცრიელი ველი უნდა გადავქეცრა, რომელიც, გაზაფხულზე გაირკვა, რომ გაყინული ჭაობი იყო, საიდანაც ნების სუნი მოდიოდა. იქვე იყო სოფელიც, რომელიც მაშინ მდიდარი მოსკოველებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. დღესაც მიკვირს, რატომ.

— გკონდა განცდა, რომ პროვინცია დატოვე და ქალაქში ჩახვედი? თბილისი პროვინციაა? ამ შეფასებას ხშირად აკეთებენ საზღვარგარეთული ვიოაჟებიდან დაბრუნებული ჩვენი თანამემამულეები. ამიტომაც დავსვი ეს კითხვა.

— არა, რას ამბობ. რუსებიც კი არ ფიქრობენ ასე. პროვინცია ახლა მოსკოვია. თავად პეტერბურგელებიც მას ყოველთვის „დიდ რუსულ სოფელს“ ეძახდნენ. მე არასდროს გამჩენია პროვინციელის კომპლექსი — ჩემ უკან ათასწლეული ქართული კულტურაა! ამით კი კულტურა ყინვაში შარვალჩამოგდებული სიარული ჰგონიათ, რომ შიშველი მუცელი და ჭიში გაყრილი საყურე გამოაჩინონ. მეეჭვება, სხვა რომელიმე ქვეყანაში ასე ღიად იყოს ახალგაზრდობა სექსით დაკავებული, როგორც რუსეთში — დისკოთეკებზე, კლუბებში, „ელექტრიკაში“, თქვენ წარმოიდგინეთ, უნივერსიტეტის შენობაშიც კი ნახავთ მათ გამიშვებულ „სიყვარულს“. განა ვინმე ფიქრობს ჩვენში, რომ ეს იმათი პროვინციელობის ნიშანი არ არის?!

— თუმცა, ასეთი შეფასებაც მამჩნია, რომ მოსკოვი ათავისუფლებს...

— თუ ვინმეს ქართული ზნე-ჩვეულებებისგან უნდა გათავისუფლება, რა თქმა უნდა, გზა ხსნილია, მაგრამ მგონი, ამას არც საქართველოში უშლიან ვინმეს. ისე, რა თავისუფლებაზეა ლაპარაკი, აქ უამრავ დაკომპლექსებულ და გაუბედურებულ ადამიანს შეეჭდურივარ. გულწრფელად გეტყვი — რუსეთში ცხოვრების ერთადერთი დადებითი მხარე ის არის, რომ არ გვშია, ოჯახთან ერთად ვარ და საკუთარი თავის რეალიზებაც ასე თუ ისე, მოვახერხებ. ეს ხალხი, იმიტომ, რომ ქართველი ხარ, ყოველთვის ცდილობს, სულში ჩაგაფურთხოს. ამ დამამცირებელ განცდას ის აიოლებს, რომ ისინი ჩვენს სიბრტყეზე არ უნდა განხილო. ეს ის ხალხია, რომელიც ქუჩაში ჭამს, სვამს, მრავლდება და ქუჩაშივე ისაქმებს დამიჯერე, არაფერს ვაჭარბებ.

— ნუთუ არ არსებობს პოზიტივი?... მხოლოდ ნეგატიურზე რომ ლაპარაკობ.

— პოზიტივი ცალკეული ადამიანია, მაგრამ ისინი სანთლით საქებარნი არიან. ეს ის ერია, რომელიც საკუთარ ხალხსაც კი სასტიკად ექცევა. ვერ გაურკვევია, რა შედის მის ინტერესებში. დღეს „პოს“ ამბობს ხვალ კი „არას“, ზეგ ისევ „პოს“... მათ ვერ დაეყრდნობი, რადგან რასაც ჩასძახებენ, იმისი სჯერათ.

— ერთმორწმუნეობაზე რას იტყვი?

— კარგი კითხვაა... ერთმორწმუნეობას ხელი არ შეუშლია იმაში, რაც ჩვენ დაგემართეს და კიდევ გვიპირებენ. ხომ გახსოვს სოლომონის ეჭვები ამასთან დაკავშირებით? ჩვენ ამ ხალხთან არაფერი გვაქვს საერთო. ეს სრულიად განსხვავებული მენტალიტეტის ხალხია, სხვა სამყარო, ჩვენთვის მეტად მიუღებელი. რა მნიშვნელობა აქვს, რა აღმსარებლობის არიან ფაშისტები. ჩვენ უფრო ცივილიზებული მართლმადიდებლური იმპერიის, ბიზანტიის წინააღმდეგ ვიბრძოდით და რუსეთი რაღა ბედენაა? ისიც გასათვალისწინებელია, რომ რელიგიაც მშვენიერი პოლიტიკური იარაღია დასაჩოქებლად თუ გასათავისუფლებლად.

— ანუ დაბრუნებულს მოსკოვი არ მოგენტრება? ჩვენი ბევრი თანამემამულე დღემდე მისტორის იმ წლებს, როდესაც მოსკოვში, მაშინდელი საბჭოეთის დედაქალაქში იოლად მიდი-მოდიოდა.

— ეს თქვენც იცით, რა მონატრება-ცაა. მე კი მოსკოვი ნამდვილად არ მონატრება. აქ სიყვარული შეუძლებელია, რადგან ქვეყანა, ქალაქი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანებს ნიშნავს, ამ ადამიანებს კი ჩემთვის მისაღები არაფერი აქვთ. ეს უბედური ხალხია, რომელიც შეიძლება მხოლოდ შეგეცოდოს. როცა აქ დავსახლდით, მოსკოვი ასეთი გაბოროტებული არ იყო ჩვენზე, ამისთვის უბრალოდ არ ეცალა... მაგრამ მათ არავინ უყვართ. მათ საკუთარი თავიც არ უყვართ. რუსეთი ნამდვილად არ იყო ჩემთვის მტრის სატება, მაგრამ ახლა გვომბობ, რომ მტრის ზურგში ვცხოვრობ. საშინლად ილანძლება ხალხი მოსკოვის ქუჩებში, სადაც, თუ ღმერთი გაგინყრა და შემთხვევით ნაიქეცი, დროზე უნდა წამოხტე, რომ არ გადაგქელონ. რა თქმა უნდა, ხელს არავინ მოგამეფლებს, გინებით კი შეიძლება, კარგად გაგინონ. ეს რუსული „მატი“ ხომ ცალკე თემაა, მათ დუშამიც შეიტანეს განსახილველად ეს საკითხი: დაეშვათ თუ არა „მატი“ ოფიციალურად. აი ასეთი კულტურის, შეგნების და ჭკუის მეგობარ რუს ერთან გვაქვს საქმე.

— აგვისტოს ომმა შენი ოჯახის საქართველოში დაბრუნებასაც შეუშალა ხელი...

— მართლაც, დაბრუნებას ვაპირებდით. გეგმა დღემდე არ შეგვიცვლია, მაგრამ ომმა შეგვაჩერა. თავს ვერ მივცემ უფლებას, ვიმსჯელო იმაზე, შეიძლება-



როცა აქ დავსახლდით, მოსკოვი ასეთი გაბოროტებული არ იყო ჩვენზე, ამისთვის უბრალოდ არ ეცალა...

განსხვავებული ადათ-წესების ქვეყანაში მოგინია გამგზავრება. როგორ იყო პირველი შთაბეჭდილებები?

— პირველ ხანებში ბედნიერი ვიყავი, რომ არავინ აქცევდა ჩემს არსებობას ყურადღებას. ამ უზარმაზარ ქალაქში ადამიანები საკუთარი არსებით შეპყრობილები მიდიოდნენ და მოდიოდნენ. მიხაროდა, რომ სახლი, სადაც მაშინ ვცხოვრობდით, განმარტოებით იდგა. მამამ მოსკოვშიც სამშენებლო ფირმაში დაიწყო მუშაობა. მართალია, უფროსი არ იყო, მაგრამ არც უბრალო ვინმე გახლდათ. მისი ცოდნა და გამოცდილება რუსებმა კარგად გამოიყენეს. პირველ პერიოდში ხელფასი არ გვეოფნოდა, რადგან მხოლოდ მამა მუშაობდა, ვცხ-





# „მენატრები, დედა!“ დედის გარდასვალის შემდეგ ნაოჲნი „ანდერძი“...

და თუ არა ამ ომის თავიდან აცილება, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, აქ ნახევარი წლით ადრე ომამდე, საჯაროდ იხილებოდა საქართველოს დაპყრობის გეგმა. იმასაც კი ამბობდნენ, რომ ორივე მიმართულებით შეუტევდნენ — ოსეთიდანაც და აფხაზეთიდანაც და რომ ამ შეტევას საქართველო ვერ გაუძლებდა. ახლა კი გაიძახიან, ომი საქართველომ დაიწყო. არ ვიცი, მანდ ეძინათ თუ რას აკეთებდნენ, ან შეიძლებოდა თუ არა ამისთვის უკეთ მომზადება. ამის კვლევას ახლა რა აზრი აქვს, ფაქტია, რომ ძირძველი ქართული მიწები კიდევ დავკარგეთ. მოლაპარაკებებს რაც შეეხება... ამას ძალიან პესიმისტურად ვუყურებ, მეეჭვება, რუსებთან საუბარმა შედეგი გამოიღოს. ეს ახლა ცივილიზებული ქვეყანა არ არის, აქ მხოლოდ მუშტს და უხეშ ძალას სცემენ პატივს. ძლივს ოცნება აისრულებს და აფხაზეთი მიიტაცეს, მიშა იქნება, პეტრე თუ პავლე, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მათ მოლაპარაკებებით ვერასდროს დავაბრუნებინებთ წართმეულს.

— ახლა კარგზეც ვისაუბროთ.

— ინგლისის სამეფო თეატრი იყო ჩამოსული საგასტროლოდ. ორი თვით ადრე შევიძინე ბილეთები დიდი თეატრის სალაროებში. „გედების ტბა“ მელოდა წინ... მოუთმენლად ველოდებოდი... იმ პერიოდში ძალიან მძიმე ავადმყოფობა შემსვდა და ლოგინად ჩავვარდი. რაც უფრო ახლოვდებოდა სპექტაკლის დღე, უფრო და უფრო მიუარესდებოდა ჯანმრთელობა, მაგრამ სასწაული მოხდა, წარმოდგენის დღეს ძალ-ღონე მოვიკრიბე და ჩემი ექიმის და ოჯახის წევრების გასაოცრად, ლოგინიდან წამოვდექი. ყველაზე საუკეთესო კაბაც ჩავიცვი და სპექტაკლს დავსწარი. უბედნიერესი დღე იყო, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ივნისი წვიმადა, ის დღე მზიანი აღმოჩნდა... მაშინ როგორ წარმოვიდგენდი, რომ გაივლიდა ორი წელი და ინგლისში ამოვიყვანიდი თავს... მოსკოვში პედაგოგიურ მოღვაწეობას ვწვევი, ინგლისურს ვასწავლი ბავშვებს. ბუნებრივია, მჭირდებოდა ენის დახვეწა. ცოტაც დავისვენე... თუმცა ეს ცალკე თემაა...

— აი, ვსაუბრობთ და ამ საუბრის მიღმა შენი დაბრუნება იგულისხმება. ეს 14 წელიწადი ამაზე ფიქრში გავიდა. ალბათ გაიზარე, რა არის ქართველი ემიგრანტისთვის ბედნიერება?

— სულ ველოდი ამ კითხვას და აი, ისიც... როცა გაცვლები ადგილს, სადაც მთელი ქვეყანა ეროვნული ნიშნით „რუსსკიე“ და „ნერუსსკიე“ არის გაყოფილი, როცა ვერ გაიგონებ შეხახლს — „ახ ტი ტვარ, ნე-რუსსკაია!“ — აი, მაშინ ხარ ბედნიერი! ჩემი ქუჩები, მიწა, სოფელი, ბუნება, ზღვის სანაპირო, ჩემი ხალხი მენატრება. ქართველის ბედნიერება საკუთარ მიწაზე მყარად დგომა!



ბელა გარკალაია

— მიუხედავად იმისა, რომ ათი წლის ვიყავი, როდესაც დედა გარდაიცვალა, ის საკმაოდ კარგად მახსოვს... ადამიანებისადმი განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა და საოცარი სითბოთი გამოირჩეოდა.

— რა იცით დედის ბავშვობისა და ახალგაზრდობის შესახებ? საიდან მოდის მისი სახელი — ინოლა?

— ეს სახელი ბიძამისმა სვანეთში, ერთ-ერთი საფლავის ქვაზე აღმოაჩინა. სახელის წინა ასოები წაშლილი ყოფილა. ირინოლა, მარინოლა თუ რაღაც ასეთი უნდა ყოფილიყო... მაგრამ წარწერას გარკვევით აწნდა მხოლოდ ინოლა. ის თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე დაიბადა და გაიზარდა. საბავშვო ბაღში იქვე უვლია. მსახიობი ირაკლი უჩანეთილი მისი ბაღის მეგობარი იყო და ისინი ბოლომდე უახლოესი მეგობრები იყვნენ. დედა პატარაობიდანვე გამოირჩეოდა მეგობრობის საოცარი უნარით, ადამიანობით, სიკეთით, სითბოთი. ძალიან უყვარდა თავისი კუთხე — სამეგრელო, კერძოდ, ზუგდიდი და სოფელი უჩაშონარი. იქ ჰყავდა მამიდა და ძიძა, რომელთაც ის მუსიკას პირველად აზიარეს. გიტარის შვიდი ძირითადი აკორდი მამიდამ ასწავლა, ჩონგურსა და ფანდურზე დაკვრა კი — ძიძამ... სკოლის პერიოდში მაშინდელი პოინერთა სასახლეში დადიოდა და იმ პერიოდს დიდი სიყვარულით იგონებდა... შემდეგ იყო სტუდენტობა, მისი პირველი სიმღერები და პირველი ტრიო (გიული დარახველიძის, მედეა სიხარულიძისა და ინოლა გურგულიას შემადგენლობით).

იშვითად მსმენა მსგავსი ხმა, რომელიც სიყვარულად იღვრება და ამ გრძნობითვე გავსებს... მართლაც რომ საოცარი შემოქმედი იყო ინოლა გურგულია... თვითმყოფადი და ღრმა... ამასთან, კეთილი, თბილი, ხალისიანი და სვედიანი... შემოქმედი, რომლის სიმღერებზე თაობები იზრდებოდა, მავანთ არც სიცოცხლეში დაუფასებიათ და არც — მერე... მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ის ხალხისთვის საყვარელი მუსიკოსია!

ჩვენ ინოლა გურგულიას ქალი იშვილს, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობს — ია შულღიაშვილს ვთხოვეთ, კიდევ ერთხელ გაეხსენებინა დედა, როგორ იყო იგი შვილებსთვის და რა დაუტოვა მათ...

— დედა მკაცრი იყო თუ დამთმობი?

— მახსოვს, მას თვალეში საოცარი სიმკაცრე ჰქონდა, რაც ჩხუბსა და გალახვასაც კი უდრიდა. მისი ერთი გამოხედვაც კი საკმარისი იყო. ასე რომ, თუ რამე არ მოსწონდა, ამას მისი თვალეში ვგრძნობდი. ისე, ჯიუტი ბავშვი ვიყავი, მაგრამ ჩემი ვერასდროს გამქონდა, რადგან დედა თავისი მკაცრი მზერით მაჩერებდა, მაგრამ ინოლას აღზრდის საიდუმლოება ძირითადად, მის სითბოში იყო.

— რაიმე რჩევა-დაროგება ან ქცევის ინოლასეული წესები ხომ არ შემოგჩნათ, რასაც შთამომავლობასაც გადასცემთ, როგორც ინოლას „ანდერძი“?

— იცით ამის შესახებ თუ ისე მკითხებით?

— არაფერი ვიცი, უბრალოდ მიმაჩნია, რომ მას რაღაც გამორჩეული თვისება ან თავისებური ცხოვრების წესი უნდა ჰქონოდა...

— სამი წლის ვიყავი, ჩემი ძმა კი — ექვსი, როცა დედამ მცნებუივით ჩამოგვინერა, როგორ უნდა მოვექცეულიყავით. მას წლების შემდეგ მე და ჩემმა ძმამ „დედის დარიგება“ დავარქვით. ოცდაერთი საკითხისაგან შემდგარი ქცევის „კოდექსი“ თითქმის ყველაფერს ეხებოდა — ჩვენს ურთიერთობებს მშობლებთან, უფროსებთან, ზოგადად ადამიანებთან. რომ არ შეიძლება ტყუილი, ღალატი, ჩხუბი, ტრაბახი და ა.შ. ბოლო „მცნება“ კი თითქოს შემეჯამებელი იყო: ყოველდღე ერთი კეთილი საქმე უნდა



სიყვარული დედისგან ვისწავლე...



გაგვეკეთებინა, რომ ღირსეულ ქართველ მოქალაქეებად აღვზრდილიყავით. ჩვენი იმდენადაა კოდირებული დედის ეს დარიგებები, რომ ჩვენი შვილების აღზრდისასაც ამით ვხელმძღვანელობთ.

— როგორი მეგობარი იყო ინოლა? ხშირად გსტუმრობდნენ მისი მეგობრები?

— მეგობრების, ზოგადად კი ადამიანების გარეშე მას ცხოვრება არ შეეძლო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებული გახლდათ, მასსოვს, რომ დღის ნებისმიერ მონაკვეთში მოდიოდნენ მისი მეგობრები. ბევრისგან მსმენია, რომ ინოლა ამ სტუმრის საოცარი მიღება იცოდა — მასთან დილის ექვს საათზე თუ შუალამისას მოსული ადამიანს, ისეთი ღიმილითა და სიყვარულით შეეგებებოდა, გეგონებოდა, სწორედ მას ელოდაო...

— დედის გარდაცვალება თუ გახსოვთ?

— გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე მისი უკუბრუნებული სენის შესახებ შეიტყვეს... ზაფხულში ქვიშხეთში ვისვენებდით. ის ცუდად გახდა და მასსოვს, თბილისში სასწრაფოდ ჩამოვედით. სულ მეგონა, რომ გაცივებული იყო და ფეხზე მალე დადგებოდა. ერთ დღეს კი სკოლიდან მოსულს ძალიან ცუდად დაიხვედა. თავი გვერდზე გადაეგდო... მამამ უმიზეზოდ ავთიაქში გამიშვა, უკან დაბრუნებული კი სახლში აღარ შემიშვეს. ეს თურმე დედაჩემის ალსასრულის დღე იყო. ნათესავთან წამიყვანეს. სახლში მხოლოდ დავრძალვის დღეს მივედი... ეს ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის უმძიმესი პერიოდი იყო... ინოლას გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე, ჩემი უფროსი ძმის ცოლი მშობიარობას გადაჰყვა. რა თქმა უნდა, დედა ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, არც გაუგია...

— რასაკვირველია, ინოლა გრძობდა თავის მოსალოდნელ აღსასრულს. როგორი იყო მისი სიცოცხლის ბოლო პერიოდი? რაიმე სომ არ დაუბარებია მას მეუღლისთვის, მეგობრებისთვის?

— დედას მეგობრები იხსენებენ, რომ ძალიან უნდოდათ ავადმყოფი მეგობრის ნახვა, მაგრამ უჭირდათ, სიცოცხლით საცუვად ადამიანი ლოგინად ჩავარდნილი ენახათ და

მისთვის დაენახებინათ თავიანთი გაცდა, ცრემლები, მაგრამ მოსულს გასაოცარი რამ ხდებოდა... სულით გაუტყეული, ღიმილიანი მეგობარი ძველებურად დახვდებოდა, გიტარას მოითხოვდა და უმღეროდა. მეგობრებს იქით ამხნევებდა და ანუგეშებდა. ამიტომ არასდროს ახსენებდა მოახლოებულ უბედურებას, შიშს და არც არაფერი დაუბარებია. მან ყველას — მეუღლეს, შვილებს, მეგობრებს გარდაცვალების შემდეგ თვითონვე გვითხრა თავისი სათქმელი: ორმოცი ჯერ არ იყო გასული, როდესაც დედის სანერ მაგიდას ვალაგებდით და შემთხვევით „ანდერს“ ნაწავდით. პატარა ვიყავი და ვერ მივხვდი, რა იყო. მამას მივუტანე და წავიკითხეთ:

— ჩემო მისო, — წერდა ის მამას, — ჩემო თვალსაჩინო, ჩემო საყვარელო, ჩემო ერთგულო, სათნოვ და კეთილო. შენთვის ჩამიბარებია ჩვენი პატარები. ნუ მოიცლივებ გვერდიდან და შეაყვარე მათ ყველაფერი, რაც ჩვენ გვიყვარს. ნუ მიეცემი სასონარკვეთას. გახსოვდეს, სანამ შენ და ჩემი შვილები ცოცხლები ხართ, მეც თქვენთან ვარ... ჩემს უფროს ძმას მამუჟას კი ასე დაუბარა: — გიყვარდეს მამული შენი და იყავი ჩემსავით ხალისიანი... მე და ჩემს პატარა ძმას კი მოგვეფერა: — ჩემო პანეზო, ჩემო ბაჭიუბო... შემდეგ კი დაგვარგა — რომ ცუდი არასდროს გაგვეკეთებინა, ვყოფილიყავით კეთილები, პატიოსნები, შრომისმოყვარენი... ოჯახის ყველა წევრი დედა იმით გვანუგეშა, რომ თავისი ფიქრები და გრძობები, სული ჩვენთან დატოვა. გვთხოვს, ტირილით კი არა, ღიმილითა და სიმღერით მოვიგონოთ: — იმღერეთ ჩემი სიმღერები, რომ მუდამ ცოცხალი ვიყო. მეგობრებს მაღლობას უხდის ყველაფრისათვის, ლოცავს და სთხოვს: — სიყვარულით მოიგონეთ, ხანგრძლივი სიცოცხლით გამიხანგრძლივთ სიცოცხლე. მისი უკანასკნელი თხოვნა კი ის იყო, რომ მის საფლავზე მისივე თმით შეკრული ვაზის ჯვარი და არმაზიდან ჩამოტანილი ხაჯიანი ქვა დაგვედო...

— რას გაიმბობდნენ ინოლაზე მისი მეგობრები მისი გარდაცვალების შემდეგ?

— როდესაც ინოლას შესახებ წიგნის გამოცემას ვაპირებდით, მე და ჩემს ძმას მეგობრების ნაამბობი გვინდოდა ჩაგვეწერა, რადგან საინტერესო ცხოვრება ჰქონ-

და დედას. მაგრამ საოცარია, რომ მასზე ამბებს ვერ ჰყვებიან. ინოლა მხოლოდ მათ შეგრძნებებშია, სიყვარულად, სითბოდ გარდასახული... ზოგადად კი მას როგორც ხალისიან, დაუდგარი ბუნების ადამიანს, ისე ახასიათებენ, რომელიც ემოციას ვერ ფარავდა, ქცევის გარკვეულ ჩარჩოში ვერ ჯდებოდა. მაგალითად, დევი სტურუა იხსენებდა, რომ თურმე მის მიმართ სიმპათია ჰქონია და ერთხელ გაჩერებაზე მასთან ამაზე საუბარსაც აპირებდა. ინოლას კი ამ თემაზე საუბრის საშუალება არ მიუცია და „შუა ლაპარაკში“, როგორც ბატონი დევი იხსენებდა, — მოვიხედე და ინოლა გაქრაო... ის თურმე გაქანებულ ტრამვაის შეხტომია... სკოლაში ბიჭვით ფაფხით დადიოდა. ქუჩაში შეეძლო, უეცრად ცეკვაც დაეწყო...

— ინოლას დიდი სევდა სდევდა. ამბობდა: „გულში მხოლოდ ზენა“ და ამავე დროს ძალიან მინიერიც გახლდათ. ეს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ბუნება მის შემოქმედებაშიც ჩანს. მღეროდა ისე, იფიქრებდით, ახლა გაუსკდება გულიო; თან იმასაც განსენებდა, რომ „ღიმილისთვის შეიქმნა ადამიანი“...

— ინოლას პირველი მეუღლე ჰყავდა, მამუჟას მამა (მწერალი ანზორ სალუქვაძე. — ავტ.), რომელთანაც გამოჩენილი იყო. პირველ სიყვარულთან განშორება აუცილებლად იქნებოდა მისი დიდი სევდის მიზეზი. ამ დანაკარგს დაემატა იმავე პერიოდში დედამისის გარდაცვალებაც, რაც უმძიმესად გადაუტანია. ცხოვრებაში ბევრი რამ ხდებდა ისეთი, რაც გულს გტკენს. მით უმეტეს, ინოლასაც ექნებოდა ასეთი, ის ხომ ძალიან მგრძობიარე იყო. თავის დროზე დედა პირველი ავტორ-შემსრულებელი გახლდათ. იყვნენ კომპოზიტორები, მომღერლები. ინოლა კი თავიდან ბოლომდე თვითონ იყო თავისი სიმღერის შემოქმედი. თვითონ ქმნიდა თავის ულამაზეს სამყაროს. თქმას არც ვაპირებდი, მაგრამ ახლა ვიტყვი: მის ცხოვრებაში, მისმა კარგმა ნაცნობებმა ინოლა რალაცის გამო უკან დახიეს. მას არც სახალხო არტისტის ნოდება მიუღია, არც სხვა რამ ტიტული. ინოლას სიმღერების ჩანერაზეც არავის უზრუნია. იგი უკვე ავად იყო, როცა მისმა მეგობარმა, რეჟისორმა — ლეო ბაქრაძემ, რომელიც იმყამად მოსკ-



ოჯახის ყველა წევრი დედა იმით გვანუგეშა, რომ თავისი ფიქრები და გრძობები, სული ჩვენთან დატოვა





# სპისი უპილავის დედა

მაშინ, როცა საქართველოში უმუშევრობის დონე ძალიან მაღალია და შესაბამისად, სამსახურში მონაყოლა ფაქტობრივად შეუძლებელი, არსებობს პროფესია, რომელზეც შრომის ბაზარზე მოთხოვნა ფინანსური კრიზისის დროსაც კი არ შემცირებულა...

„ძიების ინსტიტუტი“ საქართველოში, სხვადასხვა ფორმით, საუკუნეების განმავლობაში არსებობდა. მათი მეთვალყურეობით, მეტწილად დიდგვაროვანთა შვილები იზრდებოდნენ. დღეს კი ბავშვის აღზრდაში დამხმარე თითქმის ყველა საქმიან ქალს სჭირდება.

## პაპ ქაპიტარაძე

ძიების შერჩევასა და დასაქმებას თბილისში რამდენიმე კომპანია მისდევს, მაგრამ უმეტესად ძიები სამსახურში ნაცნობ-მეგობრების რეკომენდაციითა და რჩევით აპყავთ, რადგან ფიქრობენ, რომ ასე ნაპოვნი ძიძა უფრო სანდოა. მართალია, ჩვენში ძიძებს გაცილებით ნაკლებს უზღვიან, ვიდრე უცხოეთში „აუპეარად“ გადახვეწილ ჩვენს თანამემამულეებს, მაგრამ საქართველოში ძიძას მაინც გაცილებით მაღალი ხელფასი აქვს, ვიდრე პედაგოგს, ექიმს ან თუნდაც მეცნიერ თანამშრომელს.

დღის განმავლობაში, ძიძები ალსაზრდელელებთან ერთად, თბილისის ბაღებსა და პარკებში იკრიბებიან. სანამ ჩვილებს ეტლებში სძინავთ, უფრო მოზრდილები კი თამაშობენ, კოლეგები ერთმანეთთან საუბრით იცქევენ თავს. მოსაყოლი კი ბევრი აქვთ: ზოგი თავის ორ დიპლომს მისტირის, ზოგი სხვა ძიძების უსაქციელობაზე ამახვილებს ყურადღებას, ზოგიც ცნობილი ოჯახის შესახებ ჯერ უცნობ ჭორებს ავრცელებს.

იმისათვის, რომ ძიძების ნდობა მომეპოვებინა და რეალურად გამეგო, როგორც არიან თანამედროვე ქართველი გადიები, პატარა პროფესიულ ხრიკს მივმართე — ვუთხარი, რომ ძიძად მუშაობის დანაშაულები მსურდა. რამდენიმე რჩევასთან ერთად, მათგან ისეთი ამბები მოვისმინე, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი — ბრმად ნდობა დაუშვებელია, უფრო მეტიც — საშიშიც კი არის.

ქალბატონი ირინა, 60 წლის, ძიძა:

— ორი ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული, დისერტაცია კი მოსკოვში დავიცავი. წლების განმავლობაში პედაგოგიურ ინსტიტუტში, მეცნიერ თანამშრომლად ვმუშაობდი და თვიდან თვემდე ორ შვილს 100 ლარით ვარჩენდი. გოგონები ცოტა რომ წამოიზარდნენ, ინსტიტუტიდან წამოვედი და ნათესავის რეკომენდაციით ძიძად დავიწყე მუშაობა. გამოგიტყდები და, თავიდან ძალიან გამიჭირდა სხვისი შვილის მოვლა. ბავშვები ძალიან მიყვარს, მაგრამ სულ სხვა არის, როდესაც ამას ფულის გამო აკეთებ. ამასთან ერთად, სხვისი შვილის სიცოცხლე გაქვს მოზარბული და ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა. ამიტომ თავიდან ძალიან ვნერვიულობ-

ოვში მოღვაწეობდა, ინოლა სახლში წაიყვანა. ჩაურთო მაგნიტოფონი და უთხრა: — იმდენე, რაც შეიძლება მეტი, რომ ჩავწერო, მოსკოვში მივდივარ და იქ გვერდით ხომ არ მეყოლები, შენი სიმღერები უნდა წავილოო. ასე კუსტარულად ჩაინერა ბატონმა ლეომ ინოლას ოცდაორი სიმღერა, რისთვისაც მისი მადლიერნი ვართ ოჯახის წევრები. ინოლას უმღერია, ჩანანური გალობად ალვლენილი ლოცვით დაუსრულებია.

— „ღმერთო ძლიერო, სულთახილავო, მომიტყევებდე ცოდვასა ჩემს, მხევალსა შენსა, ინოლას“.

როგორც ჩანს, დედა მიცხვდა, რომ მისი ეს პირველი და უკანასკნელი ჩანანური მოსკოვში წასაღებად კი არ კეთდებოდა, არამედ მისი სიმღერების დედამინაზე დასატოკვებლად.

— შთაბეჭდილება მრჩება, რომ თქვენც გაქვთ უპიარისობის გრძობა, რომ ინოლას არ აქვს ისეთი პატივი მიგებულთ, როგორსაც იმსახურებდა. მართალია, ბევრი მღერის, მაგრამ ინოლა ხომ სულით მღეროდა, როგორც ედიტ ჰაფი.

— თვითონ ინოლა უანგაროდ აკეთებდა იმას, რასაც აკეთებდა და არასდროს ჰქონია რაიმე წოდების, დამსახურების მიღების ამბიცია. ჩემთვისაც მთავარი სხვა რამეა. ინოლა პროფესიით კომპოზიტორი არ ყოფილა, მაგრამ ხალხისთვის საყვარელი შემოქმედისა ვფიქრობ, ეს მისი ყველაზე დიდი ნოდებაა. ედიტ ჰაფი ასწავნიდა და გამასხენდა: რეჟისორმა გიორგი სისარულიძემ როდესაც თავისი სპექტაკლი, მუსიკალურად ინოლას სიმღერებით გააფორმა, საფრანგეთში დადგა. ფრანგი მაყურებელი, თურმე, ალაფრთოვანა ინოლას მუსიკამ და ხმამ: ქართველი ედიტ ჰაფი გყოლიათო, — უთქვამთ. უკიდვანო სევა აქვს ინოლას, მაგრამ ლიმიტარევი, არის გულისწყვეტა, მაგრამ იქვე იმედი...

— „ნეტავ რად გიკვირს, რომ მემღერება“

მე ჩემში დამაქვს ბედნიერება“.

და კიდევ: „მე სიყვარულმა შემქმნა ამგვარი,“

რომ ყველა ბოროტს სიკეთით ვძლიო“, — ინოლას ეს სიტყვები თქვენთვის მონოდება ხომ არ არის?

— სიყვარული დედამ მასწავლა და ახლაც მასწავლის. ადამიანის, სამყაროს გულშია, ალაღად მიღება, ცუდშიც კარგის დანახვა, უკიდურესი მიმტეველობა დედისგან მაქვს. მაგრამ მას ეს გრძნობები კიდევ უფრო გამძაფრებულად ჰქონდა. ის უფრო ღრმა და ამაღლებული იყო: ალბათ, მაშინ დროც სხვა იყო. ადამიანებიც უფრო თბილები და კეთილები იყვნენ. ახლა თითქოს ყველა და ყველაფერი გაცივდა. ამ დროში, ალბათ ძალიან გაუჭირდებოდა დედას. და ალბათ, ღვთის ნება იყო მისი ასე ნაადრევად წასვლა...

— რას ეტყობით მას ახლა?

— ინოლა ჩემი ყველაზე დიდი მეგობარი იქნებოდა... გულში ყოველთვის ამას ვუბნები და ახლაც ამის თქმა მინდა: — მნატრები, დედა, და მადლობელი ვარ ყველაფრისათვის!

დი, ვიზნეოდი და შეცდომებს ვუშვებდი. როცა ჩემს ალსაზრდელთან ერთად ქუჩაში სეირნობისას ნაცნობი ან ყოფილი კოლეგა შემხვებოდა, მრცხვენოდა მეთქვა, რომ ძიძად ვმუშაობდი.

ახლა უკვე გამოცდილი ძიძა ვარ, მესამე ბავშვს ვუვლი და როცა თამთა სკოლაში წავა, უმუშევარი არ დავრჩები, რადგან მისი ოჯახი ნაცნობ-მეგობრებში გამიწვეს რეკომენდაციას. დღეს კარგი და გამოცდილი ძიძა უმუშევარი არ დარჩება. თამთას ჩვილობიდან ვუვლი, უკვე ორი წლის ხდება. ყოველდღე ვმუშაობ დილის ათი საათიდან საღამოს რვაზე. თავიდან თვეში 350 ლარს მიხდიდნენ, მაგრამ შემდეგ თამთას მშობლებმა მთხოვეს, შაბათობითაც დაეხმარებოდი და ხელფასი 100 ლარით გამიზარდეს.

— თქვენს მოვალეობაში რა შედის?

— ყველაფერი, რაც ბავშვის მოვლას უკავშირდება: ვაჭმევ, ვაბანავებ, ვასეირნებ, ვაძინებ, ლექსებს ვასწავლი და ზღაპრებს ვუკითხავ. გამიზარტლა, რომ კარგ ოჯახში ვმუშაობ. მობილური ტელეფონი არ მქონდა და საცმად ძვირად ღირებული ტელეფონი მიყიდეს: როცა სეირნობთ, რომ დაგიჩვენოთ და გავიგოთ, როგორ ხართ. მანამდე ცოტა პრეტენზიულ და უცნაურ ხალხთან ვმუშაობდი. ბიჭს ვუვლიდი და მამამისი კატეგორიულად მთხოვდა: ბავშვს კაცურად მომარდდა ასწავლეო.

— შემთხვევისგან დაზღვეული არავინ არის, ხომ შეიძლება, ბავშ-



დღის განმავლობაში, ძიძები ალსაზრდელელებთან ერთად, თბილისის ბაღებსა და პარკებში იკრიბებიან



ვი ნაიქვეს, იტიკნოს რამე. ამის გამო მშობლები პასუხს თქვენ მოგთხოვენ?

— შემთხვევისგან დაზღვეული არავინ არის, მაგრამ თუ ბავშვი სულ ჩაღურჯებული დადის, ეს უკვე ძიძის უყურადღებობის ბრალია. ხშირად თუ გამოივლით, აქ ისეთ ძიძებსაც ნახავთ, მზეს მიფიცებულებს სკამზე რომ სძინავთ, ბავშვები კი პირდაპირ მინახე სხედან და მტვერში არიან ამოგანგლული. ზოგი მშობელი სიფრთხილეს იჩენს, დროდადრო მოდის ბალთა და ამოწმებს, როგორ ასრულებს ძიძა თავის მოვალეობას. ერთხელ მარცხი დეე მომივიდა. თამთა შვიდი თვის იყო და დათოვლილ ქუჩებში გამოვიყვანე სასიეროდ. ბავშვი ხელში მეჭირა, მოულოდნელად ფეხი დამიცდა და პირქვე დაეცეო, ბავშვიც ქვეშ მოვიყოლე. პატარამ სახე დაარტყა და დიდი ხნის განმავლობაში ჩაღურჯებული ჰქონდა. ამას ძალიან განვიცდიდი და სამსახურიდან ნამოსვლაც მინდოდა, მაგრამ მისმა მშობლებმა არ გამოიმძვინვრეს.

— ბავშვს წლების განმავლობაში ზრდით. როდესაც სამსახურიდან მოდიხარ, აღსაზრდელთან განშორება არ გიჭირთ?

— როცა ბავშვთან ბევრ დროს ატარებ, ძალიან გეჩვევა. არის შემთხვევები, ბავშვები ძიძას „დედას“ ეძახიან. ამის გამო ძიძებს აღსაზრდელის მშობლებთან პრობლემები ექმნებათ. კარგი ძიძა თუ ხარ, ბავშვს პირველ რიგში, დედისა და მამის სიყვარული უნდა ასწავლო. ზოგი ბავშვი ძიძის გარეშე ჭირვეულობს, არ ჭმას, არ იძინებს და სამოსის ჩაცმავზე უარს ამბობს. ამას კი ზოგჯერ დამნაშავე მშობელია, რადგან თავისუფალ დროსაც კი ბავშვზე ზრუნვა ძიძისთვის აქვს მინდობილი. მაგალითად, ერთ-ერთ ოჯახში რომ ვმუშაობდი, ჩემს მისულამდე დედა დელობით ბავშვს საფეხსაც კი არ უცვლიდა. მეტსაც გეტყვით: ბავშვს თუ ეძინა, აღვიძებდა, რომ სრული სამუშაო დღე მემუშავა. მაგრამ ხშირად ძიძებიც სცოდავენ. ერთი ჩვენი ყოფილი კოლეგა თავის აღსაზრდელს დიმიტროს ასმევედა, დიდხანს რომ სძინებოდა. ბავშვი სანამ ჩვილი იყო, მშობლებს უხაროდათ: კარგი ზნე აქვს, სულ სძინავსო. ცოტა რომ ნამოიზარდა, მიხვდნენ, რომ რალაც რიგზე ვერ იყო და ძიძა დანაშაულში ამხილეს. ისეთი ძიძებიც მინახავს, ბავშვის ტარება რომ ეზარებთ და მთელ დღეს ეტლში ჰყავთ დაბმული. მერე ამ ბავშვის მშობლებს უყვირთ: პატარა ფეხზე გავლას რატომ აგვიანებო?! ერთი ძიძა კი თავის აღსაზრდელს მარჯანიშვილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე ამათხოვრებდა! ბავშვს ქუდს სახეზე ჩამოუფხატავდა, რომ არავის ეცნო და განვდილი ხელით მონყალების სათხოვნელად გაუშვებდა: ეს შენი სამსახურიაო. თავად კი შორიასლოს იდგა და თვალს ადევნებდა. ერთხელ ბავშვი ოჯახის ახლობელმა შემთხვევით ქუდით იცნო. ის ქუდი ცოტა ხნის წინ თავად ჩამოუტანია უცხოეთიდან მისთვის საჩუქრად. როგორც ვიცო, ბავშვის მშობლებმა პოლიციას მიმართეს და ძიძა მართლმსაჯულებას გადასცეს.

**ძალგატონი ნანა, 56 წლის, ძიძა:**  
— მე სააგენტოში დამასაქმა. ერთდროულად სამ ბავშვს ვუვლი, მათგან ორი სკოლის ასაკის არის, ერთიც — სკოლამდელი. 600 ლარს მიხდიან, მაგრამ ყველაფერი მე მევალება, ბავშვების სკოლაში წაყვანილ დანყებული, მათი მეცადინეობით დამთავრებული. სხვათა შორის, ჩემამდე თორმეტი ძიძა გამოიცვალეს. უფროს გოგონას ძალიან რთული ხასიათი აქვს, სულ ცდილობს, მისი ოჯახის პრივილეგიებულ მდგომარეობას გაუსვას ხაზი და სხვა დაამციროს, ამიტომ მასთან შეგუბვა ვერაფერ შეძლო. ოჯახის უფროსებიც ძალიან უცნაურები და პრეტენზიულები არიან. მთელი დღის განმავლობაში უფლება არ მაქვს, მათ სახლში რამე შევჭამო... ოთხი შვილის დედა ვარ, მეუღლე არ მუშაობს, ამიტომ ჩემი შვილების გამო ყველანაირ დამცირებას ვიტან. სანამ ჩემს აღსაზრდელებს სანოლში არ ჩავანვნი, სახლში წასვლის უფლება არ მაქვს. მათი დედა კი სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ, ვერ ცხელ აბაზანას იღებს და მხოლოდ ამის შემდეგ მიდის შვილების სანახავად. ამიტომ თუ ვინმე ფიქრობს, რომ საქართველოში მომუშავე ძიძების ყოფა იოლია, ძალიან შეცდარა.

ადრე ერთ ოჯახში ვმუშაობდი, რომელიც ჩემს წინამორბედ ძიძას გაუქურდავს. ძალიან ცნობილი მწერლის ოჯახია და იმ დროს ოჯახის უფროსს ნიგნისთვის სოლიდური პონორარი მიუღია. ძიძას ბავშვის სიცოცხლეს ანდობდნენ, ამიტომ ფულის ადგილსამყოფლის გასაიდუმლოება აზრადაც არ მოსვლიათ. ძიძამ კი ამ ნდობით ბოროტად ისარგებლა და ყოველდღე განსაზღვრულ თანხას იპარავდა. როცა პონორარი მნიშვნელოვნად შემცირდა, დანაკლისი მამინდა აღმოაჩინეს. თავიდან ძიძა ქურდობას არ აღიარებდა და ისე გათავსებდა, სხვა ოჯახის წევრებზეც კი სცადა დანაშაულის გადაბრალევა. ფული უკან ვერ მოაგბინენეს, ვერც საციხედ გაიმეტეს, მაგრამ სამსახურიდან დაითხოვეს. წარმოიდგინეთ, მას შემდეგ, ბავშვის მომვლელად მე ამიყვანეს და ვიდრე მათ ნდობას მოვიპოვედი, მათი ეჭვქვეშა მზერა ყველგან თან მდევდა. შემდეგ კი აგარაკზეც მათთან ერთად დავდიოდი და იტალიაში გახლდით იმ ოჯახთან ერთად სამოგზაუროდ.

— როცა ბავშვები ცელქობენ, დატუქსვის უფლება თუ გაქვთ?



როცა ბავშვთან ბევრ დროს ატარებ, ძალიან გეჩვევა

— ამის უფლება არ მაქვს, მაგრამ არიან მშობლები, ვინც ძიძას ბავშვის აღზრდისას სრულ თავისუფლებას აძლევს. ისე კი, იცით, რა შევინებ?... ძალიან ცუდი ბავშვებს ძალიან მშვიდი აღმზრდელები ჰყავთ. ერთი საოცრად სანდომიანი ქალბატონი ჩვენი პრეზიდენტის ნათესავს უვლის. ის ქალი პროფესიით მუსიკოსია, კონსერვატორია აქვს დამთავრებული. ყოველთვის მშვიდი და განონასწორებულია, მისგან ხმამაღალ სიტყვას ვერ გაიგონებ. ბავშვი კი ისეთი ცუდი და დაუდგრომელია, ერთ ადგილას წამით ვერ ჩერდება. ამის გამო ხუმრობით „მიმაც“ კი შევარქვით. ახლა ბავშვებიც „მიმას“ ეძახიან და რომ დაინახავენ, მოდის, შესაძებენ ხოლმე: „მიშა მოვიდა, მიშა!“

**სალომი, 42 წლის, ძიძა:**  
— ძიძად არც ძალიან ახალგაზრდა გოგონები უნდათ და არც ხანში შესული ქალბატონები. ყველაზე ოპტიმალური ასაკი 40-60 წელია. უპირატესობა ექთანებსა და პედაგოგებს ენიჭებათ. მაგრამ ზოგჯერ შეფასების ამგვარი კრიტერიუმები არ ამართლებს და შესაძლოა, აღმოჩნდეს, რომ შვილის აღზრდას ფსიქიკურად არამდგრად ადამიანს ანდობთ. აქ ყველა ძიძა ერთმანეთს ვიცნობთ. ახალი თუ ვინმე გამოჩნდება ხოლმე, მასაც ვუმეგობრდებით. ხომ უნდა ვიცოდეთ, ვინ არის, ვის ოჯახში მუშაობს და ვის შვილს ზრდის. ერთ დღესაც ამ პარკში ერთი ახოვანი, ლამაზი ქალი გამოჩნდა, კარგად ჩაცმულ ბავშვს ასეირნებდა. გამოველაპარაკე და აღმოჩნდა, რომ ისიც ძიძად მუშაობდა. თავიდან უცნაური არაფერი შეგვიჩინნავს, მაგრამ შემდეგ მისი დამოკიდებულება აღსაზრდელის მიმართ სულ უფრო თვალში საცემი ხდებოდა. ბავშვს შესაკუთრესავით ექცეოდა, სულ მამამისზე ელაპარაკებოდა, თითქოს თავად ყოფილიყო ბავშვის დედა და იმ კაცის მოსიყვარულე ცოლი. რალაც დროის შემდეგ ის ქალი აღარ გვინახავს, შემდეგ კი ბავშვი პარკში უკვე სხვა ძიძასთან ერთად გამოჩნდა. სწორედ მისგან გავიგეთ, რომ იმ ქალის საქციელი ბავშვის მშობლებისთვის სულ უფრო მოიუღელო ხდებოდა. ძიძის მოვალეობა აღარ აკმაყოფილებდა და ბავშვის დედის როლს თამაშობდა. ეს საკმარისი მიზეზი გახდა ოჯახისთვის, რომ ძიძის ბიოგრაფიით უფრო დეტალურად დაინტერესებულიყვნენ. გაკითხვა-გამოკითხვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათი ძიძა სამჯერ მკურნალობდა ფსიქიატრიულ კლინიკაში შიზოფრენიის დიაგნოზით. რა თქმა უნდა, სასწრაფოდ დაითხოვეს სამსახურიდან, მაგრამ თავიდან მაინც ვერ მოიცილეს: ქალი ხან ბავშვის მამას დარაჯობდა სახლის სადარბაზოსთან და კისერზე ეხვეოდა, ხან ბავშვის მოტაცებას ცდილობდა, როცა მას ახალი ძიძა ასეირნებდა. ასე რომ, ადამიანს საკუთარი შვილის სიცოცხლე რომ ანდო, მხოლოდ ნაცნობ-მეგობრების რეკომენდაცია და სააგენტოში შედგენილი დახასიათება არ კმარა. ვინაიდან ძიძებზე მოთხოვნა არის, დღეს ყველას გაუნდად ძიძად მუშაობის პრეტენზია, მაგრამ ამისთვის საჭიროა, ბავშვთან ურთიერთობა იცოდეს და რაც მთავარია, სხვისი შვილის შეყვარება შეძლოს.





დასაწყისი იხ. გვ. 39

იერთობა იყო, ერთად მოძრაობდნენ ქალაქში ნინოს მანქანით; სვეტას ესმოდა, რომ მას ურევავდნენ და რომ რალაც საქმეებს აგვარებდა. დაინტერესდა დეტალებით. მაშინ უთხრა, რომ პატიმრების გამოყვანას ახერხებდა. სვეტამ ეს ხალხი ყოველგვარი ანგარების გარეშე გააცნო, მან პროცესზეც თქვა, — თუ ადამიანის გაცნობა დანაშაულია, მაშინ ეს ჩადენილი მაქვსო.

კითხვას, — თუ საქმე არ გამოდოდა, დამატებით ამდენი ადამიანი რატომ დააკავშირა მისიურაძემ ჯარიამვილს? — ადვოკატმა ასე უპასუხა:

— ასეთი საქმე ერთ დღეში არ კეთდება. ეს ყველამ იცოდა. სწორედ ამ პერიოდში მოსალოდნელი იყო ამინისტია და იმ სიაში უნდა მოხვებოდნენ ეს ადამიანები; სწორედ ეს გამოიყენა და მისი სჯეროდა მისიურაძეს. შემდეგ კი თვითონ დასდევდა, დაზარალებულებთან ერთად, ჯარიამვილს და მის მოძებნას ცდილობდა. ხან სად პოულობდა, ხან — სად. თანამონაწილე რომ ყოფილიყო, დევნას არ დაუწყებდა. იმ ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას გრძნობდა.

ადვოკატი უკმაყოფილოა სასამართლოს გადაწყვეტილებით და მისი დასაცავის გამართლებას ითხოვს.

რაც შეეხება ნინო ჯარიამვილს, — ის სასამართლო სხდომებს ბოლომდე არ დასრულებია. პროცესზე დაზარალებულ დომოცევასა და მისი დედამთილის ჩვენებამ გააღიზიანა: ისინი მას ამხელდნენ, ამას სიტყვიერი შელაპარაკება მოჰყვა და მოსამართლემ დარბაზიდან გააძევა. მოგვიანებით მოსამართლე მზად იყო, მოესმინა განსასჯელი ნინო ჯარიამვილის ჩვენება და მას საქმის განხილვაში მონაწილეობა მიეცა, მაგრამ პატიმარმა ამაზე უარი თქვა და სასამართლო ისე დასრულდა, რომ ჩვენება არ მიუცია. მისი ადვოკატი მანანა ბაფერიძე განსასჯელის გამართლებას ითხოვდა და აცხადებდა, რომ ის უდანაშაულო იყო. მხოლოდ ერთ ეპიზოდში ცნობს თავს დამნაშავედ: ამბობს, რომ ის თანხები, რომელსაც ედავებოდა, სვეტა მისიურაძემ მითვისა და მას არაფერი მიუღია.

პროცესზე ნინო ჯარიამვილის წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენებაც კი არ გამოქვეყნებულა, რადგან ადვოკატმა პატიმრის განცხადება წარმოადგინა. მან კატეგორიული უარი თქვა მისი ჩვენების გამოქვეყნებაზე.

ადვოკატების მტკიცების მიუხედავად, მოსამართლემ ორივე განსასჯელი წარდგენილ ბრალდებებში დამნაშავედ ცნო; სასჯელთა შეკრებითობის პრინციპით, ნინო ჯარიამვილს 30-წლიანი პატიმრობა შეეფარდა. სასჯელთან ერთად, თითოეულ საქმეზე ჯარიამვილს სახ-

ელმწიფოს ანგარიშზე 3.500 ლარის გადახდა დაეკისრა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, საბოლოოდ, 20.500 ლარი სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა გადაიხადოს. რაც შეეხება განსასჯელ სვეტლანა მაისურაძეს, — სასამართლომ იგი 4 ეპიზოდში ცნო დამნაშავედ. სასჯელთა შეკრებითობის პრინციპით, მას 26 წლითა და 6 თვით პატიმრობა განუსაზღვრეს, ჯარიმის სახით კი სახელმწიფოს ანგარიშზე 13.500 ლარი დააკისრეს.

პროცესზე დაზარალებულები მიყენებული ზიანის ანაზღაურებასა და კუთვნილი თანხების დაბრუნებას კატეგორიულად მოითხოვდნენ. მათი სამოქალაქო სარჩელებიც დააკმაყოფილა მოსამართლემ და ნინო ჯარიამვილს და სვეტლანა მაისურაძეს სოლიდარულად დაეკისრა: დაზარალებული იოსებ ხოსიტაშვილისთვის — 6.000 დოლარის, გიორგი ტუხაშვილისთვის — 40.000 ათასი დოლარის, ელეონორა დომოცევისთვის — 12.000 დოლარის, ბესიკ ხმაღაძისთვის კი — 10.000 დოლარის გადახდა. ამასთან, ნინო ჯარიამვილმა მიხეილ ჯანაშვილს 12.000 დოლარი, ხოლო აკაკი კობეშვიძეს — 67.100 ლარი და 6.000 დოლარი უნდა გადაუხადოს. როგორ შეძლებენ ამხელა თანხების გადახდას ბრალდებულები?

— ეს კითხვა ყველაზე მეტად, დაზარალებულებს აწუხებთ. კობეშვიძის და ჯანაშვილის ადვოკატი თეიმურაზ ნასარიანი ამბობს, რომ მათთვის მთავარი სწორედ თანხების მიღებაა, რაც სერიოზულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. მოსამართლის ბრძანებით, ნინო ჯარიამვილის სახელზე რიცხვული ავტომანქანა „ტოიოტა პრადო“ და მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩაზე უნდა გაიყიდოს. ასევე უნდა გაიყიდოს სვეტლანა მაისურაძის ერთოთახიანი საცხოვრებელი ბინა ზაქარიაძის ქუჩაზე. ეს ქონება აუქციონზე უკვე გაიტანეს, მა-

გრამ ფაქტია, ეს ვერ აანაზღაურებს დაკისრებულ თანხებს... არც ადვოკატი ტაბალუა უარყოფს, რომ თანხის ამოღება პრობლემაა, რადგან რეალურად, გასაყიდი ქონება არ არსებობს: „პროკურატურამ თავიდანვე შესთავაზა საპროცესო შეთანხმება მისიურაძეს 50.000 ლარის სანაცვლოდ, მაგრამ მას არა აქვს თანხა და ამას ვერ გადაიხდია. ბუნებრივია, ის ვერც დაკისრებულ თანხას გადაიხდის. ჩვენ ვიბრძობებითბილისის სააპელაციო სასამართლოში მისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად და იმედია, სამართალს ვიპოვით“, — დასძენს ადვოკატი. ანალოგიურად მისი დასაცავის უდანაშაულობის დამტკიცებას შეეცდება ჯარიამვილის ადვოკატიც. მართალია, ორივე განსასჯელი თავს უდანაშაულოდ აცხადებს, მაგრამ ჩვენ წინაშეა დაზარალებული: გიორგი ტუხაშვილი, იოსებ ხოსიტაშვილი, ელეონორა დომოცევა, ბესიკ ხმაღაძე, მიხეილ ჯანაშვილი და აკაკი კობეშვიძე, რომლებიც მოტყუებული დარჩნენ. ისინი პატიმარი ახლობლების გასათავისუფლებლად წვალბით შეკონინებული თანხების უკან დაბრუნებას სამართლიანად ითხოვენ.



# თქვეთღასაქმეზუდი მოჯაჩდი ღა „გასაქმე“ საქმით ნაქოქნი ფუდი

„ახლა ჰხვდები, რომ ხაფს  
უსავთლოზა არაფარში არგაფს“

ცოტა ხნის წინ ბაზრობაზე ენ. „მეტაჩქე“, 16 წლის გოგა გავიცანი. ის დიდი ჩანთებით დატვირთულ, მძიმე ურიკას მიაგორებდა, მე კი მისი ყვირილი — „გაინიე, გოგონი, გზა მომეცი!“ — დროზე ვერ გავიგონე და ვიდრე გონს მოვეგებოდი, მისი ურიკა დამეჯახა. „რა იყო, თვალეში ვერ იხედები?“ — გამიბრაზდა საოცრად გაბურძნული ბიჭი. ვუპასუხე, რომ მხოლოდ 2 თვალი მაქვს და უკნიდან მომავალს ვერაფრით დავინახავდი. სიმართლე გითხრათ, სხვა რალაცებიც ვუთხარი და მეგონა, ისიც არ შემარჩენდა მწარე სიტყვებს, მაგრამ შევეცდი — ჯერ განითლდა, მერე კი ისედაც ტანმორჩილი, უფრო დაჩიავდა... შემეზრალა და ბოდიში მოეფხადე, მან კი, — არაფრისო, — მითხრა და გზა განაგრძო. რატომღაც, მასთან ლაპარაკის სურვილი გამიჩნდა, უკან გავყევი და როცა ჩანთები პატრონს ჩააბარა, ვთხოვე, — შენთან ინტერვიუ მინდა, ჩავწერო და უარს ნუ მეტყევი-მეთქი.



## ლიკა ქაჯაია

— აქ რომ დავდგე და შენთან ვიქაქანო, ფულს ვინ მომცემს?

— მხოლოდ 5 ნუთს ნაგართმევე.

— 5 ნუთში შეიძლება, კლიენტი გამოიჩინდეს და არ მინდა, დავკარგო.

— მაშინ, შენს „სტაიანკაზე“ ერთად ნავიდეთ და ვიდრე კლიენტი გამოჩნდება, დაგელაპარაკები.

— კარგი, მაგრამ მე რომელი ცნობილი სახე ვარ, ჩემთან ინტერვიუ რომ ჩაწერო? ან რაზე უნდა გელაპარაკო?..

— დიდი ხანია, ამ საქმით იორჩენ თავს?

— საკუთარ თავს რას ვჩივი, ოჯახს ვარჩენ.

— რამდენი წლის ხარ?

— 16-ის.

— და დიდი ხანია, ოჯახის ტვირთი აიკიდებ?

— 14 წლის ასაკში მოვიყვანე ცოლი. მიყვარდა და აბა, რას დავლოდებოდი? ახლა ის სოფელშია, მე კი აქ ვჯახირობ.

— მერე, არ გენატრება?

— როგორ არ მენატრება, მაგრამ ახლა ის მაინც ვიცი, რომ ჩემი ცოლია და მის თავს ვერავინ წამართმევს. ისე, ცოლზე მეტად შვილი მენატრება, რომელსაც რამდენიმე დღის წინ 8 თვე შეუსრულდა. მაგარი ბიჭია

და იმედი მაქვს, რომ სწავლაში ჩემსავით არ იზარმაცებს. ახლა ვხვდები, რომ კაცს უსწავლელობა არაფერში არგებს.

— კარგად რომ გესწავლა და სკოლა ფრადზე დაგემთავრებინა, როგორ ფიქრობ, ახლა სად იქნებოდი?

— არც არსად, ისევე ამ „ტაჩქის“ დამტარებელი ვიქნებოდი. უბრალოდ, „განათლებულ მეტაჩქეს“ მაინც დამიძახებდნენ (იცინის).

— რატომ, რომ არ გეზარმაცა, შესაძლოა, ახლა უნივერსიტეტშიც გესწავლა...

— ჩემს ოჯახს იმის საშუალება რომ ჰქონდეს, შეიღს სწავლის საფასური — წელიწადში ათასობით დოლარი გადაუხადოს, აქ ურიკით კი არ ვირბენდი...

— აბა, რას იზამდი?

— ჩემს ცოლ-შვილთან ერთად, თბილ ლუმელს მივეჯდებოდი და მათ გულში ჩავიკრავდი.

— და მშობლების ხარჯზე, უსაქმურად გალევდი ცხოვრებას?

— ოოო, კარგი, რა, რაგებს მეკითხები?! ამდენ კითხვაზე პასუხის გაცემის თავი რომ მქონდეს, გადაცემაში — „ვის უნდა 20.000“ — მივიდოდი და რალაცას მაინც მოვიგებდი.

— ამ გადაცემაში მხოლოდ ცნობილი ადამიანები მონაწილეობენ... წესით, შენ ახლა ისევე სკო-

ლის მოსწავლე უნდა იყო.

— მეცხრე კლასიდან გამოვედი. აბა, ტყუილად სიარულს რა აზრი ჰქონდა? თან, იმ პერიოდში ცოლი მოვიყვანე და რა მესკოლებოდა?

— ამ სამსახურში ვინ გაგჩიოთა?

— ესეც თუ სამსახურია და... როცა ძალიან გაგვიჭირდა, ბედის საძიებლად ქალაქში ჩამოვედი. სხვათა შორის, არავინ შემინუხებია, აქ მცხოვრებმა ნათესაებმა არც კი იციან, რას ვსაქმიანობ და რომ გაიგონ, ურიკას დავატარებ, შეიძლება, გამლანძღონ კიდევ.

— რატომ უნდა გაგლანძღონ?

— თავად მანქანებს კვირაში ორჯერ იცვლიან და აბა, „მეტაჩქე“ ნათესავის ყოლა ვის გაახარებს?

— თუ ასეთი მდიდრები არიან და თანაც, შენს სამუშაოს ითაკილებენ, მაშინ კეთილი ინებონ და დაგასაქმონ.

— დედაჩემმა ყველა ნათესავს სთხოვა, სადმე დასაქმეთ ჩემი ბიჭი და ვალში არ დაგრჩებითო, მაგრამ ყური არავინ შეიბერტყა. მირჩევნია, ჩემი შრომით ვიშოვო 2 თეთრი, ვიდრე ვილაცასთან მივიდე და ვიმათხოვრო... აქ რომ ჩამოვედი, ჯიბეში მხოლოდ 5 ლარი და 55 თეთრი მქონდა. სადგურში ერთმა კარგმა კაცმა შემამჩნია და მითხრა: კარგახანს გიყურებდი და ვხვდები, რალაც





პრობლემა გაქვს; მითხარი, რა გიჭირს და იქნებ, დაგეხმარო კიდევაცო. ვუთხარი: სოფლიდან ჩამოვედი, არც ფული მაქვს, არც ღამის გასათევი ადგილი და ისიც არ ვიცი, მუშაობა სად ან როგორ უნდა დავინყო-მეთქი. შემომთავაზა: ამ საღამოს ჩემთან წამოდი, ხვალ კი თუ არ იტაკილებ, ურიკას მოგცემ და იმუშავეო. ვერ მივუხვდი, რა შემომთავაზა, მან კი ამიხსნა: სოფლიდან ჩამოსულ „მარ-შრუტკებს“, ავტობუსებს დახვდი, იქიდან ჩამოსული ვაჭრები კი ბაზრამდე ჩანთების მიტანას აუცილებლად დაგიკვეთენ და ამ საქმეში ფულსაც გადაგიხდიანო.

— იმ კაცმა ურიკა გაჩუქა?  
— არა, ნამუშევრიდან წილს ვაძლევ — 3 ლარს თუ ვიშოვი, ლარი მას უნდა მივცე.

— ლამეს სად ათევ?  
— ორი ღამე იმ კაცის სახლში გავათე, მესამე დღეს კი მორიდებით მითხრა: აქ ვეღარ გაგაჩერებ, ამ დღეებში ჩემი ცოლი ჩამოვა (სოფელში იყო) და ხომ გესმის, უხერხულიაო... თავიდან აქვე, ვაგზალზე, ურიკაზე წამოწოლილი ვათევი ღამეს, ახლა კი პატარა „ბუნაგი“ ვიშოვე და იქ დავსახლდი (იცინის).

— დღეში დაახლოებით, რამდენ ლარს შოულობ?  
— გააჩნია, ხან როგორ და ხან — როგორ. ზოგჯერ, 20 ლარსაც ვშოულობ, ზოგჯერ კი — 6 ლარს.  
— და მთელ ფულს ცოლს უგზავნი?

— რა, ჰაერით კი არ ვიკვებები! მეც ადამიანი ვარ და ჭამა ხომ მინდა? თვეში ყველაზე მცირე, ცოლს

200 ლარს მაინც ვუგზავნი.  
— რამდენი ხანია, რაც სოფელში არ ყოფილხარ?

— უკვე მეხუთე თვეა, აქ ვარ და დავემსგავსე კიდევაც ჩონჩხს.  
— შენი ოჯახის წევრებმა თუ იციან, რას საქმიანობ?

— არა, არაფერი იციან. მათ ჰგონიათ, რომ ხილით ვვაჭრობ.  
— რომელიმე ახლობელმა რომ დაგინახოს და გიცნოს?

— ეს წვერ-ულვაში ტყუილად კი არ მაქვს მოშვებული, ასეთ გაბურძენილს მამაზეციერიც ვერ მიცნობს. სხვათა შორის, 2 დღის წინ ჩემს მეზობელს ისე მოვემსახურე, არც კი დაეჭვებულა, მე რომ ვიყავი.

— აქ ვინმეს თუ დაუმეგობრდი?

— ჩემნაირი მანანალა ვნახე და ღამეს მასთან ერთად ვათევ. ჩემგან განსხვავებით, ის მათხოვრობს და სხვათა შორის, ჩემზე მეტი შემოსავალი აქვს.

— ახლა არ მითხრა, რომ მალე შენც მათხოვრობას დაიწყებ...

— არა, მათხოვრობას სიკვდილი მიჯობს. მირჩენია, ეს ურიკა ვირივით გზიდო და ფული ასე ვიშოვო, ვიდრე ვილაცას თავი შევაცოდო და ფული გამოვცინცლო... ისე, ასეთი შრომით ნაშოვნი ფულის დახარჯვა, ცოტა არ იყოს, ძნელია. ზოგჯერ, ახალ ხილს რომ დავინახავ, ნერწყვი მომდის, მაგრამ მის საყიდლად ფულს ვერ ვიმეტებ. რა ვქნა, მე რომ ფუფუნებაში ვიცხოვრო, ჩემი ცოლ-შვილი შიმშილით მოკვდება...

— ახალი ხილით პირის გასველება შენთვის ფუფუნებაა?

— აბა, რა არის? ვერ ხედავ, ხილს ცეცხლის ფასი აქვს... ჩვენს სოფელში მხოლოდ სიმინდი მოდის კარგად და მჭადი ვის რა ჯანდაბად უნდა?..

დასაველეთიდან სამარშრუტო ტაქსი ჩამოვიდა და ურიკის დამტარებლები მგზავრებს შეესივნენ. გოგამ ბოდიში მომიხადა და კოლეგებისკენ გაიქცა. სამწუხაროდ, ჩემ გამო მან დაიგვიანა და კლიენტის გარეშე დარჩა. გული დამწყდა და ჯიბიდან ცოტაოდენი თანხა ამოვიღე. ის იყო, მისთვის უნდა გამეწოდებინა, რომ გოგამ თვალები დამიბრიალა და განაწყენებულმა მითხრა:

— ხომ გითხარი, მათხოვარი არ ვარ!

— ეგ ვიცი, მაგრამ დრო წაგართვი, შენთან ინტერვიუ ჩაწერე და ახლა განუული შრომისთვის უნდა გადაგიხადო.

— იმედია, მესუმრები. კარგად იყავი. იცოდე, ჩემნაირებს არასდროს შეხედო ისე, როგორც მათხოვრებს. ვინ იცის, ცხოვრება რას მიმზადებს?!

— მსგავსი რამ არც მიფიქრია..

— ვიცი, ეს შენდა უნებურად მოგივიდა, მაგრამ ფაქტია, შეგეცოდე, მე კი საცოდავი ნამდვილად არ ვარ — ორი ხელი და ორი ფეხი მაქვს, მუშაობა შემიძლია და კიდევ, მერნ-მუნე, წვერს რომ გავიპარსავ და სუფთად ჩავიცვამ, ბევრ გოგოს დავუბნელებ თვალს (იცინის).

გოგა დამემშვიდობა და ურიკა ღილინით გააგორა, მე კი დიდხანს ვიდექი ჩაფიქრებული და გაცვ-ქეროდი გზას, რომელსაც ის გაუყვა.

# „ჯეოსტარი“ შეიძლება, დავიწყებას მივცას“

მას შემდეგ, რაც „ჯეოსტარიდან“ გურული მამუკა გაუშვეს, ფორუმელებმა დაიწყეს ბჭობა იმაზე, თუ ვინ იქნებოდა შემდეგი და რამდენიმემ მომავალი აუტსაიდერი ამოიცნო კიდევ. ისინი ცდილობენ, წინასწარ განჭვრიტონ ისიც, თუ ვინ გაიმარჯვებს კონკურსში, რომელსაც ათასობით ადამიანი ადევნებს თვალს.

## „100 მანიას ვერ გაამართლებს იმას, რას უკვე დამსხვრეულია“

### თამა:

„ახლა მგონი, ბაზარული და სუბიტაშვილი დაეჯახებიან ერთმანეთს, მერე ნოდუკო და სოფო, მერე სოფო და შოთა ან ნოდუკო და შოთა... ფინალში დათუნა და სოფო ან ვაჟა გავა“.

### მანტინელი:

„თამა, ხომ გითხარი, მამუკა (გუ-

რიიდან) ყველა ვარიანტში გაიმარჯვებს-მეთქი. „ჯეოსტარი“ შეიძლება, დავინწყებას მიეცეს, მაგას კი გზა გაკვალული აქვს. ეტყობა, მასზე რაღაც შორეულმა თილისმამ გაჭრა“.

### თამა:

„ჰო, შენმა სიტყვებმა გაჭრა“.



### მანტინელი:

„ჰო, გულმა მიგრძნო :)). უბრალოდ, ლოგიკურად, სწორედ აქამდე უნდა მისულიყო საქმე“.

### ჰინა ფლოიდი:

„ბოლოს დარჩება 5 ისეთი მონაწილე, ვინც ჟიურის უნდა და გაიმარჯვებს მანია იმიტომ, რომ მიშას სურს, კონკურსში აფხაზეთიდან დევნილმა გაიმარჯვოს — ეს ჩემი აზრია და მას არავის ვახვევ თავს. წინა „ჯეო-



სტარზე“ სამაჩაბლოს წარმომადგენელმა მოიგო, ახლა აფხაზეთის ჯერია... ისე, ჩემი აზრით, ტატიშვილი ყველაზე სოლიდურად და სტაბილურად გამოიყურება. ეს მანია ნამეტარი ამოვარდნილია კალაპოტიდან, ვითომ ყველაფერს იმპროვიზაციას უკეთებს და იმაზე არ ფიქრობს, რომ სიმღერა ფუჭდება. ეჰ, რა ვიცი, მარინას კი ცაში აპყავს ქებით. საქართველოს ყველა კუთხეში იყო კასტინგი და მეგონა, უფრო ძლიერი კონკურსანტები იქნებოდნენ“.

**ფრანცუზიანა:**

„ჰო, ეგრე იქნება, მანია გაიმარჯვებს მხოლოდ იმიტომ, რომ აფხაზეთიდანაა... ამ ხალხს კი „აბოლენბენ“, ვითომ ყველაფერი „ესემესეზეა“ დამოკიდებული... ტატიშვილი მიყვარს, ძალიან“.

**ლანაინდელი:**

„რატომღაც მეც ასე ვფიქრობ. მანია ისეთი ძლიერიც არაა, რომ ასე აქონ და ადიდონ. ჩემი აზრით, ტატიშვილი და ბედიანა ყველაზე კარგები არიან, დანარჩენები ვერ „ქაჩავენ“.

**თამა:**

„ნუ, რა ვიცი, მანიაზე მეც დაახლოებით, თქვენნაირად ვფიქრობ... ისე, დათუნა უფრო მომწონს, ვიდრე ნოდუკო. არა, ისიც კარგი ბიჭია, მაგრამ... ნოდუკო დროში გამოიბრძნობდა, ტექნიკა და სიმღერის შესრულების ყველა საიდუმლო დაამულამა და ამით ჯობია სხვებს“.

**ანაინდელი:**

„გაიმარჯვოს მანია, თუ ამით აფხაზეთის პრობლემას ეშველება... მოკლედ, ასეა, რა, პოლიტიკა ყველგან და ყველაფერში... საძაგლობა“.

**სერაიკო:**

„ეს სუხიტაშვილი ვერ მღერის, ვერც მოძრაობს, მაგარი საცოდაობაა და რატომ აქებს ეს ჟიური (ბუბას გარდა), ვერ გავიგე... ისე, 100 მანია ვერ გაამრთელებს იმას, რაც უკვე დამსხვრეულია. ასე სიმღერით და თამაშით მხოლოდ ეპიზოდური გულაჩუყების ეფექტი შეიძლება გამოიწვიოს... მაგარი სულელური კომენტარები ჰქონდა ჟიურის ან რას ჰგვანდნენ, რას იჯლანებოდნენ (ბუბას გარდა). არ ვიცი, რას იზამს ტატიშვილი და სად მოუსმენენ მის სიმღერებს, მანიას კი ნამდვილად მოუსმენენ „ჯეოსტარის“ დასრულების შემდეგაც“.

**თამა:**

„ევე, მე დათუნაც მომწონს. რას ჩააბჟირდით ამ ტატიშვილს?“

**ანაინდელი:**

„დედა, სერაიკო, რანაირი გაბრაზება გცოდნია, ადამიანი?“

**მარგა:**

„რომელიმე ბიჭი გაიმარჯვებს!“

**ანაინდელი:**

„ნამდვილად და ჭეშმარიტად!“

**ფრანცუზიანა:**

„I am in love with... ვაჟამ მაგრად იმღერა“.

**თამა:**

„კაი, რა... მე ბედიას, დათუნას და ნოდუკოს იმედი მაქვს. ვფიქრობ, ახლა ბაშარული ნავა“.

**გიოლა:**

„ვაჟა რომელია, ჩამქრალი მოტორივით რომ თუხთუხებდა?“

**ფრანცუზიანა:**

„ნუ, დღეს ვაჟიკო ძალიან, ძალიან მომეწონა... ისე, ჩემი ფავორიტი ნოდუკოა, ბაშარულის ატანა კი არა მაქვს“.

**თამა:**

„არ მომეწონა ეს კონცერტი“.

**ფრანცუზიანა:**

„არც მე...“

**თამა:**

„სიმღერებიც ცუდადაა არჩეული და მონაწილეებსაც აშკარად, უზარმაციან — რა ვიცი, ასეთი განცდა მაქვს. ისე, სიმღერებს უაზროდ რომ არჩევდნენ, ეგ ორი კვირის წინ შემამჩნიე...“



**ფრანცუზიანა:**

„დათუნა რას დაამსგავსეს? ჰო, „ჩოლკებს“ ვგულისხმობ“.

**თამა:**

„დათუნა კარგად მღერის!“

**ფრანცუზიანა:**

„ტატიშვილი — უკეთესად“.

**თამა:**

„ტატიშვილი დათუნაზე გამოცდილია და იმიტომ... ასეც ვიცოდით, შოთა იქნებოდა მარინას შემდეგი სამიზნე, დაინყო ლანძღვის ახალი სტადია... სოფოს ველოდები გულისფანცქალით... აჰა! ტყუილად კი არ არის სოფო ჩემი ფავორიტი!

ძალიან მაგარი იყო! აჰა! ჩემი პროგნოზი გამართლდა!“

**SABBAHT:**

„ცუდი იყო ძალიან! დღევანდელი ტური ნამდვილად არ ვარგოდა, ბედიანა კი სალოლ, მართლა მაგარი!!! და კიდევ ერთი, უკვე მერამდენედ ვაკვირდები და ამ ბიჭს მგონი (შოთას ვგულისხმობ), სმენასთან სერიოზული უთანხმოება აქვს, ისეთ დეტონაციებს არტყამს, რომ უკვე აუტანელია. ახლა არ თქვათ, რომ ტექნიკური წუნია, ისეთ ადგილებში ურევს, სადაც წესით, არ უნდა ურევდეს“.

**თამა:**

„არც სუხიტაშვილი აკლებს“.

**მარგა:**

„გაანითლეს საწყალი ბიჭი (შოთას ვგულისხმობ)... რალაც, არა მგონია, ვაჟამ გაიმარჯვოს, აი, დათუნამ — შეიძლება“.

**თამა:**

„დათუნა და ვაჟა დაეტაკებიან ერთმანეთს ფინალში. რა ვიცი, ასე მგონია“.

**GV@NTS@:**

„მეც ასე მგონია. ჰო, ორივე ძალიან კარგად გამოვიდა — დათუნას და ნოდუკოს ვგულისხმობ, ისინი ჩემი ფავორიტები არიან. სუხიტაშვილზე რა ვთქვა, არ ვიცი. მგონი, კუტიურე ეკაიფება მაგ გოგოს და საერთოდ, ყველა მონაწილეს“.

**ფრანცუზიანა:**

„მაგას უკვე 2 კვირაა, მეც გავიძახი — ავთანდილი და „ნატალის“ სტილისტები მაგრად კაიფობენ“.

**მარგა:**

„დათუნა და ნოდუკო ნამდვილად დარჩებიან ფინალამდე“.

**ლელა:**

„ძალიან მაგარი იყო სოფო ბედიანა და იმსახურებდა პირველობას. სამწუხაროდ, ლაშა მანიას გამოსვალას ვერ ვუყურე. როგორ იმღერა?“

**სერაიკო:**

„მაგ ლაშას ვაჟა ჰქვია და მისი სიმღერა ვერც მე მოვისმინე“.

**ლანაინდელი:**

„მე თუ მკითხავ, ბევრი ვერაფერი გააკეთა. მას თავისი სტილი აქვს და სხვა რალაცებს ვერ ასრულებს. აი, ბედიანა და ტატიშვილი კი ყველაფერს იხდენენ. ჩემი აზრით, ახლა სუხიტაშვილი უნდა გაეშვათ, ეგ გოგო ვერ „ქაჩავს“; არც იმერელია კარგი მომღერალი. მგონი, შალვა ჰქვია, არა? ისინი ტყუილად არიან ლიდერთა სიაში და ამიტომაც არ მომწონს, კონკურსის მონაწილეთა შესაძლებლობები „ესემესებით“ რომ ფასდება“.





# ბიბლუსი

ბიბლუსი — იბივან, რას პაპირუსი, გრაბნილი, წიგნი

## წვეთი პოეზია

### მშვენიერთა ხელმწიფევ

მშვენიერთა ხელმწიფევ,  
მელავ სიშორით შენითა!  
უკნესის გული საუკვდავად,  
მსწრაფლ მჩივარის ენითა!


შენ მოგშორდი, მყურნალო, —  
ვითარ მექნას შვებანი?  
ნაცვლად შენსა ვინ ვჰპოვო,  
მამცეს ჭმუნვის შვებანი?

შორით მჭვრეტი, მოსწრაფე,  
სული შენეენ ფრინვალებს!  
ოდეს თვალნი შენ გადგეს,  
ყოვლად განაბრწყინვალებს.

თუმცა მომელავ ტრფიალსა,  
დაგგმობს დასნი მწყაზართა!  
უმჯობეს არს, მავაჭრო  
ჩემებრ ოზვრის ბაზართა!

შენთან ყოფნა მცირეს ჟამს  
მოეცემს რასმე ლხენასა.  
მე გაქებ, — და შენ მტანჯავ?!  
რისთვის იხზავ სმენასა?

*ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი)*



### ვატარა ლექსიკონი

კარებები, კიბეები,  
დანაშაულობები...

ნეტავ, საიდან მოგვაქვს ეს „გამრავლებული“ მრავლობითი?..

„დანაშაულის“ მრავლობითი ფორმა — „დანაშაულებია“;

„კარის“ — „კარები“, ისიც მაშინ, როცა რამდენიმეს ვგულისხმობთ;

„კიბეები“ კი, „საფეხურების“ სინონიმი არ გახლავთ, ამიტომ „კიბეები ჩავირბინე“ კი არ უნდა ვთქვათ, არამედ — „კიბე ან საფეხურები ჩავირბინე“.



# გველის წიხილი



## მარი ჯაფარიძე

სოფიოს დაესიზმრა, რომ უზარმაზარ დარბაზში იდგა, გარშემო კი ყველაგან ყინული იყო. კედლებიც კი ყინულით იყო დაფარული და ძალიან ციოდა.

— კარგი გოგო ხარ, — ქალის ხმამ გამოაღვიძა, — ჩვენ, ქალები ყველაფერს ვუძლებთ; აჰა, ახალი ყინული მოგიტანე, დაიდე მუცელზე, — ქალმა სათბურა მიანოდა, რომელშიც გაყინული წყალი იყო.

სოფიომ გაისენა, სად იყო. სამშობიარო სახლის ერთ-ერთ განყოფილებაში იწვა, განადგურებული და ცარიელი... ქალი ჩუმად იწვა და წინააღმდეგობას იხსენებდა. მას უკვე აღარაფრის ეშინოდა, ახლა ყველაფერი სულერთი იყო...

დილით, შემოვლანზე შემოსულმა ექთანმა თერმომეტრები ჩამოარიგა. სოფიოს გვერდით მყოფ გოგონას რომ მიუახლოვდა, უეცრად შეყვირა, გოგონას სახეზე საბანი გადააფარა და პალატიდან ტყვიასავით გავარდა.

ცოტა ხანში ექიმი შემოვიდა და გვერდით სანოლზე მსოლიარე გოგონას დახედა. სოფიომ კარგად გააჩნია ახალგაზრდა, თითქმის ბავშვური, გალურჯებული სახე. გოგონა მომკვდარიყო...

— რას მისჩვენებხარ? — უხეშად მიუბრუნდა ექიმი. — როგორც ჩანს, შიშის გამო გული გაუსკდა. გაიყვანეთ, — მიუბრუნდა სანიტრებს, რომლებიც ექიმს შემოჰყვინდნ და მის ბრძანებას ელოდნენ. — მასთან შინ დარეკეთ და ოჯახს შეატყობინეთ, — მიუბრუნდა ექთანს.

სოფიო და გარდაცვლილი გოგონა ერთად მივიდნენ სამშობიარო სახლის საბოლოო განყოფილებაში, სადაც ექიმები სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს განაგებენ...

ექთანისგან გაღვიძებულმა სოფიომ შინ დარეკვა გადაწყვიტა. ათასჯერ მინც აკრიბა ნომერი, მაგრამ არავინ პასუხობდა. არადა, გურამი შინ უნდა ყოფილიყო...

ვინაიდან განყოფილებაში შესვლისას სოფიოს მობილური ტელეფონი ჩამოართვეს, მათ მოილაპარაკეს, რომ დილის 10 საათზე შინ დარეკავდა.

წინააღმდეგობა თბილად ექცეოდა, თმაზე ეფერებოდა, ამშვიდებდა და არწმუნებდა, რომ ბავშვის მოცილება აუცილებელი იყო, რადგან იმ ანტიბიოტიკების შემდეგ, რაც ფილტვების ანთების დროს მიიღო, ბავშვი ჯანმრთელი არ დაიბადებოდა. ჰპირდებოდა, რომ როგორც კი ყველაფერი ჩაივლიდა და სოფიო სრულად გამოჯანმრთელდებოდა, ზღვაზე ერთად წავიდოდნენ და დაისვენებდნენ...

ზღვის გაგონებაზე სოფიოს ტანში გაცრა, მაგრამ ქმრისთვის არაფერი უთქვამს. ის ვერასოდეს ეწინააღმდეგებოდა მამაკაცს. მას ნებისმიერი ადამიანის დარწმუნება შეეძლო. სწორედ მან დაარწმუნა, რომ მათი ქორწინება აუცილებელი იყო, მან დაარწმუნა, რომ აბორტიც აუცილებელი იყო... უცნაური კი ის გახლდათ, რომ გურამი ქირურგი იყო და არა — ფსიქოლოგი. მის მიერ წარმოთქმული „ზღვის სანაპირო“ კი რალაცნაირად, უცნაურად ჟღერდა. სოფიოს ხშირად ეს იზმრებოდა ზღვის სანაპირო...

შემდეგ ის საოპერაციო ოთახის კართან აღმოჩნდა. შიგნით გრილოდა... სოფიო გინეკოლოგიურ სავარძელზე ავიდა... ექიმი ახალგაზრდა მამაკაცი იყო. ანესთეზიოლოგმა მკლავი გაუშალა, ვენა მოძებნა და უთხრა:

— არ შეგეშინდეთ, ახლა ცოტა თავბრუსხვევას...

სიტყვა „იგრძნობთ“ სოფიოს აღარ გაუგონია. ის თითქოს სიბნელეში გადაიჩნება...

მას ძალიან უნდოდა შვილი... 43 წლის ასაკში დაფხმდინდა და გახარებული იყო... მის ახლობლებს უკვე შვილიშვილებიც ჰყავდათ, მას კი ჯერ შვილიც არ ღირსებოდა. თუმცა, ამაში მხოლოდ საკუთარ თავს ადანაშაულებდა...

არჩილი ერთ-ერთ თბილისურ კაფეში გაიცნო. აქ ძირითადად, თავს სტუდენტები იყრიდნენ ხოლმე. მაშინ სოფიო პირველკურსელი იყო და თავისუფლებით ტკებოდა. დედისა და ბებიის აღზრდის მეთოდი შიშზე იყო დაფუძნებული. მამასაც მიაჩნდა, რომ შიშის ქვეშ აღზრდილი ბავშვი ცუდად არასოდეს მოიქცეოდა და უსიამოვნო ამბებში არ გაეხვეოდა. მათ ავიწყდებოდათ, რომ მოპარული ხილი გაცილებით გემრიელია.

კაფე „თბილისური“ ფუტკრის სკასავით ზუზუნებდა. სტუდენტები აქ აღნიშნავდნენ ჩაბარებულ სესიებს, დიპლომის დაცვას და დაბადების დღეებს. იმ დღეს ერთ-ერთი თანაკურსელის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. კუთხეში მიდგმულ მაგიდასთან უფროსკურსელი ბიჭები

ისხდნენ გიტარაზე უკრავდნენ და მღეროდნენ. სოფიოს რამდენიმე ჭიქა შაშპანური ჰქონდა დალეული და თვლები ეხუჭებოდა. მოთენილობის მიუხედავად, სოფიომ იმ მაგიდასთან მსხდომ ბიჭებს შორის ერთ-ერთს მიაქცია ყურადღება. ის მშვენივრად გამოიყურებოდა, საკმაოდ კარგად ეცვა და ისეთ ანეკდოტებს ჰყვებოდა, რომლის გამოც იმ დროს ინსტიტუტიდან გარიცხვაც კი შეეძლოთ.

სოფიომ არ იცოდა, რომ ეს ბიჭი ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც უშიშროებასთან თანამშრომლობდა. ის საბჭოთა კავშირის „კვებ“-ს უშტატო თანამშრომელი გახლდათ და დიპლომის აღების შემდეგ წენევაში უნდა გამგზავრებულიყო, როგორც საბჭოთა კავშირის საელჩოს ერთ-ერთი თანამშრომელი. მისთვის იქ საცოლვეც კი ჰყავდათ შეგულებული — საელჩოს ერთ-ერთი წარმომადგენელი.

არჩილმა იქურობას თვალი მოავლო და სოფიო შენიშნა. წამოდგა და იმ მაგიდას მიუახლოვდა, სადაც გოგონა იჯდა.

— ნება მიბოძეთ, გაგეცნოთ — არჩილი, — თავი გალანტურად დაუკრა ბიჭმა, — ქალშვილი, გასეირნებაზე უარს ხომ არ მეტყვიეთ?

სოფიო არც დაფიქრებულა, თავის ჩანთას ხელი წამოავლო, მეგობრებს დაემშვიდობა და არჩილს გაჰყვა. არც კი გაუგონია, რა უთხრეს მეგობრებმა.

— უყურე შენ, ვითომ წყნარი და ჩუმი და არჩილის ყურადღება კი დაიმსახურა. იმის თქმაც ვერ მოვასწარი, რომ არჩილი მექალთანეა და არ ენდოს, — ჩაილაპარაკეს გოგონებმა.

სოფიოს თავისი გეგმები ჰქონდა, რომელსაც არავის უშეხლდა. ახალგაზრდებმა კარგა ხანს ისეირნეს. ამასობაში დაღამდა და აგრილდა კიდეც.

— შემეცინა, — თქვა სოფიომ და მოიბუხა.

— გინდა, ჩემთან დაგაბატიყებ, გათბები და მერე წახვალ, აქვე ვცხოვრობ, — შესთავაზა ბიჭმა.

— არა, უხერხულია, შენი მშობლები რას იტყვიან? — თქვა გოგონამ. მან არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მამაკაცებთან ურთიერთობის გამოცდილება არ ჰქონდა.

— ნუ გეშინია, ისინი ახლა შინ არ არიან, — არჩილმა იდაყვი ხელი მოჰკიდა და თან გაიყოლა.

სოფიომ თვლები დახუჭა და ისე გადააბიჯა არჩილის სახლის ზღურბლს. მოეჩვენა, რომ ამ დროს ხიდიდან გადახტა.

სახლი მდიდრულად იყო მოწყობილი. გოგონა ვერ ხვდებოდა, რომ ბიჭმა ის უშიშროების მიერ მისთვის დაქირავებული სახლში მიიყვანა. არჩილს ქალები აქ ამოჰყავდა ხოლმე. მართალია, ამის გამო შეეშა ბევრჯერ უსაყვედურა, მა-





გრამ მერე ყველაფერზე თვალზე ხუჭავდა, რადგან არჩილი საჭირო თანამშრომელი გახლდათ.

ვიდრე არჩილი ყავას ადუღებდა, სოფიომ ყველა ოთახი მოიარა. საძინებელში, სანოლზე აბრეშუმის, ჩინური კიშონი იდო. გოგონას ჩაეცინა. სწორედ ასეთი კიშონი ჩამოუტანა მამამ დედას საჩუქრად, როდესაც ამ ცოტა ხნის წინ დელეგაციასთან ერთად ჩინეთში იმყოფებოდა. სოფიოს უწყინა კიდევ, მამამ მასაც რომ არ ჩამოუტანა ასეთი ხალათი.

შამპანური ჯერ კიდევ მოქმედებდა... სოფიომ კაბა გაიხადა და კიშონი ჩაიცვა. — სოფი, ყავა მზადაა, — დაუძახა ბიჭმა.

გოგონა მისაღებ ოთახში გავიდა. არჩილმა ის კიშონი რომ დაინახა, ხმაბლა გაიცინა.

მაგიდაზე ყავის გარდა ფრანგული კონიაკი „ნაპოლეონი“ იდგა, რომელიც სოფიოს ოჯახში სტუმრებისთვის ჰქონდათ გადანახული. ვაზაში ეგზოტიკური ხილი ეწყო.

— საიდან გაქვს „ნაპოლეონი“ და ასეთი ხილი? — ჰკითხა გოგონამ, — ეს თბილისში არ იყიდება.

— მეგობარმა მომიკითხა, ახლახან დაბრუნდა უცხოეთიდან, — უპასუხა არჩილმა და ყავაში კონიაკი შეუმჩნევლად ჩაამატა.

...ისინი სანოლზე იწვნენ. სოფიოს თითქმის ჩაეძინა. არჩილი მის გარუჯულ ზურგს ხელს უსვამდა...

— ასეთი „ზაგარი“ სად მიიღე? — ჰკითხა ბიჭმა.

— ამ ზაფხულს მე და მამაჩემი ნიცაში ვიყავით, — გაიზმორა გოგონა.

არჩილი შეცბა...

— ვინაა მამაშენი? — იმ დროს ნიცაში დასასვენებლად წასვლა უბრალოდ ამიანს არ ხელეწიფებოდა.

სოფიომ დაამთქნარა და ისეთი თანამდებობა დაასახელა, რომლის გაგონებზეც ბიჭი ლამის კანკალმა აიტანა.

„აუჰ, მგონი, გავები“, — გაიფიქრა არჩილმა.

— სოფი, გვიანია უკვე, მგონი ჯობია, რომ წავიდეთ, გაგაცილებ.

სოფიო უხალისოდ წამოდგა, არეულ სანოლს გადახედა და გაიღიმა.

არჩილმა გოგონასთვის ნაყიდ, მაგიდაზე დადებულ ყვავილებს ხელი წამოაწვლო და გასასვლელი კარი გამოაღო.

— აი, ტაქსი მოსულა, — სადარბაზოსთან მდგარი, შავი „ვოლგის“ ღია ფანჯარაში თავი შეეყო, — შეე...

— დაეგდე, სულელო, „კუდი“ აგვეკიდა, — კბილებში გამოცრა შეემა.

სოფიოს უკანა კარი გაუღო, თვითონაც გვერდით მიუჯდა და მანქანა დაიძრა. ისინი ჩახუტებულები ისხდნენ. სოფიო კარგ გუნებაზე იყო. დედა და ბებია მთელი ცხოვრება აფრთხილებდნენ, რომ მამაკაცებს უნდა მორიდებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისინი მონსტრები ისულაც არ ყოფილან. სოფიო კმაყოფილი იყო.

— დედას რა ჰქვია? — ჩუმად ჰკითხა არჩილმა.

— ნინო, — ჩურჩულით უპასუხა გოგონამ, — რატომ იკითხე?

— მაღლობა უნდა გადავუხადო, ასეთი საოცარი შვილი რომ აღზარდა.

კარი დედამ გააღო.

— ქალბატონო ნინო, ჩაიბარეთ თქვენი შვილი... მე არჩილი ვარ, — თავი დახარა ბიჭმა, შემდეგ თაიგული გაუნოდა და ქალს ხელზე აკოცა.

— შემობრძანდით, ჩაიზე დაგვეწვიეთ, — განითლდა დედა.

— არა, გმადლობთ, ჩემები ინერვიულებენ, — თქვა ბიჭმა და კიბზე დაემუცა.

„ვოლგა“ ისევ სადარბაზოსთან იდგა. არჩილი უსიტყვოდ ჩაჯდა. მძღოლმა მანქანა დაძრა.

— ის მინც თუ იცი, ვისი შვილი გყავდა ახლა სახლში? უკან მიიხედე, „კუდს“ ხედავ? მანქანის ნომრებს ცნობ?

— კი, „ცეკას“ ნომრებია, — ჩამქრალი ხმით უპასუხა ბიჭმა.

— ხვალ, დილის 10 საათზე ჩემთან იყავი, — განაგრძო შეფმა, — მთელი სისასტიკით დაისჯები, „იქიდან“ უკვე დამირეკვს.

დილით არჩილი შეფის კაბინეტიდან გამოვიდა და კიბზე მოღუშული სახით დაემუცა.

— ქორწინება აუცილებელია და დავექორწინდები, სანამ არ გავიჩალიჩე, ვერ მოვისვენე, — უთხრა საკუთარ თავს.

სოფიო სარკის წინ ტრიალებდა და ცდილობდა, ისეთი კაბა ამოერჩია, რომ მისი გამოზბევილი მუცელი არ გამოჩენილიყო.

ის ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო, რატომ დანებდა ასე იოლად ბიჭს. რჩევის მიმცემიც კი არავინ ჰყავდა. ახლო მეგობარიც არ ჰყავდა, ისევე, როგორც ახლა, 30 წლის შემდეგ...

ეს დღე სოფიოსთვის უჩვეულო გახლდათ. ის მშობლებთან ერთად არჩილთან მიდიოდა სტუმრად. მშობლებს ქორწინების დღე უნდა დაეთქვათ.

არჩილის ბედი უკვე გადანყვეტილი იყო. დიპლომი და შენევაში, საბჭოთა საელჩოში ადგილი უკვე ჰქონდა. იქ ცოლთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო. მის მშობლებს სხვა საპატარძლოებიც ჰყავდათ შერჩეული, მაგრამ როდესაც გაიგეს, რომ სოფიო კარგი ოჯახის შვილი იყო, შვილის არჩევანისთვის წინააღმდეგობა არ გაუნევიათ.

სუფრასთან ჩვეულებრივი, ელიტური საუბარი იმდინარეობდა. დედები ერთმანეთს მიურჩულებოდნენ, მამები პოლიტიკურ ვითარებას მიმოიხილავდნენ, საერთაშორისო იმპერიალიზმს აგინებდნენ...

სოფიო და არჩილი ბიჭის ოთახში იყვნენ და ჩახვეულები ვალს ცეკვავდნენ. გოგონას სურდა, რომ საქმროსთვის ფეხმძიმობის ამბავი გაეხსილა. მუცლით მიეხუტა, რომ მამაკაცს მის სხეულში სიცოცხლის არსებობა ეგრძნო. სულ 14

კვირის ფეხმძიმე იყო, მაგრამ სოფიო ისეთი გამხდარი იყო, რომ მუცელი კარგად დასტყობოდა. ვერ გახედა გოგონამ ამ თემაზე საუბრის წამოწყება.

მათ სუფრასთან უხმეს. როგორც ჩანს, მშობლებმა უკვე ყველაფერზე მოილაპარაკეს.

ახალგაზრდების სადღეგრძელო შესვეს, შემდეგ მომავალი შვილიშვილებისაც. სოფიომ ჩათვალა, რომ დრო იყო, არჩილისთვის ყველაფერი ეთქვა.

მამების შემდეგ სიტყვა დედემა აიღეს. არჩილის დედა გახარებული იყო იმით, რომ მისი შვილი სიყვარულით ქორწინდებოდა. მისი სადღეგრძელოს შინაარსის გახლდათ, რომ ახალგაზრდებს ბავშვის გაჩენა არაფერში ექჩარებოდათ. 1-2 წელი იცხოვრებდნენ ერთად, დროს გაატარებდნენ, შემდეგ კი შვილის გაჩენაზე იფიქრებდნენ. „საშინელებაა, როცა პატარძალი ქორწინებას გაბზევილი მუცლითაა“, — დაამატა ბოლოს. სოფიოს დედას კი მაღლობა გადაუხადა იმის გამო, რომ ასეთი წესიერი შვილი აღზარდა.

— მართალია, ჩვენ არსად გვექარება, შენევაში კარიერა უნდა გავიკეთო, მერე კი შვილებსაც გავაჩენთ, — სიტყვა არჩილმა აიღო და სოფიოს ცრემლით სავსე თვალეში ჩახედა.

გოგონას თავზარი დაეცა. ამის მერე ვეღარ გახედავდა საქმროსთვის თავისი ფეხმძიმობის ამბის გამხელა.

მას არაფერი უჭამია, რადგან ემინოდა, ფეხმძიმობის გამო გული არ არეოდა და ყველაფერი არ გამოაშკარავებულიყო. ქორწინების დღე დაადგინეს, რესტორანიც შეარჩიეს და სტუმრების სიაც დააზუსტეს.

შინ დაბრუნებულ სოფიოს თავში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა — როგორ მოქცეულიყო ამის შემდეგ? ამ ბავშვის გაჩენა არაფრის დიდებით არ შეიძლებოდა. არც ვინმესთვის დარდის გაზირება შეეძლო. სწორედ ამ დროს გაახსენდა დედის მეგობარი.

ლიას ენაზე კბილის დაჭრა ნამდვილად შეეძლო. ის აურზაღისტი გახლდათ და იცოდა, საიდუმლოს შენახვა რარიც საჭიროა ხანდახან. გვიან ღამით სოფიომ ტელეფონი სანოლში შეითრია, თავზე საბანი წაიფარა და ლიას დაურეკა.

მეორე დილით ლია გოგონას უნივერსიტეტის პირდაპირ, გაჩერებაზე ელოდა. მისი ყვითელი „მოსკვიჩი“ მზესავით ანათებდა.

— რა მოხდა, საყვარელო? — ჰკითხა გვერდით სავარძელზე მოკალათებულ გოგონას და გრძელ, ყავისფერ სიგარეტს მოუკიდა.

სოფიო ატირდა და სათვალე მოიხსნა.

— არა, არა, ჯობია, ისევ გაიკეთო ეს სათვალე, რას გიგავს თვალეები?

ლიამ მანქანა დაძრა და სოფიო თავის სახლში მიიყვანა.

— აბა, მომიყვი, რა მოხდა, — ჰკითხა და წინ ყავით სავსე ფინჯანი დაუდგა.

გოგონამ სლუკუნ-სლუკუნით უამბო ყველაფერი.



ლია სიტყვას არ აწყვეტინებდა, ისე უსმენდა. შემდეგ კიდევ ერთ სიგარეტს მოუყიდა და თქვა:

— ახლა დამშვიდდი, ემოციები მოთოკე და მითხარი, რა გადაწყვიტე?

— არ ვიცი-ციი, — ისევ ატირდა სოფიო.

— არჩილს ეტყვი?

## სოფიომ თვალები დახუჭა და ისე გადააბიჯა არჩილის სახლის ზღურბლს. მოეჩვენა, რომ ამ დროს ხიდიდან გადასტა.

— არა, ვერ ვეტყვი, მიშველე, გთხოვ, არ მინდა ამ ბავშვის გაჩენა, — სოფიომ იმედიანი თვალებით შეხედა დედის მეგობარს.

ის დუმდა, სიგარეტს ეწეოდა და ფერფლი პირდაპირ იატაკზე იყრებოდა.

ლიას თავისი მოსაგონარი ჰქონდა — ამბავი, რომელიც მხოლოდ თვითონ იცოდა. თვითონ და იმ ახალგაზრდა ექიმმა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ რაიონში მუშაობდა.

თავისი პირველი და ერთადერთი სიყვარულიც გაიხსენა, ბოლო, გამოსამშვიდობებელი ლამეც, როდესაც ძალიან შორს მიემგზავრებოდა. მამის მისმა საყვარელმა მამაკაცმა თქვა — „იქ გეოგრაფია მთავრდება“ — და შეჰპირდა, რომ აუცილებლად ჩააკითხავდა.

1 თვის შემდეგ ლიამ შეყვარებულს წერილი გაუგზავნა, სადაც ერთადერთი ფრაზა ეწერა — „საათი გაჩერდა“. ეს მათი პაროლი იყო... შეყვარებული მამაკაცის ნაცვლად კი ლიასთან წერილი ჩავიდა, რომელშიც თავისი სათაყვანებელი მამაკაცი ატყობინებდა, რომ დაოჯახდა და ქორწილში ეპატიჟებოდა...

ლიამ ბევრი იფიქრა და მიხვდა, რომ ამ „ქვეყნის დასალიერში“ ბავშვს ვერ აღზრდიდა და კარიერასაც დაილუპავდა.

გინეკოლოგი ახალგაზრდა ქალი იყო... სხვა გინეკოლოგი იქიდან 300 კილომეტრში თუ მოიძებნებოდა. სამსახურიდან გათავისუფლებაზე ვერც იოცნებებდა... თანაც, ნამდვილ მიზეზს ვერ იტყოდა... არჩევანის საშუალება არ იყო...

მეორე დღეს მდგომარეობა გაურთულდა, სიცხემ აუწია და ნახევრად მკვდარი ლია თბილისში ვერტმფრენით გადმოაფრინეს.

ოპერაციის შემდგომი პერიოდის გასვლის შემდეგ ის საავადმყოფოდან შინ განერეს და განაჩენიც გამოუტანეს — შეილი არასოდეს ეყოლება!

ა-რა-სო-დეს!

ლია რაიონში აღარ დაბრუნებულა. სამსახური თბილისში იმოვა და საკუთარ ოჯახს დაუბრუნდა.

კარგა ხანს ითმინა, მაგრამ ბოლოს მაინც დარეკა.

„მისმა“ ცოლმა უპასუხა და ზრდილობიანად სთხოვა, რომ სხვა დროს აღარ დაერეკა; და თუ მის ქმართან სამსახურში დარეკვას გაბედავდა, შეჰპირდა, რომ უტყვინო თავიდან თმის ლერებს სათითაოდ ამოაპუტავდა.

ლიამ ესეც გადაყლაპა და იმ საღამოს დათვრა.

მას შემდეგ სიგარეტი ხელიდან არ გაუგდია, საკუთარ თავს გაუთხოვარი ქალის სტატუსი მიანიჭა და მხოლოდ შავ-თეთრი ტანისამოსით დადიოდა.

მან არ იცოდა ერთი რამ — მისმა საყვარელმა მამაკაცმა ლიას საუკეთესო მეგობარს, სოფიოს დედას, ნინოს დაურეკა და სთხოვა, რომ მისთვის წერილი გადაეცა, მაგრამ ნინომ ის წერილი დახია და სანაგვეში გადაუძახა.

სოფიო აღარ ტიროდა. ის იმედიანი თვალებით შეჰყურებდა ლიას.

— წავედით, — ნამოდგა ლია.

მან უკვე იცოდა, სად წაიყვანდა გოგონას. მას ნაცნობი ექიმი ჰყავდა, რომელიც მასთან ვალში იყო და ამ საქმეს მხოლოდ მას თუ ანდობდა.

მას შემდეგ, რაც სოფიო შინ მიიყვანა, თვითონაც სახლში დაბრუნდა და თავის ოთახში ჩაიკეტა. თან ერთი ბოთლი კონიაკი შეიყოლა და ზაღბით დალია.

ჟენევამ, თავისი ვინრო ქუჩებითა და პატარ-პატარა კაფეებით, სოფიოზე დიდი შთაბეჭდილება მოხდინა. ის არ მუშაობდა. ჟენევაში ყოფნის პირველი 3 თვე მალაზიების შესწავლას მონადგომა. უკვე ზეპირად იცოდა, რომელ მალაზიაში შეეძლო შესვლა და რომელში არ შეუშვებდნენ, იმიტომ, რომ მანქანით არ მივიდა, შესაფერისად არ იყო ჩაცმული და არც შლაპა ეხურა. ისიც იცოდა, რომ საკიდრიდან ჩამოცურებული ტანისამოსი თავად არ უნდა აეღო. სპეციალურად საამისოდ ყველა მალაზიაში თანამშრომელი ჰყავდათ, რომელსაც ხელფასს უხდიდნენ.

მთელი წელი გავიდა, რაც ის და არჩილი ჟენევაში ცხოვრობდნენ. ისინი თავს ისე კარგად გრძობდნენ, რომ შეუბუღების დროსაც კი არ ჩამოსულან თბილისში.

სოფიო თავის წარსულს განიცდიდა და ჩადენილ ცოდვას ინანიებდა... მას შემდეგ აღარ დაორსულებულა.

არჩილმა ბოლო დროს მემკვიდრეზე

საუბარს მოუხშირა. ცოლს არაფერს აგრძობინებდა, მაგრამ თანამშრომელ ქალს, ირას კი ერთხელ დარდი გაუზიარა. ირა მასზე 3 წლით უფროსი იყო, განათვარი გახლდათ და მიაჩნდა, რომ ოჯახურ საკითხებში ნამდვილი ექსპერტი იყო.

— იცი, ირა, სანამ ცოლს მოვიყვანდი, უამრავი ქალი მყავდა და მათი უმეტესობა ჩემგან იოლად ფეხმძიმდებოდა. ცოლს კი ვერაფერი მოვუხერხე, — შესჩივლა ქალს.

— მე მიგაგზავნით ერთ აქაურ ექიმთან, ჩემი მეგობარია და ის დაგეხმარებათ. იქნებ სულ უბრალო პრობლემაა და უცებ გადაჭრით. შენისთანა ლამაზი მამაკაცი მემკვიდრის გარეშე არ უნდა დარჩეს.

შინ დაბრუნებულმა არჩილმა ცოლს გამოუცხადა, რომ დილით ექიმთან მიდიოდა.

სოფიო მშვიდად შეხვდა ამ ინფორმაციას და დილით სიხარულით გაჰყვა ქმარს. არჩილმა ის კლინიკაში დატოვა, თვითონ კი სამსახურში წავიდა. სოფიომ ექიმს ყველაფერი გულახდილად უამბო, რათა მას შესაბამისი დიაგნოზის დასმა და მკურნალობის დანიშვნა შესძლებოდა...

ექიმმა კი დაივიწყა, რომ პაციენტის საიდუმლო უნდა შეენახა და ირას, რომელმაც საღამოს დაურეკა, ყველაფერი უამბო. ირასგან კი მეორე დღეს სიძარბოთელ არჩილმაც შეიტყო. როდესაც მამაკაცმა აბორტის ზუსტი თარიღი დაადგინა, მიხვდა, რომ სოფიო მამის დაფეხმძიმდა, როდესაც პირველად მიიყვანა სახლში.

„მომატყუა... სიძარბოთელ დამიძალა... მე დამიძალა, ადამიანს, რომელსაც თავისი უმანკოება ჩააბარა. ალბათ არ ფუყვარდი და იმიტომ. როგორც ჩანს, მას უცხოეთში წამოსვლა უნდოდა და არა — ჩემთან ყოფნა,“ — ფიქრობდა არჩილი.

ს თვის შემდეგ სოფიო დაფეხმძიმდა. როცა დარწმუნდა, რომ ორსულად იყო, ბედნიერებისგან ატირდა. გადაწყვიტა, ქმრისთვის ვერ არაფერი ეთქვა.

ბოლო დროს არჩილი მუშაზეკრული დადიოდა. გოგონა ვერ ხვდებოდა, რომ ქმარმა მისი წარსულის შესახებ ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად იცოდა.

ერთ დღეს არჩილმა შინ მოსვლა დააგვიანა. როგორც იქნა, შემოსასვლელი კარის ხმა გაისმა. არჩილი კარგა ხანს გაჩერდა შემოსასვლელში და ოთახში შესვლას არ ჩქარობდა.

როგორც იქნა, ოთახში შემოაბიჯა. ის მთვრალი იყო.

— როგორ მოხვედი ასეთი მთვრალი? საჭესთან შენ იჯექი? — შემფოთებულმა ჰკითხა ქმარს.

— არა, ირამ მომიყვანა. რა შენი საქმეა? მაშინ ხომ არაფერი გიკითხავს, როცა თბილისში აბორტის გასაკეთებლად წახვედი? ახლა კი ბავშვის გაჩენა არ შეგიძლია, მომატყუე და ჩვენი შვილის ბედი შენ, მარტომ გადაწყვიტე, — არჩილი ატირდა, — ნამდვილი გველის წინილი





ხარ! — მამაკაცი ოთახში პირდაპირ იატაკზე დაჯდა.

— არჩილ, რას ამბობ, მე ხომ მიყვარხარ, — სოფიო ქმარს მიუახლოვდა და თავზე ხელი გადაუსვა.

მამაკაცმა ხელი ჰკრა, გოგონამ თავი ვერ შეიკავა და მუცლით დაეცა. მან ინსტიქტურად ხელი მუცელზე იტაცა.

— თავს ნუ მაცოდებ, ჩვენ ერთად აღარ ვიცხოვრებთ, უნდა დავშორდეთ! მე სხვა მიყვარს და ის ჩემგან ბავშვს ელოდება! ჩაალაგე ბარგი და შინ გაემგზავრე, ბილეთი უკვე აგიღე. აბა, გაბედე და გაყრის საბუთებს ხელი არ მოანერო?! მოგკლავ!

1993 წლის ოქტომბერი იდგა... ბავშვი 7-თვიანი დაიბადა. საფეთქელთან ჰემატომა ჰქონდა. სოფიოს მშობლებს ექიმმა ბავშვის დაბადებისთანავე უთხრა, რომ პატარა ვერ იცოცხლებდა, მაგრამ მის გადასარჩენად ყოველ ღონეს იხმარდნენ.

პატარამ 2 თვე იცოცხლა... ბოლოს უკვე თავისი უბილო პირით ილიძებოდა კიდევ... სოფიო საათობით იდგა პალატის ფანჯარასთან და ელოდა, როდის მისცემდა ექიმი უფლებას, რომ ბავშვისთვის მუცუ მოეწოვებინა.

ერთ საღამოს, როდესაც ბავშვი დედის ძუძუს ჩააფრინდა, სოფიო სიყვარულით დაჰყურებდა მის პატარა სახეს... პატარა დედას მკერდზე ხელს უცაცუნებდა, შემდეგ კი გაჩერდა... სოფიოს ის დღე გაახსენდა, როცა ლიასთან ერთად ექიმთან მივიდა...

შვილს თმაზე ხელი გადაუსვა და გაითიშა.

შოკიდან ის ექთანმა გამოიყვანა, რომალიც ბავშვის წასაყვანად მოვიდა.

— ექიმო, ექიმო! — აყვირდა ის.

ექიმი ტყვიასავით შემოვარდა პალატაში და როდესაც ბავშვის გალურჯებულ სახეს დახედა, მიხვდა, რომ მისი ტუჩები სამუდამოდ მიჰყინვოდა დედის მკერდს.

სოფიოს გონზე მოყვანას დიდი ხანი დასჭირდა. დამამშვიდებელი ნემსები გაუკეთეს და დააძინეს.

სასაფლაოდან ნინო ლიასთან წავიდა, მამამ კი ფეხით გავლა გადაწყვიტა.

სოფიო საფლავთან დარჩა. ყვავილებით დაფარულ პატარა ბორცვს კარგა ხანს დაჰყურებდა.

შინ წასვლა არ უნდოდა, იცოდა, რომ ყველა მის დამშვიდებას შეეცდებოდა...

როდესაც დაბინდდა, დარაჯი მიუახლოვდა და იდაყვზე ფრთხილად შეეხო. მამაკაცმა იცოდა, რატომ იდგა ქალი ასე გახევებული. თვითონ ამოთხარა პატარა საფლავი, მისი შვილისთვის.

— ნამოდით, გზამდე გაგაცილებთ, — ჩუმად უთხრა დარაჯმა.

ქალი მაღლიერი დარჩა, რადგან დარაჯმა მის მაგივრად მიიღო გადაწყვეტილება. თვითონ ვერაფერს ახერხებდა.

სოფიომ ტაქსი გააჩერა და ლიას მისამართი უკარნახა.

ვიდრე კარზე ზარს დარეკავდა, შეყ-

ვონდა, რადგან შიგნიდან ხმამალალი ლაპარაკი მოესმა.

— თქვენი ბრალია, თქვენ დალუპეთ შვილი, — ყვიროდა ლია.

— შენ როგორ გაბედე, როდესაც ჩემი შვილი შენთან მოვიდა და თავისი ამბავი გაგიხსილა, სახლში თმით კი არ მოათრიე, ექიმთან წაიყვანე და უღმერთოდ გამოაშიგინე? შენ თვითონ გაქვს მსგავსი ცოდვა აკიდებული და ახლა შვილიც ვეღარ გაგიჩენია!

— აქედან გაეთრიე! — დაიყვირა ლიამ. — შენი ფეხი არ ვნახო ჩემს სახლში და ჩემს შვილთან მიკარებაც აღარ გაბედო, შე გათახსირებულო! — მთელი ხმით გაკიოდა სოფიოს დედა.

სოფიო კედელზე ზურგით ჩაცურდა და ლიას კართან ჩაჯდა.

ამ დროს კარი გაიღო და დედამისმა ფეხი ისე წამოჰკრა, ლამის ცხვირ-პირი დაიმტვრია.

— აქ რა გინდა, შვილო? შინ წამოდი.

— არა, არ წამოვალ, ყველანი მეზიზღებით, მე ლიასთან დავრჩები! — მტკიცედ თქვა გოგონამ.

— მომიფურთხებია თქვენთვის, — დაიყვირა ქალმა და კიბზე დაეშვა.

იმ საღამოს ლიას ინსულტი დაემართა და სამუდამოდ მიეჯახვა ინვალიდის სავარძელს. სოფიო მასთან დარჩა. დედას, რა თქმა უნდა, შეურიგდა, მაგრამ მასთან მხოლოდ ოფიციალურ ურთიერთობას ინარჩუნებდა.

შვილის გარდაცვალების შემდეგ სოფიომ უნივერსიტეტში, სხვა ფაკულტეტზე ჩააბარა და სწავლა განაგრძო.

შემდეგ კი გურამიც გამოჩნდა...

მამაკაცი სოფიოს გაცნობისთანავე მიხვდა, რომ ეს ის ქალი იყო, რომელიც მას სჭირდებოდა, რომ ის არასოდეს დაუკიდებდა ყურმილს, არ ატყებდა დებოშს ქმრის დაგვიანების გამო... გადანყვიტა, მასზე დაქორწინებულიყო. სოფიოს უარი არ უთქვამს. გურამი საცხოვრებლად მასთან და ლიასთან გადავიდა.

ახალი წლის დღეებში სოფიო ავად გახდა და ფილტვების ანთება დაემართა.

## — ქორწინება აუცილებელია და დაგქორწინდები, სანამ არ გაგიჩალიჩე, ვერ მოვისვენე, — უთხრა საკუთარ თავს.

ექიმმა ქმარმა მკურნალობა დაუნიშნა და ანტიბიოტიკებსაც საკუთარი ხელით უკეთებდა. მაშინ სოფიომ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ფეხმძიმედ იყო...

...პალატაში ცოტა ხანს გაჩერდა და ისევ დასარეკად გავიდა. ყურმილს კვლავ არავინ იღებდა. ლია დამ, რაიონში — თავისთან წაიყვანა, გურამი კი როგორც ჩანს, შინ არ იყო.

შუადღისას სოფიო საავადმყოფოდან განერეს. შინ მარტო, ტაქსით დაბრუნდა. სახლში არავინ დახვდა. ცოტა ხანში კი ტელეფონმა დარეკა. გურამის სამსახურიდან რეკავდნენ. იკითხეს, — სამსახურში რატომ არ გამოცხადდომ? მას იმ დღეს რამდენიმე ოპერაცია ჰქონდა დაგვემილი.

სალამოს გურამმა დარეკა.

— სოფიო, მე ვარ, საქეფოდ ვიყავი, მთვრალი ვარ და არ მინდოდა, ასეთ მდგომარეობაში გენახე, — ბლუყუნება მამაკაცი.

— შენი ნახვა საერთოდ აღარ მინდა, — ჩასძახა სოფიომ და ყურმილი დაკიდა.

მეორე დღეს გურამმა თავისი ნივთები წაიღო და საცხოვრებლად ყოფილ ცოლთან გადავიდა.

იმ ზაფხულს სოფიო ბათუმში წავიდა. ერთ დღეს პლაჟზე გასულმა თავისი პირსახოცი ქვებზე გაშალა და მზეს მიეფიცხა. მის გვერდით შუახნის, მოვლილი ქალი ირუჯებოდა. იქვე კი ხუთიოდე წლის ბავშვი თამაშობდა. ქალმა სოფიოს ბავშვი ჩააბარა და თვითონ ზღვაში შევიდა. მას ჩამოქნილი ტანი ჰქონდა და ისე მიირწეოდა, თითქოს ყველას ყურადღების მიპყრობა სურდა.

— დეიდა, თქვენი შვილი სადაა? — ჰკითხა ბავშვმა.

— ჩემი შვილი? — ჩაეკითხა სოფიო.

— თამაში მინდა, სადაა შენი შვილი?

— მოდი, მე და შენ ვითამაშოთ, სანამ დედიკო იცურავებს, — გაუღიმა ბავშვს.

— ეს ჩემი დედიკო კი არა, ჩემი ბებიიაა, პატარა და შემეძინა და დედიკომ ბებიასთან და ბაბუასთან ერთად გამომიშვა ზღვაზე. აი, ბაბუა მოდის, — ხელი გაიშვირა პატარამ.

სოფიო სასწრაფოდ წამოდგა, თავისი ნივთები წამოკრიბა და ჩანთაში ჩაალაგა.

ბაბუამ შვილიშვილს შორიდან დაუქნია ხელი.

სოფიო აკანკალდა.

— დეიდა, გინდა, ბაბუა გაგაცნო? იცი, ბებია რას ეძახის მას, როცა გაბრაზდება? გველის წინილი!

როდესაც არჩილი ბავშვს მიუახლოვდა, სოფიო ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა პლაჟიდან. მამაკაცმა ის ზურგიდან ვერ იცნო... თანაც, უკვე რამდენი წელი გავიდა...

სოფიოს იმ ღამით კაფე „თბილისური“ დაესიზმრა. თვითონ ფანჯარასთან იჯდა და გულზე ტრაფარეტი ჰქონდა დაკიდებული, რომელზეც დიდი ასოებით ეწერა: „გველის წინილი“.



ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით  
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი  
იხ. „გზა“ №37-47

გონივრული

ჭიჭეს მკვლევლობაში ექვმიტანილი სიპო იმ დღესვე აიყვანეს. ჯამლეთის ოპერებმა ქალაქდკომბინატის სიახლოვეს, მუშათა ყოფილი საერთო საცხოვრებლის ნანგრევებში მიაგნეს, მაგრამ მისი დაკითხვა მაინც ვერ მოხერხდა. მანანწალა უგონოდ მთვრალი იყო. სამძებროს თანამშრომლებმა გუდურასავით ჩააგდეს მანქანაში, პოლიციის სამმართველოში წაიყვანეს და წინასწარი დაკავების იზოლატორში მიუჩინეს ბინა.

დღის მიწურულს იზოლატორის თანამშრომლებმა გიორგის აცნობეს: სიპო გამოფხიზლდა და როგორ მოვიტყუოთ — მოგიყვანოთ თუ თქვენ თვითონ ჩამოხვალთ იზოლატორში?

— რამდენიმე წუთში მანდ ვიქნები, — უპასუხა გიორგიმ და ყურმილი დაკიდა.

სიპო სამოციოდე წლის, წელში მოხრილი მამაკაცი იყო. თხელი, ჭალარა წვერი მეფოვის ცოცხვით გაპზურძნოდა. როგორც ჩანს, საკანს შეჩვეული იყო. თავი მშვიდად ეჭირა. „ნარზე“ ჩამომჯდარი იფორცხავდა წვერს და მორიგე პოლიციელს ელაპარაკებოდა.

— რა იყო, საქმე შემოგაკლდათ?.. ჩემ გარდა ვერავინ ნახეთ დასაჭერი?.. შენ მაინც ხომ მიცნობ. რა ხეირს ნახავთ ჩემი ჩასმით? მიდი, დაურეკე უფროსობას და უთხარი, დროზე გამიშვან, თორემ ნაბიჭვრები ბაითს გამიქურდავენ.

— მილიონები არ გაიტანონ შენი ბუნაგიდან! — დასცინა პოლიციელმა.

— ეგ შენი საქმე არ არის. რომ გეუბნები, დარეკე! — გაბრაზდა სიპო.

— ცოტა ხანს მოითმინე. უფროსი მალე მოვა...

გიორგის წინასწარ ჰყავდა გაფრთხილებული იზოლატორის თანამშრომლები, რომ სიპოსთვის არაფერი ეთქვათ დაკავების მიზეზზე. მისი ვარაუდით, მანანწალას არაფერი უნდა სცოდნოდა ჭიჭეს დაღუპვის შესახებ. ასე რომ ყოფილიყო, მძინარე არ დახვდებოდა პოლიციელებს. მართალია, შორს მაინც ვერ წავიდოდა, მაგრამ გაქცევის მაინც შეეცდებოდა. ახლა კი დროზე ადრე რომ შეეტყო მომხდარი, შეიძლება, შეშინებულიყო და სიმართლე აღარ ეთქვა.

ჯამლეთისა და გიორგის დანახვაზე სიპომ პოლიციელთან ლაპარაკი შეწყვიტა და გისოსს მოადგა.

— რატომ ხმაურობ, სიპო? შენი ჭიჭყინი ბიჭებს მუშაობაში ხელს უშლის, — უთხრა ჯამლეთმა.

— გამიშვით და არავის შევანუხებ, — უპასუხა მანანწალამ.

— ჯერ ის მომიყვივი, როგორ და რისთვის სცემე ჭიჭეს, — განაგრძო ჯამლეთმა.

— ვაა!.. — გაიკვირვა სიპომ. — ჭიჭემ მიჩივლა?

— სცემე თუ არა? — ბრაზით გაიმეორა ჯამლეთმა.

— ჰო, პატარა ჩხუბი მოგვივიდა, — ჩაიბურტყუნა მანანწალამ.

— რა მიზეზით იჩხუბეთ? — ლაპარაკში გიორგი ჩაერთო.

— დამპალი კაცია ჭიჭე, მატყუარა. მარტო ცემის ეშინია. ბევრჯერ დავპირდი: ნუ მატყუებ, თორემ მაგრად გირტყამ-მეთქი, მაგრამ მაინც არ მოიშალა თავისი!

— რა მოგატყუა? — ჰკითხა გიორგიმ.

— გუშინწინ მოვიდა ჩემთან ქალაქდკომბინატში. შეშინებული ჩანდა, ერთიანად კანკალებდა. არაფერი გეჩვენა სადმე, დამალევიყო. ასეთი

რამ კი ჩვენში არ მოსულა. ჭამა-სმა თუ გინდა, ხელი უნდა გაანძრიო. სად მქონდა ჭიჭეს სამყოფი არაფერი?! თანაც, მაგან რომ სმა იცის!.. მანამდე სვამს, სანამ არ გაითიშება ან არაფერი არ გათავდება... მაგრამ მაგრად მეხვეწა. მივხვდი, რომ აღარ მომეშვებოდა და ჩემი ვარიანტი შევთავაზე...

— რა ვარიანტი?

— საქმეზე გაყოლა ვთხოვე. ვუთხარი, რომ ფულს ვაშოვნინებდი.

— რამე მოიპარეთ?! — სწრაფად ჰკითხა ჯამლეთმა.

— არა, უფროსო. ხომ იცი, რომ ეგეთ საქმეებს ხელს არ ვკიდებ. კომბინატის საერთო საცხოვრებელთან ამოსათხრელი კაბელი მეგულებოდა.

ეგ ხომ ქურდობად არ ჩამეთვლება. ძველი კაბელია. კომბინატის უფროსობამ თვითონ მიმასწავლა: ამოთხარე, ორ „კაპიკს“ იშოვიო. ასეთი საქმეები მე და ჭიჭეს ადრეც გაგვიკეთებია.

ხან ძველ კაბელებს ვთხრიდით, ზოგჯერ ჯართს ვაგროვებდით. მაგრამ იმ დღეს უარი მითხრა: რამე თუ არ დავლიე, ვერაფერში მოგეხმარები, 300 გრამი ჩამარტყმევიწინე და მერე ვიმუშავებო. იმდენ ხანს მეზაზრა, რომ მაინც შემაბა. ერთი „პოლ-ლიტრა“ მქონდა შავი დღისთვის გადანახული. ერთად დავლიეთ. მერე კაბელი ამოვთხარეთ და ჩასაბარებლად წავიღეთ, მაგრამ ფული ვერ ავიღეთ. ჩამბარებულ პუნქტში გვითხრეს, ახლა ფული არ გვაქვს და ამ დღეებში გამოიარეთო. ამან გაგვაბრაზა და კაბელის უკან წამოღება დავპირეთ, მაგრამ არ დავგვიტყეს.

ჯერ დავგვემუქრენ: საერთოდ არ მოგცემთ ფულსო. მერე კი ორი ბოთლი არყით და პატარა „ზაუსკით“ შეგვაბეს. უკვე საღამო იყო, როცა ჭიჭეს „ბუდკაში“ მივედი. არაფერი იქ დავლიეთ. ჭიჭეს მალე მოვიკიდა სასმელი. თავი ჩაქინდრა და რალაცის მოყოლა დაიწყო, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. ვიფიქრე, მთვრალია და რალაცას რომავს-მეთქი.

— რას ამბობდა? — ჰკითხა გიორგიმ.

— გუშინ 25 წლის წინ გაყიდულმა შეილმა მომაკითხა, ჯერ არაფერი მიყიდა და მერე ცემა დამიპირაო. კიდევ თქვა, ისეთი თვალებით მიყურებდა, ნაღდად ჩემი დაბრუნება უნდოდა და ხალხი რომ არა, მოკვლავდა კიდევო!

— დაუჯერე?

— რალაც ამდაგვარი ადრეც მსმენია. ზუგდიდელები ამბობდნენ, ერთი თუ ორი შვილი ჰყავს გაყიდული, მაგრამ ის, რომ რომელიმე მათგანმა მოკვლა დაუპირა, ვერ დავიჯერე. შეიძლება, უფრო მეტსაც იმსახურებდა, მაგრამ რას მისცემდა მისი მოკვ-





ლა?! ჩიქე ისედაც დასჯილია. რაა მაგისი ცხოვრება. ადრე თუ გვიან, ისედაც მოკლავს ვინმე. ან კიდევ თავის „ბუდკაში“ უპატრონოდ ამოხდება სული.

— შენ ხომ მოსკოვის მავზოლეუმში გადაგასვენებენ!.. — შენიშნა ჯამლეთმა.

— არც მოსკოვში გადაამასვენებენ და არც დამტირებელი მეყოლება, მაგრამ გაყიდული და ბავშვთა სახლში მიბარებული შვილების მაინც არ მეშინია!.. — უპასუხა სიპომ.

— თვითონ რას ამბობდა — მაინც რატომ უნდოდა იმ შვილს ჩემი მოკვლაო? — ჰკითხა ჯამლეთმა.

— ხომ გითხარით, არ ვუსმენდი-მეთქი, მაგრამ სანამ თავისთვის ბუტურებდა, ის ბიჭი მოვიდა.

— მოვიდა?! — გაუკვირდა გიორგის. — ბიჭი, რომელმაც წინაღულს ცემა დაუბირა, ჩიქესთან მივიდა?!

— ჰო, ასე იყო, — თავი დაუქინა სიპომ, — მე კარისკენ ზურგით ვიჯექი. ნაბიჯების ხმა მომესმა. ამ დროს ჩიქემ შიშით იყვირა და მეორე მხარეს გავარდა. როცა უკან მივბრუნდი, ის ბიჭი დავინახე. „ბუდკის“ კართან იდგა. არ ვიცო, რატომ შეეშინდა ჩიქეს. ბიჭი რამის დაშავებას არ უპირებდა. მაშინვე უთხრა: გუშინდელივით არ აყვირდე, ნუ გეშინია, არაფერს გერჩი, სალაპარაკოდ მოვედიო... ამ სიტყვებთან ერთად, ბიჭი „ბუდკაში“ შემოვიდა და მაგიდაზე ორი პარკი დადო: ერთში „პივა“ და არაყი იყო, მეორეში — „ზაკუსკა“. საჭმელ-სასმლის დანახვაზე ჩიქე დანყარდა. პარკებიდან ბოთლები ამოალაგა, საჭმელიც გააწყო. მერე ბიჭს არაყი დაუსხა: შენც დალიეო... მაგრამ ბიჭი ჩიქას არ მიჰკარებია. რალაც ანუხებდა, მაგრამ ჩემი თანდასწრებით ლაპარაკი არ უნდოდა. მეც აღარ მინდოდა იქ ყოფნა, მეშინოდა: ბიჭს მშვიდად ეჭირა თავი, მაგრამ მერე რომ გაბრაზებულიყო და მართლა მოენდომებინა ჩიქეს მოკვლა, მეც ხომ სურდაში მიმავოლებდა, რა შეუშლიდა ხელს?! მოზვერვივით ჯანიანი ჩანდა. ისე გაგვგუდავდა ორივეს, რომ ხმის ამოღებასაც ვერ მოვასწრებდით... მაგრამ ჩიქემ არ გამიშვა. იმასაც ეშინოდა ბიჭთან მარტო დარჩენის. მეც ხელი ჩავიქნიე, რაც იქნება — იქნება-მეთქი და

არაყი და „პივა“ შევუბერე. ის ბიჭი მიხვდა, რომ ცოტაც და, ჩიქე საერთოდ გაითიშებოდა და საქმეზე გადავიდა: ახლა მაინც მითხარი, სად მოკვებნო ჩემი ძმა და დედაჩემის საფლავიც მიჩვენეო. ჩიქემ სასაფლაოზე წასვლაზე უარი უთხრა: იმ საფლავს მეც ვეღარ მივაგებ, ისე კი რა მნიშვნელობა აქვს, საფლავს არც ლოზე არტყია და არც წარწერა აქვს, მინა კი ყველგან ერთნაირია — გადი ქალაქგარეთ და რამდენიც გინდა, უყურეო... შენს ძმანაც ვერაფერს გეტყვი, შვილი ბევრი მყავდა და მე რა ვიცი, ვინ რომელ ოჯახში იზრდებოდაო!.. მაშინ კი მართლაც გაბრაზდა ის ბიჭი. ჩიქეს ეცა, ყელში წაუჭირა ხელები და უყვირა: მითხარი, თორემ ახლავე დაგახრჩობო!.. შემეშინდა, მართლა არ გაგიჟდეს და ორივე არ დაგეხცოს-მეთქი და იქიდან გაიქეცი. შორს არ წავსულვარ. „ბუდკიდან“ გამოვვარდი და იქვე დავიმალე. მაინტერესებდა, რა მოხდებოდა შემდეგ. თანაც ვგრძნობდი, რომ ის ბიჭი ჩიქეს არაფერს დაუშავებდა... ბიჭი „ბუდკაში“ ცოტა ხანს დარჩა. მერე გამოვიდა და სწრაფად გაეცალა იქაურობას. როგორც კი თვალს მიეფარა, „ბუდკაში“ დავბრუნდი. ჩიქე თავის საწოლზე იჯდა, კისერს ისრესდა და იგინებოდა. მერე მე შემომიტირა: შენც დამპალი ხარ, რატომ არ დამეხმარეო?! მეც გავუჩმახე: შენ სულელი ხომ არა ხარ? რაში უნდა დაგხმარებოდი?! შენი გულისთვის, იმ ბიჭს ხომ არ მოგვეკვლევი-მეთქი?!

— მაშინ მოგივიდათ ჩხუბი? — ჰკითხა გიორგიმ.

— არა... ცოტა მოგვიანებით — როცა წასვლა დავაპირე.

— რაზე იჩხუბეთ?

— ჩიქეს ბრალი იყო ყველაფერი. მაგის გაუმაძლარი დედა ვატირე! „ბუდკის“ კარი ღია იყო და კარგად დავინახე, რომ იმ ბიჭმა წასვლის

წინ ფული მისცა: აბანოში წადი, ახალი ტანსაცმელიც იყიდეო. იმ ფულის გაყოფა ვთხოვე და უარი მითხრა.

— რატომ უნდა გაეყო შვილის მიცემული ფული?! — გაუკვირდა ჯამლეთს.

— ჩემთვის კაბელის საქმე შვილსა და დედამამიშვილს არ მოუტყია. განა მარტო ვერ ამოვთხრიდი?! მაინც ჩავისასტავე, მაგრამ მაგაზე არ მიჩხუბია. დავეშუქრე: კაბელის საქმიდან რამის მიღების იმედი არ გქონდეს-მეთქი!.. მერე კი არყისა და „პივის“ ბოთლი ავიღე, რომ თან წამელო. ამაზე საერთოდ გადაიარა. ბოთლებს თავი დაანებე, თორემ თავს გაგინეთქავ, ეგენი მე მომიტანეს და ვერაფერს წაიღებო!.. მე არ დავუთმე. ანდა რატომ უნდა დამეთმო?! ჩემს არაყს რომ სვამდა, მაშინ კარგი ბიჭი ვიყავი?! ჩიქეც გამექაჩა. მოკლედ, ჩხუბი მოგვივიდა. „პივის“ ბოთლი თავში ჩავარტყი, ძირს დავავადე და ნისლით ვცემე. მაგრამ არ მიცემია. 4 თუ 5 დარტყმის შემდეგ გაითიშა. გაბრაზებულმა, იმ ბიჭის მიცემული ფული და საჭმელ-სასმელი დავითრიე და ქალაქდკომბინატში წავედი.

— რასაც შენ ჰყვები, ჩემს ენაზე ყაჩაღობა ჰქვია, — შენიშნა ჯამლეთმა.

— კარგი, რა, უფროსო, — სწრაფად თქვა სიპომ, — რის ყაჩაღობა, რა ბანდიტიზმი?! ჩიქეს დღეში სამჯერ სცემდნენ და ხან რას ართმევდნენ და ხან — რას. ეგრე რომ მიჰყვე, ნახევარი ზუგდიდი უნდა გაუშვა „სროკზე“! რა მოხდა?! ერთი-ორი წავუთაქე და ფული წავართვი. ბოლოს და ბოლოს, ფულს დავუბრუნებ. ცემით კი... თუ გინდათ, მცემთ და ისე გამიშვით.

— არა, სიპო, — თავი გაიქინა ჯამლეთმა, — საქმე მარტო წათაქება-წამოთაქებასა და ფულის წართმევაში არ არის. ასე რომ ყოფილიყო, შეიძლება, მართლა მეპატიებინა.

— აბა, რაშია საქმე?

— ჩიქე მოკვდა!

— რა-ა?! — თვალეზი გაუფართოვდა სიპოს. — როგორ თუ მოკვდა?! მე ხომ ისეთი არაფერი მიქნია! ერთი-ორჯერ დავარტყი — ეს იყო და ეს.

— ნელან 4-5 წიხლისა და ბოთლის ჩარტყმაზე ლაპარაკობდი... — შეახსენა ჯამლეთმა.

— თუნდაც ასე იყოს. მაგისტრის უნდა ჩამსვათ ციხეში?!

— შენ ადამიანი





მოკალი! — ცივად შენიშნა ჯამლეთმა, მერე კი გიორგის მიუბრუნდა. — კიდევ რამის კითხვას ხომ არ აპირებ?

— ეს ის ბიჭია, რომელიც ჭიჭესთან მივიდა? — ამ სიტყვებთან ერთად, გიორგიმ გოგას ფოტოსურათი უჩვენა.

— ისაა, — უხალისოდ თქვა სიპომ.

— შენ თქვი, რომ დაინახე, როგორ მისცა იმ ბიჭმა ჭიჭეს ფული.

— დავინახე.

— ესე იგი, საკმაოდ ახლოს ყოფილხარ ჭიჭეს ჯიხურთან და რაღაც მაინც უნდა მოგესმინა მათი საუბრიდან.

— არ ვიცი... არ მახსოვს... — ჩაიბურტყუნა მანანალამ.

— ნუ დაიბოღმე. ჭიჭეს სიკვდილი იმას არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც შენ მოკალი, — თქვა ჯამლეთმა.

— ახლა არ მითხარით, მკვლელი და ყაჩაღი ხარო?! — გაიკვირვა სიპომ.

— ჭიჭეს სიკვდილის მიზეზი ექსპერტიზამ უნდა დაადგინოს. შეიძლება, მისი დაღუპვა ცემამ კი არა, რომელიმე ავადმყოფობამ გამოიწვია.

— ჰო... ჰო... ბოლო ხანებში ხშირად მეუბნებოდა: ცუდად ვარ, არა მგონია, დიდი ხანი გავექაჩო, — გამოცოცხლდა სიპო.

— მაშ, მოისმინე რამე მათი საუბრიდან თუ არა? — განაგრძო გიორგიმ.

— რა ვიცი, რა გითხრათ, არც ისე ახლოს ვიყავი ჭიჭეს „ბუდკიდან“... ბიჭი იმ ოჯახის დასახელებას სთხოვდა, რომელშიც მისი ძმა გაიზარდა. არ ვიცი, უთხრა თუ არა ჭიჭემ. მე მართო ერთი რამ გავიგონე: შენი ტყუპისცალი დედაშენის ძმამ წაიყვანაო!

— რამე ხომ არ გეშლება? — ჰკითხა გიორგიმ.

— არა, ნაღდად ასე უთხრა, — სწრაფად უპასუხა სიპომ.

— ჯერჯერობით საკმარისია, — გადაულაპარაკა გიორგიმ ჯამლეთს და საკნის გისოსს მოშორდა.

სალამო ხანი იყო. კოტე სახლში წასასვლელად ემზადებოდა, როდესაც გიორგიმ ტელეფონით დაურეკა.

— უკვე ჩამოხვედი? — ჰკითხა პროკურორმა.

— არა, სოხუმიდან გირეკავთ, — უპასუხა გიორგიმ.

— სოხუმიდან?! — გაუკვირდა კოტეს. — როგორ მოხვდი აფხაზეთში?

— ისევე, როგორც სამტრედიაში, მერე — სენაკსა და ზუგდიდში.

— ფრთხილად იყავი. რაც დრო გადის, უფრო შორს და დიდი ხნით გინევს მივლინებაში გამგზავრება. ასე

თუ გაგრძელდა, მალე ჩრდილოეთ პოლუსზე ამოყოფ თავს, — გაიხუმრა პროკურორმა.

— საქმემ თუ მოითხოვა, იქ წასვლასაც არ მოვერიდები.

— კეთილი, მაშინ საქმეს დავუბრუნდეთ. რამდენადაც გზედები, სოხუმიში კილაძის კვალდაკვალ უნდა ჩასულიყავი.

— ნაწილობრივ, — უპასუხა გიორგიმ.

— რას ნიშნავს — ნაწილობრივ?

— ზუგდიდში მისი ორეულის კვალს წავაწყდი და ვითარების გასარკვევად, სოხუმიში ჩასვლა დამჭირდა.

— დაწვრილებით მომიყევი, რა მოხდა.

— თავიდან დავიწყებ. ჩემი ვარაუდი მურთაზ ქაჯაიასთან დაკავშირებით მთლიანად დადასტურდა. გაირკვა, რომ კილაძეს მან შეუწყო ხელი პოლიციისგან თავის დაღწევაში და თავის სახლში დაშალა.

— ქაჯაიას ბრალი უკვე წაუყენე? — ჰკითხა პროკურორმა.

— არა... ვფიქრობ, რომ ეს ზედმეტია. კილაძე იძულებითი წარდგენის მოტივით იძებნება. ერთი შეხედვით, ქაჯაიამ ხელი შეუწყო მიმალვაში მყოფ პიროვნებას, მაგრამ მაინც არ ღირს მისი გაფუჭება. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?

— უბოროტი კაცი ხარ, გიორგი. სხვა შენს ადგილზე, ბოლომდე „დაგრუზავდა“ ქაჯაიას. მიზეზად, სენაკში ტყუილუბრალოდ ჩასვლასა და ცრუჩვენების მიცემასაც იკმარებდა; პატიმრობაშიც აიყვანდა და სასამართლოსაც მიანებოდა, „სროკზე“ რომ გაეშვა. მაგრამ რახან შენ ასე გადაწყვიტე, ძალას არ დაგატან, დარჩეს ქაჯაია თავისუფალი.

— რაც შეეხება კილაძეს... ზუგდიდში მოპოვებულმა მონაცემებმა საქმეს სხვა მიმართულება მისცა. თითქმის დადასტურებულია, რომ მას ტყუპისცალი ძმა ჰყავს.

— საინტერესოა, — ჩაილაპარაკა პროკურორმა, — და შენ ვარაუდობ, რომ ყველა დანაშაული, რომელსაც კილაძეს მივაწერდით, მისი ჩადენილია?

— ჯერჯერობით, ამის დამადასტურებელი მასალები არ გამაჩნია, მაგრამ რაღაც-რაღაცები უკვე მოვიპოვე, მაგალითად — მისი ფოტოსურათი. საეჭვო არაფერია — ის გაჭრილი ვაშლივით ჰგავს კილაძეს. მაგრამ მთავარია მისი დოსიე: კილაძის ტყუპისცალი ჩამოყალიბებული კრიმინალია.

— რა მონაცემები გაქვს მის შესახებ?

— მის კვალზე თავად კილაძემ გამიყვანა. მე ადრეც დარწმუნებული

ვიყავი, რომ სენაკის სამშობიარო სახლის ყოფილი მთავარი ექიმი რაღაცას გვიმალავდა. ეს ზუგდიდში კილაძის ჩასვლამ დაადასტურა. მან მართლაც მოძებნა თავისი ნამდვილი მამა. ის აღმოჩნდა ვინმე მერაბ დიდავა. დიდავამ ჩემთან საუბრისას დაადასტურა, რომ კილაძე ნამდვილად მისი შვილია. სამწუხაროდ, მეტის თქმა ვერ მოასწრო — ის ამ საუბრისას გარდაიცვალა.

— გარდაიცვალა?.. რა იყო ამის მიზეზი?

— მკვლელობა!.. ამ ფაქტზე ზუგდიდის პოლიციის სამმართველომ უკვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ ეს ცალკე ფაქტია და არაფრით უკავშირდება კილაძის საქმეს... მაგრამ მე მკვლელობაში ეჭვმიტანილის დაკითხვაში პირადად ვმონაწილეობდი. მან ერთი საგულისხმო ფაქტი მაცნობა: კილაძემ აიძულა დიდავა, დაესახელებინა პიროვნება, რომელმაც მისი ტყუპისცალი იშვილა. ეს მისი დედის ძმა ყოფილა. ზუგდიდშივე გავარკვიე დიდავას ცოლის მონაცემები: სვეტა ხიჭუბა, ეროვნებით აფხაზი, დაიბადა 1942 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაბა ახალ ათონში, ჰყავს ერთადერთი ძმა — ვიტალი ხიჭუბა. რაც შეეხება თავად ვიტალი ხიჭუბას: ის კადრის ოფიცერია. ხანგრძლივი დროის განმავლობაში მსახურობდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში, აქედან 5 წელი გუდაუთის საავიაციო ბაზაზე, ცალკეულ საზენიტო-სარაკეტო დივიზიონში იმსახურა. ოფიციალური მონაცემებით, სწორედ ამ დროს შეეძინა ვაჟი, რაულ ხიჭუბა. აღსანიშნავია, რომ მისი დაბადების თარიღი ზუსტად ემთხვევა კილაძის დაბადების თარიღს... ვაჟის შექმნიდან ერთი წლის შემდეგ, ხიჭუბა, სამსახურის გასაგრძელებლად, შორეულ აღმოსავლეთში გადაიყვანეს. შემდეგ კიდევ რამდენჯერმე შეიცვალა სამსახურის ადგილი, მსახურობდა მონღოლეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რუსეთის ფედერაციაში. თავისთავად გასაგებია, რომ მასთან ერთად, საცხოვრებელ ადგილს იცვლიდა მისი ცოლ-შვილიც. ბოლოს ხიჭუბა დასავლეთ უკრაინაში, ქალაქ სტრიშიში მსახურობდა. იმ დროისთვის მისი შვილი რაული ასტრახანში, სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა. მან ვერ შეძლო სასწავლებლის დამთავრება — მის ოჯახს უბედურება დაატყდა თავს: რაულ ხიჭუბა მესამე კურსზე იყო, როცა მისი დედ-მამა ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ამის შემდეგ ხიჭუბამ სასწავლებელი მიატოვა და აფხაზეთში დაბრუნდა. ეს 1987 წელს მოხდა. ამ პერიოდიდან იწყება მისი კრიმი-





ნაღური საქმიანობაც. პირველად საბრალდებო სკამზე იმავე წელს მოხვდა. ოფიციალური მონაცემებით, 1987 წლის ზაფხულში ის ვინმე ჭყონიას მანქანის გატაცების ბრალდებით დააკავეს და 2 წლით გაამწესეს ციხეში. საპატიმროდან გათავისუფლებიდან ერთი წლისთავზე ხიჯბამ უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინა — დანით 3 ჭრილობა მიიყენა ერთ დამსვენებელს, ვინმე ლუკიანენკოს. ამჯერად მისი დაკავება ვერ მოხერხდა. ხიჯბა შემთხვევის ადგილიდან მიიშალა და ადგილობრივმა მილიციამ ის ძებნილად გამოაცხადა. რამდენიმე თვის შემდეგ, მილიცია სოხუმის სახლვარა პორტში გადააწვდა. ამჯერად ის აიყვანეს, მაგრამ მანამდე, ძებნილმა პისტოლეტიდან ცეცხლი გახსნა და ერთი მილიციელი მძიმედ დაჭრა. ამჯერად სასამართლომ ხიჯბას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

— მოიცა, — ისევ შეანყევტინა პროკურორმა, — რომელ წელს გაასამართლეს ხიჯბა?

— 1991 წლის დეკემბერში.

— მერედა, როგორ აღმოჩნდა მთვის წინ გასამართლებული დამნაშავე გარეთ?

— მაგასაც გეტყვით, — უპასუხა გიორგიმ, — ის სასჯელს ქსნის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში იხდიდა, საიდანაც თვე-ნახევრის წინ გაიქცა.

— ესე იგი, ძებნაში ირიცხებოდა?

— დიას. მე გავეცანი ოპერატიულ ცნობას, რომელიც აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მისი გაქცევის შემდეგ მიიღო. ხიჯბას დოსიეს ერთი გარემოება უფრო საინტერესოს ხდის. გახსოვთ შუბითიძის დაკითხვის ოქმი?

— იმ ვაჭარს გულისხმობ, რომელმაც პირველმა ამოიცნო კილაძე?

— მართალი ბრძანდებით. შუბითიძე თავის ჩვენებაში იხსენებს ვინმე ჯიბოს, რომელსაც მასთან ვერცხლის ნაკეთობები მიჰქონდა. ერთი-ორჯერ კი ჯიბოსთან ერთად იყო ახალგაზრდა კაცი, რომელმაც შემდგომ ხატი მიჰყიდა.

— ჰო, ეგვეც მახსოვს.

— ხიჯბას დოსიეში მოხსენიებულია თბილისის მკვიდრი, ვინმე ჯიბო ნიშნიანიძე, რომელიც დაჭრის საქმეში ფიგურირებდა. თავად ნიშნიანიძეს დამსვენებლის დაჭრაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ჩხუბის დროს ხიჯბასთან ერთად იმყოფებოდა.

— შენ ვარაუდობ, რომ ნიშნიანიძე და შუბითიძის მიერ ნახსენები ვინმე ჯიბო — ერთი და იგივე პიროვნებაა?

— დარწმუნებული ვარ, რომ ასეა. თავად განსაჯეთ: ოპერატიულ ცნობა-

ში მითითებულია, რომ ხიჯბამ ნიშნიანიძე პირველ „სროკზე“ გაიცნო. გათავისუფლების შემდეგ, ისინი ერთად ჩნდებიან მშრალ ხიდზე და შუბითიძეს ვერცხლის ნაკეთობებით ამარაგებენ. თავისთავად ცხადია, რომ ეს ნაკეთობები მოპარულია. შემდეგ ისინი ერთად ხვდებიან სოხუმში. ჩემი ვარაუდით, ერთად ფლანგავენ თბილისში ქურდობით ნაშოვნ ფულს. ხიჯბას ჩხუბი მოხდის, ის დანით ჭრის დამსვენებელს და გარბის. ნიშნიანიძეს კი შემთხვევის ადგილზე აკავებენ, მაგრამ სამართალდამცველები მის მიმართ რაიმე პრეტენზიას არ გამოთქვამენ. რამდენიმე მონმე უჩვენებს, რომ ნიშნიანიძე ჩხუბში არ მონაწილეობდა. მას ათავისუფლებენ. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ხიჯბა მილიციელს ჭრის და ისევ ციხეში ხვდება. მაგრამ კოლონია მისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს. ის გარბის და ცოტა ხანში ისევ ჩნდება მშრალ ხიდზე. როგორ გგონიათ — მიაკითხავდა თუ არა ქსნის კოლონიიდან გაქცეული ხიჯბა თბილისში მცხოვრებ „პადელნიკს“?.. ყველაზე მცირე, მას სოხუმში დასაბრუნებელი ფული მაინც დასჭირდებოდა.

— გეთანხმები, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია, — თქვა პროკურორმა.

— რეალური ვარაუდი... ხიჯბას ყოველ ნაბიჯში იგრძნობა, რომ მის გვერდით იყო პიროვნება, რომელიც კარგად იცნობდა თბილისს. თუ არა ის, ვინ მისცემდა კოლონიიდან გაქცეულ აფხაზ კრიმინალს კილაძეების ოჯახის საქმეს?.. ან საიდან მოხვდებოდა ის რესტავრატორ პაპაშვილთან?!

— იქნებ ის ახლაც თბილისშია? ლოგიკურად, ასეც უნდა იყოს. რაც უფრო დიდია ქალაქი, დამნაშავე მით უფრო ადვილად გაიტანს თავს. თანაც, აქ მას პრაქტიკულად, არავინ იცნობს!

— მე კი მგონია, რომ ის აფხაზეთში უნდა ვეძებოთ. ამაზე მიუთითებს სამტრედიამი მისი გამოჩენა. დარწმუნებული ვარ, რომ ის აფხაზეთში მიემგზავრებოდა, როცა საგზაო პოლიციის თანამშრომლებს გადააწვდა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია კილაძის ფაქტორიც.

— ახლა, როდესაც რეალური ეჭვიმტანილი გამოჩნდა, რალაში

გჭირდება კილაძის ძებნა? ვფიქრობ, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ თავად მოჰპებრდება წაწნალი და სახლში დაბრუნდება.

— არა მგონია. ის გასაოცარი სიჯიუტით მიიწევს წინ და თუ გენტიკის გათვალისწინებით მივუდგე-



ბით საკითხს, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ხიჯბასავით თავზე ხელაღებულ ადამიანთან გვაქვს საქმე — ფიცხ, საშიშ ადამიანთან, რომელსაც ჯერ არ გამოუვლენია თავისი ტემპერამენტი!.. თანაც, დარწმუნებული ვარ, რომ ახლა ის აფხაზეთში იმყოფება!

— სოხუმში?.. რისთვის?

— აქამდე მეგონა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი, თავისი ნამდვილი დედამამის მოძებნას ცდილობდა. მაგრამ ახლა ვხვდები, რომ მას სრულიად სხვა მიზანი ამოძრავებს.

— რა მიზანი? — ჰკითხა კოტემ.

— შურისძიება!.. დიდავასთან შეხვედრისას, მას ერთხელაც არ უკითხავს სხვა დედამამიშვილების შესახებ — მხოლოდ ხიჯბათი ინტერესდებოდა. დარწმუნებული ვარ, მან იცის, სად უნდა ეძებოს ადამიანი, რომელმაც ამდენი უბედურება მოუტანა!

— ესე იგი, ჯერჯერობით თბილისში არ დაბრუნდება...

— ვერა... ვგრძნობ — რომ წამოვიდე, ცოტა ხანში ისევ აფხაზეთში დაბრუნება მომელის. თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს.

— რა გინდა?

— იქნებ რომელიმე გამომძიებლისთვის დაგვევალებინათ ნიშნიანიძის დამუშავება. მას უეჭველად ეცოდინება ხიჯბას ადგილსამყოფელი, — გიორგი წამით დადუმდა და მერე დაამატა: — ხიჯბა მანამდე უნდა მოვძებნოთ, ვიდრე ამას კილაძე მოახერხებს!..

გაგრძელება შემდეგ ნომერში



დასაწყისი იხ. „გზა“, № 43-47

მარი ჯაფარიძე

ლევანს წარბივ არ შეუხრია ანას სი-  
ტყვებზე. ლამის ცხვირი ცხვირზე მიადო  
და თვალეში ისე ჩახედდა. კარგა ხანს  
ბურღავდნენ ერთმანეთს თვალებით, შემ-  
დეგ მამაკაცი წელში გასწორდა, ჩაიცინა  
და თავის ადგილს დაუბრუნდა.

— გინდა, გითხრა, შენს თვალეში  
რა დავინახე? — ჰკითხა რაღაცნაირი,  
ჩამქრალი ხმით.

— შენ ან მკითხაობა დაიწყე, ან  
ფსიქოლოგობა, — ანამ საუბრის თემის  
შეცვლა სცადა.

— მე შენს მზერაში წარსულის გამო  
სინანული და ტკივილი დავინახე. სიყ-  
ვარული კი — ვეღარ. აქამდე სულ მე-  
გონა, ჩემს დავინწყებას ვერ შეძლებდი,  
თუნდაც იმიტომ, რომ შენთვის პირვე-  
ლი მამაკაცი ვიყავი, მაგრამ თურმე ვცდე-  
ბოდი. შენ აღარ გიყვარვარ და ეს შენმა  
თვალეებმა მითხრეს.

— ბევრი დრო გავიდა, ლევან...

— მერე რა, ზუსტად იმდენივე დრო  
გავიდა ჩემთვისაც, მაგრამ მე ისევ მიყ-  
ვარხარ.

— სისულელეებს ნუ მელაპარაკები,  
რაც იყო, აღარ დაბრუნდება. ჩვენ მხო-  
ლოდ მეგობრობა შეგვიძლია. შენ მარ-  
თალი ხარ, აღარ მიყვარხარ. სისულე-  
ლეა იმის მტკიცება, რომ თუ ადამიანი  
შეგიყვარდა, იმას ვერ გადაიყვარებ და  
რომ სიყვარული მხოლოდ ერთხელ  
მოდის ცხოვრებაში. ეს პოეტების მიერ  
გალმერთებული და გაკულტებული  
გრძნობაა. სინამდვილეში კი სიყვარული  
რამდენჯერმე მოდის და სხვადასხვანაირ-

ად. შენ მიყვარდი, არ უარყოფ, მაგრამ  
შენ შემდეგ სხვაც მიყვარდა და შენზე  
ნაკლებად — არა. გინდა, გასწავლო,  
როგორ უნდა მიხვდე, ადამიანს სიყ-  
ვარულში გაუმართლა თუ არა?

— ჩემგან განხვავებით შენ ფილოსო-  
ფოსობა დაგინწყია, — ჩაეცინა ლევანს,  
— მაინტერესებს შენეული „თეორემა“.

ამ დროს შემოსასვლელი კარის ხმა  
გაისმა და ოთახში მაიკო შემოვიდა.

— აბა, როგორ ხართ? ხომ არ მოი-  
წყინეთ? რა ცხვირ-პირი ჩამოგტირით,  
რა იყო? — ორივეს გადახედა.

— მოდი, მოდი, დაჯექი, საინტერესო  
თემაზე ვლაპარაკობთ, — ლევანმა დი-  
ვანზე ხელი დაარტყა.

— ახლა მე თქვენ ორივეს ერთ კითხ-  
ვას დავისვამთ და გულახდილად მიპა-  
სუხეთ — როგორ გგონიათ, ერთი სიც-  
ოცხლეა ცოტა ერთი სიყვარულისთვის  
თუ ერთი სიყვარულია ცოტა ერთი სიც-  
ოცხლისთვის? — ანამ თვალეში მოწკურა  
და ხან ერთს შეხედავდა, ხან — მეორეს.

— ერთი სიცოცხლეა ცოტა ერთი  
სიყვარულისთვის, — დაფიქრების შემ-  
დეგ თქვა მაიკომ.

— მე კი პირიქით მგონია, ერთი სიყ-  
ვარულია ცოტა ერთი სიცოცხლისთვის,  
— ღიმილით თქვა ლევანმა.

— ჰოდა, მაგას ვამბობდი. ამ კითხ-  
ვაზე პასუხი საკმარისია საიმისოდ, რომ  
იმ ადამიანის სიყვარულის „დიაგნოზი“  
დასვა. მაიკოს გაუმართლა, ცოლად თავის  
პირველ სიყვარულს გაჰყვა და დღემდე  
უყვარს. ამიტომაც ეცოტავება მთელი  
ცხოვრება მახოს სიყვარულისთვის. შენ  
კი, ჩემო ლევან, რამდენჯერ გიყვარდა?

— სამჯერ, — მოკლედ უპასუხა მა-  
მაკაცმა.

— ჰოდა, რაღა თქმა უნდა, რომ  
კიდევ იქნები სიყვარულის ძიებაში და  
ერთი სიყვარული გეცოტავება შენი ცხოვ-  
რებისთვის. შენ არ გაგიმართლა!

— არ გეთანხმები, მაგრამ დავანებოთ  
მაგას თავი, შენ როგორ უპასუხებდი ამ  
კითხვას? — ახლა ლევანმა მოწკურა  
თვალეში.

— შენაირ პასუხს გავცემდი... როცა  
შენ მიყვარდი, როცა გოჩა მიყვარდა,  
მაშინ რომ ეკითხა ვინმეს, რაღა თქმა  
უნდა, ვეტიყოდი, რომ ერთი ცხოვრება  
მეცოტავება ამ ადამიანის სიყვარულის-  
თვის, მეორე, მესამე და დანარჩენ ცხ-  
ოვრებაშიც მინდა, რომ მიყვარდეს-მეთ-  
ქი, მაგრამ ახლა ასე არ ვფიქრობ.

— გოჩა ვინაა? — მიამიტი სახით  
იკითხა ლევანმა.

— ჩემი პირველი ქმარი.

— შენ რა, მეორეც გყავდა? — თითქ-  
მის ერთდროულად იკითხეს მაიკომ და  
ლევანმა.

ანას გაეცინა, ფეხზე წამოდგა, ყელი  
მოიღერა და პათოსით წარმოთქვა:

— გაიცანით, საქართველოს დამსახ-  
ურებული ცოლი, ორგზის ქვრივი, ქალ-  
ბატონი ანა კალდერონი! — ხელი გულზე  
მიიდო და „პუბლიკას“ გადახედა.

მაიკომ გადაიკისკისა, ლევანმა ჩაიცი-  
ნა.

— ანა როდის აქეთ გახდი? — ჰკითხა  
ქალს.

— მას შემდეგ, რაც „მამაჩემმა პეტერ-  
ბურგში წაგიღო და ქართული სულ  
დაგავინწყა“... — გააღიმა და დივანზე  
დაეშვა.

— ანა, მანქანით ხარ? — ჰკითხა  
მაიკომ.

— კი.

— ის დიდი, წითელი ჯიპი ჩემს სა-  
დარბაზოსთან რომ დგას, შენია, ხომ?  
ნომრით მივხვდი, რომ შენი იქნებოდა.  
უცნაური სიტყვა ანერია, ნომრის მაგ-  
ივრად. მივხვდი, რომ ლათინური სიტყ-  
ვაა და გამახსენდა, რომ ლათინურს  
ფლობ.

— ვაა, 100-ათასიანი „რეინჯ როვერ-  
ით“ ხარ მოსული? მეც შევინებე ეგ მან-  
ქანა, რომ შემოვდიოდი, — გაუკვირდა  
ლევანს.

— დიას, მაგით ვარ მოსული.

— ვაა...

— ეგ ჩემი მეორე ქმრის მემკვიდრე-  
ობის წყალობაა, — ხელი ჩაიქნია ანამ.  
— სარფიანად გათხოვილხარ და  
დაქვრივებასაც სულზე მოუსწრია, —  
ირონიული გახდა ლევანი.

ანა მოიღუშა. ცოტა ხნით გაჩუმდა,  
შემდეგ კი ფეხი ფეხზე გადაიდო და დაი-  
წყო:

— თუ გინდათ, მოგიყვებით იმას,  
რაც მხოლოდ მე ვიცი... მას შემდეგ, რაც  
ბავშვი დაიღუპა, — მსმენელთა პასუხს  
არ დაელოდა ანა, ისე დაიწყო თხრობა.

— ვისი ბავშვი დაიღუპა? — იკითხა  
ლევანმა.

— ამან არ იცის? — მაიკოს გადახე-  
და ანამ.





— მე არ მიტყვამს, — მხრები აინწუნა მაიკომ.

— ჩემო ლევან, ჩემი და შენი ანუ ჩვენი პირველი ლამის შემდეგ 2 კვირა რომ გავიდა, ჩემდა სამწუხაროდ, აღმოვაჩინე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი, — ლევანი შეკრთა, თითქოს შესცივდაო, ისე შეაკანკალა, — ჰოდა, მას შემდეგ, რაც მუცელი წამომეზარდა, მაიკოსთან ურთიერთობაც გავწყვიტე, რადგან ჯერ ერთი, გარეთ იშვიათად გამოვდიოდი, რომ ჩემი „სამარცხვინო“ მუცელი სხვისი გარჩევის საგანი არ გამხდარიყო და თვალში არავის მოხვედროდა და მეორეც — შენ რომ არ გაგეგო ეს ამბავი. ჰოდა, ასე იყო თუ ისე, გოგონა შემეძინა, მაგრამ 3 კვირით ადრე ვიმშობიარე და ბავშვის გადარჩენა ვერ მოახერხეს. ახლა ამას თითქოს იოლად ვამბობ, მაგრამ მაშინ ძალიან მძიმე დღეები დავავიტანე... მოკლედ, რამდენიმე ხნის შემდეგ გავიცანი ბიძაჩემის მეგობარი, სვანი ბიჭი, რომელსაც მანამდე იმ მიზეზით არ ვიცნობდი, რომ საქართველოში არ იმყოფებოდა. ეს გახლდათ გოჩა, რომელიც ისეთი თავდავიწყებით შემიყვარდა, რომ საკუთარ სიცოცხლეს მერჩივნა. ეს, ლევან, ჩვენი ბოლო შეხვედრიდან ორწლიანხანგრის შემდეგ მოხდა. თუმცა სვანური, ველური წეს-ჩვეულების გამო, ჩემი ქმარი ქორწილის დღეს მოკლეს — სისხლი აიღეს. 12 საათის გათხოვილი დავკვირვდი... ქმრის საფლავზე დავიფიცე, რომ მის მკვლელს არ შევარჩენდი და სისხლს ავიღებდი. თუმცა, ამის სისრულეში მოსაყვანად დრო მჭირდებოდა, რადგან მამინევი რომ ამესრულებინა ჩემი მუქარა, ცხელ კვალზე დამაპატიმრებდნენ, მე კი ციხეში ყოფნის სურვილი არ მქონდა. ჰოდა, ამის შემდეგ 1 წელი სვანეთში ვიყავი და ქმარს ვგლოვობდი. წლისთავზე დავბრუნდი თბილისში და ამერიკაში წასასვლელად დავინწყე მზადება...

ანას გაუმართლა და ვიზა მიიღო. სულ მალე ნიუ-იორკში ჩავიდა. ვინაიდან მხოლოდ ლათინური და ესპანური იცოდა, თავიდან ცოტა გაუჭირდა. ლათინურს, აბა, რაში გამოიყენებდა და ესპანური კი ნამდვილად გამოადგა.

თავიდან რუს ცოლ-ქმართან დაინყო მუშაობა, ბავშვს უვლიდა და სახლს ალაგებდა. მერე ინგლისურშიც გაიტეხა ენა, რუს ქალბატონთან უკმაყოფილებაც მოუვიდა და ამერიკელებთან გადავიდა სამუშაოდ. ქალს კარგად შეეგუა, დამეგობრდნენ კიდევ. როდესაც დიასახლისმა გაიგო, რომ ანა ექიმი იყო, ქმარს უთხრა — ცოდვაა მისი ოჯახში სამუშაოდ მოცდენა, განათლებული გოგოა, ოფისისთვის თანამშრომელს რომ ეძებდი, იქნებ ანა წაიყვანო და დაასაქმოო.

ასე მოხვდა პრესტიჟულ საადვოკატო ფირმაში, ოფისის თანამშრომლად. ამ ფირმის კლიენტები ცნობილი, გავლენიანი, მდიდარი ადამიანები იყვნენ და ადვოკატები შრომის ანაზღაურებას საათობრივად იღებდნენ. ზოგიერთი მათგანის მომსახურება საათში 500

დოლარიც კი ღირდა.

ანა საქმეს კეთილსინდისიერად ასრულებდა. გასამრჯელოც კარგი ჰქონდა. თავიდან კვირაში 2 ათასს უხდიდნენ. თან, განსაკუთრებული არაფერი ჰქონდა გასაკეთებელი. ოფისში 25 ადამიანი მუშაობდა. თუ ვინმეს საბუთების მონესრიგება სჭირდებოდა ან ყავის მოდულება, ყველაფერს ასრულებდა. მანქანაც მისცეს და კურიერის მოვალეობასაც ითავსებდა. მერე, როცა ენა სრულყოფილად აითვისა, ტელეფონსაც პასუხობდა და კლიენტებს საჭირო ინფორმაციას აწვდიდა, ადვოკატებთან შეხვედრებს უნიშნავდა... ყველა თანამშრომლის შეხვედრის გრაფიკს ადგენდა და ის, რაც მანამდე მოუწესრიგებელი იყო, ისე დააალაგა, რომ მუშაობის ასეთი სტილი ყველას მოეწონა და მადლობასაც უხდიდნენ. ხელფასი მოუმატეს. ახლა უკვე კვირაში 4 ათასს უხდიდნენ.

ბოლოს, როცა შეფის მდივნის ადგილი გათავისუფლდა, მის ადგილზე გადაიყვანეს. ხელფასიც გაუზარდეს და უკვე კვირაში 5 ათასს იღებდა. ასე იმუშავა 4 წელი.

ოფისის თანამშრომლებმა შეიყვარეს მხიარული, საქმიანი და ლამაზი გოგონა. ყველას უკვირდა, რომ ასეთი ლამაზი გოგო პაემნებზე არ დადიოდა, არავის ხვდებოდა და მამაკაცის გარეშე ცხოვრობდა.

ანა უხსნიდა, რომ მის ქვეყანაში ასეთი რამ მიღებული არ იყო. ამერიკელებს კი უკვირდათ და მხრებს იჩენდნენ.

ერთ დღეს შეფმა გააფრთხილა, რომ გავლენიანი ადამიანი აპირებდა მასთან მისვლას და როგორც კი გამოჩნდებოდა, დაუყოვნებლივ შემოეშვა კაბინეტში. ცოტა ხანში ძალიან სიმპათიური, ახალგაზრდა მამაკაცი მივიდა.

— უთხარით თქვენს შეფს, რომ ბელტრან კალდერონი ელოდება, — მიმართა ანას.

— ახლავე, — უპასუხა ანამ და შეფს დაურეკა.

სტუმრის სახელითა და გვარით მიხვდა, რომ ესპანელი იყო.

— მიბრძანდით, ბატონო ბელტრან, გელოდებიან — გაუღიმა სტუმარს.

— ნათელი თვალები გაქვთ, — კომპლიმენტი უთხრა მამაკაცმა.

— ისევე, როგორც თქვენ — სახელი, — ესპანულად უპასუხა ანამ, — თქვენი სახელი, ბელტრანი ხომ „ნათელს“, „სინათლეს“ ნიშნავს?

— ესპანელი ხართ? — მშობლიური ენა რომ გაიგონა, გაუკვირდა.

— არა, ქართველი. იცით, საქართველო სადაა?

— კი, — თავი დააქნია ბელტრანმა და კაბინეტში შევიდა.

იქიდან გამოსულმა, თავისი სავიზიტო ბარათი ანას მაგიდაზე დაუდო.

— შაბათს, 3 საათზე დაირეკეთ, — კი არ უთხრა ან სთხოვა, თითქოს უბრძანა ქალს.

ანამ ნებართვა შეფს სთხოვა და ბელტრანს დათქმულ დროს დაურეკა. მა-

მაკაცი მაშინვე მიხვდა, ვინც ურეკავდა.

— შენს ზარს ველოდი, ვიცოდი, დარეკავდი, — უთხრა და პაემანი დაუწინაშა.

ერთმანეთს რესტორანში შეხვდნენ.

— მე ძალზე გავლენიანი ბიზნესმენი ვარ, — უთხრა ანას, როდესაც მის შესახებ გარკვეული ინფორმაცია მიიღო, — შენნაირი, ლამაზი ქალი მჭირდება, რომელიც ყველგან გვერდს დამიმშვენებს და თან ესპანურშიც იცის. კარგად გადაგიხდი, ოღონდ, საადვოკატო ფირმიდან უნდა წამოხვიდე.

— ვინაიდან იქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და კარგადაც მიხდინა, გარანტია უნდა მქონდეს, რომ იმ სამსახურიდან წამოსვლის შემდეგ მუდმივი სამუშაო მექნება და არ დავზარალებები, — პირობა წაუყენა ანამ.

— რამდენი გაქვს ხელფასი?

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს, თუ თქვენს წინადადებას დავთანხმდები, კვირაში 15 ათასი უნდა გადამიხადოთ, თანაც, სულ ცოტა, 10 წლით უნდა გამიფორმოთ კონტრაქტი.

მამაკაცს გაეცინა.

— მოვიფიქრებ და პასუხს შეგატყობინებთ, — უთხრა და წამოდგა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ აუდიენცია დამთავრდა. — მე წაგიყვანთ შინ, — მოჭრით უთხრა, თითქოს ეწინოდა, ანას უარი არ ეთქვა, მაგრამ ის არც აპირებდა შინ ტაქსით ან ფეხით წასვლას. როდესაც სასულთან მანქანიდან გადმოვიდა, მისურული კარი ხელმეორედ გამოალო და მანქანის სალონში თავი შეყო.

— კონტრაქტის პირობებში აუცილებლად უნდა ჩაიდოს პუნქტი, რომ ჩვენს ურთიერთობაში სექსი არ შედის, — კატეგორიული ხმით უთხრა.

მამაკაციმ თავი უხმოდ დაუქნია.

1 კვირა ელოდა მის ზარს და იმედი რომ გადაეწურა, სწორედ მაშინ დაურეკა.

— თქვენს პირობებზე თანახმა ვარ, ოღონდ კონტრაქტს მხოლოდ 5 წლით გავაფორმებთ და ერთ პუნქტს დავამატებთ.

— რა პუნქტს? — დაინტერესდა ანა.

— ამ 5 წლის განმავლობაში გათხოვება და სხვა მამაკაცთან შეხვედრა, პაემანზე სიარული აკრძალული გექნება.

ანამ უცებ გადათვალა — თვეში 60 ათასი — წელიწადში 720 ათასია, 5 წელიწადში — 3 მილიონზე მეტი გამოდიოდა, თითქმის 4 მილიონი. ამაზე უარის თქმა არ შეიძლებოდა.

— თანახმა ვარ, — ძალზე მშვიდი ხმით უპასუხა, თუმცა სისარულისგან ალელდა. ხუმრობა ხომ არ იყო, ამხელა ფული... განა ყველას უმართლებს ასე?

რამდენიმე დღეში კონტრაქტი გააფორმეს და ანა უკვე „დაქირავებული მეგზური“ გახდა.

მისი ახალი სამსახურის პირველი დღე იმით დაიწყო, რომ საცხოვრებლად ბელტრანის უზარმაზარ სახლში გადავიდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# აქსარული ოქნები

## საება კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

[gza.fantazia@gmail.com](mailto:gza.fantazia@gmail.com)

დასაწყისი იხ. „გზა“ №38-47

ნინის გიოზე ფიქრი არ შორდებოდა. ვინ იცის, იქნებ იმიტომ დათვრა წუხელ, მასთან ერთად სასტუმროში რომ არ დარჩა?... გამორიცხულია. რობაქიძე ის კაცი არ არის, ქალისგან უარი ასე განიცადოს. ასეთ რამეებს არასდროს შეიმჩნევს. არც გაუჭირდებოდა შემცველების მოძებნა. მაშინვე დაურეკავდა მორიგ საკბილოს თავისი საამაყო სი-

იდან და მასთან ერთად მშვენიერ ლამესაც გაატარებდა.

მართალია, ნინი თავადაც საშინლად განიცდიდა, რაც მის ირგვლივ ხდებოდა და ტყუილად აჩვენებდა ყველას თავს, თითქოს მშვენივრად შეენყო თბილისს, მაგრამ სხვა გზა არ რჩებოდა. იგი საათობით იჯდა ლელუკასთან ოთახში და ნაძალადევი მსიარულებით უყვებოდა, რა კარგ ადგილას მოხვდა, როგორ აულო ალო სამუშაოს, როგორ მეგობრობდა თანამშრომლებთან, თუმცა გიოზე სიტყვა არასდროს დასცდენია, არც იმაზე, რომ მისი ბინიდან გადასვლას აპირებდა.

დედაქალაქში გატარებულმა რამდენიმე კვირამ გოგონას ბევრი რამ ასწავლა. თუ თავიდან სიხარულით მეცხრე ცაზე დაფრინავდა, ყველაფერს ზედაპირულად უყურებდა და ეგონა, თორნიკესთან ერთად მთებს გადადგამდა, თანდათან მიწაზე დაეშვა და ცივი გონებით შეუდგა განსჯას. ის მოძებნის სხვა ბინას, შეუამხანაგდება თანამშრომელ გოგონებს, რომ ქირის გადახდა გაუადვილდეს, გააგრძელებს მუშაობას; ხოლო თუ თორნიკე ოდესმე გონს მოეგება, აპატიებს დაშვებულ შეცდომებს და მიიღებს. არც თვითონ არის მამა აბრაამის ბატკანი, თვითონაც არაერთი შეცდომა დაუშვა, ამიტომ კუდის ყავარზე გადება არ ღირს... როცა ორივენი აღიარებენ თავიანთ დანაშაულს და ერთმანეთს აპატიებენ, სიცოცხლეც უფრო მშვენიერი გახდება და ცხოვრებაც გაცილებით მალე ჩადგება კალაპოტში... მაგრამ

ამ ბიჭს რაღა დაემართა? ნინის ისე შეეცოდა გიო, გული დაეწვა. როგორ მოუწნა, იმწუთას მისი თავი მკერდზე მიედო და იმდენ ხანს მიჰფერებოდა, სანამ მამაკაცს თავის ტკივილი არ გაუვლიდა.

არა, არა, ასე ფიქრი არ ივარგებს. როგორმე უნდა გაერიდოს რობაქიძეს, თორემ მასთან ასეთი სიახლოვე კარგს არაფერს მოუტანს. გული უგრძობს ამას.

ნინის ბევრი არ უყოყმანია. როგორც კი ამ დასკვნამდე მივიდა, მაშინვე თავისი გეგმის განხორციელებაზე დაიწყო ფიქრი. საღამოს, შინ მივიდა თუ არა, ლელუკასთან შეიარა და თავისი ნაფიქრი გაანდო.

— შენ რა, სხვაგან აპირებ გადასვლას? რატომ, სიხარულო? ცუდად გექცევი? რამე არ მოგწონს? — შემფოთდა ქალი.

— ჩვენიან რამდენიმე თანამშრომელი ერთად ცხოვრობს ქირით, სამი

გოგოა, ერთი გათხოვდა და ადგილი გაუთავისუფლდა. გადავწყვიტე, მათთან გადავიდე, ასე უფრო მოხერხებული იქნება ჩემთვის, — დამნაშავესავით გაიღიმა ნინიმ.

— გასაგებია... — ჩაფიქრდა ლელუკა. — მე კი მეგონა... რა მითხარი, რომელ უბანშიაო?

— საბურთალოზე. უკვე ვნახე და მომეწონა. მართალია, მარტო არ ვიქნები, თუმცა, ვფიქრობ, ასე აჯობებს. ორ კვირაში გადავალ. იმედია, არ გენწყინება და ამ ხნის განმავლობაში იბოვო ვინმეს, ჩემი ოთახი რომ მიაქიროაო.

— მაგაზე ნუ დარდობ, პატარავ, მდგმურის პრობლემა არასდროს მანუხებდა. ერთნი მიდიან, მეორენი მოდიან. ხანდახან, იცი, რა მგონია? რომ ჩემი სახლი ტრამპლინია, საიდანაც მდგმურები სტარტს იღებენ უკეთესი ცხოვრების დასაწყებად. ისე მოიქეცი, როგორც შენთვის აჯობებს, მაგრამ არ დამივინყო, კარგი? თუ რამეა, ნებისმიერ დროს შეგიძლია მობრუნდე, შენთვის ოთახს ყოველთვის გამოვინახავ. სიამოვნებით მიგიღებ, ეს გახსოვდეს.

— დიდი მადლობა, ლელუკა... ისე მელაპარაკები, თითქოს ანტარქტიდაში გადავდიოდე საცხოვრებლად, — გაეცივნა ნინის.

— ძალიან დამაკლდები, რომ წახვალ, ამიტომაც გელაპარაკები ასე. ხომ ხედავ, როგორ მიგეჩვიე... ჩაპაც კი მოიწყენს, შენ რომ არ იქნები.

— მთლად ასე არ დავიკარგები, ხშირად შემოგივლით სანახავად... რას ამბობ, ლელუკა, შენგან იმდენი სიკეთე მასხოვს...

ნინი ქალს თბილად გადაეხვია და თავისი ოთახისკენ გასწვია. ის იყო, კარი შეაღო, რომ ტელეფონი ანკრიალდა. თორნიკე ურეკავდა.

— საყვარელო, როგორ ხარ? — მამაკაცი კარგ ხასიათზე ჩანდა.

— თოკო! როგორ გამიხარდა შენი ხმის გაგონება... არა მიშავს. შენ როგორ ხარ?

— საშინლად, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა თორნიკემ, — მისმინე, ნინ, ძალიან მრცხვენია, საერთოდ რომ ვერ გაქცევი ყურადღებას. რაღაც უნდა ვილონო. გინდა, კინოში წავიდე?

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ნინი ალბათ სიხარულისგან შეხტებოდა ასეთ შემოთავაზებაზე, მაგრამ ამჯერად რეაქცია არ ჰქონია, ერთი სიმიც არ შერხევია გულში. თუმცა უარი მაინც ვერ უთხრა შეყვარებულს.

— დიდი სიამოვნებით!.. სად შეგხვდე?

— ხვალ საღამოს, შვიდ საათზე კინოთეატრ „რუსთაველთან“ დაგელოდები. ხომ მოხვალ?

— რა თქმა უნდა, მოვალ, თორნი, აუცილებლად მოვალ.

მეორე დღით ნინი ადრე გავიდა სახლიდან. სამუშაო საათები მორჩე-





ბოდა თუ არა, პირდაპირ თორნიკე-სთან შესახვედრად გაეშურებოდა, ამიტომაც საგანგებოდ გამოპრანჭული გამოცხადდა სამსახურში. გიო არ ჩანდა. გოგონამ ყავა მოიღვლა და მუშაობას უგულოდ შეუდგა. გრძობდა, რომ არაფერი უხაროდა, არც სალამოს დაგეგმილი პაემანი და არც ის, რომ საცხოვრებელი ადგილი უნდა გამოეცვალა.

რობაქიძე მოგვიანებით მოვიდა. იგი ზედმეტად ცივად მიესალმა. ორიოდ სიტყვით გამოჰკითხა, — როგორ მიდის საქმეებიო? — და თავის კაბინეტში შეიკეტა. მისმა ასეთმა ცვლილებამ ცოტა არ იცოს, გააოგნა გოგონა. რა დაემართა? იმ სალამოს მერე სულ სხვანაირი გახდა... თვითონ ხომ არ არის ამის მიზეზი? რა ხდება?... ამაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა.

ნამუშაოდევს გიომ კაბინეტის კარი გამოაღო და გოგონას ანიშნა, ცოტა ხნით ჩემთან შემოდო. ნინის გულმა გამალებით დაუწყო ცემა, თავადაც არ იცოდა, რატომ.

— რამდენიმე დღე არ ვიქნები, ამიტომ ყურადღებით უნდა იყო და აქაურობას მიხედო. იმედა, არ დამაღალატებ და საქმეებს არ გამიფუჭებ, — გამჭოლი მზერა ესროლა მამაკაცმა.

ნინიმ გაოცებისგან წარბები აზიდა. — მივიღინება? შორს მიდიხარ? — ღიმილით ჰკითხა გოგონამ, თითქოს მათ შორის გაჩენილი ყინულის გაღობა სურსო.

მაგრამ მამაკაცმა ისეთი ცივი მზერით შეხედა, ნინიმ ტუჩი მოიკვნითა.

— კიევში მივფრინავ. მარტო? — ენის წვერზე მოადგა გოგონას, მაგრამ უტაქტო შეკითხვისგან დროზე შეიკავა თავი.

— წარმატებულ მივიღინება გისურვებ... ბოლო დღეებში ძალიან დაღლილი ჩანხარ, ვერ გამოიყურები კარგად.

— გმადლობ, ჩემო კარგო, — გულგრილად უპასუხა გიომ, — კარგი იქნება, თუ საღამომდე იმ წერილებს გამიმზადებ, გუშინ რომ დაგიტოვე.

დამპალი! ერთი თბილი ღიმილიც ვერ გაიმეტა! არადა, ორი დღის წინ რა სხვანაირი იყო?! რა უცნაურია ეს ყველაფერი!

— წერილები მზად არის, — ირონია გაურია ხმაში, — ახლავე შემოგიტანთ! — ოფიციალური ტონით დაამატა, მისაღებში გავიდა, უჯრიდან საქალაქო აპოილო და ოთახში შებრუნებულმა ლამის ცხვირწინ დაუხეთქა მამაკაცს.

არა, ეს რა საქციელია? ისე მაინც ეთქვა, ზრდილობისთვის, კარ-

გად გამოიყურებო... ზედაც არ შეხედა! თავხედი! ვინ ჰგონია ამას ნინი! როგორ ექცევა?

გოგონამ ორპირი მზერა ესროლა გიოს, მერე ცალკვად გაუღიმა, ამაყად შეტრიალდა და დემონსტრაციულად დატოვა კაბინეტი.

ფილმი არც ერთს არ მოეწონა. როცა კინოთეატრიდან გამოვიდნენ, სავახშმოდ ლესელიძეზე ჩავიდნენ, კაფეში.

— იცი, ბინა რომ ვიშოვე? — საზეიმო ხმით ამცნო თორნიკემ.

— მართლა? — დაბნეულად შეხედა ნინიმ. — კარგია.

მამაკაცს მისი რეაქცია არ მოეწონა.

— რაღაც უცნაურად შეხედი ამ ამბავს... მეგონა, გაგიხარდებოდა... პირველივე დღიდან ამაზე ოცნებობდი, ყურები გამომიჭედე ბინაზე ლაპარაკით, ახლა კი...

— მაპატიე, — ამოიოხრა გოგონამ, — უკვე აღარაფრის იმედი არ მქონდა. როგორია? ტერიტორიულად სად მდებარეობს?

— ვაკეში, ყველაზე პრესტიჟულ ადგილას. თან არ იცი, რა მაგარია?! ზღაპრული ბინა!

— მთავარია, რომ პრესტიჟულ რაიონშია, — იქედნურად ჩაიცინა.

თორნიკე გაბრაზდა.

— აბა, იაფიანი და ნახევრად სარდაფი უკვე ნაპოვნი გქონდა, რაღაზე გავიგიუბდი თავს?

ნინიმ ღვინით სავსე ჭიქას ხელი წაავლო და ტუჩებთან მიიტანა. მოულოდნელად, რატომღაც, გიოს ნაჩუქარი ვარდი გაახსენდა და თითქოს რაღაცამ ნაუჭირა ყელში.

— ჩემი აზრით, იცი, რა არის მთავარი? შენი თავის ფასი იცოდე ადამიანმა; იცოდე, რისკენ მიილტვი ცხოვრებაში და როგორ ახერხებ ამას.

— ამით რისი თქმა გინდა, სიხარული? რაღაც ვერ გავიგე, — წარბები აზიდა თორნიკემ.

— არაფერი, ისე ვთქვი, ჩემთვის... არ მიაქციო ყურადღება... — უცნაურ-

რად გაიღიმა გოგონამ. — როდის გადადიხარ?

— ალბათ კვირის ბოლოს. სახლის პატრონი გერმანიაში მიემგზავრება ორი წლით და რამდენიმე დღეში ჩამაბარებს გასაღებს.

— როგორც ჩანს, ჩემზე ადრე გინვეს გადასვლა. მე მხოლოდ ორი კვირის შემდეგ გადავდივარ ქეთისთან.

— ქეთი ვინ არის? რა შუაშია ქეთი? — ვერ მიუხვდა თორნიკე.

— ჩემი თანამშრომელია. საბურთალოზე ქირაობს სამოთახიან ბინას. მასთან მე დავკიდევ ერთი გოგო ვიცხოვრებთ.

— ნუ სულელობ, საყვარელო. შენ რა, მეხუმრებ? ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ, ხომ შევთანხმდით?

ნინის სიცილი აუტყდა. ასეთი დაბნეული თოკო რამდენი ხანია, არ უნახავს.

— ნინ, მგონი, ვერ გაიგე, რაც გითხარი. ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, ერთად ვიქნებით! მიხვდი?

— და, შენი აზრით, ეს ნორმალური იქნება? — თვალბრუნებით მოხუჭა გოგონამ.

— იქნებ ყველაფერი ისე დავტოვოთ, როგორც არის, სანამ განქორწინების საქმეს არ მოაგვარებ? ასე არაფერი გამოვა.

— მაგრამ განქორწინების პროცესი შეიძლება, ძალიან გაინელოს! — მამაკაცმა ხელზე ხელი დააადო. — იცი, ბოლო დროს ძალიან ბევრი ვიფიქრე ჩვენზე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ მეტის მოცდა არ შემიძლია.

ნინის თვალი უაზროდ გაუშტერდა. საინტერესოა, რა მოხდა, რატომ შეიცვალა თორნიკე ასე მოულოდნელად? რა ჩაიფიქრა?

— გარდა ამისა, მე შენი იმედი მქონდა, — გააგრძელა მამაკაცმა, — იცი, რა ძვირი ღირს ის ბინა? ხუთასი დოლარი! ლელუკას სორო არ გეგონოს. მარტო მე ვერ გავწვდები ქირას.

— თუ ძვირია, ვინმე შეიამხანავებ და ორს უფრო გაგიადვილებათ გადახდა, — ირონიული ღიმილი არ შორდებოდა გოგონას.

— დამცინე? მე შენთვის მსურდა კომფორტის შექმნა, სხვა რა ჯანდაბად მინდა? რატომ მელაპარაკები ასე? გადაიფიქრე? რამე პრობლემა გაქვს? მითხარი, თუ რამე ხდება!

— არავითარი პრობლემა არ მაქვს, — მშვიდად უპასუხა ნინიმ, — მე ვიცხოვრებ ქეთისთან და მაკოსთან. პრობლემა შენ გაქვს — ბინის ქირის ხუთასი დოლარი ყოველთვიურად!

— ხანდახან მეჩვენება, რომ საერთოდ არ გიცნობ... — ხმადაბლა ჩაილაპარაკა მამაკაცმა.

— საიდან უნდა მიცნობდე? შენ სად გაქვს იმის დრო, მე გამიცნო? მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც აქ ჩამოვედი. რას იზამ, შენ კი არა, თავად ვერ ვცნობ ჩემს თავს. დრო





მიდის, ყველაფერი იცვლება. ბოლო დღეებში შევამჩნიე, რომ თურმე მეც შევიცვალე, — თქვა ნინიმ და ნაყინის ვარდისფერ ბურთულას შეავლო თვალი, რომელიც ის იყო, ოფიციალტმა მოიტანა, — რალაც ნაყინის სურვილმა გადაიმიარა, — ტუჩი აიბზუა და ფეხიანი ჭიქა გვერდზე გასწია.

— ნუ შეჭამ, თუ არ გინდა... მომისმინე, ნინ. თუ ძალიან გინდა, იმ გოგობთან იცხოვრო, შენი ნებაა, არ დაგიშლი, მაგრამ ჩვენს ურთიერთობაში რალაც-რალაცები აუცილებლად უნდა შეიცვალოს. გესმის?

— რას გულისხმობ?

— გეყოფა მონაზონივით ცხოვრება, — ნერვიულად გაიცინა თორნიკემ, — მეც დავილაღე, კაცი ვარ და ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება. მეყოფა, რაც ვითმინე.

— მართლა? და რას მთავაზობ, შენი საყვარელი გავხდე?

— რატომ საყვარელი? რა სისულელე... ჩვენ მალე დავეორწინდებით, თანაც, გიო რამდენიმე დღით ქალაქიდან გადადის და სახლში მარტო ვრჩები. სანამ გადავაღ, იქ შეგვიძლია შევხვდეთ ერთმანეთს, დღეც და ღამეც.

— ვიცი, — გაუფრთხილებლად შენიშნა ნინიმ, რობაქიძის გასხენებაზე ისევ შეეკუმშა გული.

მამაკაცი მოილუშა.

— იცი? საიდან იცი? ლელუკამ გითხრა?

— არა, ლელუკამ არა, თავად გიომ მითხრა. მე სტუდიაში ვმუშაობ, მისი პირადი თანაშემწე ვარ.

— რა-ა? — მამაკაცი თავზარდაცემულივით შეხტა. — რატომ აქამდე არ მითხარი?

— როდის უნდა მეთქვა? ოდესმე გეცალა ჩემთვის? არადა, რამდენჯერ ვცადე! ერთხელაც არ მომისმინე ბოლომდე, და იცი, რატომ? არ გაინტერესებდა და იმიტომ... ისევე, როგორც სხვა დანარჩენი, რაც მე მესება!

— წარმატებებს გისურვებ! — ირონიულად შენიშნა თორნიკემ. — გიო დიდი შენაძენია, ენა სამართებლივით უჭრის, ხასიათი ხომ, ნუ იტყვი!.. ისეთი მყრალი აქვს!

— რა თქმა უნდა, ასეთი რამეებისგან თავს შორს დავიჭერ. მასთან მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა მაკავშირებს და მეტი არაფერი!

— ასე მგონია, ჩემთან ყოფნა აღარ გინდა... ასეა? — პატარა ბავშვივით გაიბუტა მამაკაცი. — როცა ამის შესაძლებლობა არ გვექონდა, მაშინ ძალიან გინდოდა, ახლა კი...

ნინიმ ღრმად ამოიოხრა.

— ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ბევრი უცნაური რამ მოხდა, თოკო, — თქვა და თვალი თვალში გაუყარა, — იქნებ ჯობია, ორივემ კიდევ ერთხელ გადავამოწმო ჩვენი გრძნობები... გვიყვარს კი ერთმანეთი?

თორნიკემ რალაცის თქმა დააპირა,

მაგრამ ნინიმ ხელი აუქნია, წამოდგა, დამცინავად გაუღიმა და გასასვლელისკენ გაემართა.

მთელი ღამე თვალი ვერ მოხუჭა. ვერც კი მიხვდა, როდის გაუწელდა გრძნობა თორნიკეს მიმართ. იქნებ მაშინ, დაბადების დღეზე ქალაქიდან რომ გავიდა და გოგონას გემები ჩაუშალა? წარსულს თვალი რომ გადაავლო, მიხვდა, თორნიკესთან მისი ურთიერთობა მხოლოდ ბავშვური გატაცება იყო და სხვა არაფერი. მას ხომ სერიოზულად არასდროს არავინ ჰყვარებია! უბრალოდ, გული სხმას დაუფიქრებლად აჰყვა და ემოციამოზღვავებულმა თავი ველარ გააკონტროლა. კიდევ კარგი, არ მიქარა და უფრო ღრმად არ შეტოვა. რა თქმა უნდა, არც ამით დაშავდებოდა რამე. მერე რა? დღეს ვილას უჯირს, თუკი ახალგაზრდა ქალს ბოიფრენდი ჰყავს? ყველას თავისი ცხოვრება აქვს და იმას აკეთებს, რაც მოესურვება.

არადა, თავიდან როგორი აღფრთოვანებული იყო მისით. იმდენად მოსწონდა, არც კი აკვირდებოდა მის ქცევებს, რომ რამე უარყოფითი არ აღმოეჩინა მის პიროვნებაში. ხოლო როცა თორნიკემ შესჩივლა, ცოლს საერთოდ არ ესმის ჩემიო, დაუჯერა და თანაგრძნობით განწყობა. იფიქრა, რაც თავისგან დააკლდა, მე ავუნაზლავებო... მხოლოდ ახალა ხვდება, რომ მას თორნიკესთან მომავალი არ ჰქონდა. ის, უბრალოდ, ზღაპარში ცხოვრობდა და სურდა, ამ ურთიერთობასაც ზღაპრით კეთილი დასასრული ჰქონოდა.

კიდევ კარგი, დროზე ახსილა თვალეზი. კიდევ კარგი, დაინახა, რომ თორნიკეს არც ცოლი სჭირდება, არც სახლი, არც იმ პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება, რომელსაც ოჯახური ცხოვრება მოითხოვს. მას ეს ყველაფერი უკვე ჰქონდა და ვერ შეიფერა, ვერ გაუმკლავდა. იგი ნინის ეუბნებოდა იმას, რისი მოსმენაც გოგონას სურდა, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ამით სანაოლში შეეწყებინა. ხოლო როცა მის სიჯიუტეს ნაწყვედა, სხვანაირად „ამღერდა“. საინტერესოა, როგორ ვერ ხვდებოდა ამას აქამდე?

ნესით, ამნუთას უნდა ტიროდეს. კი არ უნდა ტიროდეს, უნდა ღრიალებდეს იმედგაცრუებული, მაგრამ... მისდა გასაოცრად, ნინი ახლა მხოლოდ სინანულს განიცდიდა, რომ ამდენი დრო და ენერჯია დაახარჯა უღირს მამაკაცს.

კარგი ქნა, რომ არ მოტყუვდა და გრძნობებს არ აჰყვა. ასეთ შემთხვევაში საბოლოოდ გადაენურებოდა იმედი, რომ გიოსთან რამე გამოუვიდოდა. გიო! რატომ გაახსენდა გიო? ან რისი იმედი აქვს? მგონია, რომ ცნობილი ჟურნალისტი მისნაირს შეიყვარებს? კაცი, რომელსაც ბუზბუვივით ეხვევიან მთელი თბილისის ელიტური ლამაზმანები? სისულელეა ეს ყველაფერი! ამის გაფიქრებაზე შეაკანკალა... მიხვდა, რომ შეეშინდა.

არადა, რა კარგად გრძნობს თავს

მასთან! როგორი სინაზე მოდის ამ ურთიერთობისგან... გიოს მისი ყველა ჭრილობის შესორცება შეუძლია, ის ერთადერთია, ვისაც მისი ცხოვრების გალაშქება ძალუძს. როგორ უნდა, მასთან ერთად გაიზიაროს ჭირიც და ლხინიც, სიხარულიც და ბედნიერებაც... როგორ უნდა, ერთადერთი ქალი იყოს მის ცხოვრებაში, გახდეს მისი ცოლი, მისი შეილების დედა... ე-ე-ე... ოცნება ოცნებად დარჩება! სიმართლე ეს არის და ამ სიმართლეს ვერსად გაექცევა. ეს მისი გაცნობის დღიდანვე იცოდა, ამიტომაც ებღაუჭებოდა თორნიკეს, ეგონა, მასთან თანაცხოვრებით ადვილად ჩააქრობდა გულიდან წამოსულ უცნაურ ხანძარს. ახლა კი ყველაფერი დამთავრებულია... მას ამ ტკივილის სიცოცხლის ბოლომდე ტარება მოუწევს. რობაქიძის მისთვის არაფერის იმედი არ მიუტია. ერთადერთი, რაც შესთავაზა, სასტუმროში ერთი ღამის გატარება იყო და როცა უარი მიიღო, კვლავ უცხო გახდა მისთვის, შეიძლება — მტერიც კი!

ძალიან ძნელი გადასატანი იყო ნინისთვის გიოს ბოლოდროინდელი გულგრილი დამოკიდებულება. ვერა და ვერ ეგუებოდა ამ მდგომარეობას. არა უშავს, გადაუვლის. დროს ხომ ყველაფერი მიაქვს... მის ტკივილსაც წაიღებს ალბათ ოდესღაც... თუმცა, სანამ ეს მოხდება, მარტოობაში მოუწევს ცხოვრება. ეს კი ძალიან გაუწელდება.

— არ გეგონოს, სანამ გიო არ არის, უსაქმოდ მოგიწევს ყოფნა! — დაუფარავი აგრესიით შეხვდა ეველინა ნინის ორშაბათ დღით და მტრული მზერა ესროლა.

— რა ეტაკა? — ჰკითხა გოგონამ ვერიკოს, როცა ეველინა მისადგილიდან გავიდა. — მგონი, არაფერი დამიშავებია... რამე ისე ვერ გავაკეთე?

— ა-რ-ა! უბრალოდ, ევას შტერი ქალები მოსწონს, იმიტომ, რომ მხოლოდ მათ ფონზე გამოიყურება ჭკვიანად. იმასაც ასე ექცეოდა, ვის მაგივრადაც მუშაობ. გარდა ამისა, ეჭვიანობს. რამდენი ხანია, გიო მოსწონს და როცა ლიკა დეკრეტულ შევბუღებაში გავიდა, დარწმუნებული იყო, რომ რობაქიძე მას აიყვანდა თანაშემწედ. რადგან ასე არ მოხდა, ბოლმას ანთხევს, არ იცის, რა ქნას.

— მერე? გიომ იცის ამის შესახებ?

— მას ეგეთი რამეები არ აინტერესებს. თანამშრომელ ქალებს სხვა თვლით არასდროს უყურებს. სწორედ ამიტომაც ეველინა დღემდე კანცელარიაში ზის. ან რაში სჭირდება ისეთი თანაშემწე, რომელიც მხოლოდ ბოლმას ანთხევს და თავში არაფერი უყრია?

— გასაგებია, — ჩამქრალი ხმით წარმოთქვა ნინიმ.

ახლა გასაგები გახდა მისთვის, რატომ ექცეოდა გიო ბოლო დღეებში ასე ცივად. ალბათ მიხვდა, რომ მოსწონს და გადაწყვიტა, შორს დაიჭიროს მისგან თავი. ის ხომ ადვილად ხვდება ყველაფერს! როგორ მოიქცეს? სანამ გაძლებს ასე?





იქნებ, ჯობია, ნერტილი დასვას, თანაც, რაც შეიძლება მალე...

მთელი კვირა მძიმე ფიქრებში გაატარა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მანც ვერ მივიდა. ვერ მიმხვდარიყო, რა ჯობდა — გაეგრძელებინა გიოსთან მუშაობა თუ სამსახურიდან წასულიყო, რათა არსად ენახა იგი, გარდა ტელევიზორის ეკრანისა.

ხშირად ახსენებოდა ბაღში, ლურჯად შეღებილ მერხზე ამოტვიფრული წარწერა — „სიმორე მეგობრობას ამყარებს, მაგრამ სიყვარულს ანელებს“... იმედოვნებდა, რომ ეს სიმართლე იყო.

ვერ შეძლო გაეხსენებინა, ამაზე გრძელი კვირა ოდესმე თუ ჰქონია ცხოვრებაში. ხან ერთ საქმეს მოჰკიდებდა ხელს, ხან მეორეს, მაგრამ გულით და გონებით შორს, ძალიან შორს იმყოფებოდა — კიევში... იქ, სადაც გიო ეგულებოდა.

საინტერესოა, მარტო წავიდა თუ ვინმე გაიყოლა თან? მისი ქალებიდან ორს უკვე იცნობდა — ქერას და ჟღალთმიანს... ნეტავ, რომელი უფრო უყვარს? იქნებ არც ერთი არ წაუყვანია? იქნებ კიევშიც ჰყავს ვინმე? რა გასაკვირია?! არ გაუჭირდებოდა!

ყოველ საღამოს, სამსახურიდან წამოსული, პარკში შეივლიდა ხოლმე და თავის ამოჩემებულ მერხზე ჯდებოდა, იმ იმედით, რომ ერთ მშვენიერ საღამოს თბილისში დაბრუნებული გიო სწორედ აქ დახვდებოდა... მაგრამ არა... ეს იმედი არ გაუმართლდა...

პარასკევი იყო. ნინი თავის სამუშაო მაგიდასთან იჯდა და დილის ფოსტას ათვალიერებდა. ამ დროს ტელეფონმა დარეკა. გოგონას გული შეუთრთოლდა იმ იმედით, რომ შეიძლებოდა, გიო ყოფილიყო.

— დილა მშვიდობისა, ნინ! — მიესალმა თორნიკე. — მინდა გაცნობო, რომ უკვე გადავედი ახალ ბინაში. ხვალ საღამოს პატარა ქეიფს ვანყო, მინდა, რომ მოხვიდე. ხომ მოხვალ?

— არ ვიცი... მართლა არ ვიცი, თორნი... — დაბნეულმა გოგონამ ქვედა ტუჩი ლამის მოიკვნია.

— კარგი, რა, ნუ ჭირვეულობ, სიხარულო. შენ გარეშე ძალიან მოვიწყენ, ხომ იცი! აუცილებლად მოდი და შენი თვალით ნახე, რა კარგ რამეზე თქვი უარი. მაგრამ მოგეწონება აქაურობა. იცოდე, გელოდები და მეტჯერ აღარ დამარეკვინო, გასაგებია?..

ნინი ამოიხრბა. სულაც არ უნდოდა თორნიკესთან სტუმრად მისვლა, მაგრამ შინ მარტო ჯდომას მანც წასვლა არჩია.

როცა ნინი თორნიკესთან მივიდა, ქეიფი უკვე კარგა ხნის დაწყებული იყო. სტუმრები სვამდნენ, ხმამალა ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ, ცეკვავდნენ... უამრავ უცხო ადამიანს მოეყარა თავი, მაგრამ თავად მასპინძელი არსად ჩანდა.

გოგონა ზღურბლთან გახევდა, არ იცოდა, საით წასულიყო. ერთ ხაცნობსაც კი ვერ მოჰკრა თვალი. უეცრად

ვილაც გოგონა მიეჭრა.

— თოკოს მეგობარი ხართ? წამოდით, დაგვამო! — მკლავზე წაეტანა უცნობი.

— გმადლობ, — მორცხვად გაუღიმა ნინიმ და უარის ნიშნად თავი გააქნია. გოგონამ ტუჩი აიბზუა და ცეკვა-ცეკვით გაეცალა.

მოულოდნელად სურვილმა წამოუარა, დროზე გასცლოდა აქაურობას, მაგრამ ისე როგორ წასულიყო, თორნიკე არ ენახა? ჯობია, იპოვოს, მიულოცოს ახალ ბინაში გადმოსვლა და მერე წავიდეს. ნელ-ნელა წაინია ნინი, თან თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. უეცრად ვილაცამ მხარში ჩაავლო ხელი. მოტრიალდა და... გაოგნებულს თვალეები გაუფართოვდა. მის წინ გიო იდგა. ათრთოლებულმა ძლივს შეძლო გაღივება.

— ჩამოხვედი?... — სინითლემ გადაუარა ღაწვებზე. — მე... აქ არ გელოდი.

— თავადაც არ ველოდი ამას, — მოღუშულმა ჩაილაპარაკა მამაკაცმა, — მარტო არ მოვსულვარ.

„ჰო, რა თქმა უნდა, მარტო როგორ მოხვიდოდი“, — ტკივილით გაიფიქრა გოგონამ, ხმამალა კი თქვა: — უპაცრავად, თორნიკე უნდა მოვკვებო.

— ნინი! — ხმადაბლა დაუძახა გიომ. — ძალიან გთხოვ ერთ რამეს... წადი აქედან. ჩემი გულისთვის გააკეთე ეს. ახლავე წადი.

— ვერ გავიგე?! — კოპები შეკრა გოგონამ. — ეს-ესაა, მოვედი...

— ამას მნიშვნელობა არა აქვს. ასე აჯობებს რამდენიმე ადამიანისთვის. დამიჯერე.

მამაკაცი კვლავ მის მხარს ჩაჰფრენოდა, ამიტომ ნინიმ გაინია, მისი თითებისგან რომ გათავისუფლებულიყო.

— აქ მანც არ ხარ მასპინძელი. მე დამპატიჟეს, ამიტომაც დავეჩქრე და ეს შენ არ გეხება, — მისდა უნებურად, გაჯიუტდა.

— გთხოვ, გააკეთე, რაც გითხარი, — გიოს თვალეებში რაღაც ტკივილისმაგვარი გაკრთა, — ახლა ვერ აგისნის ყველაფერს...

— აი, თურმე, ვინ მოსულა! — მოულოდნელად ვილაც მთვრალი ქალი წამოადგა ორივეს თავს.

ნინიმ შეხედა. ეს ის უღალთმიანი ხათუნა იყო, გიოსთან პირველად მისულს ლამის შიშველი რომ დახვდა. მან უდიერად აათვალიერა ნინი და დამცინავმა ღიმილმა გაუპო ბაგი.

— პროვინციელებიც ესრებიან ჩვენს საღამოს? — ხათუნამ მკლავი გიოს მხარზე ჩამოდო და თითები გაატაკცუნა.

— გეყოფა, ხათო! წადი, გაერთე! — მამაკაცმა უხეშად მოიშორა მისი ხელი.

— ჩაცმული სულ სხვანაირად გამ-

ოიყურებით! — არც ნინი დარჩა მეტოქეს ვალში და ამაყად თავანულმა თვალი მის სხეულს ჩააყოლა.

— შენ მთვრალი ხარ უკვე, აღარ დავინახო, მეტი დალიო! — ხმას აუწია გიომ, ქალს წელზე მოხვია ხელი და იქაურობას გაარიადა.

ნინის თვალები ცრემლით ავესო. რა უნდოდა, რისთვის მოვიდა აქ? იმისთვის, რომ ამ ქუჩის ქალს დაემცირებინა? იგრძნო, ტუშმა როგორ დაუთხაპნა უპეები. თორნიკეს ძებნას თავი გაანება და სააბაზანოში შევიდა, რათა სარკეში ჩახეხედა.

კარი გააღო თუ არა, ვილაცის ფეხებს შეეჯახა. იატაკზე ახალგაზრდა ქალი იჯდა, რომელსაც თავი ხელებში ჩაერგო და ტიროდა.

— ოჰ, მამაკეთე, — მოუბოდიშა ნინიმ, — არ მეგონა, აქ ვინმე თუ იქნებოდა. შემიძლია რამით დაგეხმაროთ? რატომ ტირით?

ქალმა ცრემლიანი თვალებით ამოხედა. ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურებოდა.

— როგორც ჩანს, თქვენ აქ ერთადერთი ხართ, რომელიც საქმის კურსში არ არის, — სლუჟნიტ ჩაილაპარაკა უცნობმა, — მე შეუღლის სანახავად ჩამოვედი, რაღაც-რაღაცები უნდა გაგვერკვია ჩვენს ურთიერთობაში. ამ დროს უეცრად ვიგებ, რომ მას სხვა ქალთან აქვს რომანი. ხომ მაგარია?

ნინის შეამცინვა. ღმერთო, ეს ნამდვილად თავაო, თორნიკეს ცოლი! ამის გაფიქრებაზე ისეთი ტკივილი იგრძნო, თითქოს გულში დანა გაუყარესო.

— თქვენ როგორ გაიგეთ ამის შესახებ? — ჩამქრალი ხმით ძლივს ამოთქვა.

— ჩემმა ბიძაშვილმა მითხრა. აქამდე



მიმალავდა, მაგრამ ბოლოს მანც ვერ მოითმინა და ყველაფერი მიაბზო, — თავო წამოდგა, წყალი მოუშვა და პირისახე ჩამოიბანა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# შესვენება სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმერ ანტონოვის ნოველი „გენერალისიმი“



## მოსკოვი-ბერლინი, 1940 წელი

ბერეჟკოვმა თავის ნიგნებში ძალზე საინტერესოდ ასახა საკუთარი დიპლომატიური საქმიანობის ეპიზოდები და რიბენტროპთან და თვით ჰიტლერთან გამართული ის შეხვედრები, რომლებშიც 1940 წლის ნოემბერში მოლოტოვთან ერთად მონაწილეობდა. მე კი არაერთხელ მისაუბრია მასთან და მოლაპარაკებების ბევრი დეტალის შესახებაც შემიტყვია.

საბჭოთა დელეგაცია ბერლინში მატარებლით გაემგზავრა. გზაში 3 დღე გაატარეს და 12 ნოემბერს დილით ჩავიდნენ რაიხის დედაქალაქში. სადგურში დიდი პატივით დახვდნენ — საპატიო ყარაულით, ორკესტრით. დამხვდურთა შორის, საგარეო საქმეთა მინისტრი ფონ რიბენტროპი და ფელდმარშალი კეიტელი იყვნენ. დელეგაცია ოტელ „ბელვიუში“ — უმაღლესი რანგის სტუმრებისთვის განკუთვნილ, უძველეს სასახლეში დააბინავეს.

პირველ დღეს მოლოტოვი რიბენტროპმა მიიღო. მათი საუბრის შინაარსის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს სტალინს. მეორე დღეს მოლოტოვისა და ჰიტლერის შეხვედრა გაიმართა.

ყველაზე მეტად, საქმის ადამიანური, ფსიქოლოგიური მხარე მაინტერესებდა და მოლოტოვს ვთხოვე, ჰიტლერის გარეგნობის, ფესტიკულაციის, საუბრის თავისებურებების შესახებ მოეთხრო. მოლოტოვი მიყვებოდა:

— ამ შეხვედრებს უფრო მონოლოგის ფორმა ჰქონდა, ვიდრე დიალოგის. ჰიტლერი კარგა ხნის მიჩვეული იყო იმას, რომ

ილბიანა მწერალი, რომელსაც ეძღვნა შესაძლებლობა, თვით მოვლენების მონაწილეს შეხედეს, მით უმეტეს, როცა საქმე უმაღლესი დონის საიდუმლო მოლაპარაკებებს ეხება. სწორედ ასეთი ილბიანი აღმოჩნდა, რადგან ვიანქსლავ მოლოტოვთან საუბრის შანსი მომეცა და მან ჰიტლერთან შეხვედრების შესახებ მიაზმო. გარდა ამისა, მისაუბრია ამ მოლაპარაკებების კიდევ ერთ მონაწილესთან, რომელიც საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარესა და საგარეო საქმეთა მინისტრს ამ კონფიდენციალური შეხვედრების დროს ახლდა. ეს არის ვალენტინ ბერეჟკოვი — მაშინ თარჯიმანი, შემდგომში კი — დიპლომატი და ნიჭიერი ლიტერატორიც.

დასაწყისი იხ. „გზა“, №27-47

მისთვის ყური დაეგდოთ — უკვე ბელადად გრძობდა თავს და ჩვევაში ჰქონდა „სიბრძნეების ფრქვევა“. ჰოდა, ჩვენი პირველივე შეხვედრისას ცდილობდა, თავისი აზროვნების მასშტაბურობა დაენახებინა ჩვენთვის, ძალზე მსუბუქად საუბრობდა მსოფლიოს დაყოფის საკითხზე, მთელი ერებისა და სახელმწიფოების ბედ-იღბალზე... მთავარი, დედაბერი ის გახლდათ, რომ გერმანიას სურდა, სამხედრო პაქტს მიეერთებოდით — ე.ი. სამკუთხედი — ბერლინი-რომი-ტოკიო — ოთხკუთხედად გარდაქმნილიყო და ეს მეოთხე „კუთხე“ საბჭოთა კავშირი გამხდარიყო. ჰიტლერმა დაუფარავად შემოგვთავაზა — ერთმანეთში გაგვეწინაღობინა გავლენის სფეროები: თავად, ევროპას იტოვებდა, იაპონიას შორეულ აღმოსავლეთსა და ოკეანის კუნძულებს უთმობდა, იტალიას — ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნებს, ხოლო საბჭოთა კავშირს სთავაზობდა, სამხრეთისკენ მიემართა მზერა — ანუ სპარსეთის ყურისა და ინდოეთის ოკეანისკენ გასასვლელი, ამ მარშრუტზე მდებარე ქვეყნების ტერიტორიის დაპყრობით მოეპოვებინა.

— ამ კომბინაციას რომ დავთანხმებოდით, იქნებ, დიდი სამამულო ომის

გადატანაც არ მოგვინევდა? — ვკითხე მოლოტოვს. მან თვალეში მოჭყუტა, გაიღიმა და ირონიულად მითხრა:

— ამ კითხვაში აშკარად ჩანს, რომ არც პოლიტიკოსი ხართ და არც დიპლომატი: როგორ ნავიდოდით ასეთ გარიგებაზე იმპერიალისტებთან, რომლებიც იარაღის ძალით მსოფლიოს დანაწილებას ლაპობდნენ?! რას იტყოდნენ ხალხები ჩვენზე, ჩვენ მიერ ნაკისრ ინტერნაციონალურ ვალდებულებებზე?! არა, ასეთ გარიგებაზე საბჭოთა სახელმწიფო ვერაფრით ნავიდოდა, თუმცა ჰიტლერი ძალიან სარფიან პირობებს გვთავაზობდა — მაგალითად, შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის დამაკავშირებელი სრუტეების ფლობას... და კიდევ ერთი, ჰიტლერის მთავარი საიდუმლო ჩანაფიქრთაგანი ის იყო, რომ როგორმე ინგლისის წინააღმდეგ ომში ჩავეთრიეთ...

მოლოტოვთან ამ საუბრის დროს ჯერ კიდევ არაფერი ვიცოდი იმ საიდუმლო ოქმების შესახებ, რომლებზეც საბჭოთა ხელმძღვანელობას, პოლონეთთან და სხვა ქვეყნებთან დაკავშირებით, გერმანიასთან ერთად ჰქონდა ხელი მოწერილი. ექსპინისტრი კი, რომელიც ასე მაღალფარდოვნად საუბრობდა ინტერნაციონალურ ვალდებულებებზე, ალბათ ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ეს დოკუმენტები ფართო საზოგადოების სამსჯავროზე არასდროს გამოვიდოდა...

მოლოტოვისა და ჰიტლერის პირველი შეხვედრა საიმპერიო კონცელარისის ახალ შენობაში გაიმართა, რომელიც უკვე ჰიტლერის მმართველობის დროს აიგო და პირქუში და ამასთანავე, პომპეზური სტილით გამოირჩეოდა. ფიურერს ვებრტელა კაბინეტი ჰქონდა, რომლის კედლებზეც დიდი გობელენები იყო გაკარული, იატაკს სქელი ნოხი ფარავდა; შესასვლელიდან მარცხნივ დიდი საწერი მაგიდა იდგა, იქვე შავ სადგამზე მოეთავსებინათ დიდი გლობუსი, რომლის შესახებაც შემდგომ არაერთხელ წერდნენ სხვადასხვა ქვეყნის უზრუნველყოფის და ამით, მსოფლიო ბატონობაზე ჰიტლერის პრეტენზიის ილუსტრირებას ახდენდნენ...

როცა მოლოტოვი და მისი თანმხლები



მასპინძელმა ყველანი კაბინეტის ერთ-ერთ კუთხეში მდგარ გახგსა და მაგიდასთან მიიპატიჟა





# ბა - ფსიქოლოგი



## ინგა ჯაყელი

დასაწყისი იხ. „გზა“ №40-47

ბი თარჯიმანი კაბინეტში შევიდნენ, ფიურერი თავის სამუშაო მაგიდასთან იჯდა. ის უმალ წამოდგა და სწრაფი ნაბიჯებით სტუმართან შესახვედრად გამოემართა. ამ ვეებტერთელა ოთახში ჰიტლერი მეტისმეტად პატარა ჩანდა. მას უსამხრეო სამხედრო კიტელი ეცვა, გულზე „რკინის ჯვარი“ ეკეთა, მკლავზე კი — სვასტიკიანი წითელი სამკლავური.

რამდენიმე წაშში, გვერდითი კარიდან მინისტრი რიბენტროპი, მოსკოვში გერმანიის საელჩოს მრჩეველი ჰილგერი და ფიურერის პირადი თარჯიმანი შმიდტი შემოვიდნენ. მასპინძელმა ყველანი კაბინეტის ერთ-ერთ კუთხეში მდგარ ტახტსა და მაგიდასთან მიიპატიჟა, სადაც თავისებური მისაღები იყო მოწყობილი. ჰიტლერი მოლოტოვის მოპირდაპირე მხარეს მოთავსდა, მათ ერთმანეთისგან მაგიდა ყოფდა.

ჰიტლერს წინასწარ მომზადებული ტექსტი არ ჰქონდა; ის მკაფიო ფრაზებით აყალიბებდა სათქმელს და დროდადრო, თარჯიმნისთვის, პაუზებს აკეთებდა. შმიდტს დიდი საქალაქე გადამულა და ტექსტის სტენოგრაფირებას ახდენდა...

ბერლინში ყოფნისას, მოლოტოვი მეორე დღეს კიდევ ერთხელ შეხვდა ჰიტლერს. ორივე საუბარი საკმაოდ ხანგრძლივი იყო. ძირითადი შინაარსი უკვე გაგაცანით. ახლა ერთ ეპიზოდს დავძენ, რომელიც ბერეჟკოვმა მიაშობო:

„ბოლო შეხვედრის შემდეგ, როცა ჰიტლერი მოლოტოვთან ერთად, საიმპერიო კანცელარიის დერეფანს გასასვლელისკენ მიუყვებოდა, მე ჩვეულებისამებრ, მათ უკან, ძალიან ახლოს მივდევი და საუბარს ვთარგმნიდი; დანარჩენი თანმხლებნი გაცილებით მოშორებით, „საპატიო“ მანძილზე მოგყვებოდნენ. საბჭოთა სტუმართან დამშვიდობებისას ფიურერმა თქვა:

— სტალინს გამოჩენილ ისტორიულ პიროვნებად მივიჩნევ. მეც მაქვს ისტორიაში შესვლის იმედი. ამიტომ ვიტყვი — ბუნებრივია, ორი ასეთი პოლიტიკური მოღვაწე ერთმანეთს პირადად შეხვდეს. გათხოვთ, ბატონო მოლოტოვ, ჩემი მოკითხვა და უახლოეს მომავალში შეხვედრის წინადადება გადასცეთ ბატონ სტალინს“.

ახლა აღარავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ ეს წინადადება სტალინის დეზორიენტაციას ისახავდა მიზნად. არადა, მაშინ, ბერლინთან თანამშრომლობას იხელა მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ საბჭოთა ხელმძღვანელები ამას დიდი ტრიბუნიდან გამოსვლების დროსაც გამოხატავდნენ. მაგალითად, იმავე 1940 წელს მოლოტოვმა უზუნაესი საბჭოს სესიაზე განაცხადა:

„ჩვენ ყოველთვის მიგაჩნდა, რომ ძლიერი გერმანია ევროპაში მყარი მშვიდობის უცილობელ წინა პირობას წარმოადგენს... გერმანია ის სახელმწიფოა, რომელიც ომის დამთავრებასა და მშვიდობის დამყარებას ესწრაფვის, ხოლო ინგლისი და საფრანგეთი ომის გაგრძელებას ლამობენ“... ცხადია, ასეთი პოლიტიკით სტალინის მთავარ მიზანს — რაც შეიძლება დიდი ხნით ომის გადადებას ისახავდა მიზნად...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კომპარები ჭკუიდან შემშლიდა.

...როცა გამეღვიძა, საათის ისრები დილის ათ საათს უჩვენებდა. უცებ ვერც მივხვდი, სად ვიყავი და გაოგნებული ვუყურებდი ჩემთვის უცხო ჭერს... მერე კი აღვიდგინე ყველაფერი — ნიკა და მისი დაკარგული კვალიც და ისევ საშინელ ხასიათზე დავდექი. ცოტაც და ავტირდებოდი. სააბაზანოში შევედი შხაპის მისაღებად. იქიდან ცოტა დამშვიდებული გამოვედი და ნატა გამახსენდა. ან აქამდე როგორ არ მოვიკითხე?! ისევე, ხალაომოსხმული გავედი დერეფანში და ნატას ნომერთან მისულმა, კარზე ფრთხილად დავაკაკუნე. გამიღო, მაგრამ შიგნით არ შემიშვა:

— მართო არა ვარ! — მითხრა ყოველგვარი დამორცხვების გარეშე. — დამელოდე და ცოტა ხანში თავად მოგაკითხავ!..

საყვედურის თქმა აზრადაც არ მომსვლია. რაც მთავარია, ცოცხალი იყო და კმაყოფილი — დანარჩენს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ბოლოს და ბოლოს, თავად ვუბიძგე ამ ნაბიჯისკენ და გასაკვირი არაფერი იყო...

ჩემს ნომერში რომ შემოვიდა, ბედნიერებისგან ბრწყინავდა... მარჯვენა გამომინოდა, რომელზეც საკმაოდ ძვირფასი ოქროს სამაჯური ჰქონდა შემბული:

— ისმიალმა მაჩუქა, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც საწოლში განმაცდევინა! — დაიხარა და ისეთი უხამსი რამ მითხრა ყურში, რაც მართლა, ცარიელ კედლებშიც არ ითქმებოდა ხმაალა. ვიგრძენი, სირცხვილით როგორ წამომახურა. მან კი ხმაალა განაგრძო:

— მოკლედ, ამ ერთი ლამით, უბრალოდ კი არ გავუთანაბრდი ჩემი ქმრის გარყვნილებას, არამედ უკვე საკმაოდ სოლიდური ანგარიშით ვუგებ. აი, ისმიალსა და მის მოძმეებზე კი ალალია, ჰარამხანა და ათობით ქალი საკუთრებაში რომ ჰყავთ. იცინა, როგორ გააბედნიერონ ქალი. ჩვენს კაცებს კი არ ჰგვანან... სხვათა შორის, შემომთავაზა კიდევაც თავის ჰარამხანაში წასვლა, მაგრამ ნურას უკაცრავად — არავის საკუთრება აღარ გავხდები არასოდეს, მით უმეტეს, ჩადრს ვერ ავიფარებ სახეზე... სტუმრად კი შეიძლება, ვენვიო. დუბაიში საკუთარი სასტუმრო აქვს და შემიძლია, შენც წაგიყვანო... ჰო, მართლა, შენი საქმე როგორაა? იპოვე შენი ნიკა?! — როგორც იქნა, გაახსენდა ჩემი საწუხარიც...

— არა... უკვალოდ გაქრა. ერთი კვირა არავის უნახავს და არც იციან, საით წავიდა...

— რას აპირებ? — შემომხედა გაკვირვებულმა.

— აზრზე არა ვარ... მე მეტი არაფერი შემიძლია... არც თავის მოკვლას ვაპირებ...



— ეგ უკვე ბევრს ნიშნავს! — შვებით ამოისუნთქა ნატამ და წამოდგა: — ბარგს შევეკრავ, წასვლის დროა...

— მეც მალე ვიქნები მზად! — აღარ გაუწიე წინააღმდეგობა და მალე ეზოში ვიყავით.

— თუ გინდა, მე დავჯდები საჭესთან! — შემომთავაზა ნატამ და უცებ დავეთანხმე. მართლა არ შემეძლო ახლა მანქანის მართვა.

გზაში თითქმის არ გვილაპარაკია. ნატა მიხვდა, რომ ახლა არც სხვისი ბედნიერების გაზიარება შემეძლო...

ჩემი ოჯახი...

ის იყო, მანქანა გარაჟში დავაყენე, რომ მედიკო მომიახლოვდა. სურნელოვანი თონის პური ეჭირა ხელში. ყუბა მოვატყუე. ლამის ნერწყვმა დამახჩრო, ისე მომიწინა და გამახსენდა, რომ დილიდან არაფერი მეჭამა.

— კარგი ყველიც მაქვს, თუ გინდა, შემოდი. თან, სალაპარაკო მაქვს. გუშინ გაცეცხლებული დედაშენი იყო მოსული და შენი დაცვა რომ ვცადე, მეც შემოველანძლე...

— შენგან რა უნდოდა?

— რა ვიცი, მაგრამ აშკარაა, რომ არ მოვწონვარ. შენნაირების ბრალია, ისედაც რთულ ბავშვებს მთლად რომ ებნევათ თავგზაო...

— შენ რა შუაში ხარ? ორი წელია, რაც გიცნობ. თუ გაზრდა უნდოდა, 28 წელიწადი ხელჩაკიდებულს არ დამათრევდა?! — გავლიზიანდი ისედაც ნერვებმოცვეთილი...

— დაგელოდო ვახშმად? — აღარ გააგრძელა მედიკომ.

— შხაპს მივიღებ და გამოვალ.

...ვიცი, რომ მშობლები ნორმალური მყავს — ზედმეტად ნორმალურებიც კი და სწორედ ეს მაგიჟებს. იმის შიშით — ხალხი რას იტყვისო?! — არც ზედმეტ ნაბიჯს გადადგამენ და არც საკუთარ აზრს დააყენებენ საზოგადოებრივ აზრზე მალლა...

დედა პედაგოგია და ახალი თაობების შემხედვარეს, ლამის სისხლი ჩაქექვს ტვინ-

ში. ყოველდღე ნერვებდაგლეჯილი ბრუნდება სახლში: უზრდელ, თავხედ ბავშვებს რა მოვთხოვო, როცა მშობლებიც გაუზრდელები არიან თავად და ვერ ვაგებინებ, რას მოვიტხოვო მათი შვილებისგანო! ლამის ჭკუაზე შეიშალოს, როცა წიგნებს არ ყიდულობენ მშობლები შვილებისთვის სიძვირის მომიზნებით, და ამ დროს ყველას ბოლო თაობის მობილური ტელეფონი უჭირავს ხელში, ძვირფასი სამოსი აცვია...

ცალკე მე ვურჩევ, სამსახურს თავი დაანებოს და ცალკე — ჩემი ძმა, რომელიც უკვე 3 შვილის მამაა და ძალიანაც უნდა, რომ ბებია შვილიშვილების აღზრდით დაკავდეს... ჩემი ძმა კოტე 5 წლითაა ჩემზე უფროსი, არქიტექტორია, ერთ-ერთ სამშენებლო ფირმაში მუშაობს და ინჟინერი მამაჩემიც თავისთან დაასაქმა. ცხოვრება არ უჭირთ და ესეც დიდი შვებაა ჩემთვის. გავგიჟდებოდი, ჩემს ძმისშვილებს რაიმე რომ აკლდეთ. ბავშვები სიგიჟემდე მიყვარს. უფროსი 11 წლისაა და ჩემმა ძმამ ჩემი სახელი დაარქვა, მაგრამ კატოს ვეძახით. მომდევნო ნაწუკაა, დედაჩემის მოსახევე. ნაბოლარა რეზიკოს კი, რომელსაც ცოტა ხნის წინ 7 წელი შეუსრულდა, ბაბუის სახელი ჰქვია.

მე და ჩემს ძმას არასოდეს გვესმოდა ერთმანეთის და არც ახლა მოსწონს, მართო რომ ვცხოვრობ და „ჩემს ჭკუაზე ვუსტვენ“, როგორც ის ჩემს სიჯიუტეს ეძახის. მიუხედავად ამისა, საოცრად ვუყვარვარ და ვგრძნობ მის ყურადღებას. რძალი ხომ საოცრება მყავს. 17 წლის ასაკში შემოვიდა ჩვენს ოჯახში. ფაქტობრივად, ერთად გავიზარდეთ და ზოგჯერ ნინო უფრო მეონია ჩემი და...

რამდენი ხანია, სახლში არ ვყოფილვარ და ალბათ მართალია დედაჩემი, რომ მიბრუნდება. მთხოვეს, დაბადების დღე მათთან ერთად აღმენიშნა და მას შემდეგ ვერ მოვიცალე მისასვლელად. ალბათ კარგი იქნება, თუ ხვალ მივალ სამსახურის შემდეგ. იქნებ დღეს დამერეკა, მაგრამ — არა: ისედაც ცუდად ვარ და დედაჩემის საყვედურები მთლად მომიღებს ბოლოს...

...მედიკოს მართლა კარგი ყველი ჰქონდა, იმერული, სიფრიფანა ნაჭრებად დაჭრილი, მე რომ მიყვარს, ისეთი.

— ჩაის დალევ?

— არა, ხომ იცი, ჩაი არ მიყვარს... ლიმონი თუ გაქვს, მირჩევნია, მისი არომატით შევაზავო მდულარე... ცუდად ვარ, მედო!

— რა იყო, ახალია რამე?

— ნიკა დავკარგე... ბათუმში ჩავაკითხე და 5 დღის წინ წასულა, არავინ

იცის, სადაა...

— დაურეკე და ჰკითხე!

— გამორთული აქვს ტელეფონი. შეიძლება სულაც შეცვალა ნომერი.

— ვა, ასე მალე აითესა? — სათვალის ზემოდან გადმოხედდა მედიკომ. მაგათი დედა ვატირე, ყველა კაცი ერთნაირი ნაგავია, რა!..

— ასათესი რა სჭირდა, მე ხომ არც რამეს ვთხოვდი და არც ვავალდებულედი...

— ახლა რა უნდა ქნა?

— რა ვიცი... თავს ხომ ვერ მოვიკლავე?! — ავიჩეჩე მხრები. — როგორმე თავს მოვერევი და ვეცდები, დავივინყო. თუმცა ახლა ძალიან მიჭირს და რომ გამოჩნდეს, ულაპარაკოდ ჩავიხუტებ...

— ჰოდა, ჯობია, ჯერჯერობით არ გამოჩნდეს. ეგლა გაკლია, კაცის ნდომამ ისე აგინბნოს თავგზა, რომ უპატიებელი აპატიო. საკმარისია, კაცმა თავისად დაგიგულოს, რომ გათავხედდება და ხელიდანაც იოლად წაგივა. სხვათა შორის, ცოლზე უფრო საბრალოა მორჩილი და ყველაფერზე თანახმა საყვარელი... კაცი თავზე მეტად არასოდეს უნდა შეიყვარო, ეკუშ, და არც არასოდეს იტირო მისი გულისთვის. შვილებიც ასე გავზარდე და არც წაუგიათ რამე — არც ერთი კაცი ქალის ერთ ცრემლადაც არ ღირს... დაიკარგა და დაიკარგოს, ჯანდაბამდე გზა ჰქონია!..

— დედაჩემმა რაო? — შეეცვალე სალაპარაკო თემა.

— თავხედი, ჯიუტი და უგულო, უმაღური შვილი გინოდა — საკუთარ დაბადების დღესაც არ გვიკადრა, განყობილ სუფრაზე არ მოვიდა და ჩემს დაბადების დღეს სულ აღარ იდარდებო...

— მართალია ალბათ... — მოვიქექე ქეჩო.

— დედები სულ მართლები არიან შვილებთან, მაგრამ ასეთი სიმკაცრეც არ შეიძლება, დედაშენი ვერ ხვდება, რომ შენ დიდი ხანია, ბავშვი აღარ ხარ და არც ბავშვობაში იქნებოდი მის ჭკუაზე მოსიარულე...

— იცი, რამდენჯერ მიფიქრია, რომ ნაშვილები ვარ, რადგან მართლა არაფრით ვგავარ ჩემებს. უფროსი ძმა რომ არ მყავდეს, მართლა დავიწყებდი ძიებას — საიდან მომიყვანეს და ვისი სისხლი მიმღვრევს გულსა და გონებას...

— იმათი არ ვიცი და მე მზად ვარ, გიშვილო! — მომიახლოვდა მედიკო და თავზე მაკოცა. — რაც შენ გადმოხვედი, მარტოობის აღარ მეშინია. ასე მეონია, ჩემი ხათრითაც მოგიყვანა უფალმა აქამდე.

— მეც ძალიან მიყვარხარ, მედო! — მის დიდ ძუძუებში ჩავმალე სახე და რატომღაც გავიფიქრე, რომ დედას ასე არასოდეს მოვეფრებოვარ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონით: 8(99)71.89.39.



# გზის გზნიღლები

100

„ბევრი ჰობი მაქვს, მაგრამ ერთ-ერთს გავიხსენებ, რომელმაც თავი სულ ახლახან შემახსენა. ეს გაჭირვებული ან მოხუცი ხალხის დახმარებაა. გუშინ დილაადრიან, ლექციაზე მიმავალი, ავფორთხდი „სანდრაბუსში“, ჩემს საყვარელ ფანჯრის კუთხეში მივსკუბდი, ყურზე „ნაუშნიკები“ ჩამოვიკიდე და ჯერ ისევ ნახევრად დახუჭული თვალებით ვათვალიერებდი თბილისის მიდამოებს, რომ გვერდით მოხუცი ქალი მომიჯდა...

— ბებო, აგი რა ნომერია? — მკითხა. მიძინებული თვალები დავაფახულე და — 100, ბებო-მეთქი, ვუპასუხე.

— რა? ოთხი?  
— არა, არა, 100! — ავუწიე ხმას და მგზავრების ყურადღებაც მივიქციე.

— ექვსი?  
— ააა...სიიი!  
— ათი?

აქ უკვე საბოლოოდ გამოვფხიზლდი და რაც ძალი და ღონე მქონდა, ყურში ჩავძახე:

— აააასიიი!  
— რას მიყვირი? — ლამის ჩანთა ჩამცხო თავში და სასწრაფოდ ჩავიდა გაჩერებაზე.

ამის შემდეგ, ცოტა არ იყოს და ვფიქრობ, ამ ჩემს ჰობიზე... ხომ არ შევცვალა? SWEET-GIRL“.

## დოღ-გარმონი

„ძალიან მიყვარს მუსიკა, ამიტომ სახლში თუ სამსახურში, შინ თუ გარეთ, სულ ჩართული მაქვს მუსიკალური „ყუთი“. ვიყიდე CD დისკებისთვის სპეციალური ჩანთა და ნელ-ნელა ვავსებ. მაქვს რუსული, ინგლისური, თურქული და რა თქმა უნდა, ქართული სიმღერები, საცეკვაო, რომანტიკა, პოპი და სხვა. ალბათ ყველამ იცის, რომ თურქეთის ავტობუსზე გამცილებლად ვმუშაობ. ავტობუსების მძღოლები ჩემი მუსიკის შემყურენი, გიყუბს ჰგვანან. მეხვეწებიან, ერთი CD დაგვიტოვეო, მაგრამ მტკიცე უარს ვუბნები. ერთხელ უფროსი მეჩხუბა, შენზე საჩივარია შემოსულიო (ნუ, რა თქმა უნდა, მძღოლები ჩივიან, სამაგიეროს მიხდინა თავიანთი ჭკუით). რა საჩივარია-მეთქი? რომ დავინტერესდი, მითხრა, ამბობენ, სულ მუსიკები აქვს ჩართულიო. აბა, მგზავრების ლოცვა ეს-

## მარი ჯაფარიძე

გამარჯობა. ვინაიდან და რადგანაც, წინა კვირაში ვცადე და უშესავლოდ მაინც არაფერი გამოვიდა, ამიტომ, ახლა აღარ ვინვალე და პირდაპირ შესავალზე (აქ სმიალიკი მოუხდებოდა) გადავალ. ჰოდა, იმას გეუბნებოდით, ჩემო ბატონებო, რომ ხუთშაბათი დადგა და ისევ შევიკრიბეთ. როცა თემად „ჩემი ჰობი“ მოგვეცით, ვიფიქრე, რომ ცოტა შურალი მესიჯები მოვიდოდა, მაგრამ ნუფურას უკაცრავად! როგორც ჩანს, თქვენი ნიჭიერება ბოლომდე ვერ გავთვალე. აღმოჩნდა, რომ საკმაოდ კარგად აითვისეთ მოცემული „მასალა“. ისე, ხანდახან მეგონა, რომ მე ქართულის მასწავლებელი ვარ, თქვენ — ჩემი მოსწავლეები და საკონტროლო წერისთვის თემას გაძღვეთ, თქვენ კი გულმოდგინედ ცდილობთ, მაღალი ნიშანი მიიღოთ. ზოგი სმაურობს „გაკვეთილზე“, ზოგი „უქჩავებს“, ზოგსაც გულმოდგინედ გამოიჰყავს ასოები ტელეფონის ეკრანზე, ზოგი „შპარგალკას“ იყენებს (ანეკდოტების გადაძველებლებზე ვამბობ) და ზოგიც სულ სხვა თემაზე წერს... მერე ნაშრომებს ჩამაბარებთ და მომავალ ხუთშაბათს „წმენებს“ ელოდებით. „გზავნილები“ გაკვეთილია, „მობილი-ზაცია“ კი გაკვეთილებს შორის დასვენება, სადაც დარბიხართ, ერთმანეთს ურტყამთ, საქმეებს არჩევთ და ერთმანეთზე ჭორაობთ კიდევ. მეგონ, ზუსტი შედარება გავაკეთე, არა? რას იტყვიან? ყოველ შემთხვევაში, ჩემგან დანახული ასე ჩანს და... ახლა ვნახათ თქვენი „საკონტროლო წერის“ შედეგები. ვიდრე პირველ მესიჯს წაიკითხავთ, მინდა, ერთი ანეკდოტი მოგიყვით: 2 ყრუ შეხვდა ერთმანეთს.

— სად მიდიხარ, აბანოში?  
— არა, აბანოში მივდივარ.  
— ააა, მე მეგონა, აბანოში მიდიოდიი...  
ახლა კი ამბავი, რომელიც სწორედ ამ ანეკდოტს შეეფერება.



# ჩემი ჰობი



მოკლე ჩართვა

მე რომ პრეზიდენტის სახლში მარტო დავრჩე

• მე რომ პრეზიდენტის სახლში მარტო დავრჩე, რას ვიზამდი? არაფერს! უბრალოდ, ერთი კარგად გამოვიძინებდი და დავისვენებდი, რადგან ჩემს სახლში არავინ მაცდის. ისე, როგორ ხართ? იმედია, კარგად. მაგრამ მომინატრეთ და გკოცნით შორიდან, რადგან ახლოს არავის გიცნობთ, მაგრამ მაინც ყველა ძალიან მიყვარხართ. ვამპირა.

• მის მაგარ აპარტამენტს დავათვალიერებ და მაგრად ამოვიოხრებ. ეჰ, იმას რა უჭირს, ჩვენ ვიკითხოთ.

• პრეზიდენტს თუ ვესტუმრე, მაგარ ამბებს დავატრიალებ მის სახლში. მაგალითად, შარვლის ტოტებსა და პერანგის სახელოებს გაფუქერავ ჩუმიად. ვითომ უცხო.

• როგორც ბებიჩემი მეტყვის ხოლმე, ლობე-ყორეს მოვედებოდი. სულ დავწრეკდი მთელ სახლს. ყველაზე კარგად სანდრას სამკაულებით გავფრთობოდი. ბოლოს მიშას კაბინეტში შევიდოდი, მის სავარძელში მოვკალათდებოდი და ჩაისაც მოვპარავდი... ოჰ, ეს ჯაფარიძე რაზე არ გაკოცნებებს, რა! ჭრიჭინა.

• მე რომ მანდ დავრჩენილიყავი, საძინებელ ოთახში სათვალთვალ ვიდევოკამერას დავამონტაჟებდი... მისტერ.

• აუჰ, აფობებს, პრეზიდენტიც იყოს სახლში.

• ჯერ ყველაფერს კარგად დავათვალიერებდი, მერე კი გამოჩნდებოდა ვინმე და მას დავუსვამდი ჩამჭრელ შეკითხვებს. ზუსტად ვიცი, რომ არაფერს მოვიპარავდი. სვანის ასული.

• ჯერ ვინ შემასუნინებს პრეზიდენტის სახლში, მაგრამ თუ სასწაულები ხდება და მის სახლში თავი მარტო დავიგულე, დიდი ასოებით დავუწერდი კედელზე: „გვეშველება რამეე?“ ლუნა.

• ეს იმდენად დაუჯერებელი ამბავი იქნებოდა ჩემთვის, უეჭველი, ჩქმეტით ავიკლებდი ჩემს რბილ ადგილებს, მაგრამ მაინც ვერ დავიჯერებდი. სად მე და სად — მიშას სასახლე? ექსტაზი.

• აუ, მართლა? ჰოდა, თუ მართლა მასეა, არ გამაღვიძოთ, რაა... დარწმუნებული ვარ, სიზმარი იქნება. ლუკაჩო და ეკო.

მოდეთ?! ერთხელ მივედი სამსახურში და უფროსმა დამიძახა. დატოვე შენი „დოლ-გარმონი“ ოფისში და ისე წადი რეისში, მეუბნება წარბაწეული, სერიოზული ტონით. ჯერ ვერ გავიგე, რაზე მეუბნებოდა, მაგრამ მერე მივხვდი, დისკების ჩანთას გულისხმობდა. ეჰ, ვერ შეიგნეს, რომ მუსიკის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია, მაგრამ არც უფროსის გაბრაზება მინდა. ანი უფროსო, ნუ მეჩხუბები ხოლმე, გთხოვ, თორემ იცოდე, შენზეც დავწერ. P.S. აი, უკვე დავწერე :) მანაველი“.

უცნაური ჰობი

„ნუ, ჰობის ვერ დავარქმევ, მაგრამ თუ შესაბამისი გუნება-განწყობილება მაქვს, მომწონს, როცა ჩემი საქციელის გამო ადამიანები უცნაურ გამომეტყველებას იღებენ. ახლა მხოლოდ მსუბუქ შემთხვევებს მოგიყვებით. ზოგიერთ „მარშრუტკას“, საბარგულში იოლად ასვლისთვის, კართან ფეხის დასადგმელი აქვს. ერთ ცხელ დღეს, მარცხენა ხელში წვენითა და ყურებში ყურსაცვამებით, „შემოვადეი“ ამ დასადგმელს, ხელი მჭიდროდ ჩავავლე კარის სახელურს და გლდანის VIII მიკროდან მეტრო „ახმეტელამდე“ ასე ჩავყევი. მგზავრობის მომენტში ფეხით მოსიარულე ადამიანების გამომეტყველებები არაფერი იყო მძლოლის გამომეტყველებასთან შედარებით. როდესაც „მარშრუტკა“ გაჩერებაზე გაჩერდა, ამაყად გადმოვედი, მძლოლთან მივედი, 2-ლარიანი მივანოდე და — ერთის აიღეთ-მეთქი, ვუთხარი. თქვენი აზრით, რას იზამდა მძლოლი? ჩემი საქციელით გაკვირვებულმა, ხურდის დაბრუნება ოდნავ დააგვიანა. ასევე ვხალისობ, როდესაც ადამიანებს უხერხულ მდგომარეობაში ვაგდებ. მაგალითად, თუ შევამჩნიე, რომ საცობში მოყოლილ მანქანაში მჯდომი პიროვნება ნესტოებში, თითით „არქეოლოგიურ გათხრებს“ აწარმოებს, შესტიკულაციით ვთავაზობ, იქნებ ნიჩაბიც მოინძაროს, ღრმა ადგილების „გამოსაკვლევადა“. ხშირად სირცხვილისგან თავს მარიდებენ, მაგრამ თუ საცობშივე მოყოლილი ზოგიერთი „ბებოს“, ჩემი მისამართით ნატყორცილი მზერა შევამჩნიე, მაშინვე მხურვალე კოცნებს ვუგზავნი და მათი სახეების ყურებით ვტკბები. თუმ-

ცა, უნდა ვალიარო, რომ არც ისინი მრჩებიან ვალში: თავს გაიქნევენ, ხელს წინ გამოიშვერენ და მწყევლიან. ამას მათი ტუჩების მოძრაობით ვხვდები. მომწონს ასევე ქუჩაში გამველ ხალხზე დაკვირვება და მათი ლაპარაკის მოსმენა. მისტერ“.

სიმართლის წამი

„მე და ჩემმა შეყვარებულმა „დამალობანა“ უკვე ვითამაშეთ და ერთმანეთის „შრამებიც“ დეტალურად შევისწავლეთ. ჰო, შოკოლადებს ვმალავ, რომ არ „ჩატკბარუნდეს“, მაგრამ ისე ტექნიკურად მოტეხაასეს?! პაკისტანელი მეზობლები მყავს და მათ ბავშვს მივეციო. შოკოლადის ქალაქებს ურნაში რომ ყრის, ვითომც არაფერი. ყოველი კვირის ბოლოს ვთამაშობთ 20-წუთიან თამაშს, „სიმართლის წამი“. ხუთ-ხუთ კითხვას ვუსვამთ ერთმანეთს და გულახდილად ვსაუბრობთ. თუ საუბარი 20 წუთში არ ეტევა, მეორე კვირისთვის გადავავაქვს და ერთმანეთს ინტერესში ვაგდებთ. ხალისით სავსეა ჩვენი ცხოვრება. ჰო, ნასვამ მდგომარეობაში მისწრებაა ეს თამაში. 5 კითხვა 25-მდე იზრდება. თუ კვირის აღსარება მომწონს, შოკოლადით, ყინულითა და „კოკა-კოლით“ შეხავებული ვისკი ჩემზეა. თუ მას მოსწონს ჩემი აღსარება, ორშაბათს ლამაზი თაიგული ლარნაკიდან მიდიმი. ჰოდა, ერთი უჩვეულო ალბომიც გვაქვს, რომელსაც დავანერეთ: — „თანამედროვე ბებია და ბაბუა. შვილიშვილებო, ეს ჩვენ ვართ“. საიდუმლო ალბომია. სიყვარულისა და ეროტიკის ამსახველი, ლამაზი ფოტოებით, მხოლოდ ჩვენთვის. შვილიშვილებს რამე ხომ უნდა მოუყუყუეთ? მერე, რამდენია მოსაყოლი?! ავოიეეე! პართენა“.

ცოლი, სახელად – გოგი

„შუა ქალაქს“ ხომ უყურებთ? ჰოდა, ქეთევანისა და თამარისნაირი მეზობლები მეც მყავს, ოღონდ განსხვავება ისაა, რომ ქეთევანი და მარინა ჰქვიათ (იმედია, „გზას“ არ წაიკითხავენ, თორემ მომახერხავენ თავს). მარინა გათხოვილია — 2-შვილიან! :) თან ლაშვიკოსი არ იყოს, აქაც ქმარი ჩასიძებულია და სანყალი სიძე ქეთევანის ბოროქრობას უძლებს.

ღღონტების მსგავსად, ისინიც ეზიდებიან მეზობლების ნივთებს — თერმომეტრი, წნევის აპარატი, ხახვი, ნემსი,



კვირის შობის გამოჩენილი შოქი, მესამოსი შენერ მომავალი ლოკომოცივი აღმოჩნდას





მოკლე ჩართვა

რა ნათს დაჰმალავდი მეყვარეულს?

• ჩემს ყველა ნაკლს გადმოვუღაგებდი. საერთოდაც, ასე ვარ ხოლმე და თუ მაინც ვეყვარებოდი, აი, მაშინ კი ეღიერებოდა ასეთი ადამიანის დაფასება, მაგრამ მე ვინ გამიძლებს? ბუზლუნ პირველი კი არა და SWEET-GIRL.

• თუ ჩავთვლი, რომ რაიმე ნაკლი მაქვს, არ დაფუძლავ! ისეთი უნდა ვუყვარდე, როგორც ვარ. პანუ17.

• დაფუძლავდი მეორე შეყვარებულის არსებობას, მაგრამ ნრფულ სიყვარულთან იმავეს ჩადენის საშუალებას ჩემი მამაკაცური ღირსება არ მომცემდა. მისტერ.

• შეყვარებულს მხოლოდ იმას დაფუძლავდი, რომ საშინლად ეჭვიანი ვარ, მაგრამ ამ გრძნობის გაკონტროლება შემიძლია მანამ, სანამ საკმარისი სამხილი არ მექნება და თუ ჩემი ეჭვი გამართლდება... მერე თავის თავს დააბრალოს.

• ის გამახსენდა, ქორწინების ათი წლისთავზე ჯონ რომ გამოუტყდა ცოლს, ზანგი ვარო. არა მგონია, ჩემი ნაკლიც ათი წელი დაიმალოს, მაგრამ მაინც, ცოცხალი თავით არ გავუშვებ, ძილში რომ ვფხანკალებ და შამფურით ვტრიალებ. მემე.

• ჩემი აზრით, საყვარელ ადამიანს არაფერი არ უნდა დაუმალო. მით უმეტეს — ნაკლი. პატარ-პატარა საიდუმლოებები შენთვისაც უნდა დაიტოვო, რომ უფრო და უფრო დააინტრიგო, მაგრამ ნაკლი — არა! დაე, გვიყვარდეს ერთმანეთი ისეთი, როგორც ვართ. გაოცნით ბევრს. CRAZY GIRL.

• ვისხენებ და ვერაფერი გამისხენებია, რაა... ჰო, გამახსენდა, დაფუძლავდი, რომ ვგიჟდები საბავშვო სათამაშოებზე და პატარა ბავშვთანაც დიდი სიამოვნებით ვთამაშობ. ჰო, ჰო, მართლაც ასეა, ოღონდ არ გაბედოთ კაცი. ლა-ლოლა.

• მე საერთოდ, ერთი დიდი ნაკლი ვარ, ამ დედამიწისთვის. ასე რომ, შანსის მეთასხედიც კი არ არის, ვინმემ შემიყვაროს. ატარექსია.

რა აღარ აქვთ გაზიდული?.. როცა რომელიმე ნივთი გვჭირდება, სახლში აღარც ვეძებთ — მარინას და ქეთოს ეწეხება წაღებულნი. უცნაურ მეზობლებს მიეკუთვნება ეგრეთ წოდებული „ადამსების ოჯახი“ (მე დავარქვე ასე). რა საშინელ ცხოველს აღარ წააწყდები მათთან. ზოოპარკი აქვთ მოწყობილი. თან ძალიან პირქუში ხალხია და თუ ღამით, რომელიმე დავლანდე, იმ ღამეს „კომმარი“ გარანტირებული მაქვს. ალბათ მე და ჩემი ძმაც უცნაურები ვართ ჩვენი მეზობლებისთვის. ერთმანეთს ისეთ კინობით სახელებს ვურჩევთ, ყურო, ნუ გაიგონებ: მაგალითად, რამდენი ხანია, დედას „MOTHER“-ს ვეძახი, მამას — ჯოზეფს (იოსები ქვია). ჰო, მამიკომაც იცის უცნაური სახელების შერქმევა. უცნაურია ზუსტადაც, რომ დედაჩემს გოგის ეძახდა ერთი პერიოდში. ჰოდა, ერთხელაც, გოლოგოი! — იძახის აივანზე გადმოდგარი მამა (დედას ეძახის).

— ბატონო! — უპასუხა მეზობელთან მყოფმა სტუმარმა, „ჰო იმენი“ გოგი.

— თქვენ არა, ჩემს ცოლს ვეძახიო, — გასძახა მამამ.

— თქვენს ცოლს გოგი ჰქვია? — გამოშტერდა ის კაცი.

— არა, მოფერებით ვეძახი.

დიალოგის დროს, მე და ჩემი ძმა სიცოცხლით ვიხოცებოდით. ასეთი ხუმარა მამიკო მყავს და ასეთი უცნაური სამეზობლო, რომელიც ძალიან მიყვარს. ჩუბი“.

ქორწილი

„ახლა ვისზეც მოგიყვებით, ნამდვილად არ ვიცნობ, მაგრამ როგორც დავასკვენი, ცეკვა მისი ჰობია! მოკლედ, რა ხდება: წინა კვირას ქორწილში ვიყავი, ურეკში. დედაჩემს გავყვე. მეგონა, ვერ გავერთობოდი, მაგრამ წურას უკაცრავად! ჯერ იყო და სიძე-პატარძალმა დაიგვიანა, ხუთზე დაპატიჟებულები ზუსტად რვის ათ წუთზე დავსხედით, მერე ქართული იცეკვეს — „პრივიოოოოოო!“ ბიჭი კიდევ ჰო, მაგრამ გოგო? „იმენო“ — ბლუჭუ-უჟნი! მერე თამადამ ისეთი სადღეგრძელოები გაუშვა, მე რომ დავთვრები, ასეთ სისულელეებს მაშინაც კი არ ვამბობ. ჰოდა, ამხელა შესავალს რატომ ვუკეთებ იმ გოგოს ცეკვას? იმიტომ, რომ ალგინეროთ, როგორი სიტუაცია იყო. უცებ, აჭარული სიმღერა დაიწყო. გამოვარდენენ აქეთ-იქიდან გოგო-ბიჭები, ყველა

უაზროდ იგრიხებოდა. მათ შორის შევამჩნიე ის ლამაზი გოგო, არანაკლებ კარგ ბიჭთან ერთად. ცეკვადა, თან — ძალიან კარგად. აშკარად მოცეკვავეები იყვნენ. ამ უგემოვნოებში ნამდვილად ანათებდნენ და მეც და ბევრი სხვაც ამ წყვილის ყურებით ვტკებოდით, მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე, განა?! უცებ, საცეკვაო მოედანზე გამოხტა ზემოთ ხსენებული გოგო, თავის მენყვილესთან ერთად და დედას გეფიცებით (რომელსაც იმ ქორწილში გავყვე), მთელი სხეულით, ნერვებით, მიმიკებითა და „დაჟე“ თმითაც კი დაიწყო ცეკვა! დამიჯერებთ? ყველა იმ მსტომარე წყვილს უყურებდა და ჩურჩულებდნენ, ახია, ნაიქცესო. ჩემ გვერდით მჯდომ ქალს ეს ფრანა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ის ქერთიანი გოგო, დაახლოებით თორმეტსატიმეტრიანი სიმაღლიდან ძირს დაებრუნე! იცით, რა სანახავი იყო? მაგააარ! მთელ დარბაზში ატყდა სტვენა და ტაში. ცოტა კი შემეცოდა, ისე. აი, ასე დაღუპა ჰობიმ გოგო. ისე, ვერ ვხვდები, ცეკვა თუ არ იცი, რატომ იგრისები, ჰა? ბაში-აჟუი“.

უდარდელი ბავშვობა

„ჩემი ჰობი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა საქმიანობა იყო. სულ პატარას, საზოგადოების წინაშე ლექსებით წარმდგომა მინიბლავდა. მერე გავმემაკდი და ბიჭების წვალებით ვირთობდი თავს. პარალელურად, პოეზიის ნიმუშების გადაკეთებას, ჩემი და დაქალბის თაყვანისმცემლების გამარჯვებას მიყვავი ხელი და იმ „შედეგებზე“ ახლაც ვიცი. შემდეგ დავეჭვიანდი და სერიოზული გატაცებებიც გამიჩნდა. მქონდა ულამაზესი ჰერბარიუმები, ოდრი ჰეპბერნის ფოტოების კოლექცია და ვხატავდი ქალის სამოსს, ბოლო წლებში ქსოვამ გამიტაცა. მართალია, ამისთვის დრო იშვიათად მრჩება, მაგრამ ბედნიერი ვარ, როცა ჩემი ნაქსოვი კაშნეებით დაიკო და მეგობრები ინონებენ თავს. სიამოვნებით ვივლიდი სათევზაოდ, მაგრამ ვერ ვახერხებ. მხოლოდ ერთხელ ვიყავი და ისე მომეწონა, ღმერთმა დამიფაროს და კაცი რომ ვიყო, თევზაობა ჩემი ჰობი იქნებოდა... დაბოლოს, ყველა ეტაპზე ყველაზე დიდ სიამოვნებას კითხ-



ჩალი ბეჭდვად მოსალო ჩანს მასინ, თუ მისი ჩუსლოების ჩვეულებასა და მოქცევათ.



მოკლე ჩართვა

რა ნააღს დაკვათავსდი  
მეყვარებულს?

87

• ბებიჩემი მეუბნება ხოლმე, ლაშამ რომ იცოდეს, რა ზარმაცი ხარ, გეფიცები, თუ წაგიყვანოს ცოლადა. ადრე ვუმალავდი რაღაცებს, ახლა კი აღარ ვუმალავ. თან მე უნაკლო ვარ და... ჭრიჭინა.

• თითქმის არაფერს დავუმალავდი. ბანალურია, მაგრამ ასეთი უბრალო უნდა ვუყვარდე და მერე მისი დიდი სიყვარული თავისთავად იქნება ჩემთვის სტიმული, გაეზღვე შედარებით უკეთესი, რაც ორივესთვის სასარბიელო იქნება. თუმცა, ადამიანების რადიკალურად გარდაქმნის არ მჯერა. სვანის ასული.

• ნაკლი რამდენად ეთქმის, არ ვიცი, მაგრამ დღესდღეობით იმას ვუმალავ, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით დარჩენული მაქვს. მეშინია, მერე სიბრაღულის გრძნობა არ გაუჩნდეს. ვემყურნალობ და რავარც კი მეშველება, იმწამსვე ვეტყვი ყველაფერს. დამაავიო.

• შეყვარებულს ნაკლს როგორ დავუმალავ? სულ იმას ვამბობ, ისეთი უნდა ვუყვარდე, როგორც ვარ, ჩემი ღირსებითა და ნაკლოვანებებით და არა ისეთი, როგორც მას ენდომება. ის ვარ, რაც ვარ და არავის გამო არ შევიცვლები! შოკოლადა.

• ვჭერნავ და ამას ნამდვილად არ ვეტყვი ჩემს „ლოვეს“. თუმცა, რა ჩემი ბრალია? პოლიპები მაქვს, მაგრამ მეშინია ოპერაციის გაკეთების. ექსტაზი.

• შეყვარებულსა და საერთოდ, ადამიანს, როგორ უნდა დავუმალავოთ ნაკლი? თუ ფიზიკურია, იმას ისედაც დაინახავს და თუ შინაგანია, დროთა განმავლობაში თვითონ ურთიერთობა გამოავლენს მას. შეუძლებელია, მუდამ ითამაშო. ისე, დღესდღეობით ძირითადად ქალბატონები მალავენ, რამდენ მამაკაცს აკოცეს, ხელახლა იკვარავნ ქალწულობის დამადასტურებელ აქვს. მამაკაცები კი გულმოდგინედ მალავენ ყოფილი საყვარლების რაოდენობას. თუმცა, ამ ყველაფერს უკვე ნაკლი კი არა, ცოტა სხვა რაღაც ჰქვია. ბამბუჩა.

• ენაბლუ რომ ვიყო, იმას დავუმალავდი. SWEET-GIRL

ვა მანიჭებდა. ეს ჩემი ცხოვრებაა და არა — ჰობი. ვკითხულობ ძალიან ბევრს და ვნერ გაუთავებლად. ახალ წიგნში ფულის გადახდა არასდროს მენანება და ჩემი პირადი ბიბლიოთეკის ზრდას სიამაყით შევხარო. ვნერ ლექსებს, ჩანახატებს, ვსწავლობ და მიმჩნია, რომ საინტერესოდ ვცხოვრობ. P.S. ამას წინათ, მესამე კლასში შედგენილი „მეგობრობის დღიური“ ვიპოვე, სადაც ხაზგასმით ვაცხადებ, რომ ჩემი ჰობი დილის ძილია. :) არა, რა, ხომ ვამბობ, უდარდელი ბავშვობა მქონდა! :) პარიჟანკა“.

დოდო

„სოფელში დედაჩემს ჰყავს მეზობელი, დოდო, რომელიც, რაც თავი მახსოვს, ყოველ მეორე დღეს დედაჩემს ეძახდა, ღია, მოიტა, 5 მანეთი მასესხეო. მამაჩემი საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა, დოდო და მისი ქმარი კი — მეურნეობაში. როცა საბჭოთა ფული გაუქმდა, აღმოჩნდა, რომ ჩვენ სალაროში 7 ათასი მანეთი გვქონდა შენახული, დოდოს — 55 ათასი. დედაჩემი ყოველთვის აკეთებდა ზამთრის დიდ მარაგს — 40-ლიტრიან, ალუმინის ქვაბში ხარშავდა ტომატს და მსგავს სხვა რაღაცებს. მოკლედ, 3 დღე ეს ქვაბი ჩვენს სახლში იყო, 4 დღე — დოდოსთან (იმასაც ხომ უნდოდა კონსერვები). ერთხელ მარო ბებია გვესტუმრა (დოდოს დედა), რომელიც იქვე ცხოვრობდა. დედა ამ დროს ტომატს ხარშავდა და მაროს უთხრა: მალე უნდა მოვრჩე, რათა ქვაბი დოდოს ვათხოვო, იმასაც გასაკეთებელი აქვსო. მარო ბებია გადაიარია, რად უნდა, შენგან რომ მი-აქვს, 5 წლის წინ 2 ცალი მასეთი ქვაბი ვუყიდე და დღემდე ჩემთან აქვს შენახულიო. დედაჩემი კინაღამ გაგიჟდა, დოდომ კი იცით, რა უთხრა? იმ ქვაბებს რომ ქალაღლი აქვს შემოხვეულიო?! 2 წლის წინ ვიდუო იყიდეს და რომ ჩართავენ, ყოველ 15 წუთში გამოერთავენ ხოლმე (ვიდუოს ასვენებენ). დილით დაწყებული კინოს ყურებას საღამოს ამთავრებენ. მაგნიტოფონს იცით, როგორ ინახავს? კარადაში დევს ბალიში, სრული შეფუთვით და ზემოდან ადევს მეორე ბალიში. (არც ამას ამუშავებენ, 15 წუთზე მეტხანს). ბალზაკოვნა“.

„ნულარ გამოუმემაურებით“

„ჩემი ჰობი? ეს ის კითხვაა, რომელზეც ჩემს მეგობრებს, ახლობლებს, ნათესავებსა და უბრალოდ, ნაცნობებსაც კი დაზუსტებით შეუძლიათ გიპასუხონ, რომ ჩემი ჰობი ცურვა და კითხვაა. არა მგონია, ვინმეს ჩემსავით უყვარდეს მდინარე. ჰო, მდინარე და არა — ზღვა. მთის მდინარეში საათობით შემოძლია ცურვა და ზღვაში ხელს ვერ ვანძრევ, ეგრევე ცუდად ვხდები, გინახავთ ასეთი რამ? სადაც ყველაზე მაღალი კლდე ან ხიდა, პირველი მე ვხტებოდი იქიდან, რასაც დარცხვინილი ბიჭებისა და შურიანი გოგონების მზერა ახლდა თან და კიდევ — უამრავი ნაიარევი სხეულზე, ნაღრძობი ფეხი და რა ვიცი, ათასი უბედურება დამრჩა სახსოვრად. აბა, 10-მეტრიანი ხიდიდან წელამდე წყალში რომ გადახტები და მაინც ცოცხალი ამოხვალ, ეს დასაფასებელი არაა? ჰოდა, დამიფასეს და წელის ბატიც შემარქვეს. ერთი ოცნებაც მაქვს და იმედია, ავისრულებ — მეტეხის ხიდიდან უნდა გადავხტე. არა, თავს კი არ ვიკლავ, ისე, უბრალოდ, უნდა გადავხტე და გავცურო. ახლა ფიქრობთ, გააფრინა ამანო და არც მიკვირს. წინა კვირას, შუა ნოემბერში, დილის 11 საათზე გოგო რომ წყალში ჩახტება, აფრენს, აბა რას შერება? სამაგიეროდ, ერთკვირიანი სიცხე და გრიბი ავიკიდე. ღრმა მდინარის დანახვაზე მაკანკალებს, ისე მინდებოდა ჩახტომა და დაბარებული მაქვს, როცა მოკვდები, სიბნელის მეშინია, მიწაში შიშით გული გამისკდება და დიდი ქვები მომავით და მეზღვარევი ჩამძირეთ წყალში-მეთქი. ვისაც ჩემსავით უყვარს ცურვა, გამოუმემაუროს და შემეჯიბროს და თუ მანადე გადაცემა „პატრულში“ ნახეთ — მტკვარმა გამორიყა 20 წლის გოგოს გვამი, მეტეხის ხიდიდან გადახტა, მაგრამ ველარ გაცურა, დაიხრჩოო, მაშინ ნულარ გამოუმემაურებით. ნიბუ“.

კიდევ ერთი ანეკდოტი მინდა მოგიყვებო, რომელიც მომდევნო 2 ამბავს ისე ერგება, ისე ერგება, როგორც ყველი — პურს, საცობი — ბოთლს და მგზავნელი — „გზავნილებს“. მოკლედ, კაცი მივიდა ექიმთან და შესჩივლა, მიშველე რამე, სულ მიშველი ქალები მელანდებო. ექიმმა ფურცელზე დახატა სამკურთხედი, ეს რა არისო? შიშველი ქალიო, უპასუხა პაციენტმა. ექიმმა წრე დახატა, ეს რააო? ესეც შიშველი ქალია, ექიმოო. ესაო? და



წამძვებისთვის აუცილებელია ამ  
ამის სხვებზე ჭყვიანი იყო,  
უმწაოოდ, უმწაოესობაზე ერთი  
ღლით წამაიქი უნდა აღმოჩნდე



ექიმმა მართკუთხედი დახატა. ეგვი, ეგვი შიშველი ქალიაო, გაუნათდა სახე კაცს. შენ, გენაცვალე, სექსუალური მანიაკი ხარო, დიაგნოზი დასვა ექიმმა.

— ჰმ, შიშველ ქალებს შენ ხატავდი და მანიაკი მე ვარო? — გაგულისდა პაციენტი.

**მხატვარი**

„მეზობელი მყავდა „ანტიკვარი“. სანყალი, თავის ჰობის შეენირა კინალამ. მისი ჰობი კი ხატვა იყო. ხატავდა და თანაც რას, არ იკითხავთ? ქალებს! მაგრამ შიშველებს. დახატავდა თავისი ფანტაზიით, ავტოგრაფად ზოგს რას უწერდა, ზოგსაც — რას და ადრესატის სახლის კარზე გააკრავდა. დრო გადიოდა, მაგრამ მხატვარს ვერ პოულობდნენ. მთელი სოფელი სულ „გემრიელი“ სიტყვებით ამკობდა ინკოგნიტო მხატვარს. ნახატები კი მაინც სახლების კართან ჩნდებოდა, მაგრამ კოკა მაინც გატყვდა, რადგან მხატვარს თავდავიწყებით შეუყვარდა თავისი მეზობლის ცოლი — მარიკა. მხოლოდ მის შიშველ სხეულს ხატავდა. ერთხელაც გათამამდა და დღისით, მზისით, მივიდა ქალთან და ავტოგრაფიანი ნახატი გადასცა. ქალმა ფურცელი გამოართვა, შეხედა და ხმამაღლა შეჰკვივლა. იქ ამბავი ატყვდა?! სანყალი კაცი, ნისლქვეშ რომ გაიგდეს, იმდენი ურტყეს, საავადმყოფოში ამოჰყო თავი. ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდა. გამოჯანმრთელდა და მაინც მარიკას ხატავდა, სიკვდილის ბოლომდე. ექსტაზი“.

**შიშველი ქალები**

„ჩემი მეგობრის საოცარ ჰობიზე გიამბობთ: ეს ჩემი მეგობარი სრულიად ჩვეულებრივი ბიჭია, მაგრამ სრულიად არაჩვეულებრივი გატაცება აქვს: სადაც უნდა იყოს (ლექციაზე, ქუჩაში, ტრანსპორტში) ცდილობს, გარშემომყოფნი წარმოიდგინოს შიშველად. არ იფიქროთ, მანიაკთან გვეკონდეს საქმე. საკმაოდ სიმპათიურია, განათლებული, პრესტიჟული სამსახურით და რაც მთავარია, იზვიათი ინტელიგენტი (ვამაყობ მისით), მაგრამ ეს „უწყინარი გართობა“, როგორც თვითონ უწოდებს, ლადაობის საშუალებას აძლევს თურმე. ჰქონდა მცდელობები, მეც შევეყვანე მულაში. თუმცა, არაფერი გამოუვიდა. ასე რომ, ჩემო კარგო ადამიანებო, თბილისში დადის ერთი „სიმ-

პატიჩნი“ ყმანვილი, რომელიც წარმო-სახვაში „გამიშველებით“ ერთობა. ბამბუჩა“.

**თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები**

„ჩემი ჰობი კალათბურთია. პატარაობიდანვე ძალიან მომწონდა ეს სპორტი. ახლა დავდივარ კიდეც, თუმცა მშობლები მეჩხუბებიან, დროა, მომავალ პროფესიაზე იფიქროო. არადა, კალათბურთი ჩემი ცხოვრების აზრი გახდა. მერე რა, რომ გოგო ვარ? ვცდილობ, არც ერთი ვარჯიში არ გავაცდინო. ძალიან, ძალიან მიყვარს კალათბურთი. მარტოსული“.

„ბავშვობიდან მინდოდა მსახიობობა. თუმცა, ჩემი პროფესიული გზა ცოტა სხვა მიმართულებით წავიდა. მოკლედ, ბავშვობაში ხშირად მინახავდით ფორტეპიანოსთან. მე ვმღეროდი, დედაჩემი უკრავდა (ახლა თავად ვუკრავ და ვმღერო). ერთხელ, მუსიკალური სმენის შემოწმების შემდეგ, ხალხური სიმღერების გუნდში მიმიყვანეს. სიმღერა ჩემს ჰობად იქცა. თან, პარალელურად ცეკვასა და გიტარაზე დაკვრას ვსწავლობდი. ასევე პლასტიკინით ძერწვა მიტაცებდა. ეს ყველაფერი ჩემი ჰობი იყო. დღეს? დღეს ყველა ჰობია, სიმღერის გარდა. ხალხურმა თავისი ქნა, ჩავაბარე მუსიკალურ სასწავლებელში, დავამთავრე და ახლა კონსერვატორიისთვის ვემზადები. 1 წლის წინ კი ჩემი ოცნება ახდა და სცენაზე ფეხი დავდგი, როგორც მსახიობმა. სუპერსთარი“.

„არ ვიცი, ეს ჰობია თუ მანია, მაგრამ ოჯახის წევრები კი არიან ცუდ დღეში და... რაა საქმე, იცით? დიზაინერობას ვაპირებ. ჰოდა, რომ წამომივლის ხოლმე, ავიღებ მაკრატელს და ვანაკუნებ ყველაფერს. წინ მაკრატელი და უკან — მე! რაც შემხვდება, უმოწყალოდ ვანადგურებ. სანყალ დედაჩემს ერთი მთელი კაბა აღარ აქვს. ჭრა-კერვა უნდა ვისწავლო-მეთქი, — ვიძახდი. ჰოდა, პირველი ნაწილი (ჭრა) იცოცხლე, დავამულავე მაგრად, მაგრამ აი, მეორე ნაწილზე (კერვა) კი რა მოგახსენოთ. მია“.

„ძალიან მიყვარს პატარა ბავშვების წვალეობა. „ბულიკი“ მეზობელი მყავს, 11 თვისაა. როცა მხედავს, აღარ იცის, იცინოს თუ იტიროს. ხვდება, რომ გემრიელად ვეთამაშები, გავართობ, ვაცივებ,

მაგრამ ისიც იცის, რომ მის ფუმფულა ლოყებს გულგრილად გვერდს ვერ აფუვლი, ჩავკოცნი და ჩავვებიჩავ. დედამისი მემუქრება, შენ რომ პატარა აჭარელს ჩამოიყვან, ნახე, რა დღეში ჩავაგდოთო. საცოდავს, რამდენი ემუქრება?! ყველამ ჩემს შვილზე უნდა იძიოს შური. მე-ზობლები მეჩხუბებიან, იმდენს კოცნი ჩვენს შვილებს, ლოყები ჩაუფუშეო. რა ვქნა, მიყვარს გემრიელი ბავშვები. ჭრიჭინა“.

„ჰოოოოდა, ცოტა ხნის წინ „პრიკოლა“ ბებო მესტუმრა. ჩავეხუტე, მოვიკითხე. გავიდა პანა ხანი, ჩემ წინ დგას, მე რაღაცა სასაცილო ამბავს ვყვები, შემომხედა და ყოჩად მიშკა, ცირკი ხარ, ცირკიო, — მითხრა. ვაა, შეხედე კმაყოფილი ჟიარფის თვალებით და ვუთხარი — ბებო, მე კაი, ცირკი ვარ, მაგრამ ტე რა პონტში დგახარ ჩემ წინ-მეთქი? ტიტუ! უნდა გენახათ, რას გაჭკიოდა — ამ გათახსირებულმა კახბა გამომიყვანაო. ვაა, აბა, რატომ მითხრა, ცირკი ხარო? 9717“.

„ჩემი ჰობი პატარაობიდან წიგნების კითხვა იყო. 11 კლასიდან საკმაოდ სერიოზულ ლიტერატურას ვკითხულობდი და ცხადია, ყველაფერს ბოლომდე ვერ ვიგებდი. ასევე მიყვარს მოგზაურობა და ოცნება. ჩემი ჰობია ასევე (თითქმის 2 წელია უკვე) „გზის“ ყიდვა (მანამდე დიდი ხნის განმავლობაში მეზობელთან ვკითხულობდი ერთად დაგროვილ ძველ ნომრებს), სულმოუთქმელად ნაკითხვა და დამესიჯებაა. ბოლო დროს „ოდნოკლასნიკებმა“ გამიტაცა, რაც კითხვაში ხელს სერიოზულად მიშლის, მაგრამ ეს მგონი, უკვე უამრავი ადამიანის პრობლემა გახდა. ისე, ნეტავ, მგზავნელების „გრუპაში“ არ შემიყვანთ? სვანის ასული“.

„გუშინ მასწავლებელთან „მარშრუტკით“ არ წავიდა, რადგან „გზა“ უნდა მეყიდა. ნაფანჩალი ფეხით. წვიმდა, ქოლგაც არ მქონდა, მაგრამ მერე რა? მთავარია, ჟურნალი ხელში მეჭირა და ბედნიერი შტერის სახით, ყურებამდე გაკრეჭილი მივაბიჯებდი. მარნი მესიჯები არ დამიბეჭდა, მაგრამ რა მოხდა? არც არაფერი. ჟურნალის კითხვა ჰობად მაქვს ქცეული. რამდენიმე დღის წინ, მამიკომ იცით, რა მითხრა? ადრე ჟურნალში „გზავნილებს“ ვტოვებდი, ახლა კი მაგით ვინყებ ჟურნალის კითხვასო. აბუბარა“.

*იძისათვის, რომ სთავაზოვ გაიყოთ, საყმაღისი ამ ამის, ჭყვიანი იყო, ამისათვის ცოლი მხედავდითაჲს უნდა ვქონდეს*



**„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „ამბავი, რომელიც სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს“.**  
**გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, ამჯერად გთავაზობთ კითხვას: „რომელი ფილმის გმირი ვიქნებოდი და რატომ?“**

# „ღირსეულ დედას შვილს პერავინ წაართმევს“

„ბავშვს მამა, შენ კი ქმარი გჭირდება...“

„გზის“ №47-ში დაიბეჭდა 20 წლის მიკის მესიჯი. იგი გვწერდა: „მ წელი ვიყავი გათხოვილი. ქმარს 5 თვის წინ, მისი უაზრო ეჭვიანობის გამო გავშორდი. ყველაფერს ვაპატიებდი, გარდა ცემისა, მან კი ჩემზე ხელი დაუფიქრებლად აღმართა“. მიკის ერთი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს და როგორც ამბობს, ყოფილი ქმრის ახლობლები მას შვილის წართმევით ემუქრებიან.

## ლიკა ქავია

### პაწუ, 17 წლის:

„როგორ თუ შვილს წაგართმევო? ვინ ან როგორ უნდა წაართვას დედას შვილი? კარგი გიქნია, თუ მეუღლეს უკვე დაშორდი. არავის აქვს უფლება, შეურაცხყოფა მოგაყენოს. მაგრად დადექი და თავი არავის დააჩაგვინო. 20 წლის გოგო ხარ, მთელი ცხოვრება წინ გაქვს და საკუთარ მომავალზე უნდა დაფიქრდე. იცოდე, ბავშვს ვერავინ წაგართმევს! მპუა“.

### შოკოლადა:

„სამწუხაროა, რომ შენი ქმრისნაირი ადამიანებიც არსებობენ, მაგრამ შენ დედა ხარ, ჩემო კარგო და ბავშვს ასე იოლად ვერავინ წაგართმევს. მთავარია, სულიერად არ გატყდე და იბრძოლო“.

### GRAZY GIRL:


„ვაიმე, რას ამბობ? რას ჰქვია, შვილის წართმევით გემუქრება? იცოდე, შვილი არაფრით დათმო და თუ საჭირო იქნება, დახმარებისთვის სასამართლოსაც მიმართე. წარმატებებს გისურვებ!“

### მამაგონა სული:

„განშორება საუკეთესო საზომია სიყვარულისა — ამ დროს ნამდვილი სიყვარული ძლიერდება, ღრმავდება, ხოლო მოჩვენებითი გრძნობა ჯერ ფერმკრთალდება, მერე კი საბოლოოდ ქრება. ამით იმის თქმა მინდა, რომ მგონი, მეუღლე აღარ გიყვარს. ასე რატომ ვფიქრობ? — იმიტომ, რომ ამქვეყნიად ისეთი კაცი არსად მეგულება, რომელსაც ცოლისთვის ერთხელ მაინც არ გაურტყამს ხელი და ერთხელ ჩადენილი დანაშაული ყველას ეპატიება. მერწმუნე, ასე თავისდაუნებურად, ძალიან გაღიზიანებული მამაკაცები იქცევიან, მაგრამ ცოლის ცემას რა თქმა უნდა, სისტემატური სახე არ უნდა ჰქონდეს. ისე, არ მესმის, ადამიანი ტყუილუბრალოდ რატომ უნდა ცემო? იქნებ, მასთან არც შენ ხარ მთლად მართალი?... თუ უზნეო ადამიანი არ ხარ, ნურაფრის გეშინია, შვილს ვერანაირი გზით ვერ წაგართმევენ“.

### ბუსუსა:

„ნუთუ, შენს სანათესაოში არ მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელიც შენს მეუღლესა და მის ნათესაებს ჭკუას



ასწავლის? მაგათ სწორედ ის უნდათ, რომ სიცოცხლე გაგიმწარონ, გაგალიზინონ. იცოდე, მათ ჯიბრზე პირადი ცხოვრება უნდა მოიწყოს. შენი ცუდი საქციელით ნურავის გაახარებ, პირიქით, ისინი გულზე უნდა გახეთქო. მოძღვართან მიდი“.

### მარიკო:

„მშობლები ან ისეთი ნათესავები არ გყავს, ვისი იმედიც შესაძლოა, გქონდეს? მართოს ამ ყველაფერთან გამკლავება გაგიჭირდება. დახმარებისთვის სასამართლოს მიმართე. იცოდე, შვილს ვერავინ წაგართმევს, მამამისს კი აღიშენების გადახდასაც დააკისრებენ. რამდენიმე ხნის წინ დაახლოებით, შენნაირ სიტუაციაში ვიყავი, მაგრამ ახლა, ჩემი ყოფილი ქმარი შვილის სანახავად არ მოდის. თუ სურვილი გექნება, დამიკავშირდი. იცოდე, თავს გაუფრთხილდი, შენს პატარას ყველაზე მეტად დედა სჭირდება. გკოცნი“.

### პამპირა:

„გამარჯობა. იცოდე, თავი არავის დააჩაგვინო და ბავშვსაც ვერავინ წაგართმევს. გჯეროდეს, მოძალადე კაცის სასარგებლოდ კანონი განაჩენს არასდროს გამოიტანს“.

### ლატო:

„ძალიან მიმე მდგომარეობაში ხარ, მაგრამ ყველაფერს უნდა გაუძლო! ადამიანების ნილაბაფარებულ ცხოველებს ცრემლი არ დაანახვო, შვილის ხართით. P.S. რუისპირი ძალიან კარგ რჩევებს იძლევა. წარმატებებს გისურვებთ!“

### დაბაში:

„საყვარელო, გამაგრდი. ისინი შვილს ვერ წაგართმევენ! მხოლოდ პატარაზე იფიქრე, შენს ყოფილ ქმარსა და მის ოჯახს კი, შენი დამცირებისთვის პასუხი აუცილებლად მოეკითხება. უფალი დაგეხმარება, ამის გჯეროდეს“.

### GOLD GIRL:

„შენი მესმის. თუ ქმარი მართლა უმიზეზოდ ეჭვიანობდა და გცემდა, ახლა ყველაფერი შენზეა დამოკიდებული — მოიქეცი ისე, რომ ღირსეული დედის სახელი გერქვას და შვილს ვერავინ წაგართმევს! ბედნიერებას გისურვებ, შენს პატარა ანგელოზთან ერთად“.

### ლუნა:

„არავის აქვს უფლება, დედას საკუთარი შვილის წართმევით დაემუქროს, მით უმეტეს, ქმრის ნათესავებს. ნუ შეგეშინდება, თორემ ადვილად დაგჩაგრავენ. შენმა მშობლებმა იციან, ისინი ასე ცუდად რომ გექცევიან? იქნებ, მათ სთხოვო დახმარება? ისე, საკმაოდ პატარა ასაკში გათხოვილხარ და ცუდია, ოჯახი რომ დაგეგრა. წარმატებებს და სულიერ სიძლიერეს გისურვებ!“

### უცნოი:

„ჯერ არ დაბადებულა ადამიანი, რომელიც ისეთ კანონს მიიღებს, რომლის თანახმადაც, დედას შვილს წაართმევენ. მასეთ არარაობასთან ცხოვრებას მართლხელა დედობა გიჯობდეს. იცოდე, მოძალადე ადამიანის გვერდით აღზრდილი ბავშვი ფსიქიკადანგრეულ, არასრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბდება. შენი პოზიციები არ დათმო, იბრძოლე“.

### სვანის ასული:

„სამწუხაროდ, ოჯახის შექმნისას არჩევანში შემცდარხარ, უბედური ცოლი ხარ და ახლა მშობლის უფლების ჩამორთმევითაც გემუქრებიან. რჩევა ნაცნობ ადვოკატს ჰკითხე. საბედნიეროდ, საქართველოში სასამართლო თითქმის ყოველთვის, დედის მხარესაა და ალბათ, ამ მხრივ გამოწვევის არც შენ იქნები. შვილისთვის უმიჯობესია, შენთან იცხოვროს. ფრთხილად იყავი, პატარას თვალს არ მოაშორო“.

### თამო 24:

„გეთანხმები, არ აქვს უფლება, გცემოს, თანაც — უმიზეზოდ. დაწყნარდი, ნურაფრის გეშინია. როგორც ვიცი, დედას მხოლოდ მაშინ ართმევენ შვილს, თუ იგი დედობის ღირსი არაა. ასე





რომ, სანერვიულო არაფერი გაქვს. ღმერთი გფარავდეს“.

**ლოლა:**

„მათ მუქარას ყურადღებას ნუ მი-აქცევ. ისინი ცდილობენ, დაგაშინონ, რათა მერე ადვილად დაგამარცხონ. საკუთარ შვილზე იფიქრე, მისი სიც-ვარული ყველა პრობლემის მოგვარე-ბაში დაგეხმარება“.

**თისა:**

„ნურაფრის გეშინია, შენს პოზიციაზე მაგრად დადექი და მათ თავადვე შეუტიე. თუ გინდა, დამიკავშირდი და ვიმეგობროთ“.

**რუსიანი:**

„რომ ვამბობ ხოლმე, — ნაადრევად შექმნილი ოჯახი მყარი არ არის-მეთ-ქი, არ გჯერათ. აჰა, ბატონო, ფაქტი ჯიუტია! მიკი, ძალიან ცუდ მდგომარ-ეობაში ხარ, მაგრამ ეს შენი ბრალიცაა — უაზროდ არავინ ეჭვიანობს. რაც შეეხება შენს ქმარს, თუ მან მართლაც, უმიზეზოდ გცემა, არაკაცი ყოფილა!.. ისე, ასეთი სტატუსი — 20 წლის გა-ნათხოვარი გოგო (ქალი), შვილით ხე-ლში — გაკმაყოფილებს? შენ შვილი გყავს, რომელსაც მამა სჭირდება. შეე-ცადე, ქმართან ურთიერთობა მოაგვა-

რო — ეს შვილისთვის უნდა გააკეთო! ჩემო კარგო, ბავშვს მამა, შენ კი ქმარი გჭირდება. ოჯახი დომინოს ქვებით აშენებული კოშკი არ არის, ერთი ხე-ლის მოსმით რომ დაანგრეო. იცოდე, ყველა ბავშვს არაკაცი მამა ურჩევნია ვაჟკაც მამინაცვალს. წარმატებები!“

**უზაჯაუნა:**

„არავის მუქარის არ შეგეშინდეს. არსებობს კანონი და ის შენს მხარესაა. უფლის იმედი გქონდეს, ის მუდამ ჩვენ-თანაა. ღმერთს ებარებოდე“.

**უცხოვი:**

„გუშინ დაგირეკეთ, მაგრამ იკუშკე-ბის ნომერი არ მომეცით, — ამის უფლება არ მაქვსო. მასთან დაკავ-შირება იმიტომ მინდოდა, რომ მეთქ-ვა: ადამიანების პირად ცხოვრებაში ზედმეტად ერევა, ამის უფლება კი არ აქვს. იქნებ მიანიშნოთ მაინც, რომ ცოტათი ღმობიერი იყოს!“

**რუსიანი:**

„ლიკა, „გზა“ რომ მაგარია, თქვენ კი უმაგრესები ხართ, ეს თქმას არ საჭიროებს, მაგრამ მაინც, უნდა ვთქ-ვა: გზა მაგარიააა! რაღაც უნდა გთხ-ოვო: იქნებ ერთხელ მაინც, ერთი სტა-ტია თავად „გზას“ მიუძღვნა და დან-ერო მისი შექმნის ისტორია. ძალიან გთხოვ, კულისებში ჩაგვაჭყიტე, რა. რას იტყვი, ცუდი აზრია? მიყვარხ-ართ! („გზას“ 2010 წლის მარტს 10

წელი უსრულდება და ჩვენს კულისებ-შიც სწორედ ამ დროს ჩაგახედებთ. — ავტ. :))“.

**ბრუზინა:**

„გოგა, ჩვენ არარეალურები კი არა, ნამდვილები, ცოცხალი ადამიანები ვართ და ყველას შეძლებისდაგვარად ვეხმარებით. ეტყობა, მესიჯი შეც-დომით გააგზავნე სადღაც ან შენი მესიჯის დაბეჭდვის დრო ჯერ არ მოსულა. ლიკა, ყველა „ესემესს“ კითხ-ულობს და გულგრილად გვერდს არც ერთ მათგანს არ უვლის“.

**აბუზარა:**

„ლიკა, „თინეიჯერულ პონტებში“ გქონდა თემა — „გაშვილებული ბავშ-ვები“. თითოეული მათგანი ძალიან შემებრალა, მაგრამ განსაკუთრებით, 19 წლის გელას ნათქვამმა აღმამფო-თა. ის ჯერ ახალგაზრდაა და უკვე,

გული ზიზლით აქვს სავსე. იგი ცხოვ-რებამ გააბოროტა. ხალხნო, გამო-ფხიზლით, გონს მოეგეთ. აბა, როგორ შეიძლება, საკუთარი სისხლი და ხორცი თავიდან მოიშორო? ხომ ხედავთ, სად-ამდე შეიძლება ადამიანი მარტოობამ, გასხვისებამ მიიყვანოს? ნუ გასწირავთ ღვიძლ შვილს და ნუ მიატოვებთ ბე-დის ანაბარად. ღვთისმშობელი იყოს ყველას მფარველი. ამინ“.

**უცხოვი:**

„ლიკ, eko boy ჩემი ძმაცაცია, მა-გრამ მის სიტყვებს — „აქ ყველა გართობის მიზნით ამესიჯებს“, ვერ დავეთანხმები. ნამდვილად, სადისტი უნდა იყო, რომ ხალხის გასაჭირმა გაგამხიარულოს, გაგართოს. გასაჭირში მყოფი ადამიანისთვის თანადგომასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. P.S. სადმე მიმიბეჭდე, გთხოვ“.

# „არჩვენი უყვარხულის სასარგებლო გზაკეთი და... პიბანჯახი“

**ჭრიჭინა:**

„ჩემი ცხოვრების მანძილზე 5 დაქალი მყავდა, მაგრამ აღარავინ შემრჩა: სამმა ჩაილურის წყალი დალია, მეოთხე ბათუმში გათხოვ-და, მეხუთე კი... მოკლედ, დაქალი რომელიც სიცოცხლეს მერჩინა, ჩემგან წავიდა, უფრო სწორედ, მე გავუშვი. როგორია, საუკეთესო დაქალს უთხრა, რომ შენ არჩევანის წინაშე დაგაყენეს და არჩე-ვანი შეყვარებულის სასარგებლოდ გააკეთე, რომ ის ვეღარ იდაქალებს შენთან? — ჰო, მე ეს გავაკეთე! წარმომიდგენია, მგზავნელებო, ახლა ჩემზე რას ფიქრობთ. ალ-ბათ, საშინელი ურჩხული და მოლ-ალატე გგონივართ, არა? ძნელი წარმოსადგენი არაა, ის რას იგ-რძნობდა — გაგიჟდა, გაფითრდა, მეხვეწებოდა: თვეში ერთხელ მაინც

გნახავო, მაგრამ მე ესეც ვერ შეე-ძელი. რატომ? — არ მინდოდა, მას უცნოსავით შევხვედროდი, ის ხომ ჩემი თვალეზბატულა და საყვარე-ლი ნათია იყო!.. ალბათ მიხვდით, რომ ის ახლაც ძალიან მიყვარს, მაგრამ მე მისთვის უკვე უცხო ვარ — არ ვიცი, ახლა სადაა, რა უხარ-ია, შეყვარებულს შეურიგდა თუ არა, როგორ ხასიათზეა... ოჯახის წევრები მეჩხუბებიან: რა ამბავია, ამდენი გლოვა? ამდენს დედმამიშვილის სიკვდილის მერეც არ ტირიანო... რა ვქნა, მე ყველაფერი მის თავს მახსენებს. თუნდაც, აი, ეს ფრჩხილ-ის ლაქი, რომელიც მისვია; თმისსა-მაგრი, საყურე და ჩანთა — ყვე-

ლაფერი ხომ მან მაჩუქა. დღეს შეყვარებულთან ერთად, ძალიან ბედნიერი ვარ, მაგრამ როგორც კი მართო ვრჩები, მაშინვე გულ-ში მწინწნის რაღაც. მე ხომ ვი-ცოდი, რასაც გრძნობდა, როცა სხვა დაქალებმა უღალატეს? — საშინ-ლად განადგურებული იყო და მთხოვა, ოღონდ არ მიღალატო და ყველაფერს გაპატიებო. ნუ ჩამთე-ლით მოღალატე და საშინელ ურ-ჩხულად, მე მეგობრის ფასი კარ-გად ვიცი, მაგრამ უბედურება ისაა, რომ რაღაც მომენტში ჩემი შეყ-ვარებულს მართალი იყო... მაინ-ტერესებს, ჩემს ადგილას თქვენ რას იზამდით? ან ვინც უკვე გაა-კეთეთ მსგავსი არჩევანი, შემდეგ რას გრძნობდით? მზად ვარ, „პრეს-პრესში“ გავიარო და თქვენი მწარე სიტყვები ავიტანო. მე ვხვდები საკ-უთარ დანაშაულს“.

P.S. მამ ასე თუ ჭრიჭინას წერილის ნაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.



# მოხილ-ზასია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოხილ-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრობოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრობოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნით ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.



## ქალაქი

1. ვარ 33 წლის. მაქვს სუფთა წარსული. არ ვარ გათხოვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ დასაქმებულ, პატიოსან, ერთგულ, ბინით უზრუნველყოფილ, 39 წლამდე ასაკის მამაკაცს.

2. ვარ 32 წლის, სიმპათიური გოგონა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მალა, სიმპათიურ მამაკაცს. მხოლოდ, სულით ლამაზი და მდიდარი გამომეხმაროს. სხვანაირი არ მინდა!

3. ვარ 29 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 38 წლამდე მამაკაცს, ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილს. ვარ უმაღლესი განათლებით, სუფთა წარსულით. არასერიოზულებმა გთხოვთ, თავი შეიკავეთ.

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოხილ-ზაციაში“ გამოსავლენი მესიჯის ტექსტი უნდა აკრობოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრობილი, არ გამოქვეყნდება!**

ა — a	მ — m	ლ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

4. მინდა, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო გულთბილი მამაკაცი. ვარ ირმა, 25 წლის.

5. ვარ ქერივი. გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, დამოუკიდებელ, ნორმალურ მამაკაცს, ვისაც ნამდვილად უნდა ოჯახის შექმნა.

6. ვარ 35 წლის, სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონი. მინდა გავიცნო ერთგული და ნამდვილი მამაკაცი, რომელსაც ქალის დაფასება შეუძლია.

7. ვართ 27 და 33 წლის გოგონები. ოჯახის შექმნის მიზნით გამოგვეხმარონ 40 წლამდე ასაკის, დასაქმებული და სერიოზული მამაკაცები. მაიკო და ცირა.

8. 22 წლის, ექიმი გოგონასთვის, რომელიც მაგისტრატურას გადის საფრანგეთში, მეგობარი ეძებს საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ვაჟკაცს, ვისაც სურს ლამაზი ოჯახის შექმნა.



## ქანდაკი

9. ვეხმარები მხოლოდ ეკლესიურად მცხოვრებ მანდილოსნებს, ნამდვილი, ქრისტიანული ოჯახის შესაქმნელად. ვარ 38 წლის მამაკაცი. სასურველია, იყოს თბილისელი.

10. ვარ 27 წლის ბიჭი. გავიცნობ პატიოსან გოგოს, 26 წლამდე. ვარ დასაოჯახებელი. არასერიოზულებმა თავი შეიკავონ.

11. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ კარგი გარეგნობის, სულიერად ლამაზ მანდილოსანს, 22-32 წლამდე. ვარ 35 წლის 183/86.

12. ვარ 36 წლის, დასაქორწინებული ბიჭი. გამომეხმარეთ.

13. ვარ 39 წლის, სიმპათიური, ხაშურელი ახალგაზრდა. ვეუშაობ მაღალანაზლაურებად სამსახურში. ვარ ყველაფრით უზრუნველყოფილი. გავიცნობ კარგ მანდილოსანს. იკითხეთ გია.

14. ვარ ყოველმხრივ მისაღები, ახალგაზრდა, თბილისელი მამაკაცი. ბინაც მაქვს

და სახლიც. სასურველია, თქვენც გქონდეთ. 40 წლამდე ასაკის საქალბატონე შემეხმინოს.

15. მინდა გავიცნო თბილისელი, 45-50 წლამდე ასაკის, შეძლებული, სასიამოვნო ქალბატონი. ვარ საკმაოდ სიმპათიური, 43 წლის.

16. ვარ თბილისელი, 35 წლის. გავიცნობ 40 წლამდე ასაკის, სერიოზულ ქალბატონს.



## სხვადასხვა

• GREEN GIRL, რა ჟენა გენაცვალე, მაგრამ იმედი უნდა გავიცნო. ამ ზაფხულს მეც ძალიან მინდოდა თქვენთან, მაგრამ ვერ მოვახერხე... მართალია, პირადად არ გიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ კარგი ადამიანი ხარ! სიმართლე გითხრა, აღარ მიკვირს, სხვას რომ მამსგავსებენ. ხან ლიმონაო, ხან კაჭკაჭიო... ამას ნინათ ერთ-ერთი მგზავნელი მწერდა, იცი, თეთრი ყვავი ვინ ყოფილა? ვააა, არა-მეთქი, დავინტერესდი... ვივინა და ილინო! მდაა... მეტყველებდა ყველა მგზავნელი მესმინება, მაგრამ რაც ილინმა „გზაში“ მუშაობა დაიწყო, უბრალო მოკვდავთ ზედ აღარ გვიყურებს! SORRY ილინ, მაგრამ ხომ იცი, პირფერობა არ მიყვარს? უკვე მეოთხე მესიჯი დამიიგნორე და მაგრად მიტყდება! ეჰ, ძველებო, მომენტურად (აბა, ახლანაა სულ დამიიგნორე და...) ჰოოოოო, რადგან ჩემმა ვინაობამ ასეთი აფიოტაფი ატეხა, გამოიცანით, ვინ ვარ! 21 წლის ზემოთ ავბიჯე უკვე, მეტისმეტად ძველი ვარ და ძაალიან მიყვარხართ (საკმაოდ მრავლისმთქმელი მონაცემები, ვერაფერს იტყვით). ვინც გამოიცნობს, დავასაჩუქრებ! P.S. მარ, მიმბაძველები გამოიმინდნენ! ის ვიდაც გამჭვირვალე ყვავი მე არ ვყოფილვარ! თუმცა, ვეთანხმები მას! თეთრი ყვავი.

• ASHLEY ჩემო კარგო, ე.ი. ვგავართ ერთმანეთს? მშენიერია. ჩემი გაცნობა რა პრობ-





ლემა? რომელიმე მგზავნელს გამოართვი ჩემი ნომერი და აქ ვაპარ... SWEET-GIRL.

• რას ერჩით თეთრ ყვავს, ნეტავ ვიცოდეთ? მე პირადად, ძალიან მომწონს მისი პირდაპირობა. ყვავუკ, რატომ გვადარებენ ერთმანეთს? არ გინდა დამენახო? თუშცა, შენი იდუმალება უფრო მომწონს. გენაცვალე, გაბურღენილ ბურღლებშიოო... SWEET-GIRL.

• თეთრ ყვავს: დიდად ვაფასებ შენს პირდაპირობას და სამართლიანობას, ჩემო კარგო. მგონი ერთმანეთს უნდა ვიცნობდეთ... ჰოდა, როცა გნახავ, მაგრად ჩაგაწვენ (ზომ იცი, ამ უქსატი სიყვარულს გამოუტყავ).

• ნინა გიცანი, როგორ ვერა, ჩემო კარგო. შენც ძალიან კარგი ხარ და იმიტომაც გიგზავნე კოცნები, მამაშ! აქედანაც გაკოცებ. SWEET-GIRL.

• თუ მოგენატრები, სიზმრად ჩაიყოლე ეს დიდი სურვილი და ჩემს ჩუმ სუნთქვას იგრძნობ უძალ... თუ მოგენატრები, თვალდახუჭულიც რომ იყო, მაინც მოვა ჩემი ლანდი შენთან... თუ მოგენატრები, ლურჯ ცას ახედე და ჩემი სახეა თეთრ ღრუბლებში აისახება... თუ მოგენატრები, ტაძრის ნანგრევებს მიაკითხე, ფრესკად ასვეტილ ხატებში უნდა შეიცნო სახეა ჩემი... თუ ძალიან მოგენატრები, ეგ სანთლები ანთე და მის მკრთალ შუქზე მეზაახე, სული ჩემი უეჭველად შენთან გაჩნდება... მაგრამ საკითხავი იცი, რა არის? მოგენატრები კი, ოდესმე? ეშმაკუნა.

• ნინ, ჩემო კარგო, მე შენს ენ. ბრალდებაზე, ჩემს თეთრ ყვავობასთან დაკავშირებით, თვალგაფართოებული შეგხვდი. ნეტავ საიდან მოგივიდა ეგ აზრი? მე როცა რამის თქმა მინდა, ჩემი ნიკის საშუალებითაც მშვენივრად ვამბობ. ასე რომ, ან ჩემი სასტავი რა ტერმინია? მგზავნელები ყველანი ერთი მთლიანი, განუყოფელი სასტავი ვართ და საჩემოდ და სასხვისოდ დახარისხებული არ მყავს არც ერთი. ეგ შენი ფიქრები კი იმის ბრალია, რომ არ მიცნობ. SWEET-GIRL.

• ნამდვილო მამაკაცო, ძალიან დამავალბე, თუ გამიძხვლე, ვინ და რაში დაგარწმუნა. მოხარული ვარ და შენს მოზოდიშებას ღიმილით ვიღებ. SWEET-GIRL.

• გავბედე და გწერთ. ძალიან დავილაღე, სასონარკვეთილი ვარ და ახლა ყველაზე ძალიან თქვენი რჩევა მჭირდება, რადგან გვერდში არავინ მყავს.

• მარიამ, ერთი თხოვნა მაქვს, თქვენთან. თქვენი ჟურნალის საშუალებით მინდა ერთ ქალბატონს დავუხმარო. რამდენიმე კვირის წინ გავიცანი. მან თავისი ამბავი გამიხსილა. ნაამბობი ფურცელზე გადავიტანე და მინდა, თქვენს ჟურნალში დაიბეჭდოს. თუ ეს შესაძლებელი იქნება, იმ ადამიანის დახმარებას შევძლებ. იქნებ დამაკვლიანოთ და მითხრათ, როგორ მოვახერხო ჟურნალში ამ ისტორიის დაწერა. დიდი მადლობა წინასწარ.

• ლომონ, გაიხარე, შექმა დასწრებაზეაო, სიხარული. :) უნიჭიერესი და თბილი ადამიანი ხარ. შოკოლადა.

• მარ, გული დამწყდა, ჩემი მესიჯები რომ ვერ ვნახე „გზაში“. მინდა, არც ისეთ ცუდ გოგოს გამოვიხმარო. ჩემო ბოლბა ადამიანო, პადხალიმოზა ნამდვილად არ

მწვევია. ჩემისთანები არა, მაგრამ შენისთანები მართლა ანგრევენ ქვეყანას! ჰო, პასუხს რომ მომწერ, კომპააარ! არ დაგავინყდეს, სიხარული. 9717 გაიხარე, გავიცნოთ ერთმანეთი, მაგრამ როგორ? ახლო წარსულში, ნინი16, ახლა მარტოსული.

• პირველად გწერთ და მომინდა, რომ მგზავნელებს შევეუერთდე. თუ ვინმე არის სვანი, გამოიმეხაურეთ. სვანი.

• ჩემს მესიჯს გამოემხაურა ვილაც თამრო. მლანძღავს, იმის გამო, როგორ ვიკადრე და მოხუცებულს დავარტყი. ვიცი, ვინც არის ეს თამრო, ადრე ჟურნალში დამიბეჭდეთ მესიჯი, სადაც გიყვებოდით, ქართველმა ქალმა ბერძენ მამაკაცში 50 ევრო რომ გადაიხადა. ეს ვერ აიტანა მაგ თამრომ. როგორ გავლანძღე, აღარ იცოდა და ჟურნალის მეშვეობით მისწორდება. ღმერთმა დაიფაროს, რომ ქართველებზე ცუდი ვთქვა, მაგრამ რაც სიმართლეა, იმას ოსებზეც ვიტყვი. პირველი ადამიანი არ ვარ, ვინც ბერძენისგან გამწარებულია და გსმენიათ ალბათ, ბერძენმა ტაფა რომ ჩაარტყა ახალგაზრდა გოგოს თავში და დაიღუპა. აბა, ქართველმა მოკლას ბერძენი, თუ ჟურნალის ყდებს არ ააჭრელებენ ვენაცვალე ყველა გავებულ, ქართველ ადამიანს. თქვენი ოსი ღია.

• თუ ძალგის დარჩე ძველებურად მშვიდი და მტკიცე და არ დაიბნე, როცა თავგზა ებნევა ყველას, თუ ძალგის სიმშენედ, შემართებად და რწმენად იქცე, როცა შენ ირგვლივ მკვდარი არის შენდამი რწმენა, თუ ძალგის, მკაცრი მოთმინებით ელოდო ხვალეს, ცრუს, გაუტანელს არ მიაგო სიცრუე ავი. მოძულეს შენსას მძულვარება შეუნდო მალე და თან არც ქრისტედ არ აჩვენო არავის თავი. თუ შეგნევს ძალა, ბრბოში იყო და დარჩე კაცად, მეფეებს ახლდე და გახსოვდეს ყოველთვის ხალხი, შენი ღირსება არ დაკარგო აროდეს არსად, მტერ-მოყვარესთან პირდაპირი იყო და ლაღი, თუ შეგნევს ძალა, გაიხარო ყოველი წუთი, აზრით დატვირთო სამოცივე ფესმარდი წამი, მაშინ შენია შვილო ჩემო, ეს მიწის ბურთი, ადამიანიც მაშინ გქვია და გერქვას, ამინ! მებე.

• ვეხმარები თამუნას. მომისმინე, ჩემო კარგო, ოს ღიაზე ნუ წერ არარსებულ მოვლენებს. ღია ჩემი ბიძაშვილია და მას კარგად ვიცნობ, უნიკალური ადამიანია და ქართველი ერი ძლიერ უყვარს. თვითონ იცის რასაც წერს. კარგი და ცუდი ყველა ერშია, მაგრამ ბერძენის უმეტესობა ჩვენს ქართველებს ძალადაც კი არ აგდებს. ეს ყველაფერი კარგად აქვს ნანახი ღიას. ასე რომ, დაუფიქრებლად არავისზე არაფერი თქვა, მე ღურად გუბნები ამას. ქალი ცდუნება.

• ამდენ ხანს გულში დამალულ იმედს ძლიერ გაღვივებულს ვებლაუჭები, ალბათ სხვაგვარად მე ვეღარ შევძლებ, ლექსებით მიტომ გესაუბრები. იქნებ ამჯერად მაინც გავეცე ა-მ მოზღვავებულ, უზომო სევდას, ნეტავ დღეიდან მაინც ველირსო, მაგ მწვეთ თვალთა ყოველდღე ცქერას. იქნება შევძლო ყველაფრისაგან, ყველგან გიცავდნენ ჩემი ხელები,

ვ-არდებით ხელში გატარო მუდამ, ა-მ გულს რჩებოდეს მხოლოდ ეკლები. რ-ოდის იქნება მე რომ გითბობდე ხ-ელეხს გაყინულს, დამწვარი გულით? ა-რ ვახსენებდე ჩემს გაჩენის დღეს, რ-ოგორც აქამდე, წყევლით და ჯრუღვით. შ-ენი სახეა მუდამ თან დამდევს, ე-რთი ნუთითაც არა მცილდება, ნ-ეტავ თუ იცი დამოქილს ლოცვა, ი-სევ შენს ხატზე რომ არ მწყინდება. მ-ინდა იცოდეთ, შენ მოგიძღვენი, ი-ის სინაზე, პატარა ლექსი, შ-ენს თავს ვფიცავარ, მეტი შემეძლოს, ა-თასს დავწერდი, გფარავდეს ღმერთი... 9717.

• მარი, მართლა მოსაწყენია იმის კითხვა, როგორ ჭამენ ერთმანეთს მგზავნელები. ნამდვილ მამაკაცს ვეთანხმები. გასაღები არ ჩსუბობდა მაინც, თეთრმა ყვავამ კი ყველაფერი არა. მინდა, GREEN GIRL-საც ვუთხრა: შენი ფავორიტი თეთრი ყვავი როგორაა, როცა ასე იქცევა? ქართველობას არცხვნი. ჩემი აზრით ვინც მოზილიზაციაში ამესიჯებს ისინი რევენ ყველაფერს. ჩემი ფავორიტები იყვნენ და ყოველთვის იქნებიან ფინტიკოზა, გერასიმე, ლუნა, პარი-იჟანკა, აბლახანუმი, ოლეგარიო. მათი გზავნილების კითხვა ძალიან მიყვარს. მარი, შენ კი უმაგრესი ჟურნალისტი ხარ! ერთმანეთს გაუფრთხილდით. პატივისცემით, ნინო.

• როცა ოთახში მარტო ხარ და ფიქრში ეხვევი, ფიქრობ იმ ერთზე, რომელსაც რომ ვეღარ შეხვდები და გახსენდება ის დღეები, მწველი სიტყვები, „მე შენ მიყვარხარ, დამიჯერე, ამას გპირდები, მუდამ შენ გვერდით ვიქნები და არ დაგმორდები!“ სიტყვები მუდამ გაცვეთილი ფრზა როდია, ეს დაიხსომე, თუ არ გიყვარს, ფიცი — ლოდა! სოფი19.

• ის იმდენად თბილია, ხშირად ვიღებ შხაპს, ვითუ ცეცხლი მომევიდოს. იმდენად ყურადღებიანია, ვფიქრობ, უფასო წუთები რომ არ ჰქონდეს, მართლა ასე ხშირად დარეკავდა? ის იმდენად მიმზიდველია, ვფიქრობ, სანოლი მაგნიტისგან შექმნა. მისი გული ისე ფეთქავს, როგორც ამ წუთს ქურაზე შედგმული ჩემი კომპის მურაბა. ის ისეთი საყვარელია, ვფიქრობ, რომელი ნან-ილიდან დავიწყო მისი შექმა. ის სომ ისეთი ტკბილია, როგორც ამ წუთს გასინჯული მურაბა. მის თვალებში არეკლილი ქალწულობის წვეთები სიამაყეს მგვრის.

• ოჰ, ეს ეჭვები... არა, არა, უნდა დავწყნარდე. სომ მინდა, რომ ზალდათის რძალი გავხდე. მზიკო, რა გვეშველება ამ შოკოლადების ცქერაში? პართენა.

• იკუშვები, ლუნა, გრუზინკა, GOLD GIRL, გაიხარეთ, ცოტაოდენი იმედები ჩამისახეთ. რაც შეეხება დანარჩენებს, ბოდიში, რომ ჩემს არჩულ სიამში ვერ მოხვდით, არც ერთმა თქვენგანმა არ იცის, როგორი სამ-უშაო მაქვს. სხვა ჩემს ადგილზე ნაღდად ვერ გაძლებდა, 100%-ით ვარ დარწმუნებული, მაგრამ შრომა მიყვარს, არ მეზარება ამიტომაცაა, რომ ვწერდები, თორემ ძალას კი არავინ მატანს. და კიდევ... რა უნდა გთხროთ, თუ გითხრათ... მოდი, „ოდნოკლასნიკებში“ ყველა მგზავნელმა ვნახ-



ოთ ერთმანეთი. დავრეგისტრირდეთ სახელით — „გზის მგზავნილი“. აბა, როგორი იდეაა? დათო19.

• ჩემი პოზია „გზა“, მაგრამ ეს პოზია კი არა, მგონი ჩვევა უფროა. უკეთეს ვარიანტში — სიყვარული. ლა-ლოლა.

• მართლა, მარი, იცი, ვინ გავიცანი? ონისე ფხაკაძე. ლექსებისთვის გვერდი დაგვითმე ახალბედა პოეტებსო, რომ გენერდა. ქუთაისიდან წავიყვანე ანტალიაში. გზაში მიყვებოდა გზავნილებზე. ვუთხარი, რომ მეც მგზავნილი ვიყავი. არ ვარ მგზავნილიო, მაგრამ არც ის მითხრა, ვინ იყო. მერე „ოდნოებში“ მომძებნა და სახელით და გვარით ვიცანი. ღმერთმა გვიმრავლოს ნიჭიერი ქართველები! სამწუხაროდ, ჩვენ მართო თბილისიდან ვიცნობთ პოპულარულ სახეებს. რეგიონებსაც თუ ყურადღებას მიაქცევთ, შეიძლება კიდევ იპოვოთ ახალბედა შავგულიძე და გნებავთ — ვერიკო. ქუთაისის თეატრის „ანტიგონე“ აჩვენეთ საქართველოს! ეს მსახიობები დიდი ვარსკვლავები გახდებიან!

• ASHLEY PCD, გაიხარე გენაცვალე, გამიხარდა, შენც რომ გიყვარს ცხოველები და გესმის ჩემი. ძმაცაცი დამიპირდა კუს და ჭკუაზე არ ვარ. ისე, თურმე მთელი ზამთარი სძინავს, დათვივითო. :) მომაცყუეს, ვითომ? შოკოლადა

• გამარჯობა, „გზის“ მკითხველებო. ძალიან მომწონს თქვენი გზავნილები. სულ ვკითხულობ. ან რა მაქვს მეტი საქმე? საავადმყოფოში ვზივარ ყოველდღე, უსაქმოდ. ავადმყოფს ვადაგვარ. პოდა, რომ წავიკითხე თქვენი გზავნილები, ძალიან მომეწონა და გადავწყვიტე, მომეწერა. ძალიან მიყვარხართ. მიმიღებთ, „გზავნილებში“? ახალი ვარ. თიკო.

• ვეხმაურები ჯარისკაცს, რომელსაც საზღვარგარეთ მცხოვრები გოგოს გაცნობა უნდა. დატოვე ნომერი და დაგიკავშირდები.

• ასეთ მონატრებას, არეულ ფიქრებს, როგორ სცოდნია დალლა, ახლა შენთან მინდა და ამ ამბოხებს ვერაფერ დამიშლის ალბათ. მაგრამ რომ მოვიდე, რატომ მოვედი-თქო, რისთვის მოვედი-თქო, რა ვთქვა? შენ რომ ვერ გამიგო ჩემი ტკივილები, შენ რომ ვერ მიმიხვდე, რა ვქნა? უკან დასახევი გზები მოჭრილია, სხვა გამოსავალიც არ ჩანს, შენ უნდა გაიგო ჩემი სიყვარულიც, ეს ერთი იმედილა დამრჩა. ქალი ცდუნება.

• ჩემო საყვარელო, მამატი, დაგივიწყე და დავივიწყე ჩემი უსაყვარლესი ხალხი, მაგრამ აბა, მოვედი, დიდი ხნის პაუზის შემდეგ, ნაღდი, ორიგინალი მეგრული მგელო გამოჩნდა. გამოჩნდა, რომ ეთქვა, მოეწონა აქაურობა, მოეწონა მარი, კანიბალკა, ეშმაკუნა, ნიკოლი, აგენტი, ფელამუშა, ლიმონა, ფლამინგო, ლეო, როკო, მუკო და ყველა, ყველაა! გოცნით, გოცნით და გოცნითიით! მარი, „გზა“ არ მიყვარდა, საუკუნეა. მეგრული მგელო777.

• ვაა, რაიოო?! მარი გიყვარსო?! სალოლო, ძმაო, გენაცვალეთ საკადრო პოლიტიკაში. კი, მიყვარს მარი, შენ — არა?

მარი ძალიან მიყვარს ჯიგარო, მაგრამ როგორც დიდი ხუანი იტყოდა, ეს ის არ არის, რაც შენ გგონია. ვა, რა ხალხია, ტო. მეგე გოგო, ჩამოვალ და ვითამაშოთ მგელობანა, დაი. გენაცვალე გულში. 9717.

• მარი, როგორ ხარ? „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ. სამწუხაროდ, ჩვენთან არ იყიდება და ძალიან ვწალობთ, რომ შევიძინოთ. ადრე ვკითხულობდი ნატალის და ზურას ამბებს. მერე ვერაფერი გავიგე. გოგონებმა მითხრეს, დაუმესიჯე და გეტყვიანო. ძალიან მაინტერესებს, ერთად თუ არიან. არ დაგეზაროს და ორი სიტყვით მომწერე. პირველად ვამესიჯებ. მავა, ლეწხუმიდან.

• გამარჯობა მარი, მივმართავ გოგონებს, რომლებიც ჭკუაზე ვერ არიან. რამ დაგიბრმავათ შვილო თვალები, რამ გადაგრიათ, რატომ არ დაფიქრდებით და ისე რატომ არ მსჯელობთ? ნუთუ არ ფიქრობთ, მომავალში რა შედეგი მოჰყვება ამ ყველაფერს? აბა, დაფიქრდით და გაანალიზებთ, მამის ტოლა კაცს რომ გაჰყვები ცოლად ეს პატარა გოგო, შენი ქმარი რომ დაბერდება და აღარაფრის თავი რომ აღარ ექნება, შენ კი ახალგაზრდა, ენერგიით სავსე, ლამაზი, ამაყი და მომხიბვლელი ქალი, რა გზას დაადგები, ის თუ გაგიაზრებია? უკვე მეტისმეტია, რასაც ახალგაზრდა გოგო-ბიჭები სჩადიან ქუჩაში, ავტობუსში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და ა.შ. (რა თქმა უნდა, ყველას არ ვგულსხმობ). გადავჯიშობდი მგონია და... ღმერთო, შენ უშველე ჩვენს ქვეყანას. სამი ბიჭის მამა.

• ASHLEY PCD, რა მაგარი ხარ?! შენ მომეწონე, რალაცნაირად. გაიხარეთ, ყველანი საყვარლები ხართ. თაკ...

• „ბენეს“ ვყიდი 2003-წლიანი, 4000 დოლარი.

• სუპერსტარ, შეცდომით დაიბეჭდა წინა გზავნილი. მწერლის გოგო უნდა ეწეროს. მგზავნილებს რაც შეეხება, რადგან არც ერთს ვიცნობდი, შესაბამისად, ვერც ერთი ვერ ვიცანი. აბაა?! აზივილი.

• მგზავნილების ჩამონათვალი რომ დავინახე, ჩემი ნიკის ძებნა დავიწყე. რომ აღმოვაჩინე, მივხვდი... ბაო, შენ გარდა მე ვინ მახსენებდა? არც არავინ, სამწუხაროდ. კაკუ.

• ისე, ბარემ დავამესიჯე და ერთსაც ვიტყვი: გავიგე, თურმე ჩემი უმინია ხალხს. გამიკვირდაა... რატომ? უბრალოდ, ვერ ვფიქრობ... კაკუ.

• ძვირფასებო, 2-ჯერ გამოგზავნე მგზავნილის ბანკის ანგარიშის ნომერი, მაგრამ მარამ არ დაბეჭდა. თუმცა, არ ვიცი, რატომ. იმედა, ოდესმე დაბეჭდავს. ჭრი-ჭინა.

• სუპერსტარ, მე და ჩემი დაქალიც ვიყავით სპექტაკლზე. მაგარი იყო. გილოცავ! :) P.S. მერე რა, რომ რუსული არ ვიცი? რუსულ სუდოკუს მინც გადასარევედ ვსხნი. გენიოოს! :) დამავოი.

• დიდი სიყვარულით მოვიკითხავ ჩემს საყვარელ ძმას, ოლეგარიოს, 9717-ს, ბელოს, ჭრიჭინას, გრუზის, მავსტროს, სუპერსტარს და ყველა მგზავნიელს. ყველას

გოცნით, თქვენი გლუკოზა.

• GREEN GIRL, შენ საიდანლა გამოძვერი, ვინ ხარ? რა გინდა? შეგეხე? თუ ჩემი დაწუნებული გოგონებიდან შენც ერთი ხარ? ახლა გასაგებია. ნამდვილი მამაკაცი.

• ჭრიჭ, მეც მიყვარხარ. დუჩი, სიკვდილა, როკო, ნიბუ, ნელკა, მუკო, ლანკა, პავლიკა, კოზა, SWEET, ჩუპი, 9717, ლიმონა, სესი, ნამდვილი მამაკაცი და სტიქია, მიყვარხართ. ეშმაკუნა.

• ბერბიჭავ, 9-ვე გული მსურს, არ მინდა სხვისთვის გაყოფა, ნეტაი ახლა შენ გვერდით, სადმე კუნძულზე მამყოფა, იქ 9 თვეს გავატარებდით, იქ მინდა შენთან გართობა. ცისია.

• მადლობა ყველას, ვისაც ჩვენი ბედნიერება გაუხარდა. ქალ ცუნებას, სევდიან და იდუმალ ქალს, ჭრიჭოს, გრუზინკას. ნინო, დიდ პატივს დაგვებთ, თუ პირადად დაგვიკავშირდები.

• ASHLEY-ს ზოოპარკზე გამახსენდა, შოკოლადასაც ჰყავდა თევზები, მაგრამ მისმა ბოროტმა მეზობელმა მოუკლა და მისსავე სახლში, მისსავე ტაფაზე შეაპრუნუნა და მიირთვა. :) ნეტაე მამინ შოკოლადას სახე გუნახათ, როცა მისი თევზუნია ამოშინებულ ტაფაზე ნამოპლაცკარტებული დაინახა. :) მოვიკითხავ ყველას. გაკოცეთ. GOLD GIRL.

• სესი, ხომ არ დაგავიწყდა კოხორა და დნ დმნ? უსაყვარლესი უზნეო ანგელოზი მომენატრა. დუჩი და როკო, მიყვარხართ. ფეშენას გაცნობა მინდა და რა ვქნათ, ჰა? ეშმაკუნა.

• სესი, რა დღეში ვართ, აბიტურიენტი! მაგრამ მერე, ოოო... :-)) რა დრო დადგება?! მარ, პირადი ფსიქოლოგი გეყოლებით „გზას“ და „გზავნილებს“. ვოტ, ტაკ. ეშმაკუნა.

• ეე, ASHLEY, რა აღვირახსნილი ხარ? ბერბიჭ, გრძელი ენა გაქვს და მოკლე კალამი. ჯობს, ენა დაამოკლო და კალამი დაიგრძელო. რამ დაგაგიჟათ ხალხო? ერთხელ, ორჯერ, რვაჯერ? ნაგლი.

• დიდი სიყვარულითა და მონატრებით მოვიკითხავ კამელიას. ასე დიდი ხნით რატომ დაგვეკარვა ეს კეთილი ადამიანი? გენაცვალე უთბილეს გულში. გოცნი. იასამანი.

• როგორ ხართ, გვრიტებო? ლიმონ, ბერბიჭ, ენიგმა, კუსკუს, ჯეჯე, ჩემი ლამაზი ქალები როგორ არიან? გენაცვალეთ, თქვენა. მოვიკითხავთ. სიკვდილ, ჭრიჭინ, გაიხარეთ, კარგები ხართ. იასამანი.

• მე ვრჩები სევდად, უბინაო ქარის ცრემლებად, გზაბნეული, დაკარგული გრძნობის მენყვილად. ოცნება დამსხვრავ, მაგრამ ბაგე მინც ილიმის. ოჰ, ეს გრძნობები! მემე.

• ლუნა, ნუ დამეკარგები ხოლმე. P.S. მოვიკითხავ გრუზინკას (მიუხედავად იმისა, რომ დაგვტოვა). სოფი19, ASLEY-ს და 9717-ს, რომელიც სულ ახლახანს გავიცანი, გატოცევეთ! ლა-ლოლა.

• მწარე, გოჭი, ადრე ჟურნალ „ბარში“ ამესიჯებდი? ჯეჯე, არ გენყინოს, მაგრამ სისულელებს წერ. იმედა, ალ





### გილოცავ!

ტირიფი73-ს და მგზავრს ვულოცავ ერთობლივი ოჯახის შექმნას. ვუსურვებ ყველაფერს საუკეთესოს. ჰო, რა ჩემი ბრალია, ცეკვა თუ არ ვიცი? ამაზე მაპატიეთ. გრუზინკა.

• ყველას გილოცავთ გიორგობას. წმინდა გიორგის ძალა და მადლი გფარავდეთ. ჩემო იღუმალო ქალო, მალე გინახულვ და მაგრად ჩაგვუტები. სიკვდილ, სად დაიკარგე? ჭრიჭინა.

• ბოხო, დაოჯახებას გილოცავ. გისურვებ ყველაფერ კარგს, შენს მეუღლესთან ერთად. ჰო, კიდევ, ადრე შევთანხმდით, პატარა ბოხოებზე. იმედია, გახსოვს. მიყვარხარ, ძამიკო. გრუზინკა.

• გაბედნიერებას ვულოცავ ტირიფი 73-ს და მგზავრს! ჩემო ლამაზებო, ჩემო სიხარულეზო, ნონა და ზვირა, მთელი გულით გილოცავთ გაბედნიერებას. წრფელი სიყვარულით გყვარებოდეთ ბოლომდე ერთმანეთი. უფლის წყალობა არასოდეს მოგკლებოდეთ. დედა ღვთისმშობელი ყოფილიყოს თქვენი სიყვარულის და თქვენი მფარველი! ღმერთი გფარავდეთ! თქვენი გლუკოზა.

• ტირიფო და მგზავრს, დაოჯახებას გილოცავთ! ღმერთმა სულ ლამაზად და ტკბილად გაქცოვროთ! ძალიან მიყვარხართ და გულით მიხარია თქვენი ბედნიერება. გკოცნით! ლუნა.

• ქუთათურს, GREEN-ს და იკუშკებს ვულოცავ იუბილეს. იკუშკები, შენი ნომერი ვერ ვიპოვე და ვერ მოგილოცე. ბედნიერებას გისურვებთ ყველას. ALL LOVIN YOU. ეშმაკუნა.

• GREEN-GIRL, დაბადების დღეს და მთავარანგელოზობას გილოცავ, სიხარულო. უფალი გფარავდეს ყველგან და ყოველთვის. ძალიან მიყვარხარ. გატოცე. შოკოლადა.

• ჭიათურაში ბესო დეკანოიძეს ვულოცავ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს. წმინდა გიორგი, ყველა წმინდანები და უფალი გფარავდეს, სიხარულო, მთელი ცხოვრება. ნათია.

• მინდა, იკუშკებს დაბადების დღე მივულოცო და ყველაფერი საუკეთესო ვუსურვო. სიყვარული და ბედნიერება არ მოგაკლდეს, სიხარულო. ძალიან გაფასებ და მიყვარხარ. გრუზინკა.

• ყველას გილოცავთ მთავარანგელოზობას, გიორგობასა და შობის მარხვის დანწყებას. უფალი იყოს თქვენი შემწე და მფარველი, ყველგან და ყოველთვის. ASHLEYPCD.

• გრინუკას და იკუშკებს მოგივინებთ ვულოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარით გოგონებო, სუუუუ ასეთი მხიარულები და საყვარლები ყოფილიყავით, მტრის ჯინაზე. მიყვარხააართ! SWEET-GIRL.

• დაბადების დღეს, 21 ნოემბერს ვულო-

გამბილავდები. მზა. ASHLEYPCD.

• ეეჰ, ბაო, მართალი ხარ. ადრე დრუჟნი ხალხი იყო, მაგრამ ამით რამეს გააგებინებ? უტყვიან ცხვირ-პირი. ASHLEYPCD.

• მართო, რათ არი ჩემი მესიჯები აჯაფსანდალივით არუული, რათა, რათა, რათა? :) უნდა ენეროს: 9717 მარიამული შეგიყვარდა? ICE LADY, ეგაა უბედურება, ქალო? ახლა ხომ მიიბეჭდა YOUR TEXT MESSAGE ON THE PAPERS OF MAGAZINE „გზა“? აუ, მატიტელავ, მაგრად დამევასე. კარგი ტიპა ჩანხარ. აუ, მაგრად მინდა SWEET-ისა და თეთრი ყვავის გაცნობა. მიმაჩნია, რომ რასაც ფიქრობენ, იმას წერენ. მეც ასეთი ვარ. ჰოდა, დათო, მეტიც მონერას აღარ ვაპირებ. ახლა პატიოსან ხალხს მისწერე, OK? ჩემი ნიკი არ ეწერა. ASHLEYPCD.

• თაკ, გამალოო. ლ77, შენი გაცნობა მინდა. ასო „ლ“ მაგრად მევასება. ჩემი გვარის ინიციალია და... :) ვაბშეგტა, ჩემი ინიციალების ფანი ვარ. :) ASHLEYPCD.

• WOW! ჭრიჭი, გვითხვოდები, ქალო? გენათალეე! ტირიფსა და მგზავრს კი უდიდეს ბედნიერებას ვუსურვებ. ჩასაყლაპები ხართ. მიგზასეთ სამივე მეგობრულად, გააუსკნულ ლოყებში. ASHLEYPCD.

• ცხრათვალავ, მგონი დავდნები, რა სიყვარულით მომმართე. უსაყვარლესი თავხედი ჩემს ახალ ნიკად მონათლე? შენი ალერსი ისე მსურს, ლამის მივიდე კომამდე. გაკოცე. ბერბიჭა.

• შენი კომპლიმენტისგან, ახალგაზრდა ბებია, სიამოვნებისგან თავზე დამთენებია, თბილი სიტყვა ამოკლებს დიდ მანძილის ბარიერს, შეილიშვილებთან ერთად ჩემგან მრავალჯამიერ.

• ჩემო სიცოცხლე, ძალიან მიყვარხარ. ცუდზე არაფერზე იფიქრო, ყველაფერი მოგვარდება. ჩემი იმედი გქონდეს, მუდამ შენ გვერდით ვიქნები. გკოცნი უამრავს. სუსუ-მარინა.

• სევდამორეული, ფიქრით გადაღლილი, გული დარდით სავსე დამაქვს. საკინძე აწყვეტილი, გულგადაღელი, ქუჩას მიუყვები, სად ხარ? ჩემთვის გაზაფხული აღარ არსებობს, უკვე შემოდგომა დადგა. ნატვრაში, ფიქრებში დაღლილი მზერით, ჩუმად გეფერები, სად ხარ? შორს ჩემგან წასულხარ, ვარსკვლავს ემსგავსები, სადღაც, მთის მწვერვალზე ჩანხარ. დავდნი და დავინვი შენი სიყვარულით, მუდამ გეძახი, სად ხარ? ჩუმად მოგეპარე უნდა მეკოცნა, მაგრამ გამიფრინდი, სად ხარ? თვალცრემლიანი უკან მოგყვებოდი, ვეღარ დაგინახე, სად ხარ? როცა მოკვდები, ცრემლით გამიხსენებ და ატირდები ალბათ. P.S. ვისთან ერთადღაც დავწერე ეს ლექსი, მას ეძღვნება. თავად არ გამოგზავნა და... გაკოცეთ. ედელვასი.

• ექსბუსუსუნ, ჩემი ლექსი შენთვის მორზეს ანბანია, იქ დამსხვრეული იდელების კრებითი განზოგადება და არც გამხსენებინარ. თოლია, მთიდან უკვე გამომაღეპორტეს, ტოო. ენიგმა.

• ამოუცნობო, ცხრათვალა მაექსკლუ-

ზიურებს და შენზე კი არა, ჩემზე ეჭვიანობს. სიყვარულის ბრალია. შენთან ორივე სიამოვნებით ვიმეგობრებთ, ძვირფასო. გაკოცე. ბერბიჭა.

• თაზო, ძალიან მენატრები. აქ ყველაფერი ნორმალურადაა. უშენობა და შენზე დარდი გვკლავს. იმედია, მალე ჩვენთან ერთად იქნები. არაფერი იჯავრო. მიყვარხარ. სუსუ-მარინა.

• თაზო, თემოს როგორ ენატრები, ნეტავ იცოდე. სულ გკითხულობს, მალე მოვაო, ჩემი მამიკო? გულში მიყვარსო. მაგრად ჩავეხუტოთ ორივეო. ძალიან გვიყვარხარ. გკოცნით. სუსუ-მარინა.

• აღარ მყავს მეგობრები, დავრჩი მარტო. :( არა და, ყურადღებიანი და თბილი ვარ. მსურს მეგობრები შევიძინო, მყავდეს დაქალი ან დაქალები! გამოემხმეაურეთ. პანუ17.

• 9717, საყვარელო, რაც არ მომენონა, პირდაპირ გითხარი. ისე კი, უნიჭიერესი ხარ და გიცნობ კიდევ, მესიჯებით. მეგობარი ვარ და არა — მტერი. თეთრი ყვავი მეცნობაა. ნინო.

• იღუმალ-ქალს: რატომ მპასუხობ ასე ცივად? მე მაინც მოვიპოვე შენს სიყვარულს და დაგარწმუნებ, რომ სულაც არ ვარ ცუდი ადამიანი. მოვიხიბლე შენით და მინდა გაგიცნო. ნუთუ, ეს დანაშაულია? გატყობ, სულით ულამაზესი ქალბატონი ხარ, კეთილი და სათნო. სწორედ რომ ამან მომიხილა. მარი, გთხოვ, დამაკავშირე იღუმალთან. თავყვანისმცემელი.

• ძალიან მიყვარხარ, ჩემო პანია. გიო, ნათლი, დიდი ბიჭი გაიზარდე. ჩემი სიცოცხლე ხარ. ყველას გილოცავთ გიორგობას. ძალიან მიყვარხართ ყველა. გაკოცეთ. მუჰაააა. :-)) ედელვასი.

• ASHLEY, რომ არა შენი ინიციატივა, არც მოგწერდი. დათო. პ.ს. გამალოო, ნინი, შემოგეულე! პ.პ.ს. ყველას გილოცავთ გიორგობას, მრავალს დაესწარით!

• ვთხოვ საჭირო სამსახურებს, გაათავისუფლონ ჩემი სიხარული ციხიდან — ბესიკ ყიფიანი! პატივისცემით, ნატალი.



### მიყვარხარ

• გიო საჯავია, მიყვარხარ ჭკუის დაკარგვამდე. შენი მე.

• ზაზა კურულიშვილო, საოცარი ხარ, ტბილი და თბილი, შენი ტუჩები კი საოცრად გემრიელი. არ დაგკარგავ, შენთვის ვიბრძოლებ. ვიცო, შემიყვარებ და ბედნიერს გაგხდი. ერთი გოგო.

• სიხარულო, მიყვარხარ. ცისფერმომწვანებულ თვალზეა პატარა. გაკოცეთ.

• ჩემს სიხარულს ვეჭყვი რომ ძალიან უყვარს ცისფერმომწვანებულთვალზეა ანგელოზს. პატარა.



ცავ ჩემს საყვარელ დისშვილს, მერაბ კვინიკაძეს, ცოლ-შვილთან ერთად. გკოცნი, მენატრებით. ცინარა დეიდა, მზია.

• ულამაზეს პატარა ქალბატონს, თეკლა ლიპარტიელის ვულოცავ გაქრისტიანებას. გაიზარდე ჭეშმარიტი ქართველი, ქრისტიანი გოგო. გიცოცხლოს მშობლები, დაიკო ანასტასია და გიორგი ნათლები. გკოცნი, ცისანა ბებია.

• ჩემს ნანატრ, ერთადერთ და მონატრებულ შვილს, გიორგი სვიმონიშვილს ვულოცავ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს. არ მოგშლოდეს ჩემო სიხარულო, ამ წმინდანის მაძლი და ძალა. გაიხარე და გამიმრავლდი. ღმერთს ვთხოვ, მალე ჩამახუტოს შენი თავი, გენაცვალე. ასევე მთელს საქართველოში, ყველა გიორგის ვულოცავ გიორგობას. ცისანა.

• დედის მონატრებულ შვილს, ფიქრია კართხაძეს 2 დეკემბერს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, კარგ ბედს და დიდხანს სიცოცხლეს, დედამამიშვილებთან ერთად. გფარავდეს უფალი. ლელა კართხაძე.

• ნითელევეში მცხოვრებ ნანა ოდილაძე-გაბედავას 3 დეკემბერს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ გახარებას, ოჯახთან ერთად. ლელა კართხაძე.

• წმინდაო გიორგი, წმინდათა წმინდავ, ეს სათხოვარი მე შენთან მინდა, გთხოვ, დაიფარე ამის მკითხველი და განსაცდელი აშორე გზიდან! გიორგობას გილოცავთ ყველა მგზავნიელს და მარისა. საქართველო მენატრება სიგაჟემდე. იტალია, თამარი.

• ჩემს მონატრებულ შვილს, ჩემს სიცოცხლეს და ჩემს ტკივილს, ნათია ზირბუაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას და უფლის წყალობას. 126 წლის შემდეგ ლამაზი მოგონებებით გადავფურცლოს შენი ცხოვრების დღიური. გკოცნი და მენატრები ტკივილამდე. მცინარა.

• ჩემო საყვარელო და სანატრელო შვილებო, ბექა და სოფიკო, დაბადების დღეებს გილოცავთ, 4 დეკემბერს ბექას და 13 დეკემბერს — სოფიკოს. თქვენი მონატრებული დედა. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

• გია, თეონა და გოგიტა გოგიტაურებს ვულოცავ შვილიშვილისა და დისშვილის შექენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი და გაჯარბინოს თქვენი გული. ნინო კილაძე.

• ჟურნალ „გზის“ კოლექტივს ვულოცავთ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს. ქართველი ემიგრანტები, საბერძნეთიდან.

• გომში, გიჟთა უბანს მივულოცავ გიორგობის ბრწყინვალე დღეს და ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. გიჟთა უბნელებო, მიყვარხართ. განსაკუთრებით კრანჩხას და შალიკოს მოვიკითხავ. მენატრებით ძალიან და იმედი მაქვს, მალე გნახავთ. თქვენი ბებერი ანუ ფატი.

• დაბადების დღეს, 5 დეკემბერს ვულოცავთ ჩვენს იმედს და სიამაყეს, უმცროს რამაზ ბუჩუკურს. ყველას გულის გამხარებელი გაზრდილიყავი. გეფერებით დიდი მონატრებით, ბებო და მამიდა.

• დაბადების დღეს ვულოცავ გომში, ნინო გაგლოშვილს. დაი, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ღმერთი იყოს შენი მფარველი მუდამ და ცხოვრებაში რაც ჩანაფიქრი გაქვს, უკლებლივ აგისრულოს ღმერთმა. რაც მთავარია, ჯანმრთელი და ბედნიერი იყავი. გკოცნი ბევრს და მანდ ვარ მთელი გულით. შენი დაიკო, ფატი.

• 28 ნოემბერს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს სიხარულს, ეკუნას. გახარება და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. ღმერთმა გაგაჩინა ლამაზო არსებავ და თანაც სახელად გენოდა ქალი, დღეს შენი დღე არის, იბედნიერე და არ დაკარგო არც ერთი წამი. დედიკო.

• ია ჯალიაშვილს მინდა მივულოცო დაბადების დღე, ჯანმრთელობა და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს, გაიხარე შენი ლამაზი ოჯახით. შენი ჩანაფიქრი ყველა აკმადნოდა. ირინა.

• ჩემს მონატრებულ შვილს, შავლეგი გოგბერაშვილს ვულოცავ გაბედნიერებას უფეს სიხარულს, გამრავლებას, ხანგრძლივ ბედნიერებას ვუსურვებ, თავის ლამაზ მუღლესთან ერთად. დედა, ცინაძე დარეჯანი.

• ჩემს შვილს, გოგიტა გოგიტაურს ვულოცავ 30 ნოემბერს, დაბადების დღეს. გისურვებ უფეს სიხარულს და სიყვარულს. უფალმა დაგლოცოს. გკოცნი და გეფერები, შენი მონატრებული დედა, ნინო კილაძე.

• ნარგიზა მაკარიძე-ჭუმბურიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ყოველივე კარგს, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. არ მოგკლებოდეს უფლის წყალობა და მფარველობა. გფარავდეს უფალი, ლამაზ ოჯახთან ერთად. გკოცნით და გეფერებით. ნატალია და ჟუჟუნა.

• ბაღდათში, საკრავლელ შორენა კინაველიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 24 ნოემბერს. დაესწარი მრავალს. სიყვარული და სიხარული ყოფილიყოს შენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი. გფარავდეს უფალი. ციალა მაკარიძე-პარკაძე.

• უსაყვარლეს შვილიშვილს, ბებოს სიამაყეს, გუჯა სილაგაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 28 ნოემბერს. მე შენ მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლე, რა დამაინყებს შენს ლამაზ თვალებს, მე მოგილოცავ დაბადების დღეს, დე, დაესწარი მრავალჯერ ამ დღეს! გფარავდეს უფალი. შენი მონატრებული ბებო, ციალა კარკაძე, ათენიდან.

• თეონა გოგიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 27 ნოემბერს. ჯანმრთელობას, სიხარულს და იმ დიდ და ლამაზ სიყვარულს გისურვებ, რითაც მთელი ცხოვრება ბედნიერი იქნები, ჩემო დაიკო. მუდამ გფარავდეს უფალი. კარგის მსურველი ძაკო.

• დაბადების დღეს, 28 ნოემბერს ვულოცავთ ლია ბაგრატიშვილს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიყვარულს, სიხარულს, საყვარელ ქმარ-შვილთან ერთად. გფარავდეს ღმერთის მშობლის კალთა. მზია, ნონა, ეთერი.

• ბაღდათში, ფერსათში, დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს საყვარელ მია ფერაძე-ჯაბიძეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, საყვარელ ქმარ-შვილთან და პატარა შვილიშვილთან, ანისთან ერთად. ღმერთმა გიმრავლოს შვილები. მაი, გვიყვარხარ

არ და გვენატრები. რძალი, ნონა, მამიდაშვილები, მზია, კობა, ძაკო.

• ჩემს კარგ მეგობარს, მერი გიორხელიძეს მინდა მივულოცო დაბადების დღე. ვუსურვებ უფეს სიხარულსა და სიყვარულს, შვილებთან ერთად. გაიხარე და გფარავდეს უფალი. შენი დათესილი სიკეთე მოგემკოს. უკვე დაზამთრდა, კიდევ აცივდა, მთვარე ანათებს წმინდათაწმინდა, ცაზე რამდენი ვარსკვლავიც არის, შენთვის იმდენი სიკეთე მინდა. ირინა.

• გამარჯობა მარ, მთავარანგელოზობის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავ პირადად შენ და ყველა მგზავნიელს. გაიხარეთ. შოკოლადა.

• უსაყვარლეს მშობლებს, მზიასა და ტრისტანს ვულოცავ შეუღლებიდან 28 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და უფლისგან ბოძებულ უფეს ბედნიერებას. თქვენი მონატრებული ნინიკო.

• ერეკლე დევიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ნინსვლას, წარმატებებსა და ბედნიერებას ვუსურვებთ. გფარავდეს უფალი. ჩვენ შენ გისურვებთ ოცნების ახდენას, რასაც გისურვებთ უთუოდ ახდება, ლამაზი ოცნება ყოველთვის ახდება. შენი ძმა და რძალი, კახა და ირინა.

• თამარ გოგიტაურს და რამაზ ძნელაძეს ვულოცავ ვაჟკაცის, პატარა ლუკას დაბადებას. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ლამაზ ბავშვობას, უფეს სიხარულს, ნათელ და ბედნიერ მომავალს. ნინო კილაძე.

• ნინო ჩარგეიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და გამართლებულ ცხოვრებას. მეუღლე, დედა და ბებია, რომელიც იბრძვის ოჯახის ბედნიერებისთვის, ეს შენ ხარ, ჩემო ნინო. დიდი შრომისა და ნოსტალგიის ფასი აქვს შენს აქ ყოფნას. ის ცრემლები, რომელსაც შენ ღვრი, შეგკვლოდეს სიხარულით, ლამაზი ოცნების ახდენით და მალე საქართველოში დაბრუნებით. ნესტანი ტვილიდანი.

**„მოზილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გასურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი. ■**





# ტაიმ-აუზი

## ჰიტლერს პირში ებრაელთა ოქრო აღმოუჩინეს

ისტორიკოსი და წიგნის — „იყო კი ჰიტლერი ავად?“ — თანაავტორი, ჰენრიკ ებერლე ირწმუნება, რომ ადოლფ ჰიტლერის სტომატოლოგს, ხუგო ბლაშეკს ებრაელ ტყვეთა ბანაკიდან 5 კგ ოქრო გამოუგზავნეს, რათა ფიურერისთვის დაზიანებულ კბილებზე ოქროს გვირგვინი გადაეკრა. სხვათა შორის, ებერლე ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ირწმუნება, ჰიტლერს ებრაელი წინაპრები არ ჰყოლიაო და დასძენს: „რომ ამბობენ, თითქოს, ადოლფს ბავშვობაში მამა სცემდა და ამიტომაც, ახალგაზრდობაში ნარკოტიკებს მიეძალა, ესეც ტყუილია“.



## იდეალური სამსახური



\* კომპანია Google Maps-ის მძლავრი-ფოტოგრაფი ბევრს მოგზაურობს, ფოტოებს იღებს და გარდა იმისა, რომ მისი მოგზაურობის ყველა ხარჯს კომპანია ფარავს, ის ამ სასიამოვნო საქმეში ხელფასსაც იღებს.

\* კუნძულ ჰამილტონის სანაპიროს დამლაგებელი ბენ სოთხელი 35 ათას პრეტენდენტს შორის შეარჩიეს. მას ნაპირზე დავიწყებული ნივთების შეგროვება ევალება. ბენი სანაპიროზე, ვილაში ცხოვრობს და მას თვეში 110 ათას დოლარს უხდიან.

\* 22 წლის როსინ მადიგანს ელიტური სასტუმროებისთვის ლეიბების შეფასება აქვს დავალებული. ის საკუთარ შთაბეჭდილებებს ინტერნეტით ავრცელებს და ამ საქმეში ყოველდღიურად, 1.000 დოლარს უხდიან.

\* ტომი ლინჩის მოვალეობა აუზში წყლის მილებით ჩასრიალება და საკუთარი შთაბეჭდილების აღწერაა. დისკომფორტს მხოლოდ ის უქმნის, რომ სხვადასხვა ქვეყნის აკვაპარკების მონახულებისას, საცვალი ხშირად ეხვევა.

\* მეძავების შემფასებელ-გამომცდელს დღეში 3.000 დოლარს უხდიან, დვინის დეგუსტატორს — 10 ათასს.

\* ჰარი ვილში საკონდიტრო ფაბრიკაში მუშაობს და ყოველდღე ახალი კანფეტის დაგემოვნება უწევს, რაშიც თვეში 100 ათას დოლარს უხდიან.



# რადიო „პედიტრა“

# FM 103.9

# სიხარტლა - უმთავრესია

# წინაპრების უღირსი საქციელი

\* ძველად, დასავლეთის ქვეყნებში უმცროს შვილებს მონასტერში უშვებდნენ, რათა უფროსს მემკვიდრეობაში არავინ შესცილებოდა.

\* სულთნის სასახლეში უფრო მკაცრ ზომას იღებდნენ — უფროსი ვაჟი ყველა კონკურენტს აკვლევინებდა.

\* ინცესტის (სისხლის აღრევის) ფაქტი ხშირი იყო აღმოსავლეთში, ამერიკასა და ეგვიპტეშიც. მაგალითად, რამზეს II-ს 4 საკუთარი და ჰყავდა ცოლად. ფარაონები დებზე ქორწინდებოდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ იმპერატორები ღმერთების




შვილები იყვნენ და მათი სისხლი უბრალო ადამიანებისას არ უნდა შერეოდა. ფარაონ ამენხოტეპ IV, მიუხედავად იმისა, რომ ულამაზეს ნეფერტიტიზე იყო დაქორწინებული, საკუთარ დედაზეც დაქორწინდა (მამამისის სიცოცხლეშივე) და მათ შვილებიც გაუჩნდათ.

\* რამდენიმე საუკუნის წინ, აღმოსავლეთშიც და ევროპაშიც ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნეოდა ხანდაზმული მშობლის მოკვლა ან უკაცრიელ ადგილზე მიტოვება, მისი თავიდან მოცილების მიზნით.

# შეჯიბრება უფროსებისთვის

\* იაპონიაში ყოველწლიურად ენცობა მხიარული შეჯიბრება — ცინულის მოედანზე, გასაბერ აუზში ათეულობით გველთევზას უშვებენ. მათ დასაჭერად კი მონაწილეებს რეზინის ხელთათმანებსა და ბოტებს ურიგებენ. მთავარია, თევზი დაიჭირო და ცინულის მოედანი ისე გადაკვეთო, ფეხი არ აგისრიალდეს, შემდეგ კი ნადავლი ვედროში უნდა მოათავსო. გამარჯვებულს 50 ათასი იენით (500 დოლარი) აჯილდოებენ.



# რუსული მანეთები და „ლიდი“ ალაშიანების შემოსავლები

\* 1917 წელს ლენინის ხელფასი 500 მანეთს ანუ იმდენივეს შეადგენდა, რამდენსაც მოსკოვში არაკვალიფიციურ მუშას უხდიდნენ.

\* 1935 წლამდე სტალინის ჯამაგირი 225 მანეთი იყო, 1 წლის შემდეგ კი 1.200 მანეთამდე გაუზარდეს. სხვათა შორის, იმ პერიოდში საშუალო ხელფასი 1.100 მანეთს შეადგენდა.

\* სრუშოკოვი თვეში 800 მანეთს იღებდა, რაც 9-ჯერ აღემატებოდა საშუალო ხელფასს.

\* ბრეჟნევი ხელფასის გარდა, წიგნისათვის 1973 წელს ლენინური პრემია — 25 ათასი მანეთი „მიიწიჭა“.

\* იური ანდროპოვიც 800 მანეთს იღებდა, მაგრამ მას ყოველთვიური

პრემია — 1.000 მანეთი ეძლეოდა.

\* ჩერენკოს ხელფასი 1.200-1.700 მანეთი იყო.

\* 1990 წლამდე გორბაჩოვი 800 მანეთს იღებდა, პრეზიდენტობის შემდეგ ხელფასი 3.000 მანეთამდე გაეზარდა (ამ დროისთვის საშუალო ხელფასი 500 მანეთი იყო).

\* ელცინის ხელფასი 1999 წელს 15 ათასამდე გაიზარდა.

\* პუტინი პრეზიდენტობის პირველი 10 თვის განმავლობაში ელცინისმაგვარ ხელფასს იღებდა, 2002 წლის 30 ივნისიდან კი პრეზიდენტის წლიურმა შემოსავალმა 630 ათასი მანეთი შეადგინა. სხვადასხვა პრემიის გარდა, პოლკოვნიკის ნოდებისთვის პუტინი სამხედრო პენსიასაც იღებდა.

# ეკროკაში პირველი მულტისენსორული ტელეფონი გაიყიდა



„კორპორაცია Motorola-მ დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ Milestone, რომელიც Droid-ის ტელეფონის ახალი ვერსიაა, მულტისენსორული იქნება“, — იტყობინება Electronista.

გარეგნულად Milestone თითქმის არ განსხვავდება Droid-ისგან. ის 5-მეგაპიქსელიანი კამერით, GPS და Wi-Fi-მოდულებიანი სენსორული ეკრანი-თაა აღჭურვილი.

Milestone გაყიდვაში 9 ნოემბრიდან გამოვა და მისი ფასი, სავარაუდოდ, 400 ევრო იქნება.







### რას სთხოვენ რუსეთში თოვლის ბაბუსას?

წერილებში, რომლებსაც მოსკოვში თოვლის ბაბუსის მისამართზე გზავნიან, გოგონები ძირითადად, ღირსეულ მეუღლეებს ითხოვენ, მამაკაცები კი მომგებიან ბიზნესსა და ლამაზ ავტომობილებზე ოცნებობენ; ბავშვებისთვის ყველაზე ძვირფას საჩუქრად კვლავინდებურად, კომპიუტერი რჩება, ძალიან იშვიათ შემთხვევაში კი პატარები წიგნს ითხოვენ. ზოგჯერ თოვლის ბაბუსას უცნაურ წერილებსაც სწერენ. მაგალითად, მას ისიც კი სთხოვეს, ჩემი უფროსი გაყინეო.



ამ დროისთვის თოვლის ბაბუსის მისამართზე 22 ათასი წერილია მიხული და მათ ნაკითხვაში ბაბუსს 10 თანაშემწე ესმარება.

### „თქვენ ბალით სიკვდილი!“

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი იტალიის პოლიციას შველას სთხოვს. La Repubblica-ს ინფორმაციით, „როსონერის“ მაღალჩინოსანმა მუქარის შემცველი რამდენიმე წერილი მიიღო, რომელშიც ვილაც ინკოგნიტო პიროვნება გალიანის, მის მეუღლესა და შვილებს ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრება.



არ ახმაურებენ, მაგრამ თითქმის ყველასთვის ცნობილია, რომ მუქარის მიზეზი გუნდის ლიდერის, ბრაზილიელი კაპას „რეალისთვის“ მიყიდვა გახდა. პოლიციელებს ეჭვი აქვთ, რომ ეს ინკოგნიტო პიროვნება „მილანის“ რადიკალურად განწყობილ გულშემმატიკვართა ერთ-ერთი დაჯგუფების წევრია.

### 13 წლის მოზარდმა 140 ქურდობა ჩაიდინა

გერმანიაში 13 წლის მოზარდი დააკავეს, რომელმაც 140 ქურდობა და სხვა დანაშაულები ჩაიდინა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მცირეწლოვანი დამნაშავე ხელახლა აღსაზრდელად, 1 წლით, აღმოსავლეთ ევროპაში გაგზავნეს.

პირველი ძარცვა ბიჭმა 10 წლის ასაკში ჩაიდინა — მამის ის ვილაცის სახლში შევიდა, მოპედი და რამდენიმე ძვირად ღირებული ნივთი მოიპარა. კანონის თანახმად, მამის მისი გასამართლება არ შეეძლოთ... ერთხელ, როდესაც ეს პატარა ქურდი დააკავეს, მან თვითმკვლელობის მცდელობა გაითამაშა და როცა საავადმყოფოში გადაიყვანეს, იქიდან გაპარვაც მოახერხა.

მცირეწლოვანი დამნაშავეს ბოლო „საგმირო საქმეებს“ შორისაა საბავშვო სახლიდან გაქცევა, სადაც ის მორიგი ძარცვის შემდეგ ჰყავდათ გამწესებული. „ტყვეობიდან“ გათავისუფლებული მოზარდი უცხო სახლში შეიპარა, სადაც მას პოლიციელებმა მექებარი ძაღლის საშუალებით მიაგნეს და დააკავეს კიდევ.



### მეცნიერებმა 17 ათასი ახალი სახეობის ცოცხალი არსება აღმოაჩინეს

მეცნიერებმა, რომლებიც მსოფლიო ოკეანეს 10 წლის განმავლობაში სწავლობდნენ, განაცხადეს, რომ 17 ათასამდე ახალი სახეობის ცოცხალი არსება აღმოაჩინეს. ამ არსებებს შორისაა გიგანტური მდეუზა, რომლის საცეცების სიგრძე მსოფლიოს უდიდესი ცხოველის — ცისფერი ვეშაპის სიგრძეს აჭარბებს.



## ახალი პრესა ყველა სოფელს!



### ყურადღება!

თუ საქართველის მოქალაქე რეგიონში ან სოფელში გაქვთ საფოსტო თბილელი (მარჯვნივ ან სხვა) და გაქვთ სურვილი, შეძგათ თქვენს თბილელს ყურნალ-გამყოფის სარეალიზაციო სტენდი, დაგვიკავშირდით: 832 377-533; 858 110-068; 893 600-315.

ჩვენს ავტომატურ მანქანებში და საკონტაქტო ცენტრში.

ჩვენს ავტომატურ მანქანებში და საკონტაქტო ცენტრში.

სადაცაც

„ქვემო“





# კითხვა, როგორც ნათია მიქიაშვილი გააჩნა

„მაესტროს“ საინფორმაციო სამსახურის უფროსს, ნათია მიქიაშვილს ძალიან უყვარს პოეზია, განსაკუთრებით კი გალაკტიონის, ანა კალანდაძის, ანა ახმატოვას, სერგეი ესენინის შემოქმედება. ამბობს, რომ ლექსი არასდროს დაუზეპრებია, მაგრამ ის სტროფი, რომელიც ძალიან მოეწონება, წაკითხვისთანავე ამასსოფრდება. ამჟამად გააყარაწარაშვილის ნაშრომს ეცნობა, რომელიც აგვისტოს ომის თემაზეა. ნათია ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად გურამ დოჩანაშვილის გმირს — დომენიკოს ირჩევს.

თავსუბ კინიკაპი

### პრაქტიკული გახიზ

— თქვენსა და გურამ დოჩანაშვილის პერსონაჟს შორის რა მსგავსება აღმოაჩინეთ?

— შეიძლება, ადამიანმა წლების მანძილზე ისე იცხოვროს, რომ მასთან ძალიან ახლოს მყოფი ვინმე ან რამე ვერც კი შეამჩნიოს, ხოლო ის, რასაც ვითომდა ხედავს, საერთოდ არ არსებობდეს. ასეთი რამ მეც დამმართვია.

— „მაესტროში“ რა ხდება?

— მოგეხსენებათ, ახალი მენეჯერი გვყავს — ეროსი კინძარიშვილი. ახლა დოკუმენტების გადაბარების პროცესი მიმდინარეობს, თებერვლიდან კი მათურებელს დიდ სიურპრიზს ვპირდებით.

— ბუნებრივია, ახალი სახეებიც გეყოლებათ. ამბობენ, ეროსი კინძარიშვილი „მაესტროში“ თანამშრომლობას ნათია ლაზაშვილს, ნანა ლეჟავას და თამუნა რუხაძეს სთავაზობსო. მართალია?

— ისეთ ჟურნალისტებთან თანამშრომლობა, როგორებიც შენ მიერ ჩამოთვლილი კოლეგები არიან, ძალიან საინტერესო იქნება, მაგრამ როგორც ვიცი, ჯერჯერობით, კონკრეტული წინადადება არც ერთს არ მიუღია... ეროსი არხის ჟურნალისტებს უკვე შეხვდა და ის აგრძელებს იმ კურსს, რომელიც „მაესტროს“ აქამდე ჰქონდა აღებული. ჩვენ არ ვართ ოპოზიციური არხი, ჩვენ ვართ კრიტიკულად განწყობილი ტელევიზია ანუ ისეთი, როგორიც მედია უნდა იყოს.

— ვინ არის მოთხრობა „რეკორდის“ ავტორი, რომლის მიხედვითაც, ამავსე სახელწოდების ფილმი გადაიღეს?

— ვერ გიპასუხებ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ქართველი არ არის.

— ამ მოთხრობის ავტორი ჩეხი მწერალი, კარელ ჩაპეკი გახლავთ. ეს ორდენი რუსეთში, 1714 წელს შემოიღეს და ერთადერთი ორდენი იყო, რომლითაც ქალებს აჯილდოებდნენ...

— (ფიქრობს) ვერ გიპასუხებ.

— წმინდა ეკატერინეს ორდენი. ეს ქვეყანა 13677 კუნძულზეა გაშენებული და მისი დედაქალაქი კუნძულ იავაზე მდებარეობს. დაასახელებთ ეს ქვეყანა.

— (ფიქრობს) დედაქალაქს რა ჰქვია?

— ჯაკარტა.

— ინდონეზია.

— იგი 1886 წელს, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშლის თანამდებობიდან გადააყენეს, 1 წლის შემდეგ კი სტავროპოლში მოკლეს. მისი მკვლელობის ორგანიზატორი რუსეთის იმპერატორმა, ალექსანდრე II-მ ბრილიანტის ჯვრით დააჯილ-

„მაესტრო“  
მაყურებლისთვის  
სიურპრიზს  
ამზადებს



დოვა. დაასახელებთ ცარიზმისთვის საშიში ეს ქართველი მოღვაწე.

— ეს ამბავი თითქოს მახსოვს, მაგრამ რომელ საზოგადო მოღვაწეს უკავშირდება, ვერ ვიხსენებ.

— მიგანიშნებ, იგი ქართულმა ეკლესიამ 2007 წელს, წმინდანად შერაცხა.

— (ფიქრობს) ამ მიწინსვლამ კიდევ უფრო დამაბნია. დავიტანჯე, მითხარი, ვის გულისხმობ?

— დიმიტრი ყიფიანს. რომელი მდინარე იყინება ყველაზე ხანგრძლივი დროით?

— ეს მდინარე ალბათ, რუსეთშია, არა?

— ეს მდინარე ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის აუზს მიეკუთვნება. ის ოქტომბერში იყინება და 6 თვე სქელი ყინულით იფარება.

— ლენა.

— „ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა“, — ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?

— ილია ჭავჭავაძე.

— ეს ქართველი მწერალი 1944 წლის 25 მაისს აღესრულა. თავდაპირველად, მისი ნეშტი ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს, 10 წლის შემდეგ კი დიდუბის პანთეონში გადაასვენეს.

— მისი ერთ-ერთი ნაწარმოები მაინც დამისახელებ.

— მან სახელი ნოველებით გაითქვა...

— (მანვეტიკინებს) ნიკო ლორთქიფანიძე.

— ამ ქალაქის ფარგლებში 5 რაიონი შედის (ადრე ამ რაიონებს საგრაფოები ერქვა): ბრონქსი, ბრუკლინი, მანჰეტენი, კუინზი და სტეიტენ-აილენდი. ამ უკანასკნელის გარდა, ყველა რაიონში მილიონზე მეტი მცხოვრებია. დაასახელებთ ეს ქალაქი.

— ნიუ-იორკი.

— რა ჰქვია ზეპირი მეტყველების სწრაფად ჩანერას?

— დიქტანტი.

— ცდები, „დიქტანტი“ ფრანგული სიტყვაა და კარნასს ნიშნავს, ზეპირი მეტყველების სწრაფ ჩანანერს კი „სტენოგრაფია“ ჰქვია. მეტყველების რომელ ნაწილს ეკუთვნის კითხვები: როგორი? რომელი?





სადაური? როდინდელი?

— ზედსართავ სახელს. ქართული გრამატიკა კარგად ვიცი.

— რა ენოდება მუსიკალურ ნყოფას, რომლის ბგერები ქმნის მცირე ტერციაზე აგებულ აკორდს და რომლისთვისაც დამახასიათებელია ნაღვლიანი ბგერითი ელფერი?

— მინორი.

— დაასრულეთ ჟან გაბენის ცნობილი გამონათქვამი: „კარგი ფილმის შესაქმნელად სამი რამ არის საჭირო: კარგი ამბავი, კარგი ამბავი და...“

— „...კიდევ ერთხელ კარგი ამბავი“.

— მსოფლიოს რომელ ქვეყანაში მოიპოვებენ ყველაზე მეტ ალმასს?

— არ ვიცი.

— ავსტრალიაში. ვინ იყო ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე, რომელსაც ლორმუცელობის გამო ზაქაქამიას ეძახდნენ?

— გიორგი XII.

— დაასახელეთ აშშ-ის პრეზიდენტი, რომელიც მეორედ არჩევის შემდეგ ნიუ-იორკელ ბანკირთა მიერ მოსყიდულმა აგენტმა თეატრში მოკლა.

— აბრაამ ლინკოლნი.

— რა ჰქვია სიმდიდრის ღვთაებას ბერძნულ მითოლოგიაში?

— არ ვიცი.

— პლუტოსი. ამ მხედართმთავარს არც ერთი ბრძოლა არ წაუგია...

— ალექსანდრე მაკედონელი, არა?

— დიას. დაასახელეთ სახელმწიფოს, დაწესებული ბულების, ორგანიზაციის წარმომადგენელი, დაზვერვის ორგანოების საიდუმლო თანამშრომელი, რომელიც აწყობს დივერსიებს, დაზვერვებს და ა.შ.

— აგენტი.

— „სუვენიორ“ ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს...

— საჩუქარს.

— ცდები, სწორი პასუხია — მოგონებას. რომელი წლიდან აღინიშნება 8 მარტი?

— არ ვიცი.

— 1910 წლიდან. მან მთელი ცხოვრება ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლას შეაღია, მაგრამ ბედისწერის გამო ყიზილბაშთა ტყვეობას ვერ გადაურჩა და აღსასრულიც ამ ტყვეობაში პოვა. ქართველებმა მისი ნეშტი ჩამოასვენეს და ალავერდის ტაძარში დაკრძალეს. დაასახელე ტრაგიკული ბედის მქონე ეს მეფე.

— (ფიქრობს) იქნებ მიმანიშნო?

— ის ერთ-ერთი წამებული დედოფლის შვილი იყო.

— თეიმურაზ I.

— მსოფლიოს რომელ უდიდეს მუზეუმში ინახება ლადო გუდიაშვილის სურათები?

— არ ვიცი.

— მადრიდში, პრადოს მუზეუმში. როდის მიიღო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ აქტი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ?

— 1991 წლის 9 აპრილს.

— რომელ კონტინენტზეა მწვერვალი კილიმანჯარო?

— აფრიკის.

— რომელი ფილმის გადაღების დროს გაიცნეს ერთმანეთი ოთარ კობერიძემ და ლია ელიავამ?

— ალბათ, „ბაში-აჩუკის“ გადაღების დროს, არა?

— დიას. ამ კომპოზიტორს სიცრუის ნიშნები 27 წლის ასაკიდან დაეწყო. მან ცხოვრების უკანასკნელი წლები სიმარტოვესა და სიღარიბეში გაატარა. დაასახელეთ ეს კომპოზიტორი.

— ბეთჰოვენი.

— რომელი მეფის თანამედროვე იყო შალვა ახალციხელი, რომლის პატივსაცემად სიმღერა — „შავლეგო“ შეიქმნა?

— თამარ მეფის.

— ამ ქართველ მწერალზე უდიდესი გავლენა იქონია ფრიდრიხ ნიცშეს ნაშრომებმა. მის შემოქმედებას სხვადასხვა დროს უმაღლესი შეფასება მისცეს შტეფან ცვაიგმა, რომენ როლანმა და მსოფლიო ლიტერატურის სხვა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა. იგი ევროპის რამდენიმე ლიტერატურული საზოგადოების წევრად იყო არჩეული. აღსანიშნავია, რომ 1960-იანი წლების დამდეგს, გადაწყვეტილი იყო მისი წარდგენა ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიაზე, რასაც მწერლის გარდაცვალებამ შეუშალა ხელი. დაასახელე ეს მწერალი.

— გრიგოლ რობაქიძე.

— ვინ ანიჭებს საქართველოს საპატიო მოქალაქეობას უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს?

— საქართველოს პრეზიდენტი.

— ალექსანდრე მაკედონელმა მასში მონაწილეობაზე უარი თქვა, რომის იმპერატორი — ნერონი რეკორდსმენი გახდა, იმპერატორმა თეოდოსმა კი ის საერთოდ აკრძალა. რაზეა ლაპარაკი?

— (ფიქრობს) ვერ გიპასუხებ.

— ოლიმპიადები. რამდენჯერ განათხოვარი ქალი მიჰგვარეს ბეკინა სამანიშვილი, დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის“ მიხედვით?

— ორჯერ განათხოვარი, თანაც — უშვილო.

— დაბოლოს, დაასრულე ბერძენი ფილოსოფოსის, არისტოტელეს ცნობილი გამონათქვამი: „შეცდომას მრავალნაირი გზა აქვს, სწორად მოქმედებას — ერთადერთი, ამიტომ პირველი იოლია, მეორე — ძნელი. მიზანს იოლად ააცდენ...“

— ეს გამონათქვამი არ მახსოვს.

— „...ძნელად მოახვედრებ“.

იკუდილი +

ერთხელ ალექსანდრე მაკედონელმა, ბრწყინვალე ამალის თანხლებით, გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსი, დიოგენე მოინახულა. დიოგენე ხალხში დიდი პატივისცემით სარგებლობდა, მას სძაგდა სიმდიდრე და ფუფუნება. „თუ ადამიანს სურს, ბედნიერი იყოს, ის მცირედიტაც უნდა დაკმაყოფილდეს“, — ამბობდა იგი. დიოგენე დიდ კასრში ცხოვრობდა და ტანს დაძინძილი მოსასხამი უფარავდა. როცა მასთან მაკედონელი მივიდა, ფილოსოფოსი კასრის წინ იწვა და მზეზე თბებოდა. ის დიდხანს ესაუბრა მაკედონელს. მისი ღრმა ფილოსოფიური მსჯელობით მოხიბლულმა მხედართმთავარმა დიოგენეს დახმარება შესთავაზა: სახელოვანო ადამიანო, სათხოვარი ხომ არაფერი გაქვს, სიამოვნებით შეგისრულებო. „ჩამომეცალე, მზეს ნუ მიჩრდილავ“, — უპასუხა დიოგენემ. მაკედონელის ამალის წევრებს გაეცინათ, მხედართმთავარი კი მათ მიუბრუნდა და უთხრა: „მე რომ მაკედონელი არ ვიყო, დიოგენედ ყოფნას ვისურვებდი!“



# ბონების საპარჯიშო

## „გზის“ ერთგული მართხვალისათვის (პითხვაბი)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

### „პასუხების“ სვებისაქნ არ გაგაქცეთ თვალი

- როგორ ადამიანს ეძახიან თვითრჯულს?
- ერთხელ პეკანო დურგალს ნითელი ხისგან ავეჯის დამზადება სთხოვა და წინასწარ აუხსნა, თუ რა სჭირდებოდა, მერე კი, თვალსაჩინოებისთვის, ერთი ხელის მოსმით ესკიზი დაუხატა და ჰკითხა: სამუშაოში რამდენი უნდა გადაგიხადო? რა უპასუხა დურგალმა?
- ავსტრალიაში ჩასული ევროპელები აბორიგენებს ეკითხებოდნენ, — იმ მოხტუნავე ცხოველს რა ჰქვია, თქვენს მხარეში რომ ბინადრობსო? აბორიგენები პასუხად თავებს აქნევდნენ და ერთ სიტყვას იმეორებდნენ: „კენ-გურუ! კენ-გურუ!“. რას ნიშნავდა მათ ენაზე ეს სიტყვა?
- დასარულეთ სალვადორ დალის სიტყვები: „სიურრეალისტმა უნდა ჩამოაყალიბოს ლოგიკა და...“
- აინშტაინის უკანასკნელი სიტყვები სამუდამოდ უცნობი დარჩა კაცობრიობისათვის. რატომ?
- პატიმრობაში მყოფმა ლევან ბერძენიშვილმა ციხეში მოწყობილ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა კიდევ. მან ბრწყინვალე ლექცია წაკითხა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ. რა გადასცეს ქართველ დისიდენტს ჯილდოს სახით?
- რით გაითქვა სახელი ტამბოველმა გლეხმა ივანე ზახარაიშვილმა?
- XX საუკუნის დასაწყისში, ლონდონის ერთ-ერთი მოქალაქე მხოლოდ ერთი სიტყვის წარმოთქმისათვის 5 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს, როგორც საზოგადოებრივი ნესრიგის დამრღვევი. დაასახელეთ ის ერთი სიტყვა, რომელიც მან პოლიციის მეძებარ ძალებს უთხრა?
- გამოცდილი მხარეულები საქმელში მარილს არასდროს ყრიან. რას იყენებენ ისინი კრძის დასამარილებლად?
- შტატ ინდიანას უნივერსიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის მენეჯერი ყოველწლიურად, 1 დღით დასვენებას მიწის სიღრმეში. რა არის ამის მიზეზი?

# ანექლოცენი



\*\*\*

— სად არის ჩვენი ბუღალტერი?  
— კაზინოში!  
— კი, მაგრამ სამუშაო დროს?  
— აბა, რა ქნას? ეგ ერთი შანსილა დარჩა წლიური ბალანსის მოსანესრიგებლად.

\*\*\*

ორი დაქალი საუბრობს:  
— მას მერე, რაც გავიგე, რომ ქმარი მლალატობს, სულ ერთი კითხვა მიტრიალებს თავში.  
— ვისთან გლალატობს?  
— არა, ამას როგორ ახერხებს!

\*\*\*

საავადმყოფოში გაჩენილი ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ მეხანძრე მთავარ ექიმს ეუბნება:  
— რაც შეეძელით, ყველაფერი გავაკეთეთ, მაგრამ რვა კაციდან მხოლოდ სამის მოსულიერება მოვახერხეთ!  
— შეუძლებელია!  
— რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ.  
— ხომ გეუბნებით, შეუძლებელია-მეთქი! მორგი ინვოდა, მორგი!..

\*\*\*

მამა რეკავს შვილის კლასელის მამასთან:  
— დაუნერეთ თქვენს შვილს საშინაო დავალებას?  
— კი!  
— გადამანერინეთ, რაა!..



\*\*\*

— როგორ მოგეწონე მაიმუნის როლში? — ეკითხება მსახიობი მეგობარს.

— მაგარი იყო! ოღონდ, ის ვერ გავიგე, გრიმი რალაში დაგჭირდა?!

\*\*\*

დიასახლისმა მოახლე დაითხოვა. გამნარებულმა მოახლემ პირში მიახალა:

— თქვენ ავი, ბოროტი და უქნარა ქალი ხართ! და კიდევ, ლოგინში მე გჯობივართ, ათი თავით!

— ეგ ვინ გითხრა, შე გათახსირებულო, ჩემმა ქმარმა?!

— არა, თქვენმა მძლოლმა!

\*\*\*

სალამოს ოსი ყანიდან დაღლილი ბრუნდება. შეხვდება კახელი.

— მოდი, ვიშაიროთ.

— არა, სენი წირიმე, ძალიან დაღლილი ვარ და სახლში მეჩქარება.

— მოდი-მეთქი, თორემ დედას გიტირებ, — ატერორებს კახელი. ოსს სხვა რა გზა ჰქონდა, დათანხმდა. კახელმა დაიწყო:

— ავსტი-დავსტი, აგე იმ გორაზე შავსტი, იქიდან აგე იმ გორაზე გადავსტი, მერე აი, იმ მუხაზე გამოვსტი და იქიდან პირდაპირ დედაშენს დავსტი.

— მე, კიდევ, სენი წირიმე, ავსტი-დავსტი და პირდაპირ დედაშენს დავსტი!.. ხომ გითხარი, ძალიან დაღლილი ვარ-მეთქი.

\*\*\*

— ჭიჭიკიას ცოლს ისეთი პატარა მკერდი აქვს, „ზილიონკა“ რომ წაუსვა, მოურჩება!





# გონების საპარჯიშო

„გზის“ ერთგული  
მართხვალისათვის

(პასუხები)

1. თავნება, ჯიუტ და კერპ ადამიანს.
2. „არაფერი, თქვენ მხოლოდ მაგ ესკიზზე მიმინერეთ ხელი“.
3. „ვერ გავიგე“.
4. „...არასდროს მისდიოს მას“.
5. მისმა მომვლელმა ქალმა გერმანული არ იცოდა.
6. ერთი ღერი „პრიმა“.
7. იგი საქართველოში ჯალათად მუშაობდა. მიხეილ ჯავახიშვილისადმი გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი (ისევე, როგორც სხვა მრავალი განაჩენი) სწორედ მან მოიყვანა სისრულეში.
8. „მიაუ!“
9. მარილწყალს.
10. მშენებლებმა არ გაითვალისწინეს იმ წიგნების წონა, რომლებიც შენობაში უნდა მოთავსებულიყო.

\*\*\*

ჭიჭიკიამ ბოთლი იპოვა და საცობი ამოაძრო. ბოთლიდან ჯინი ამოფრინდა.

- რას ინებებ? — ეუბნება ჯინი.
- ლუდი მინდა!
- მომე ფული და მოგიტან.

\*\*\*

ქუთაისელი ცოლს აღვიძებს:  
 — რა გინდა, კაცო, ამ შუალამეს?  
 — რა უნდა მინდოდეს? ორი კილო ფქვილი მასესხე!..

\*\*\*

გაკვეთილზე დაგვიანებული მოსწავლე კართან დგას და ცივ ოფლში ინურება.  
 — სად ბრძანდებოდი?  
 — შეიარაღებული ბანდიტი დამესხა თავს.  
 — ღმერთო ჩემო! წაგართვა რამე?  
 — საშინაო დავალება!

\*\*\*

— ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ, ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ...  
 — ექიმო, დაანებე ჩემს კბილებს თავი!

\*\*\*

მიხო ვენახიდან დაღლილი ბრუნება. მარო ტახტზეა წამოწოლილი და ქმარს ზედაც არ უყურებს.  
 — მარო, მიდი ერთი, ჩუსტები გამამიტა.

— ეგე, მანდა ყრია, კართან, მიეთრიე და ჩაიცვი.

მიხო მილასლასდა კართან და ჩუსტი ჩაიცვა.

— მარო, მშია და პური მაინც მაჭამე.

— გამააღე მაცივარი, ორი კვერცი დევს, შეიწვი და ჩახეთქე.

— ქალო, ღვინო მაინც გამამიტანე!

— ჩვეთრიე მარანში, ჩამაასხი და ჩაცეცხლე.

მიხომ ყველაფერი უთქმელად შეასრულა, დაჯდა და მაროს გახედა.

— მარო, მიდი ერთი, ჩვენი ქორნილის სია მომიტანე.

— ქორნილის სია რაღა ჯანდაბად გინდა?!

— რა და, კეთილები უნდა გაგინო და არ მინდა, ვინმე გამომრჩეს.



\*\*\*

— ჩემი ცოლი ფეხმძიმედაა!  
 — მართლა? ვისზე გაქვს ეჭვი?

\*\*\*

— რა გაცინებს, ჭიჭიკია?  
 — ჩემს თავს ანეკდოტებს ვუყვები.  
 — მერე?  
 — ერთი იმნაირი შემხვდა, სულ რომ არ ვიცოდი!

\*\*\*

პატარა ბიჭი ოთახებში დარბის, ამტვრევს და ლენავს ყველაფერს.  
 — რა მოხდა, ბიჭო, რამ გადაგრია? — უყვირის ბებია.  
 — მამიკოზობანას ვთამაშობ!.. თქვენი დედა!.. თქვენი ყველაფერი!.. სად არის მანქანის გასაღები?..

## რენიფორსობანა



შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიანერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვანოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებძის ქ. №49.



# ჰოროსკოპი

(26 ნოემბერი - 2 დეკემბერი)

**ვიწოდ:**

მოსალოდნელია, საყვარელმა ადამიანმა გამოგიყენოთ, თქვენი დახმარებით წარმატებას მიაღწიოს და მიგატოვოთ. ფრთხილად იყავით და კარიერაზე იზრუნეთ.

**კუჩრო:**

თქვენით შეიძლება, უცხოელები დაინტერესდნენ და საქმიანობის საზღვარგარეთ გაგრძელება შემოგთავაზონ. კვირის მეორე ნახევარში რომანტიკული შეხვედრა გელით.

**ღმრთობა:**

იზრუნეთ საკუთარ კეთილდღეობაზე. განწყობილებას საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა აგიმალღებთ. კვირის მეორე ნახევარში რომანტიკული შეხვედრები დაგეგმეთ.

**კიჩხობა:**

ოჯახის წევრებს საკუთარ კაპრიზებს ნუ მოახვევთ თავს. ჩაიტარეთ სამედიცინო-პროფილაქტიკური გამოკვლევა. კვირის ბოლოს ძველ ვალს დაიბრუნებთ და სურვილების ასრულებას შეძლებთ.

**ღიმი:**

სამსახურში კონფლიქტს ნუ გაამწვავებთ და კოლეგებზე გაბრაზებული, ოჯახის წევრებზე ნუ იყრით ჯავრს. შესაძლოა, ძველ შეყვარებულთან განაახლოთ ურთიერთობა.

**ქაფხუდი:**

მოაწყვეთ ბინა, შეცვალეთ დიზაინი და განაახლეთ ავეჯი. არ დაუშვათ კონფლიქტი საყვარელ ადამიანსა და თქვენს ნათესავებს შორის. მეგობარი მოულოდნელი საჩუქრით გაგაოცებთ.

**სახსრობი:**

მოაგვარეთ ურთიერთობა ნათესავებთან და მეზობლებთან. საყვარელ ადამიანთან ერთად ქალაქგარეთ გამგზავრება დადებით ენერჯიას შეგმატებთ.

**ვიწოდ:**

მთელი კვირის განმავლობაში მატერიალური პრობლემების მოგვარებით იქნებით დაკავებული. შესაძლოა, ლატარიაში მსხვილი თანხა მოიგოთ, მაგრამ გახსოვდეთ, ყოველთვის არ გაგიმართლებთ.

**მეგობრობა:**

განწყობილება გაგიუმჯობესდებათ. გარშემო მყოფებთან საერთო ენასა ადვილად გამოიხატავთ. კვირის მეორე ნახევარში ახალ იდეებს განახორციელებთ და მატერიალურად მოძლიერდებით.

**ღმრთობა:**

ეცადეთ, ხშირად განმარტოვდეთ, დაფიქრდეთ საკუთარ ცხოვრებაზე და გააანალიზოთ იგი. წყენას გულში ნუ ჩაიდებთ, უმჯობესია, ქველმოქმედებით დაკავდეთ.

**ვიწოდ:**

ხანმოკლე მოგზაურობები გელით. უცხო ადამიანები თქვენ მიმართ დადებითად განწყობიან. გააცანით კოლეგებს საკუთარი იდეები და ისინი მათ განხორციელებაში დაგეხმარებიან.

**ღმრთობა:**

ცხოვრების რადიკალურად შეცვლას, სერიოზული გადაწყვეტილებების მიღებას მოერიდეთ და მხოლოდ ყოველდღიური საქმეებით დაკავდით. კვირის ბოლოს სიტუაცია სასიკეთოდ შეიცვლება.

## პატარა ბენიოსოკან

გაზაფხთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან



5 წლის ბექა ბეჟაშვილს საბავშვო ბაღში პატარა ნინო ეუბნება, რომ დედამისმა ფრანგული და ინგლისური ენები იცის.

— მერე რა, დედაჩემმაც კი იცის რუსული და ქუთაისური — პასუხობს ბექა.

— ბექა, ქუთაისური რომელია? — ჰკითხა იქვე მდგომმა ნინოს ბებიამ.

— რომელია და: წვევია, მევიდა, იქინე, — უპასუხა ბექამ.



თორნიკე ჩაჩანიძეს მამა სტომატოლოგი ჰყავს, 4 წლის ბიჭი ბებიამ პატარა გოჭების სანახავად წაიყვანა.

— ეს გოჭები შვილები არიან, ის დიდი ლორი კი მათი დედაა, — აუხსნა ბებომ.

— მამა ლორი სამსახურშია და სხვა ლორებს კბილებს უპლომბავს? — დაინტერესდა თორნიკე.



7 წლის მამულა კაპანაძე ბაბუას ეკითხება:

— ბაბუ, შოთებს იმიტომ ჰქვია შოთა პური, რომ შოთა აცხობს?



2 წლის და 8 თვის საბა ჩხაიძეს ფეს-საცმელი უყიდეს და უთხრეს:

— საბა, ეს რეზინის ფესსაცმელია, ტალახში უნდა ჩაიცვა.

— ბებო, შენ ჩამაცვი და ტალახს მე მოვძებნი — შეეხვეწა ბავშვი.



სტუმრად მიმავალმა პატარა ნატომ და გიორგიმ ჭიშკრის წინ მწოლიარე ბომბორა ძალიან დაინახეს და შეშინებული დედას აეკრნენ:

— ნუ გეშინიათ, ეს ძალიან კარგ ბავშვებს არ ერჩის, — დაამშვიდა დედა.

მოულოდნელად ძალიან წამოხტა და ბავშვებს შეუყვება. კიდევ უფრო შეშინებულმა გიორგიმ ძალს მიაძახა:

— კარგი ბავშვი ვარ, კარგი ბავშვი.



4 წლის შოთიკო მალრამე მამას ჰკითხა:

— მამიკო, თოვლი ათრობს?

— არა, — მიუგო მამიკომ.

— აბა, ამ თოვლში სულ რატომ ვეცემი?



4 წლის გვანცა რობაქიძეს დეიდამ სთხოვა:

— მამულე მომიტანე.

— მამულე ვერ ვნახე და მე მოგმეველები, — უპასუხა გვანცამ.



	1. ოტელის ცოლი	2. ადამიანის სხეულის ნაწილი	3. რუსეთის პარლამენტი	2	4. ხელმწიფე	5. ნადვლიანი განწყობილება	6. დადებითად დატვირთული ელემენტი	
	7. საკონდიტრო ნაწარმი	8. ცეცხლის დვება ინდიაში	9. დანიელი ზღაოსანი	10. მოკლე და მსხვილი ჯოხი	11. ქვეყნა აფრიკაში	12. კოლუმბის აღმოჩენა	13. ადუკატი	
	14. არილის ტე ქართული სახელწოდება	15. ზღვის დიდი მტაცებელი თევზი	16. ... ხელკეპი	17. ფარიკაობის აარაღი	18. ხიბრთანი სასმელი	19. კვამლი	20. ივანე რაც ხაჩორი	21. გერმანული პარფუმერიული ფირმა
	22. სტალინის დედა	23. რისამე შესწავლის სურვილი	24. ღობეზე გაღასადიკებული ადგილი	25. ქალაქი საქართველოში	26. მექსიკური ცეკვა	27. თებერვა	28. სერბი ჩოგბურთული ქალი	29. ტაბლეთი
	30. ბილიარდის ჯოხი	31. ერთგვარი კანფეთი	32. ქალბატონი გერმანიაში	33. ქულა მიუღლოში	34. შექსპირის ... და კულიეტა	35. ქვეყნა აზიაში	36. ... კაგერი	37. ქალაქი საქართველოში
	38. დროის მონაკვეთი პოკეში	39. თონეში ჩაერდნილი პური	40. კორეული ატომობილი	41. მარადმწვანე წიწვუვანი ხე	42. ამერიკის შტატი			

**წინა ნომრის სკანოვრდის პასუხები** 1. ჩაფუთხული; 2. ფალიაშეილი; 3. კუზანოვი; 4. თუნუქი; 5. ღუმა; 6. კალანდაქე; 7. დეკლამაცია; 8. ძუა; 9. სირინოზი; 10. მეკოკიშეილი; 11. აკადემია; 12. მედიკამენტი; 13. იუტა; 14. არფა; 15. ელადა; 16. გბირი; 17. დესერტი; 18. ლიტანია; 19. ლამი; 20. ვირი; 21. გოა; 22. ცოფი; 23. კრელო; 24. კოკი; 25. კარკასი; 26. გროზლი; 27. მელომანია; 28. მეველე; 29. ილო; 30. კოკაინი; 31. უნო; 32. ტიტაკაკა; 33. კვაი; 34. ალღუმი; 35. მოთავე; 36. პესეტა; 37. ის. სურათებზე: 1. ჩეკი კარიო; 2. ოდრი ტოტუ.





# საფიქსო კროსვორდი

ჩ	ვ	ე	ნ	ო	ქ	უ	რ	ნ	ა	ლ	ო	ს	ა	უ	კ	ე	თ	ე	ს	ო	ა	რ	ჩ	ე	ვ	ა	ნ	ო	ა
მ	ო	ე	ქ	ლ	ო	ო	თ	ს	ა	ო	ე	ლ	რ	ო	ე														

**შეკითხვის წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოსწნის შემთხვევაში გამოუქმბულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

**ჩ.** თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი; **ვ.** ქალის პირბადე; **ე.** კარლ მარქსის ეროვნება; **ნ.** რა ერქვა ლენინის ცოლს; **ო.** ნანარმოები, სადაც ტროსკის ომის ბოლო 54 დღეა აღწერილი; **ქ.** სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც გამოყოფილია კონკურსზე მონაწილეთა შესაფასებლად; **ლ.** ტრანსპორტი, რომლის გადაბრუნებასაც, ანდაზის თანახმად, გზის გამოჩენა მოჰყვება ხოლმე; **რ.** უღელტეხილი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის; **ს.** მდინარე ეგვიპტეში; **ე.** ფეთქებადი ნივთიერება; **ვ.** ქალაქი, სადაც მდებარეობს უემბლის განთქმული სტადიონი; **ნ.** მონასტრის წინამძღვარი; **ს.** რაიმე დამსახურების აღსანიშნავად გაცემული საბუთი; **ა.** თვითმფრინავის სადგომი; **უ.** საყოფაცხოვრებო ნივთი, რომელიც უმჯობესია დაყაჩაღების დროს სახლში არ აღმოგაჩნდეთ; **კ.** ამერიკული სიგარეტი; **ე.** თავის დაჭერისა და თავაზიანი მოპყრობის წესები, რაც მიღებულია რომელიმე საზოგადოებაში; **თ.** რა ცხოველი იყო ამალთეა, რომელმაც კუნძულ კრეტაზე გადამალული ჩვილი ზევსი საკუთარი რძით გამოკვება;

**მ.** უეცარი გრძნობა დიდი შიშისა, თავზარი; **ს.** საქართველოს მაღალმთიანი კუთხე; **ო.** ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო; **ბ.** სამხედრო ნადავლი; **რ.** აფთიაქში წარსადგენად ექიმის მიერ შედგენილი ბარათი; **ჩ.** ნიკლაური — არნივი, კვაშალი — ბუ, ტატიშვილი — ნრუნუნა, ლორია — ყვაფი, ბალაშვილი — ?; **შ.** განსწავლული ადამიანი; **ჯ.** შურისძიების სიცილიურ-კორსიკული წესი; **ბ.** ვესტგოთების ბელადი, რომელმაც რომი აიღო; **ნ.** გამარჯვების ქალმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; **ი.** საზაფხულო საძოვარი მთაში; **ა.** რგოლისებური მარჯნის კუნძული, რომლის შუაგულშიც მოქცეულია ლაგუნა.

- წინა ნომერი გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
- გ. გამბიტა; ა. აგონია; ე. ეშვი; რ. რეისი; თ. თოდაძე; ე. ეპარქია; დ. დუშმანი; ა. აკიდო; დ. დამასკო; ა. არშინი; ი. იდილია; ს. სალიერი; ვ. ვაიმარი; ე. ერნო; ნ. ნეაპოლი; ე. ელვა; გ. გეიზერი; ზ. ზიდანა; ა. აზატი; ს. სესია; თ. თხილი; ა. აპრილი; ნ. ნაცია; ე. ეშვი; რ. რევერსი; თ. თეირანი; ა. აული; დ. დოინჯი.
- გამოქვეყნებული უჯრედები იკითხავთ: მივიდა შიმშილი, წავიდა სირცხვილი**

## იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერი გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

9	4	3	8	7	1	5	2	6
2	5	1	4	6	9	7	8	3
8	7	6	2	3	5	9	4	1
4	6	7	3	9	2	8	1	5
1	8	5	7	4	6	2	3	9
3	9	2	5	1	8	6	7	4
5	3	8	9	2	4	1	6	7
6	2	4	1	5	7	3	9	8
7	1	9	6	8	3	4	5	2

4	3	2	1	7	5	9	8	6
1	6	7	3	8	9	5	4	2
8	5	9	2	4	6	3	7	1
7	8	1	9	5	3	6	2	4
5	4	3	6	2	7	1	9	8
9	2	6	4	1	8	7	5	3
3	9	8	5	6	4	2	1	7
2	7	5	8	3	1	4	6	9
6	1	4	7	9	2	8	3	5

2	6	8	9	3	1	5	4	7
9	5	1	6	7	4	8	2	3
7	3	4	8	5	2	1	9	6
5	9	2	4	8	6	7	3	1
4	8	7	1	9	3	2	6	5
3	1	6	7	2	5	9	8	4
8	4	3	5	1	9	6	7	2
1	2	9	3	6	7	4	5	8
6	7	5	2	4	8	3	1	9

**\* მარტივი**

		2		3			4	
5				1			7	
			6				9	
		5			4	6		
		9		7		1		
		8	5		2	4		
	2				8			
	3			5				8
	5			2		7		

**\*\* საშუალო**


	8				1	5		
		9	7	6		4		
1					9			8
		7		5		6		
		4			7	8		
3			6				1	
		5		4	3	2		
		1	9					5

**\*\*\* რთული**

			8	6			3	
			2	9			8	
				4			5	
1			4		5	2		
4				2				9
			3		7			6
	7			1				
			4		6	7		
			9		4	1		



# ფოტოკუჩიონები





# სომ ბიყვართ კითხვა?

ჩართეთ აქციაში

## „ჩვენ გრუქნით წიგნებს!“


გამოიწერეთ 1 წლით ჟურნალი „გზა“ და მედია სახლის კიდევ ერთი გამოცემა, აირჩიეთ საჩუქრად გამოცემლობა „პალიტრა L“-ის 3 ბესტსელერიდან ერთ-ერთი:

„დედამინა“

„ცხოველები!“

„მსოფლიოს დიდი ატლასი!“

ავტობიოგრაფიულ თქვენ ხდებით „დიდი მხატვრების“ სერიის ხელმომწერი



### მედია სახლ „პალიტრა“ გამოცემები:

დასახელება	1 ეგზ. ფასი	ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე	ფასი 1 წლით
კვირის პალიტრა	1.00	52	52.00
სიბყვა და საქვე	1.00	260	260.00
სიბყვა საქვე (კატალოგი)	2.00	52	104.00
ყველა სიხსლე	1.00	52	52.00
გზა	1.00	52	52.00
რეზინები	1.00	52	52.00
არსენალი	1.50	26	39.00
კარიბჭე	1.00	26	26.00
ოჯახის მკურნალი	1.00	26	26.00
კარუსელი	0.60	52	31.00
საბავშვო კარუსელი	1.00	52	52.00
გოგონდი	5.00	12	60.00
ლელო	0.60	312	187.20
ათიანი	5.00	12	60.00
ოსკარი	1.00	52	52.00
ლიტერატურული პალიტრა	2.00	12	24.00
Georgian Journal	2.00	52	104.00

ღამიკავშირდით:

ზრუნისა და წიგნების

გარეცელების სააგენტო „ელვა.ჯი“

[www.elva.ge](http://www.elva.ge)

**T: 38 26 73;**

**38 26 74**

[elva@kvirispalitra.com](mailto:elva@kvirispalitra.com)

ადგილზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში. რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი“-ს საბითუმო ვაჭრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.